შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი

ბიჭიკო დიასამიძე

ისტორიული ეტიუდები

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალსა და კრებულებში გამოქვეყნებული ნარკვევები საქართველოს ისტორიის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. იგი კარგ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სკოლის სტუდენტებსა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: პროფესორი **ნოდარ კახიძე**

რეცენზენტები: პროფესორი **თამაზ ფუტკარაძე**
აკადემიური დოქტორი **მანუჩარ ლორია**

ISBN 978-9941-409-78-3
© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

წინათქმა

ძვირფასო მკითხველო, წიგნში შესული ნარკვევები სხვადასხვა წლებში იწერებოდა და ქვეყნდებოდა კრებულებსა და ჟურნალებში. მათ შექმნას გარკვეული სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობა გააჩნდა. ამიტომ გადავწყვიტე ისინი ქრონოლოგიური პრინციპით, დაწერის დროის მიხედვით დამელაგებინა, რომ წლების შემდეგაც მკითხველს ეგრძნო, რამ მიკარნახა ამა თუ იმ ნარკვევის დაწერა. გამონაკლისია პირველი წერილი „ზღვისპირას... თეთრი ტაძარი მუზის", რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავს ეძღვნება.

კრებულში შეტანილი ნარკვევებიდან ზოგიერთი წმინდა მეცნიერული ხასიათისაა და ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისადმი ჩემს თვალსაზრისს, შეფასებასა თუ დამოკიდებულებას აჩვენებს, ზოგიც პოლემიკურ ხასიათს ატარებს და ჩვენს მიერ წარმოდგენილი არგუმენტების შემდეგ, მკითხველს საშუალება ეძლევა თვითონაც იფიქროს და თავისი დასკვნა გააკეთოს: ან გაიზიაროს ავტორის თვალსაზრისი, ან არა.

ნარკვევების ერთი ნაწილი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება და ავტორი მიზნად ისახავს ჯერ ერთი, დაეხმაროს მკითხველს ამ მოვლენების არსის გაგებაში და მეორე, მოუწოდოს მათ გამოფხიზლებისაკენ, ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვისაკენ, დასმული პრობლემებისადმი საკუთარი პოზიციის გამოვლენისაკენ.

რამდენადაც წიგნის გამოცემა სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენიმე წლით შეყოვნდა, ადრე დაწერილ ზოგიერთ ნარკვევში ცვლილებები შევიტანეთ, რასაც მკითხველი მითითებული ლიტერატურითაც იგრძნობს, თუმცა ამას მათ საერთო შინაარსსა და პათოსზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

და ბოლოს, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ბატონ ანზორ ბოლქვაძის და ბადრი ფარტენაძისა მიმართ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არ მოხერხდებოდა ამ წიგნის გამოცემა.

ზღვისპირას... თეთრი ტაძარი მუზის...

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი 70 წლისაა

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა სრულიად საქართველოს, და განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) განათლებისა და კულტურის აღორძინება-განვითარებაში.

2005 წლის შემოდგომაზე (3 ოქტომბერი) მას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი დაემთხვა უნივერსიტეტის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს რეფორმებსა და ცვლილებებს. 2004 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ" ამ სისტემაში სერიოზულ სტრუქტურულ, საკადრო და ორგანიზაციულ ცვლილებებს მოითხოვს. შეიცვლება სასწავლო გეგმები და პროგრამები, სწავლებისა და ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ყველაფერი ეს ჩვენთან, როგორც ჩანს, 2005-2006 სასწავლო წლის დასაწყისიდან უნდა განხორციელდეს, ამიტომ მეეჭვება, რომ ასეთ დაძაბულ პირობებში შესაძლებელი გახდეს უნივერსიტეტის იუბილეს ჩატარება და წინასწარ ჩანს, რომ 50 და 60 წლისთავების საიუბილეო თარიღების მსგავსად, მისი აღნიშვნაც გადაიდება. მაგრამ დიდი სურვილია, რომ ეს მოხდეს რაც შეიძლება მცირე ხნით, რადგან ამ სასწავლებლის, მის ამაგდარ პროფესორ-მასწავლებელთა დამსახურება იმდენად დიდია, რომ მათ შესახებ საჯაროდ უნდა ითქვას და დაიწეროს, ღირსეულად დაფასდეს მათი ღვაწლი.

1998 წელს, როცა დაგვიანებულად მაინც 60 წლისთავის აღსანიშნავად ვემზადებოდით (მე სამუშაო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი), სამსტროფიანი ლექსი დავწერე, რომელსაც დღემდე ვინახავდი. მგონი იგი იმ ემოციური დატვირთვის გამოვლენა იყო, რომელსაც განვიცდიდი და განვიცდი ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის მიმართ. ამიტომ გავკადნიერდები და გავბედავ მის სამზეოზე გამოტანას, რადგან მასში ამ სასწავლებლის ჩემეული შეფასებაა მოცემული:

ზღვისპირას თოლიასავით,
თეთრო ტაძარო მუზის,
ნიჭის და ცოდნის ნათებავ,
ხსნად მოვლენილო ქვეყნის.
ტბეთის და სხალთის ხატებავ,
ამონათებავ რვალის,
ფაზისის, პეტრას მემკვიდრევ,
ჩვენო იმედო ხვალის.
ჩვენი შვილების კურთხევა,
ლოცვა ერის და ბერის,
ცად აგამაღლებს იმედად,
ჩვენის აწმყოს და ხვალის.

უნივერსიტეტის ხედი (ნინოშვილის ქუჩიდან)

ეს განწყობა და დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ მრჩება დღესაც.

წელს, 25 დეკემბერს, 65 წელი შემისრულდება. 41 წელი ამ დალოცვილი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში გავატარე: ხუთი წელი, როგორც სტუდენტმა და 36 წელი, როგორც მისმა თანამშრომელმა. გავიარე ყველა საფეხური: ლაბორანტი, ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. ვიყავი გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარე, ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი, დეკანის მოადგილე და დეკანი, კათედრის გამგე და პრორექტორი. ჩემთვის უნივერსიტეტი მეორე ოჯახია, რომელმაც გამზარდა, როგორც მოქალაქე, მასწავლებელი და მეცნიერ-მკვლევარი. აქ ვიგრძენი ნამდვილი მეგობრობა და ადამიანური სიყვარული, ერთგულება და ზოგჯერ დაუმსახურებელი ტკივილებიც, მაგრამ არასდროს გამციებია გული მის მიმართ.

ახლა ამ გადასახედიდან მინდა შევხედო მის მიერ განვლილ გზას, პატივი მივაგო და მოვიგონო ჩემი მასწავლებლები და უფროსი კოლეგები და მათ სულებს ვთხოვო პატიება, თუ ყველას ისე ვერ მოვეფერო, როგორც მათ ეკადრებათ.

აწმყო შობილი წარსულისაგან...

ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს უმაღლეს განათლებას საქართველოში. ეროვნული ისტორიული ტრადიცია ქართული მწიგნობრობის დასაწყისს ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუკუნეებში გულისხმობს, ხოლო უმაღლესი განათლების კერის-ფაზისის რიტორიკული (ფილოსოფიური) სკოლის არსებობას, ჯერ ჯიდევ IV საუკუნეში, ბერძენი ფილოსოფოსი თემისტიოსი გვიდასტურებს და გვაუწყებს, რომ მას და მამამისს, ცნობილ ფილოსოფოსს – ევგენიოსს აქ, ფაზისის სასწავლებელში უსწავ-

ლიათ. VIII-IX საუკუნეებში საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ფართოდ გაშლას, მწიგნობრობის განვითარებას, კულტურისა და განათლების კერების გაჩენა მოჰყვა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, სადაც არაერთი სახელოვანი მოღვაწე აღიზარდა. სწორედ ამან მოამზადა საფუძველი გელათისა და იყალთოს აკადემიების შესაქმნელად და იქ იმ დროის მსოფლიოს მიღწევათა დონეზე სწავლებისა და შემოქმედებითი საქმიანობის გასაშლელად. ყველაფერი ეს შემზადებული იყო ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მაღალი დონით, რისი გამოვლინებაც გახდა იმ დროის მსოფლიოსათვის უჩვეულო ჰუმანისტური იდეებისა და რენესანსული აზროვნების სახელმწიფო დონეზე აღიარება შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" სახით.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ავბედითი ხანა დაუდგა საქართველოს. თათარ-მონღოლები და თემურ-ლენგი, თურქ-ოსმალები და სპარსელები, ლეკები და სხვა ათასი ჯურის მომხვდურები აოხრებდნენ და აწიოკებდნენ ქვეყანას. დაინგრა და განადგურდა ასწლობით ნაშენები ციხე-ქალაქები და ტაძრები, დაიფერფლა წიგნსაცავები და ქართული სულის სავანეები, მაგრამ არ გამქრალა რწმენა და ლტოლვა აღდგომა-აღორძინებისა, იყო აღმასვლა და ეროვნული სულისა და ნიჭის გამონათებები, იყო გიორგი ბრწყინვალე და ვახტანგ VI, სულხან-საბა და ვახუშტი ბატონიშვილი...

ასე გრძელდებოდა საუკუნეობით, თუმცა სული უკვდავი ცოცხლობდა, რომელსაც ახალი ძალა თერგდალეულებმა შეჰმატეს რუსეთის ხელისუფლებისადმი სამოქალაქო უმაღლესი სკოლის გახსნის მოთხოვნით და ილია ჭავჭავაძის ცნობილი დევიზით "ენა, მამული, სარწმუნოება". XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეს დევიზი შეიცვალა "ენა, მამული, ისტორია"-თი, რაც ახლად დაბრუნებული "ოსმალოს საქართველოსადმი" დიდ ყურადღებას, მის მიმართ თანადგომა-მხარდაჭერას გულისხმობდა.

განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედასაქართველოსთან დაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო-აჭარა. ილიას თაოსნობით ბათუმში გახსნილი პირველი ქართული სკოლით (1881 წელი) დაიწყო ამ მხარის სულიერი და კულტურული აღორძინება. 1920 წლამდე აჭარაში მხოლოდ სამი უმაღლესდამთავრებული ყოფილა ადგილობრივ მკვიდრთაგან (რეჯებ ნიჟარაძე, ხასან ლორთქიფანიძე, ყადირ შერვაშიძე), ხოლო პირველი აჭარელი, ვინც უმაღლესი განათლება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიიღო, სულეიმან დიასამიძე იყო.

უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ივ.ჯავახიშვილის თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს, რითაც აღორძინდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა უმაღლესი განათლების ტრადიცია საქართველოში. ამით მომზადდა პირობები ქვეყანაში სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაქმნელად. 1928 წელს შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1930 წელს – სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, 1932 წელს – ზოოვეტერინალური ინსტიტუტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პედაგოგიური კადრების მომზადებას. ამ მიზნით შეიქმნა 1925 წელს-გორის პედინსტიტუტი, 1932 წელს სოხუმისა და სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტები, 1933 წელს – ქუთაისის და 1939 წელს თელავის პედინსტიტუტები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირმშოა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიც (ადრე სამასწავლებლო ინსტიტუტი, ახლა უნივერსიტეტი), რომელიც შეიქმნა 1935 წლის 13 ივნისს საქართველოს განათლების სახალხო კომისრის № 413 ბრძანებით.

სამასწავლებლო ინსტიტუტიდან – უნივერსიტეტამდე

ახალგახსნილი ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ცნობილი მოღვაწე *ხუსეინ ნაკაიძე.* 1935 წლის 22 აგვისტოს ჩატარებულ ინსტიტუტის საბჭოს პირველ სხდომაზე ოთხი ფაკულტეტი შეიქმნა: ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის და ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის. 1936 წელს შეიქმნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი. საკონკურსო გამოცდების შედეგად ჩაირიცხა 201 სტუდენტი და 18 სტუდენტობის კანდიდატი. 3 ოქტომბერს დაირეკა სამასწავლებლო ინსტიტუტის ზარი, რითაც დაიწყო მისი შინაარსიანი და საინტერესო ისტორია.

ინსტიტუტის შექმნას დიდი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა წინ. 1923 წლიდან პედაგოგიურ კადრებს ამზადებდა პედაგოგიური სასწავლებელი, რომელიც 1925 წლიდან ყოფილი გიმნაზიის (ამჟამინდელი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) შენობაში იყო განთავსებული. მომავალ მასწავლებელთა მომზადებისათვის აქ შეიკრიბა იმ დროის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი. ამავე დროს აქ ლექციების წასაკითხად ჩამოდიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდანაც. ასე რომ, სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნისას პედაგოგიური კადრების პრობლემა ძირითადად მოგვარებული იყო. აქ ლექციებს სხვადასხვა დროს კითხულობდნენ ცნობილი მეცნიერები: *გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, სარგის კაკაბაძე, რაჟდენ ხუციშვილი, გიორგი თავზიშვილი, შოთა ძიძიგური, დიმიტრი მგელაძე, ვალერიან დონაძე, მამია დუმბაძე, გელა ბანძელაძე, ლევან სანიკიძე* და მრავალი სხვა. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის პატივისცემით მოიგონებს ამ სასახელო მამულიშვილებს და დირსეულად დააფასებს მათ უანგარო შრომას ჩვენი მხარისა და მთლიანად საქართველოს საკეთილდღეოდ. 1938 წელს ინსტიტუტს მიეკუთვნა დიდი შოთა რუსთაველის სახელი.

მძიმე, ძალიან მძიმე იყო მეორე მსოფლიო ომის წლები ინსტიტუტისათვის. ფრონტზე წავიდა 25-მდე ლექტორ-თანამშრომელი და 160-ზე მეტი სტუდენტი, რომელთაგან ბევრი ვეღარ დაუბრუნდა ინსტიტუტს. სიძნელეების მიუხედავად, ინსტიტუტში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა. იმ დროის რექტორები *ნური ნიჟარაძე, მემედ სტამბოლიშვილი და ვლადიმერ ქემხაძე* ყველაფერს აკეთებდნენ სასწავლებელში სწავლების დონის სრულყოფა-ამაღლებისათვის. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1945 წელს ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი გარდაიქმნა ოთხწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტად.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა ინსტიტუტის ცხოვრებაში 50-იან წლებში. ინსტიტუტის შენობას დაშენდა მესამე სართული, კეთილმოეწყო ეზო, სპორტული ბაზები, მეტი ყურადღება მიექცა აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან სტუდენტთა ჩარიცხვას. ამ წლებში უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდნენ დოცენტები *ნადიმ ნიჟარაძე და ვლადიმერ ქემხაძე* (მეორეჯერ).

ინსტიტუტის ზრდა, წინსვლა და განვითარება ხდებოდა 60-70-იან წლებშიც (რექტორები: *დოც. კ. დოლიძე, პროფესორები: ო. ბაკურაძე, დ. ბალაძე).*

1964 წელს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი და ამდენად მომდევნო წლების ინსტიტუტის ცხოვრების თვითმხილველი და მონაწილე ვიყავი. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი მასწავლებლები გაცილებით პრინციპულები, შეუვალები და მომთხოვნი იყვნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პედაგოგიური პრაქტიკების ორგანიზაცია-ჩატარებას და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები სამეცნიერო და შემოქმედებითი ძალების დათვალიერებად იქცეოდა ხოლმე. პასუხისმგებლობას ზრდიდა ისიც, რომ მასში მონაწილეობდნენ საქართველოს და მოკავშირე რესპუბლიკების (სსრკ) უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. ოთხი სასწავლო წელი (1966-67 – 1969-70) ვხელმძღვანელობდი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას და არასოდეს

დამავიწყდება ის განცდები, სიხარული და გამოცდილება, რაც იქ მივიღე. არ დამავიწყდება ჩემი პირველი დეკანიც დოც. *პ. პატარაია,* მუდამ მოწესრიგებული, სტუდენტების ინტერესების დამცველი, სანიმუშო ლექტორი; *პროფ. ალექსანდრე ჩავლეიშვილი,* თავისი დიდი ჩანთით, მუდამ რომ დაატარებდა წიგნებს და ციტირებას მხოლოდ იქიდან აკეთებდა. როგორ დამავიწყდება მისი ბუბუნა ხმა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ნათქვამი – მისი სახელის გამოსარჩევად ორი "ო" უნდა გამოვიყენოთო (ნიკოლოოზ!). მისი აკადემიური და ემოციურად დატვირთული ლექციები; მუდამ მემახსოვრება გარეგნულად მკაცრი, მაგრამ საოცრად თბილი ქალბატონი *ნადია საბაშვილი,* მისი საოცრად მწყობრად წაკითხული "მორფოლოგია"; პროფესორი *პარმენ ცქვიტარია,* სათვალეებიდან რომ გამოგვხედავდა, სამუშაო რვეულებს შეგვიმოწმებდა და დაგვმოძღვრავდა. მიკვირდა, ნაწერს რატომ შორს გაიტანს და ისე კითხულობს-მეთქი! როცა ჩემი ინსტიტუტში დატოვება გადაწყდა, პირველმა მან გამოთქვა სურვილი: კარგი ბიჭია, ჩემს კათედრაზე წავიყვანო. სამუდამოდ გამყვება პროფესორების *ლევან სანიკიძისა* და *გელა ბანძელაძის* ლექციების მიმზიდველობა, აზრის სიღრმე და ლოგიკური თანმიმდევრობა, *აბელ სურგულაძის* ლექციების ემოციურობა და წერის მანერა. *გრიგოლ ბაბილოძისა* და *სერგო ქუთათელაძის* თავდაჭერილობა და საჭირო შემთხვევაში პირდაპირობა და შეუვალობა.

განსაკუთრებულად მინდა მოვიგონო უდროოდ წასული *დავით დიასამიძე, იური ჩხარტიშვილი, ალი მსხალაძე* და *ძმები გურამ და რევაზ დავითაძეები,* თავიანთ საქმეზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცები, რამდენი სიკეთე მახსოვს მათგან!

უდიდესი მადლიერებით მინდა მოვიგონო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *დავით ხახუტაიშვილი.* მართალია, იგი მე ლექციებს არ მიკითხავდა, მაგრამ ასეთი ადამიანები თავიანთი გარეგნობით, მანერით, ქცე-

ვით ზრდიან ადამიანებს. მას განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობა ჰქონდა ჩემთან. ეს დამოკიდებულება დაამტკიცა ჩემი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას. როგორ მაჩქარებდა, მინდა ბოლომდე წავიკითხოო. ვაი, რომ არ დასცალდა!

ყველა, ყველა ჩემი მასწავლებელი და კოლეგა იმსახურებდა პატივისცემას, რადგან ყველასაგან *(ნელი დუმბაძე, ლევან აბაშიძე, ვლადიმერ სიჭინავა, ოთარ ფარეიშვილი, შუქრი ნიჟარაძე, ალექსანდრე გობრონიძე, მამუკა ქემხაძე, ნადიმ ნიჟარაძე, ხუსეინ ხალვაში, შოთა ქემხაძე, ასლან ხახუტაიშვილი...)* ძალიან ბევრის, ბევრის სწავლა შეიძლებოდა, მათი მხარდაჭერის იმედი გვქონდა. შემინდოს იმათ სულებმა, ვინც ვერ დავასახელე, თუმცა ყველას დიდ პატივს ვცემდი...

სასწავლებელში გატარებული წლები მასწავლებლებით და თანაკურსელებით ამახსოვრდება ყველას. კურსზე 31 ჩავირიცხეთ, ბოლო კურსზე 25 დავრჩით. ვიყავით სხვადასხვა ასაკის და მომზადების დონის. მაგრამ გამოცდებისას ყველა ცდილობდა არავინ დაჩაგრულიყო. ვქმნიდით პატარ-პატარა ჯგუფებს გამოცდებისათვის უკეთ მოსამზადებლად. როცა რამდენიმეს სტიპენდია არ დაენიშნებოდა და კურსს ერთ ან ორ დამატებით სტიპენდიას მოგვცემდნენ გასანაწილებლად, მართალია, იგი ერთზე ან ორზე გაფორმდებოდა, მაგრამ ყველა უსტიპენდიო ინაწილებდა. 36 წელი გავიდა ინსტიტუტის დამთავრებიდან და სამი თანაკურსელი უკვე დაგვაკლდა *(მიხეილ მიქელაძე, ტარიელ ქობულაძე, დავით ბაჯელიძე),* ორი – ვარვარა აივაზიდი და ელენე პაპანდოპულო საბერძნეთში გადავიდნენ საცხოვრებლად, დანარჩენი 20 (ბიჭიკო დიასამიძე, მიხეილ ქამადაძე, ნადია წულუკიძე, ნათელა ცინცაძე, მაია მამარდაშვილი, ციალა შიუკაშვილი, რეზო ცენტერაძე, ნევრიზ მიქელაძე, ოთარ ფუტკარაძე, ბულბული სურმანიძე, ამირან კაცაძე, ქეთინო საფარიძე, ილია ლეონიძე, ნუნუ ჩიკვაიძე, ვლადიმერ ანდღულაძე, ლამარა აბაშიძე, ნორა ბოლქვაძე, დავით კახიძე, ანზორ მისირელი, ციალა ბოლქვაძე) გაჭაღარავებულები ვემსახურებით ოჯახს, არჩეულ

პროფესიას, ქვეყანას. ჩემთვის ისინი რჩებიან უახლოეს ადამიანებად, ახალგაზრდული სულის ნაწილებად და ტკბილ მოგონებებად.

ინსტიტუტის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო 1977 წელს ახალი, ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობის დაწყება. სტუდენტთა გაზრდილ კონტინგენტს ერთი კორპუსი დამხმარე შენობებით ვეღარ აკმაყოფილებდა. მშენებლობა 1981 წელს დასრულდა *(რექტორი პროფ. დ.ბალაძე).* 1985 წლისათვის ინსტიტუტში სტუდენტთა რაოდენობამ 2000-ს გადააჭარბა. მათ სწავლა-აღზრდას ემსახურებოდა 134 პროფესორ-მასწავლებელი (7 პროფესორი, 61 მ/კ, დოცენტი).

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის 1964-1969 წლების კურსდამთავრებულები და პროფერსორ-მასწავლებლები

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში ფართოდ გაშლილი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სსრკ დაშლით დასრულდა. საქართველოს დამოუკიდებლობის იფიციალურად გამოცხადებამდე (1991 წ. 9 აპრილი), 1990 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგე-

ნილებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გარდაიქმნა უნივერსიტეტად.

ახდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისა და ბათუმის პედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა არაერთი თაობის ოცნება. კარგად მახსოვს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კრებებზე რა თავდაჯერებითა და არგუმენტირებულად ითხოვდნენ პროფესორი ნადიმ ნიჟარაძე, დოც. ხუსეინ ხალვაში და სხვები უნივერსიტეტის გახსნას. ამის საფუძველიც გააჩნდათ: დიდ ივანე ჯავახიშვილს სტუდენტებისათვის უთქვამს: "როცა საამისოდ ნიადაგი მომზადდება, მეორე უნივერსიტეტი ბათუმში უნდა გაიხსნასო" – იგონებს პროფ. იასე ცინცაძე. უნივერსიტეტის გახსნისთანავე ფართო პროგრამა დაისახა მისი შემდგომი განვითარება-გაფართოების, მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფისათვის (*რექტორები: აზიზ ახვლედიანი, ნური ვერძაძე*). შეიქმნა ახალი ფაკულტეტები და სპეციალობები (იურიდიული, ეკონომიკური, სამედიცინო, ჟურნალისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის და სხვა). ამჟამად უნივერსიტეტში 11 ფაკულტეტია 35 სპეციალობით და 44 კათედრით, სადაც 600-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი მუშაობს (70-დე დოქტორი და 160-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი). სწავლების ორივე ფორმაზე (დასწრებული, დაუსწრებელი) სწავლობს 7000-მდე სტუდენტი.

უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა – 4+2), უმრავლეს სპეციალობებზე მოქმედებს ასპირანტურა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნიკის შესწავლას. ათამდე კომპიუტერული კლასია 200-დე კომპიუტერით... უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა, მდიდარი და საუცხოოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზები. ბოლო წლებში კაპიტალურად შეკეთდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, იგი ფაქტობრივად ხელახლა აშენდა და აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით, საჭირო მოწყობილობებით. დიდი სამუშაოები

ჩატარდა მეორე კორპუსშიც. ახლა ბათუმის უნივერსიტეტი თავისი სასწავლო-მატერიალური ბაზით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი კოლექტივი გამორჩეულია მოქალაქეობრივი პოზიციითაც. ბოლო ორმოცი წლის მანძილზე მან, ჩემი აზრით, სამი დიდი გამოცდა ჩააბარა: პირველი, როცა 1978 წელს ქართული ენის დაცვის საკითხი დაისვა; მეორე, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობის ბედი წყდებოდა წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში და მესამე, როცა 2004 წლის გაზაფხულზე ასლან აბაშიძის რეჟიმის ბედი წყდებოდა. მეამაყება, რომ სამივე შემთხვევაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა უმრავლესობის პოზიცია უშეცდომო იყო. იდგნენ იქ, სადაც უნდა მდგარიყვნენ და ამაში დიდი როლი ისტორიის ფაკულტეტმა ითამაშა.

ისტორიის ფაკულტეტი იმ ოთხ ფაკულტეტთაგან ერთ-ერთია, რომელიც 1935 წელს ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში შეიქმნა. ფაკულტეტმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. ამჟამად იგი შედის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში (*დეკანი დოც. მერაბ ხალვაში*). დეკანებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: *ნიკოლოზ ღარიბაშვილი, ვუკოლ იაშვილი, პარმენ პატარაია, ასლან ინაიშვილი, ირაკლი ნაკაიძე, მოედინ ფარტენაძე, მურად ჩავლეიშვილი, მერაბ ბერიძე, ლევან აბაშიძე, აბელ სურგულაძე, რევაზ დიასამიძე, რომან ზოსიძე, მამია ფადავა, ბიჭიკო დიასამიძე, თამაზ ფუტკარაძე, ჯემალ კარალიძე.* ფაკულტეტზე ისტორიის კათედრა სხვადასხვა სახელწოდებებით და შემადგენლობით ფუნქციონირებდა. 1947 წელს შეიქმნა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრა, შემდეგ ისტორიის კათედრა, რომელიც 1991 წლის 3 ივნისს, რექტორის №1-22 ბრძანებით გაიყო ორ კათედრად: მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიის კათედრებად (გამგეები დოც. *რ.დიასამიძე* და დოც. *აბ.სურგულაძე*).

ისტორიის ფაკულტეტზე სხვადასხვა დროს საქართველოს ისტორიის კურსს კითხულობდნენ *სარგის კაკაბაძე, კონსტანტინე გრიგოლია, სიმონ ყაუხჩიშვილი, მამია დუმბაძე, იური სიხარულიძე, ვლადიმერ სიჭინავა, აბელ სურგულაძე.* საქართველოს ისტორიის კათედრის შექმნის შემდეგ, არსებითად შეიცვალა ამ საგნის სტატუსი. იგი იკითხება უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე და ეთმობა არასპეციალურ ფაკულტეტებზე 30-30 საათი, ისტორიის სპეციალობაზე – 190 საათი. გახსნილია მაგისტრატურა და ასპირანტურა. თუ კათედრის შექმნისას სულ ხუთი წევრი იყო კათედრაზე (სამი მ/კ, ორი მასწავლებელი და ერთი ლაბორანტი), 2004 წლის დასაწყისში (2001 წლის სექტემბრიდან გამგე პროფ. *ბ. დიასამიძე*) კათედრაზე 32 წევრი იყო (11 მეცნიერებათა დოქტორი, 16 მეცნიერებათა კანდიდატი, 3 მასწავლებელი და ორი ლაბორანტი). ამან შესაძლებელი გახადა 2004 წლის ოქტომბრიდან კათედრას გამოყოფოდა არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრა (*გამგე პროფ. შ. მამულაძე*).

საქართველოს ისტორიის კათედრის
პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი (2004 წ.)

საქართველოს ისტორიის კათედრამ შექმნისთანავე სამი მთავარი ამოცანა დაისახა: საგნის სწავლების სრულყოფა-გაუმჯობესება, მისი პოპულარიზაცია და მეცნიერული კვლევის ორგანიზაცია. გადახალისდა სასწავლო გეგმები და პროგრამები, ლექციებსა და სემინარებზე მეტი ყურადღება მიექცა ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზების უნარის გამომუშავებას, მათ განხილვას მსოფლიო ისტორიული მოვლენების კონტექსტში და ამ დისციპლინის აღმზრდელობითი ფუნქციის ამაღლებას. საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ძალებით ორგანიზებული არაერთი სამეცნიერო სესია და კონფერენცია, თრეინინგები და კონკურსები. 2001 წლის ნოემბერში აღინიშნა კათედრის შექმნის 10 წლისთავი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. ბეჭდური სახით გამოიცა კრებული "საქართველოს ისტორიის კათედრა – 10", 2003 წლის მაისში, ისტორიის, როგორც დისციპლინის, ფუნქციებისა და ამოცანების ანალიზს თანამედროვე პირობებში მიეძღვნა რესპუბლიკური კონფერენცია თემაზე: "ისტორია – ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარი". კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვის ტექსტი ქვეყნის პრეზიდენტისადმი, რომელშიც ითხოვდნენ საქართველოს ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციისა და კვლევის სახელმწიფო პროგრამის მიღებას. გამოიცა ამავე სათაურით კონფერენციის მასალები, ხოლო 2004 წლის აპრილში ჩავატარეთ კონფერენცია გლობალიზაციის პირობებში ეროვნული დისციპლინების სწავლების საკითხებზე.

დამოუკიდებელი საქართველოს შენების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემად იქცა სახელმწიფო მოწყობის საკითხი. კათედრის ინიციატივით 2005 წლის 5-6 მაისს ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული".

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლებისადმი. კონფერენციის მასალები დაიბეჭდა და გამოიცა ცალკე კრებულად. 1991 წლიდან კათედრა გამოსცემდა გაზეთს „ძლევაჲ", რომელმაც მოამზადა საფუძველი 1995 წლიდან კათედრის შრომების კრებულის – „საისტორიო მაცნეს" გამოსაცემად. ამ სასიკეთო და სასარგებლო საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო კათედრის გამგე პროფ. აბ. სურგულაძე. მკითხველმა უკვე მიიღო კრებულის XV ტომი. კრებულის გამოცემებმა ბევრად შეუწყო ხელი იმას, რომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში კათედრის შვიდმა წევრმა დაიცვა სადოქტორო, თერთმეტმა – საკანდიდატო დისერტაცია.

10 დეკემბერი, 2005 წ.

P.S. 2004 წლის 10 მაისიდან უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებდა პროფ. *ა. კახიძე,* 2005 წლის 8 აგვისტოდან – პროფ. ნ. მგელაძე, 2006 წლის 25 დეკემბრიდან პროფ. *ვლ. ბალაძე,* 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის მაისამდე – პროფ. *ა. ლაშხი,* ხოლო 2008 წლის მაისიდან რექტორია პროფ. *ა. ბაკურიძე.*

უნივერსიტეტი სერიოზული ცვლილებების მოლოდინშია. მჯერა, იგი სასწავლებელს ახალ წარმატებებს მოუტანს.

5 მარტი, 2009 წ.

ბიზანტია – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ურთიერთობისათვის IX საუკუნეში

ბიზანტია – დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის საკითხი ყოველთვის იყო კვლევის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით. საინტერესო წერილობით წყაროებს დაემატა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალა, რომელიც ბევრი საკითხის ახლებურად დასმა-გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა.

არქეოლოგიური გათხრებისას განსაკუთრებით ხშირად ჩნდება ბაზილიკური ტიპის ნაგებობანი, რომლებიც დიდ სიახლოვეს ჰპოვებენ ბიზანტიურ ძეგლებთან. ჩვენ მიზნად დავისახეთ მონოგრაფიულად შევისწავლოთ დასავლეთ საქართველო – ბიზანტიის საეკლესიო ურთიერთობის საკითხები წერილობითი და ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ დასავლეთ საქართველო – ბიზანტიის საეკლესიო ურთიერთობაზე IX საუკუნეში არსებითად წერილობითი წყაროებისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მონაცემების მიხედვით. შემდგომში ყურადღებას გავამახვილებთ არქეოლოგიურ მასალებზე, რაც დასმული საკითხის შედარებით სრულყოფილად შესწავლის საშუალებას მოგვცემს.

ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დამოკიდებულების საკითხი მჭიდრო კავშირშია ამ მხარის ბიზანტიის პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებასთან.

ამიტომ აღნიშნულმა პრობლემამ და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გა-

მოყოფის საკითხმა არაერთი ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ყურადღება მიიქცია.

პროფ. მ. ლორთქიფანიძე და მკვლევარი პ. ინგოროყვა ამ მოვლენას IX ს. I ნახევრით ათარიღებენ, აკად. ნ. ბერძენიშვილი–IX ს. II ნახევრით, აკად. ს. ყაუხჩიშვილი–X ს. დასაწყისით, ხოლო პროფ. კ.კეკელიძე–X ს. მეორე ნახევარს გულისხმობს.

ყველა მკვლევარი ამ მოვლენას აკავშირებს ბიზანტიის საგარეო და საშინაო პრობლემების გართულებასა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დაწყებასთან, რომელსაც საფუძველი დაედო დასავლეთ საქართველოში "ეგრის-აფხაზეთის" სამეფოს შექმნით და შემდეგ ბიზანტიის ვასალობისაგან განთავისუფლებით VIII ს. ბოლოსათვის (სინ, 1973 : 42; ჯანაშია, 1952:339).

მე-6 ს. დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო ორი დიდი აგრესორის – ბიზანტიისა და ირანის პირისპირ აღმოჩნდა. ორივე ქვეყანა ცდილობდა აქ თავისი პოზიციების გამაგრებას შემდეგი ახალი დაპყრობითი ომების საწარმოებლად. სასანიდური ირანი ცდილობდა შავ ზღვაზე გასვლას და თავის მისწრაფებებს არც მალავდა.

საზავო მოლაპარაკებისას (518-523 წწ.) ირანის ელჩმა ბიზანტიის წარმომადგენლებს უთხრა: "კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და რომაელებს ძალით უჭირავთ, უსამართლოდ" (გეორგიკა, 1965:94). ეს უკვე აშკარა პრეტენზია იყო დასავლეთ საქართველოში ბატონობაზე და ბიზანტიას იგი ყურად უნდა ეღო. ასეც, მოხდა, ბიზანტიელებმა თავიანთი ჯარები ჩააყენეს დასავლეთ საქართველოს – ეგრისის ციხეებში. დაიწყო ხანგრძლივი გამანადგურებელი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისის ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ხანგრძლივმა ომებმა ეგრისის სოფლები და ქალაქები გაანადგურა, დაეცა სამეურნეო ცხოვრება და ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება. მას თანდათან გამოეყო მისიმიანეთი, სვანეთი, აფშილე-

თი და სხვა წვრილი პოლიტიკური ერთეულები. ეგრისი მთლიანად ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. ბიზანტიელებმა აქ მეფობაც გააუქმეს და ეგრისის მეფის ხელისუფლება პატრიკოზის (მთავრის) ხელისუფლებით შეცვალეს (ჯანაშია, 1952:98-99).

ეგრისისათვის ამ ძნელბედობის ხანაში, აბაზგები თავს აღწევენ ეგრისის მეფის ვასალობას და ბიზანტიელთა ქვეშევრდომობაში ექცევიან. VII საუკუნიდან ეგრისში არაბები გამოჩნდნენ და ვიდრე VIII ს. პირველ ნახევრამდე ეგრისელები განმათავისუფლებელ ბრძოლებს აწარმოებდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბიზანტიელებს ამ ბრძოლებში არსებითად მონაწილეობაც არ მიუღიათ (გუმბა, 1962:191). შედარებით ეგრისთან, აფხაზეთმა ნაკლები დამანგრეველი გავლენა განიცადა როგორც ირანელების, ისე არაბების მხრივ. ამიტომ, თუ ეგრისი დაცემისა და დაქვეითების გზაზეა, აფხაზეთი პირიქით, მომძლავრდა კიდეც და ცდილობს თავისი საზღვრების გაფართოებას. პროფ. ზ. ანჩაბაძე წერს: ”ლაზიკამ იტვირთა ირანელებთან, ბიზანტიელებთან და არაბებთან ბრძოლის ძირითადი სიმძიმე. გარდა ამისა, სწორედ ლაზიკის ტერიტორიაზე წარმოებდა ის გამანადგურებელი ბრძოლები, რომლებიც მიმდინარეობდა ირან-ბიზანტიასა და ბიზანტია-არაბებს შორის... რაც შეეხება აფხაზეთს, იგი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა ამ ომში. ამიტომ მისი შინაგანი ძალები არათუ სუსტდებოდნენ, არამედ იზრდებოდნენ კიდეც (Анчабадзе,1951:97). იზრდება მოსახლეობის რიცხვი მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოდან გამოქცეული ქართველების ხარჯზე. ჯერ კიდევ სასანელთა ბატონობის დროს დევნილნი, თუ ლტოლვილნი ქართლ-კახეთიდან დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში გადადიოდნენ და იქ, ეგრისში თუ აფხაზეთის მთებში პოულობდნენ თავშესაფარს. მცხოვრებთა გახიზვნა და გადასახლება მეტისმეტად გახშირდა არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც სარწმუნოებრივი შევიწროვება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო ხარკი წინანდელთან

შედარებით გაორკეცებულ და გასამკეცებულ იქნა (ჯავახიშვილი, 1965:88).

VIII ს. დასაწყისიდან აფხაზეთის საერისთავო კიდევ უფრო ძლიერდება. ამას ხელს უწყობდა ბიზანტიაც, სურდა რა ჰყოლოდა ძლიერი დამცველი შავ ზღვაზე გასასვლელისა და ჩრდილოეთით – კავკასიონის გადასასვლელებისა. ამით ბიზანტია თავის საქმეს აგვარებდა, მაგრამ უნებურად ხელს უწყობდა აფხაზეთის გაძლიერება-გაფართოებას. აფხაზეთი სარგებლობდა ეგრისის დასუსტებით, ნელ-ნელა იერთებდა აფშილეთსა და მისიმიანეთს და სამთავროდ ყალიბდებოდა (სინ, 1973:416).

VIII ს. მეორე ნახევრიდან აფხაზეთის სამთავროს არა მარტო გაძლიერება-გაფართოებისათვის ექმნება ხელსაყრელი ვითარება, არამედ შეუძლია უკვე იზრუნოს ბიზანტიის ვასალობიდან თავის დაღწევისათვის. იგი ამთავრებს მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას და დგება მომენტი ძირითადი მიზნის განსახორციელებლად. 780 წ. გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი ლევ IV (775-780 წწ.), რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი შვილი კონსტანტინე VI. ტახტი ხელთ იგდო პატივმოყვარე ქვრივმა - კონსტანტინე VI-ს დედამ ირინემ და ბრძოლა გამოუცხადა აქამდე გაბატონებულ ხატისმებრძოლებს, რომელთა მხრივ ირინეს მიმართ უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. დაიძაბა ურთიერთობა დედასა და შვილს შორისაც. 790 წ. კონსტანტინე VI-მ შესძლო დედაზე ტახტის წართმევა, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ ირინემ ტახტი დაიბრუნა და შვილისთვის თვალები დაათხრევინა (Ист. Византии, 1967:63).

შინაურ შფოთსა და არეულობას დაერთო ქვეყნის საგარეო პირობების გართულებაც. არაბებმა ახალი გამანადგურებელი შეტევები დაიწყეს ბიზანტიაზე, ზავი მოპოვებულ იქნა ყოველწლიურად უდიდესი თანხების გადახდით. გამწვავდა ურთიერთობა ბულგარეთთანაც. ბულგარეთი პრეტენზიას აცხადებდა სლავებით დასახლებულ მაკედონიაზე. თუმცა კონსტანტინე VI-მ 790

წ. ბულგარელებს ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ იგი იმპერატორის სასტიკი მარცხით დამთავრდა (Ист.Византии, 1967:62).

სწორედ ბიზანტიაში შექმნილ ამ ვითარებაზე უნდა ამბობდეს ქართველი მემატიანე: "ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ეს მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბრძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ, და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა" (ქცა–,1955:251).

ამიტომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ვინც კი შეხებია „აფხაზეთის სამეფოს" შექმნისა და მისი ბიზანტიის ვასალობიდან განთავისუფლების საკითხს, ამ მოვლენას აკავშირებს "აფხაზთა" მთავარ ლეონ II-თან (758-798) და ათარიღებს მე-8 ს. 80-90-იანი წლებით, რადგან მაშინ შეიძლებოდა დახმარებოდნენ ხაზარები ლეონ II-ს ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ხომ უკმაყოფილო იყვნენ ირინეს მიერ მათი ნათესავის კონსტანტინე VI-ის ჯერ შევიწროვებითა და შემდეგ თვალების დათხრით! მით უმეტეს, რომ ხმები ირინეს აბრალებდნენ მეუღლის ლევ IV-ის მოწამვლასაც. ხაზარებმა მანამდეც დიდი სამსახური გაუწიეს ლეონ II-ს; ეხმარებოდნენ მას დასავლეთ საქართველოს გაერთიანების საქმეში, რადგანაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალები საკმაო იქნებოდნენ. ტყუილად როდი ამბობს მემატიანე, რომ ლეონ II-მ "დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდეო".

დასავლეთ საქართველოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დამოუკიდებლობა სრული არ იქნებოდა, სამეფო კარი თავის უფრო დიდ მიზნებს ვერ განახორციელებდა, ვიდრე დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიის გავლენის ქვეშ იქნებოდა, სანამ ეკლესია გვერდში არ ამოუდგებოდა სამეფო კარს საქართველოს გაერთიანების საქმეში. ამიტომ, ბუნებრივია, მომძლავრებული

”აფხაზთა მეფეები” იზრუნებდნენ სამეფოს ამ მხრივ განთავისუფლებაზეც. მსჯელობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიასთან ურთიერთობასა და მისი სიუზრენობისაგან განთავისუფლებაზე შეგვიძლია იმ ეკთესისებზე (გეორგიკა, IV, 1952:123-202) დაყრდნობით, რომლებიც ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა.

ეკთესისების პირველი წყება, რომელიც მოიცავს მე-7, მე-9, მე-8, მე-6 და I ნოტიციებს, გვიჩვენებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსოებს, საარქიეპისკოპოსოებს და სამიტროპოლიტოებს. ამ ნოტიციათაგან უადრესი (მე-7 ნოტიცია) VII ს. თარიღდება, ხოლო უგვიანესი (I ნოტაცია) 820-829 წლებით. ყველა ამ ნოტიციაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მოხსენიებულია მიტროპოლიტი ლაზიკეში (ფაზისის მიტროპოლია). ეპისკოპოსები: როდოპოლისის, აბისენის, პეტრას, ძიგანევის და ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები: აფხაზეთში-სებასტოპოლის, ხოლო ჯიქეთში: ქერსონის, ბოსფორის, ნიკოფსიის. ე.ი. IX ს. პირველ მეოთხედში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებიან, მაგრამ ეკთესისების მეორე წყების ნოტიციებში, რომელთაგანაც უადრესია მე-10 ნოტიცია და თარიღდება 901-907 წწ., კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულთა შორის აღარ გვხვდება ფასისის მიტროპოლიაში შემავალი საეპისკოპოსოები (როდოპოლისის, აბისენის, პეტრას, ძიგანევის), ხოლო ჯიქეთიდან – ნიკოფსის ავტოკეფალური საეიქიეპისკოპოსო. მე-10 ნოტიციაში, ე.ი. 901-907 წლებისათვის სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ჩანს.

ისტორიოგრაფიაში არაა ერთი აზრი სებასტოპოლის არქიეპისკოპოსისათვის ავტოკეფალობის მინიჭების საკითხზე. ავტოკეფალობა სებასტოპოლის არქიეპისკოპოსმა ბიზანტიაზე დაქვემდებარების მომენტში მიიღო, თუ შემდგომ. ვფიქრობთ, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსმა ავტოკეფალობა იმპერატორ იუსტი-

ნიანეს (527-565 წწ.) დროს მიიღო, როცა საკუთრივ აფხაზეთი (აბასგია) გამოეყო ლაზიკას და უშუალოდ ბიზანტიას დაექ-ვემდებარა. ბიზანტია მაშინ, მიუხედავად თავისი გარეგნული ბრ-წყინვალებისა, მწვავე შინაგან ტკივილებს განიცდიდა. ამას ემა-ტებოდა იმპერიის საგარეო პირობების გართულებაც, განსაკუთ-რებით, ირანთან. ბიზანტიას კარგად ესმოდა, რომ ირანის წარმა-ტებები ამიერკავკასიაეში და მის მიერ მეფობის გაუქმება სომ-ხეთში 428 წ., ალბანეთში -510 წ. და ქართლში 523 წ. კარგს არაფერს უქადდა ბიზანტიასაც. გაძლიერებული ირანი შავ ზღვაზე გასასვლელისა და ბიზანტიასთან უშუალო დამეზობ-ლებისათვის იბრძოლებდა. ამიტომ ბიზანტიაც თადარიგს იჭერ-და, თავის პოზიციებს იმაგრებდა დასავლეთ საქართველოში – ეგრისში, როგორც თვითონ ეძახდნენ, ლაზიკეში. ბიზანტიის მხ-რივ ერთი ასეთი ნაბიჯი იყო აბაზგიის დაქვემდებარება. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ირანთან ომის დაწყებიდან ბიზანტია ცდილობს ლაზიკის მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვას. ამაში თვით ქართველთა მოქმედება მცირე როლს როდი თამა-შობდა. ორ დიდ მტაცებელს შორის მოქცეული პატარა ქვეყანა ხან ერთისაკენ აიღებდა ორიენტაციას და ხან მეორისაკენ, იმის მიხედვით, რომელი უკეთეს პირობებს შესთავაზებდა. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, იუსტინიანე ლაზების წინაშე დათმობებზეც მიდიოდა. 555 წ., როცა მისიმიელებმა რომაელი სტრატეგოსი სო-ტერიქე მხლებლებითურთ ამოწყვიტეს, იმპერატორმა "ნება მისცა მისიმიელებს, კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვე-ყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ (გეორგი-კა,1936:174).

მართალია, იყო შემთხვევები, როცა თავისი გადაწყვეტი-ლების სისრულეში მოყვანისათვის ბიზანტიელები არაფერს ერი-დებოდნენ (მაგალითად, გუბაზ მეფის მოკვლა 554წ.), მაგრამ ასეთ შემთხვევაში იმპერატორი დანაშაულს უშუალო შემსრუ-ლებელს დააბრალებდა და სასტიკად სჯიდა კიდეც. აფხაზეთის ავტოკეფალობის საკითხი თვით იმპერატორს უნდა გადაეწყვიტა

და ასეთ დროს ძნელი იყო ორმაგი თამაში. ბიზანტიამ 575 წ. სვანეთის შემოერთებით ირანელებს დასავლეთ საქართველოდან ფეხი ამოაკვეთინა და, ბუნებრივია, ამის შემდეგ ბიზანტია აფხაზეთის წინაშე ისეთ დიდ დათმობაზე, როგორიცაა ეკლესიის ავტოკეფალობის მიცემა, აღარ წავიდოდა. VII საუკუნეში კი ეკთესისების მიხედვით (მე-7 ნოტიცია) სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი ავტოკეფალურია. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ავტოკეფალობა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიამ მე-6 საუკუნიდან, ბიზანტიის ქვეშევრდომობის ქვეშ შესვლისთანავე მიიღო.

IX ს. დასაწყისიდან, ბიზანტიის ბატონობიდან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ, ეგრის-აფხაზეთის მეფეები მიზნად დაისახავდნენ ქვეყნის ეკლესიის გაძლიერებას და მის მხარში ამოდგომას. ამის გაკეთება კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან საეკლესიო ცენტრთა გათავისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომ მარჯვე მომენტს შეარჩევდნენ კონსტანტინოპოლის სამწყსოდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გასათავისუფლებლად, მაგრამ პირველ ხანებში, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, საფიქრებელია, რომ პოლიტიკურად ჯერ წელმოუმაგრებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ (ბერძენიშვილი, 1966:4); ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამას ეგრის-აფხაზეთის საეკლესიო ცენტრების წინააღმდეგობა მოყვებოდა, რადგან ისინი არ ისურვებდნენ ერთგვარი დამოუკიდებლობის დაკარგვას. მაგრამ რომელი ცენტრის გარშემო უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გაერთიანება? აკად. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ ამ საქმის სათავეში აფხაზეთის (სებასტოპოლის) ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი უნდა მდგარიყო, რადგან: 1) ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებაც აფხაზეთის მოთავეობით მოხდა, 2) სამეფო დინასტიაც აფხაზეთიდანაა გამოსული და 3) ლაზიკა ამ დროს დასუსტებულია. თუ ეს ასეა, მაშინ იგულისხმება, რომ ეს გაერ-

თიანება მომხდარა 820-829 წწ. შემდგომ, რადგანაც ამ წლებში (I ნოტიცია) დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები ეკთესისებში ცალ-ცალკე არიან მოხსენიებული. ეკთესისების მეორე წყების ნოტიციებში, რომელთაგანაც უადრესია მე-10 ნოტიცია (თარიღდება 901-907 წწ.), დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრთაგან მხოლოდ სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო ჩანს (ბერძენიშვილი, 1966:49) და, მაშასადამე, იგია დარჩენილი კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებაში. თუ ჩავთვლით, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები მის ირგვლივ არიან გაერთიანებული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ 901-907 წწ. მე-10 ნოტიციაში მოხსენიებული სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო წარმოადგენს მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიას და X ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ეკლესია კვლავ ბიზანტიის ეკლესიის დამოკიდებულების ქვეშაა. აკად. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ საეჭვოა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესიის წარმომადგენელი კვლავ იმავე ხარისხით რიგით ნომერზე დარჩენილიყო ეკთესისებში ქერსონისა და ბოსფორის ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსებთან ერთად. აკად. ს. ყაუხჩიშვილი ამ შემთხვევის გამო წერს, რომ ”მხედველობაში თუ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სებასტოპოლის კათედრა ყველაზე პირველ ეკთესისშია დარჩენილი (ნოტიცია მე-10, 901-907 წლებისა), ხოლო არც ერთ მომდევნო ნუსხაში ის აღარ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კათედრა მხოლოდ ფორმალურად არის იქ დატოვებულიო” (გეორგიკა,1952:201), მაგრამ ეს საკითხს ვერ ხსნის და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესიის სათავეში სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო კათედრის ყოფნას ეჭვს ქვეშ აყენებს.

მკვლევარ პ. ინგოროყვას მტკიცება, რომ ”ამ კათედრის ფარგლებში, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ამ დროს აღარ შედიოდა სებასტოპოლის ძველი საეკლესიო ოლქი, არამედ სებასტოპოლის კათედრის სამწყსოს შეადგენდა მარტოოდენ ქალაქის ბერძნული კოლონია, რომელსაც არ შეუწყვეტია ეკლესი-

ური ერთობა კონსტანტინეპოლთან მას შემდეგაც, რაც დასავლეთ საქართველო ჩამოსცილდა კონსტანტინეპოლსო" (ინგოროყვა, 1954:242), იმ აზრს ამაგრებს, რომ სებასტოპოლის კათედრის გარშემო არ შეიძლებოდა გაერთიანებულიყო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები.

901-907 წწ. მე-10 ნოტიციაში სებასტოპოლის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანება სხვა რომელიმე ცენტრის გარშემო უნდა მომხდარიყო. ასეთ ცენტრად შეიძლება ყოფილიყო ფასისის სამიტროპოლიტო, რომელიც საქართველოში არსებულ სხვა საეკლესიო ცენტრებთან შედარებით პატივით უფრო მაღლა იდგა: მას ოთხი საეპისკოპოსო ემორჩილებოდა (არც-სებასტოპოლის – აფხაზეთის და არც ნიკოფსიის –ჯიქთა არქიეპიკოპოსებს ხელქვეითი ეპისკოპოსები არ ჰყოლიათ), ჰქონდა ძველი კულტურული ტრადიცია, იმყოფებოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ცენტრალურ ნაწილში, ახლოს იყო სამეფოს დედაქალაქთან და თავის გარშემო ისედაც აერთიანებდა ოთხ საეპისკოპოსოს (როდოპოლისი, აბისენი, პეტრა, ძიგანევი). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ისიც, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისთანავე დედაქალაქად იქცა ქ. ქუთაისი, ძველი ქართული ქალაქი, ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ბუნებრივია, ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ ამ გაერთიანებულ ეკლესიას "აფხაზეთის ეკლესია" რქმეოდა, ისე, როგორც ქუთაისის დედაქალაქობას არ შეუცვლია "აფხაზეთის სამეფოს" სახელწოდება. როგორც ეტყობა, IX ს. დასაწყისიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეგრის-აფხაზეთის სამეფო პოლიტიკურად დამოუკიდებელია ბიზანტიისაგან, ბიზანტიელთა გავლენა მაინც დიდია, განსაკუთრებით აფხაზეთში. ამიტომ სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო, ვიდრე X ს. 20-იან წლებამდე კონსტანტინოპოლის სარატრიარქოს გავლენის ქვეშ დარჩა. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესიის ცენტრად კი ფასისის სამიტროპოლიტო იქცა, რომლის დაქვემდებარებაში შევი-

და ხსენებულ ოთხ საეპისკოპოსოსთან (როდოპოლისი, აბისენი, პეტრა, ძიგანევი) ერთად, ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოც, ხოლო მიტროპოლიტს ამიერიდან "აფხაზეთის კათალიკოსი" ეწოდა – სამეფოს სახელწოდების შესაბამისად.

როგორც ზემოთ დავინახეთ, X ს. დასაწყისში 901-907 წლებისათვის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში აღარ შედის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები: ფასისის მიტროპოლია საეპისკოპოსოებით (როდოპოლისი, აბისენი, პეტრა, ძიგანევი) და ნიკოფსიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო, ე.ი. 820-829 წწ. და 901-907 წწ. შორის მომხდარა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება და შემდეგ კონსტანტინოპოლის სამწყსოდან გამოყოფაც. მაგრამ ისმება კითხვა, როდის უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება და როდის გამოყოფა? ორივე ამ პროცესს ქართული ისტორიოგრაფია დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას, ბიზანტიის ვასალობისაგან თავის დაღწევასა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნასთან აკავშირებს (ჯავახიშვილი, 1965:120; კეკელიძე, 1957:357; ბერძენიშვილი, 1966:49; ჯანაშია, 1937:204; ლორთქიფანიძე, 1973:188; ინგოროყვა, 1954:224). ვახუშტი ბაგრატიონი წერს: "გარნა უზისთ კათალიკოზი თვისი და არა საჩინოთ უწყებული ცხოვრებიდამ, თუ როდის განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხოვრებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბრძენნიცა, და ამ ლეონის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაიდან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმერეთისასა (ვახუშტი, 1941: 141). როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონი "აფხაზთა კათალიკოსის" გაჩენას, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასა და დამოუკიდებლობის მოპოვებასთან აკავშირებს. იგი ხაზს უსვამს იმ მოტივსაც, რა მოტივითაც "აფხაზთა მეფე" ბიზანტიელებს თხოვდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანებას. ეს მოტივია მისი, ე.ი.

”აფხაზთა მეფის”, წარჩინება, ავტორიტეტის ამაღლება – ”რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა”. ბუნებრივია, ”აფხაზთა მეფის” ამ თხოვნას ბიზანტიის იმპერატორი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი სიხარულით არ შეხვდებოდნენ და ამას ”აფხაზეთის მეფეც” წინასწარ გაითვალისწინებდა და მოხერხებულ დროს შეარჩევდა.

820-823 წწ. ბიზანტია შეაზანზარა უდიდესმა აჯანყებამ, რომელსაც თომა სლავი წინამძღოლობდა. აჯანყებაში მცირე აზიასა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე მცხოვრებ ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო ტომებთან ერთად მონაწილეობდნენ იბერები, ლაზები და აბაზგები (გეორგიკა,1952:305). აჯანყებამ განსაკუთრებით შეარყია ბიზანტიის სამხედრო ძლიერება, რითაც ისარგებლეს ეგვიპტის მუსლიმანებმა და 826 წ. აიღეს კრეტა. ამავე დროს აფრიკელმა მუსლიმანებმა შეუტიეს სიცილიას და დაეუფლნენ კუნძულის დიდ ნაწილს, ბიზანტიელებმა იქ საჭირო რაოდენობის ჯარის ნაწილებიც კი ვერ გაგზავნეს (Ист. Византии, 1967:74).

ბიზანტიის საშინაო და საგარეო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა იმპერატორ თეოფილეს (829-842 წწ.) დროსაც. ზენიტს მიაღწია ხატის თაყვანისმცემლების წინააღმდეგ ბრძოლამ, კვლავ მთელი სამი ათეული წელი იმპერია არეულობამ მოიცვა (Диль,1948:65). ჯერ იყო და 836 წ. აჯანყდნენ თესალონიკის ახლო მცხოვრები სლავები, შემდეგ დაირღვა მეგობრული ურთიერთობა ხაზარებთან, გააქტიურდნენ არაბებიც: 837 წლიდან ზედიზედ აიღეს მათ მნიშვნელოვანი პუნქტები ანატოლიაში, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს კონსტანტინოპოლის შემდეგ მეორე დიდი ქალაქი იმპერიაში ამორია. ამავე დროს სიცილიიდან სამხრეთ იტალიაში გადავიდნენ და აიღეს მნიშვნელოვანი პუნქტები. გამწვავდა მდგომარეობა ბულგარეთთანაც. 837 წ. ბულგარელებმა შეუტიეს ბიზანტიის სამფლობელოებს მაკედონიაში. გაძლიერდა პავლიკიანელთა მოძრაობა.

ბიზანტიისათვის ასეთ რთულ ვითარებაში უნდა მოეთხოვა ეგრის-აფხაზთა მეფეს ეკლესიის ჯერ გაერთიანების ნებართვა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობაც. ამ დროს ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო დემეტრე II (825-861 წწ.), რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა დასავლეთ საქართველოს შემდგომი გაზრდა-გაფართოებისათვის. სწორედ დემეტრე II უნდა მოეთხოვა ბიზანტიის იმპერატორისაგან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება. მიიღო რა თანხმობა, ბიზანტიისათვის ამ მძიმე ვითარებაში, მას უნდა მოეხდინა მისგან გამოყოფაც. ეს უნდა მომხდარიყო 825-840 წწ., როცა ბიზანტია დასუსტებული იყო თომა სლავის აჯანყებით და განიცდიდა ეგვიპტისა და აფრიკის მუსლიმანთა მხრივ შემოსევებს, როცა ბიზანტიას ბრძოლა უხდებოდა გააქტიურებულ არაბებთან და ბულგარელებთან, ხოლო ეკლესია დაკავებული იყო ხატისმებრძოლებთან ანგარიშსწორებით.

ბიზანტიას მაშინ საშუალება არ ჰქონდა პასუხი გაეცა ეგრის-აფხაზეთისათვის, რომელმაც მისი მძიმე მდგომარეობით ისარგებლა, მაგრამ როგორც კი 842 წ. ბიზანტიის იმპერატორი გახდა თეოფილეს შვილი მიხეილ III ლოთად წოდებული, ხელისუფლება ხელთ იგდო იმპერატორის დედამ თეოდორამ, ხოლო იმპერიის ფაქტიური მმართველი გახდა კონსტანტინეპოლელი დიდებული ლოგოთეტი და სრულუფლებიანი მინისტრი თეოქტისტე, გადაწყდა იმპერიას ეზრუნა დაკარგული ტერიტორიების შემოსამტკიცებლად და განდგომილნი დაესაჯა. ამ ჩანაფიქრის განხორციელება ახლა შესაძლებელიც ჩანდა, რადგან თეოდორამ, ისავრიელთა დინასტიის მმართველთაგან განსხვავებით, ოფიციალურ ეკლესიას დაუჭირა მხარი, მან კვლავ თავის უფლებებში აღადგინა ხატის თაყვანისმცემლობა და ამით თითქოს საიმედო დასაყრდენიც გაიჩინა. ვფიქრობთ, განდგომილ ქართველთა დასჯას ისახავდა მიზნად თეოქტისტეს სარდლობით ორჯერ – 843 და 844 წწ. აბაზგიაში მოწყობილი ლაშქრობები. თეოფანეს გამგრძელებელი წერს: ”მზის ორი დაბნელება რომ

მოხდა, *აბაზგების წინააღმდეგ* (ხაზგასმა ჩვენია ბ.დ.) სარდლად დანიშნულმა, ღვთის რისხვა იგემა უბედურმა: ჯარის ერთმა ნაწილმა ხომალდის დამსხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიდევ, თუმცა ხმელეთზე გავიდნენ, მაგრამ პირველების უბედურება გაიზიარეს. აი, ასე დაიღუპა ეს ჯარი. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და მან კვლავ, და უფრო მეტის გაბედულებით, ომს მოჰკიდა ხელი და ორმოც ათასზე მეტი კაცი დაჰკარგა თავისი ჯარიდან, მერე კვლავ ილაშქრა კრეტაზე მყოფ არაბთა წინააღმდეგ და უშედეგოდ გამობრუნდა უკან" (გეორგიკა, 1952:329). ამ ლაშქრობის თაობაზე აკად. ს.ყაუხჩიშვილი, იხილავს რა ცნობილი ბიზანტიოლოგის თ. უსპენსკის აზრს, "თეოქტისტემ აფხაზეთში გამოილაშქრა "აბაზგების დასამორჩილებლადო" (Успенский, 1978:319), აღნიშნავს, რომ თ. უსპენსკის მოკლე მითითება "აფხაზეთის დამორჩილების მიზნითო" საკითხს ვერ არკვევს, რადგან ბიზანტიას ამ დროს თავისი ტერიტორიის ყველა საზღვარზე განუწყვეტელი ომები აქვს არაბებთან და ასეთ ვითარებაში ბიზანტიის მთავრობა მიზნად ვერ დაისახავდა "აბაზგების დამორჩილებას". უფრო საფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა ლაშქრობა დაკავშირებული იყო იმავე არაბულ საფრთხესთანო" (გეორგიკა,1952:329).

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეორე ტომში ვკითხულობთ: „VIII საუკუნის შუა წლებისათვის დასავლეთ საქართველო გაიწმინდა არაბთაგან და ეს ქვეყანა, კრძალულ იყო არაბთა შიშისაგან". მაგრამ არაბები ადვილად არ თმობდნენ პოზიციებს ამიერკავკასიაში. ბიზანტიის იმპერიასთან ომის პირობებში ამიერკავკასიის ქვეყნებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორივე მხარისათვის (ბიზანტია და სახალიფო). ამის გამო ცდილობდნენ ისინი დასავლეთი საქართველო თავის მოკავშირედ ჰყოლოდათ. ჩანს, IX ს. დასაწყისში არაბები მაინც ახერხებენ დასავლეთ საქართველოში შეჭრას. 830 წ. არაბთა წინააღმდეგ აჯანყებულ დასავლეთ საქართველოზე დასახმარებლად ბიზან-

ტიის იმპერატორ თეოფილეს (829-842) სამხედრო ექსპედიცია გაუგზავნია თეოფობესა და ბარდას სარდლობით, მაგრამ ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ და დიდად შემცირებულნი გაბრუნდნენ უკან.

ამის შემდეგ ჩვენ აღარავითარი ცნობა არა გვაქვს არაბთა შემოჭრის შესახებ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სამაგიეროდ, ეგრის-აფხაზეთის მეფენი აქტიურად იბრძოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი არაბი სარდლების წინააღმდეგ (სინ II,1973:437). მაშასადამე, 843-844 წწ. თეოქტისტეს მიერ მოწყობილი ლაშქრობა არ იქნებოდა მიმართული არაბების წინააღმდეგ.

ამიტომ, ვფიქრობთ, 843-844 წწ. ბიზანტიელთა გამოლაშქრება მართლაც აფხაზთა დამორჩილების მიზნით უნდა მომხდარიყო, როგორც ამას ფიქრობდა ცნობილი ბიზანტიოლოგი თ. უსპენსკი. ბიზანტიისათვის დასავლეთ საქართველოს დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო და გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ დიდი ჯარით წამოვიდა თეოქტისტე აფხაზთა დასამორჩილებლად. სხვანაირად, ბიზანტიის გამოლაშქრებას "აფხაზეთის წინააღმდეგ" ისეთ დროს როცა "თავისი ტერიტორიის ყველა საზღვარზე განუწყვეტელი ომები აქვს არაბებთან", როგორც აკად. ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, ვერ ავხსნით, მით უმეტეს, განდგომილი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით წყაროში ნახმარი გამოთქმა "აბაზგების წინააღმდეგ სარდლად დანიშნულმა". თეოფანეს გამგრძელებელი ამ სიტყვებს რომ თავის მნიშვნელობას არ ანიჭებდეს, მაშინ 830 წ. თეოფობესა და ბარდას გამოლაშქრების შესახებ ცნობაშიც ექნება გამოყენებული. ეტყობა, ახალმა იმპერატორმა თუ მისმა მრჩევლებმა მათი წინამორბედის დროს დაკარგული პოზიციების აღდგენა მოინდომეს. ამაზე მეტყველებს მათი გალაშქრება კრეტას დასაბრუნებლადაც 826 წ. ამ მოსაზრებას ამაგრებს აგრეთვე ისიც, რომ იმავე იმპერატორმა (მიხეილ III) 864 თუ 865 წ. ლაშქრობა მოაწყო

ბულგარეთში, როცა შეიქმნა საშიშროება ბულგარეთის ეკლესიის დაკარგვისა (Каждан, Литаврин, 1958:153).

ასე, რომ თეოქსისტეს ლაშქრობა დაკავშირებული უნდა იყოს ბიზანტიისათვის დასავლეთ საქართველოს საბოლოოდ დაკარგვასთან. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება, კათალიკოსის ინსტიტუტის გაჩენა და შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გამოყოფა უნდა მომხდარიყო 820-29 და 842-43 წლებს შორის. გასაგებია, რომ პირველად მოხდებოდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება და კათალიკოსის ინსტიტუტის გაჩენა (დაახლოებით 825-830). ამ თარიღის განსაზღვრისას ყურადღებას იქცევს "ქართლის ცხოვრების"ერთი ხელნაწერის აშიაზე მონაწერის სახით XVIII საუკუნეში შეტანილი ცნობა, რომ ბაგრატ I არტანუჯელმა კურაპალატმა (826-876 წწ.) 830 წელს განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს. აკად. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ ეს ცნობა საყურადღებოა და რაღაც ძველი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ეჭვს გამოთქვამს, რომ ცნობის შემომტანმა ის შეცდომით მიაწერა ბაგრატ არტანუჯელ კუროპალატის შესახებ ტექსტის არშიაზე, სინამდვილეში ეს მოვლენა ბაგრატ I აფხაზთა მეფის ხანას (861-873 (906 წწ) უნდა ეკუთვნოდესო (ბერძენიშვილი, 1966:45-46). ე.ი. კათალიკოსობის გაჩენას აფხაზეთში აკად. ნ. ბერძენიშვილი IX საუკუნის 60-იანი წლებიდან გულისხმობს. მაგრამ თუ ჩვენ აღნიშნულ მინაწერს ჩავთვლით სწორად, მაშინ ეს ცნობაც ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანება და კათალიკოსობის დაწესება 825-830წწ. უნდა მომხდარიყო.

ახლა ეგრის-აფხაზეთის მეფეები მარჯვე მომენტს უცდიდნენ ეკლესიის კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად. ეს დროც დადგა. 836 წლიდან ბიზანტია მოიცვა სახალხო აჯანყებებმა, გააქტიურდნენ არაბები და ბულგარელები, ბიზანტიის სამეფო კარი საგარეო ამბებით იყო დაკავებული. სწორედ ასეთ მომენტში ქართველი პოლიტიკოსები

ბიზანტიას მოთხოვდნენ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. ეს კი უნდა განხორციელებულიყო 735-842 წწ., რასაც მოჰყვა თეოქსისტეს უშედეგო ლაშქრობა 843-844 წწ.

1978 წ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.

2. გეორგიკა, II, თბ., 1965.

3. გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936.

4. გუნბა ვ., დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII სს., სოხუმი, 1965.

5. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941

6. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

7. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.

8. ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სინ), ტ. II, თბ., 1973.

9. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

10. ყაუხჩიშვილი ს, გეორგიკა, IV, ნაკ. II, თბ., 1952.

11. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ.II, თბ., 1965.

12. ჯანაშია, შრომები, ტ. II, 1952.

13. ჯანაშია ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937.

14. Анчабадзе З., Из истории средневековой Абхазии (XI– XVIIвв), Сухуми, 1951.

15. Диль Ш., История Византийской империи, М., 1948.

16. История Византий в 3-х томах, т.II, 1967.

17. Каждан А.П., Литаврин Г.Г., Очерки истории Византии и южных словян, М., 1958.

18. Успенский Т., История Византийской империи, II, вып.I.СПб 1978.

სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოს შექმნის და სტატუსის საკითხისათვის

ნიკეის 325 წლის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მასალებით (გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 1-8), დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ბიჭვინთის საეპისკოპოსოს არსებობა ჩანს, მაგრამ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის „გრიგოლ პართელის ცხოვრებაში" მოცემული ცნობები (ნ. მარი, სომხების, ქართველების, აფხაზების და ალბანელების მონათვლა წმ. გრიგოლის მიერ, ტფ., 1905, გვ. 131, რუს.), სავარაუდოს ხდის IV-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში სხვა საეკლესიო ცენტრების არსებობას, მათ შორის სებასტოპოლისშიც. აქაურმა ეპისკოპოსმა ხელი მოაწერა 553 წლის მსოფლიო მეხუთე (კონსტანტინეპოლის მეორე) საეკლესიო კრების კანონებზე (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897, გვ. 88); სებასოტოპოლისის საეკლესიო ცენტრი საარქიეპისკოპოსოს ხარისხში იხსენიება VII საუკუნის საეკლესიო ნუსხებშიც.

ბერძნული საეკლესიო საბუთები (გეორგიკა, IV, ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 123-202) ადასტურებენ, რომ VII საუკუნისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. საეკლესიო საბუთების (ეკთესისების) პირველი წყება, რომელიც მოიცავს მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და პირველ ნოტიციებს, გვიჩვენებს საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსოებს, საარქიეპისკოპოსოებს და სამიტროპოლიტოებს. ამ ნოტაციათაგან უადრესი (VII ნოტაცია) მე-7 საუკუნით თარიღდება, ხოლო უგვიანესი (I ნოტიცია) 820-829 წლებით. ყველა ამ ნოტიციაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ჩანან: მიტროპოლიტი ლაზიკეში (ფასისის მიტროპოლია), ეპისკოპოსები: როდოპოლისის, აბისენის, პეტრას, ძიგანევის და ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები: აფხაზეთში-სებას-

ტოპოლისის, ხოლო ჯიქეთში: ქერსონის, ბოსპორის, ნიკოფსიის (იქვე, გვ. 181-193).

VII საუკუნის ეკთესისებში ბიჭვინთის საეპისკოპოსო ადარ მოიხსენიება. სამაგიეროდ გამოჩნდა მასთან „ორი დღის სავალი გზით დაშორებული" სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო (გეორგიკა, II, გვ. 136). აშკარაა, რომ IV-VI საუკუნეებში მომხდარა ბიჭვინტის საეპისკოპოსოს დამცრობა-დასუსტება და სებასტოპოლისის საეკლესიო ცენტრის აღზევება.

რამ გამოიწვია ბიჭვინტის საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობის შესუსტება და სებასტოპოლისის საეკლესიო ცენტრის აღზევება? როდის უნდა მომხდარიყო და რასთან იყო ეს დაკავშირებული? ამ კითხვებზე პასუხის გამცემი წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება. ერთადერთი, რაც ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, ემყარება იმ დროის ბიზანტიისა და საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური ვითარების ანალიზს.

V საუკუნის მეორე ნახევარში ორივე ქვეყანაში რთული მდგომარეობა შეიქმნა. 476 წელს რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ბიზანტიამ იკისრა მისი ე.წ. მსოფლიო ინტერესების დაცვის მისია და გაიბრძოლა, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში იმპერიის საზღვრებისა და ცხოვრების ძველი წესის აღდგენა-შენარჩუნებისათვის. ამას, ბუნებრივია, ეთნიკურად და სოციალურად ჭრელ ქვეყანაში, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, რაც ერესების გაჩენაში გამოიხატა. განსაკუთრებით მძაფრი გამოდგა დაპირისპირება მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. რამდენადაც სასულიერო ფეოდალები აღიარებდნენ დიოფიზიტობას, საერო დიდკაცობამ მხარი დაუჭირა მონოფიზიტობას. ეს წინააღმდეგობა გრძელდებოდა VI საუკუნის დასაწყისისთვისაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ 518 წელს, როცა იმპერატორი ანასტასი გარდაიცვალა, ვერც ერთმა ძალამ თავისი კანდიდატურა ვერ წამოაყენა და ამით ისარგებლა არმიამ. იმპერატორი გახდა ბრძოლებში სახელმოხვეჭილი იუსტინე, რომელმაც თანამმართველად დაისვა ნიჭიერი ძმისწული იუსტინიანე. 527

წელს იუსტინიანე ბიზანტიის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მას ძლიერი დასაყრდენი სჭირდებოდა და ამიტომაც ორიენტაცია აიღო იმ დროის ყველაზე მდიდარ და ძლიერ ძალაზე - ეკლესიაზე. ამიერიდან ქვეყანაში აიკრძალა მონოფოზიტთა საქმიანობა. დაიხურა და განადგურდა ბევრი მონოფოზიტური ცენტრი.

ვფიქრობთ, ამ მოვლენებთან კავშირშია ბიჭვინტის, როგორც საეკლესიო ცენტრის დასუსტება და სებასტოპოლისის დაწინაურება-ამაღლება, მით უფრო, რომ დიოფიზიტებსა და მონოფოზიტებს შორის ბრძოლა არანაკლებ შეურიგებელი იყო საქართველოშიც. ამ ამბებთან ჩანს დაკავშირებული თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა დიდი ვახტანგ გორგასალისა. მართალია, არ გვაქვს პირდაპირი მასალები ამ მიმართებით მოვლენების განვითარებაზე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ სავარაუდებელია, იგი თავისუფალი ვერ იქნებოდა ამ ამბებისგან, რადგანაც პოლიტიკურად და ეკლესიურად ბიზანტიას ექვემდებარებოდა. პიტიუნტი (ბიჭვინტა) უძველესი და მთავარი საეკლესიო ცენტრი იყო დასავლეთ საქართველოში და, ბუნებრივია, ბიზანტიის ეკლესიაში მიმდინარე ბრძოლების მონაწილეც იქნებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც დამორჩილებულ-დამოკიდებული ქვეყნის ეკლესიის მთავარმა ცენტრმა, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილიც ექნებოდა, ორიენტაცია აიღო ბიზანტიის ეკლესიის მიმართ დაპირისპირებულ მიმდინარეობაზე - მონოფიზიტობაზე, მით უმეტეს, რომ 506 წლის დვინის საეკლესიო კრების შემდეგ ქართლის ოფიციალური სარწმუნოება კარგა ხანს მონოფოზიტური იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 276). როგორც ჩანს, ეს პოზიცია შეინარჩუნა და დაიცვა ბიჭვიტის საეპისკოპოსომ იუსტინიანეს მმართველობის პირველ წლებშიც, რასაც საიმპერატორო კარისა და საპატრიარქოს მძაფრი რეაქცია მოჰყვა: ირანელთა მხვრივ თავდასხმის საფრთხის გამო მათ მიერვე 542 წელს დანგრეული ამ ქალაქის და საეპისკოპოსო ცენტრის აღდგენას ყურადღება აღარ მი-

აქციეს (გეორგიკა, II, გვ. 137) და მას დაუპირისპირეს ახალი საეკლესიო ცენტრი სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს სახით. ვფიქრობთ, სწორედ ამ ამბებთან იყო დაკავშირებული სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს აღზევება. ეს ის დროა, როცა ირან-ბიზანტიას შორის მიმდინარეობს ბრძოლა ეგრისისათვის. დაინგრა და განადგურდა ქალაქები და სოფლები, ეგრისის სამეფოს თანდათან გამოეყო მისიმიანეთი, აფშილეთი, სვანეთი და სხვა წვრილი ერთეულები. ამავე პერიოდში ჩამოშორდნენ ეგრისს აბაზგებიც, რომლებიც პროკოპი კესარიელის სიტყვით, „ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი. ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთ ნაწილში, ხოლო მეორე აღმოსავლეთში." (იქვე, გვ. 135). იმპერატორმა იუსტინიანემ „აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა" (იქვე). იქნებ აქ ლაპარაკია სწორედ იმ ღვთისმშობლის ტაძრის აშენებაზე, რომელშიც საარქიეპისკოპოსო დაეფუძნა.

როდის უნდა აემაღლებინა ბიზანტიის ხელისუფლებას სებასტოპოლისის ეპისკოპოსი არქიეპისკოპოსად? საქმე იმაშია, რომ VI საუკუნის შუა ხანებში (553 წ.) იგი ეპისკოპოსადაა მოხსენიებული, ხოლო VII საუკუნის საეკლესიო ნუსხებში ავტოკეფალური არქიეპისკოპოსის ხარისხში.

ირანთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ ბიზანტიამ შეცვალა თავისი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში. აბაზგების, აფშილების, მისიმიელების აჯანყებამ, გუბაზ II მკვლელობის გამო ეგრისელთა აღშფოთებამ, იმპერიის ხელისუფლება დააფიქრა. მას სურდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა. ამიტომ მკაცრად დასაჯა მკვლელები, მისიმიელები კი შეიწყნარა: ნება მისცა „კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ" (გეორგიკა, III, გვ. 87). ასეთ პირობებში მას სჭირდებოდა ეკლესიის აქტიური მხარდაჭერაც. ამიტომ საფიქრებელია, მოიწადინებდა აფხაზეთში არსებულ სამწყსოთა გაერთიანებას.

ასე, რომ სებასტოპოლისის საეპისკოპოსოს ამაღლება საარქიეპისკოპოსოს ხარისში აქ ბიზანტიის პოზიციების განმტკიცებისა და ეგრისისაგან აბაზგიის მხარის ჩამოშორების საშუალებაც იქნებოდა. მ. ჯანაშვილის სიტყვით, არქიეპისკოპოსები ეწოდებოდათ ეპარქიათა გამგებლებს, რომელთაც ექვემდებარებოდნენ ეპისკოპოსები და ქორეპისკოპოსები (იხ. მისი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფ. 1886, გვ. 148). ეს შეიძლებოდა მომხდარიყო VI საუკუნის მესამე მეოთხედში, როდესაც ბიზანტია გადამწყვეტ ბრძოლებს ეწეოდა დასავლეთ საქართველოდან ირანელთა საბოლოოდ გასადევნად და საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ამ დროს მიიღებდა აფხაზეთის ეკლესია ავტოკეფალიასაც, რადგან სვანეთიდან ირანელთა განდევნის შემდეგ (575 წ.), ბიზანტიელები ასეთ დიდ დათმობაზე აღარ წავიდოდნენ.

1995 წ.

მონოთელიტობა საქართველოში

(ერთი ბიზანტიური წყაროს მიხედვით)

ბერძნული საეკლესიო საბუთების (ეკთესისების) მიხედვით VII საუკუნის დასავლეთ საქართველოში სამი საეკლესიო ეპარქია ფუნქციონირებდა: ***ლაზიკისა*** – ფასიდის სამიტროპოლიტოთი, რომელსაც ექვემდებარებოდა ოთხი საეპისკოპოსო: ***როდოპოლისის (ვარდციხის), საისენთა (ცაიშის), პეტრას, ზიგანევის (გუდაყვის); აბასგიისა – სებასტოპოლისის*** საარქიეპისკოპოსოთი და ***აფხაზეთის ჯიქეთისა - ნიკოფსიის*** საარქიეპისკოპოსოთი. ყველა ისინი ექვემდებარებოდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. წყაროების სიმცირის გამო თითქმის არაფერი ვიცით იმ დროის ეგრისელთა სულიერი ცხოვრების შესახებ, ეკლესიაში არსებულ მიმდინარეობებსა და მათ წინააღმდეგობებზე, საერო და სასულიერო პირთა შორის ურთიერთობაზე და ა.შ. ამიტომ საინტერესოა საეკლესიო მოღვაწის ანასტასი აპოკრისიარის წერილი, რომელიც საყურადღებო ცნობებს გვაწვდის VII საუკუნის მეორე ნახევრის ეგრისის სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ (გეორგიკა, წ. 4, ნაკ. I, გვ. 40-48). მართალია, ეს წერილი სხვადასხვა კუთხით შეისწავლეს კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. ბრილიანტოვმა, მ. მურეტოვმა და სხვა., მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხები მათ სპეციალურად არ განუხილავთ.

ანასტასი აპოკრისიარი, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მაქსიმე „აღმსარებელთან" და ანასტასი მონაზონთან ერთად 662 წელს, მონოთელიტებთან ბრძოლის გამო, გადმოუსახლებიათ ლაზეთში. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ანასტასის წერილი გაუგზავნია იერუსალიმელი მონაზონისათვის – თეოდოსი განგრელისათვის, რომელშიც დეტალურად აღწერილია მაქსიმესა და მის თანამგზავრთა თავგადასავალი. ეს წერილი თე-

ოდოსის გამოუქვეყნებია სხვა მასალასთან ერთად და ზედ საკუთარი მოგონებებიც დაურთავს (იქვე, გვ. 38).

ამ მასალით ჩანს, რომ მაქსიმე „აღმსარებელი" და მისი მოწაფეები მონოთელიტების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლები იყვნენ.

მონოთელიტობა VII საუკუნის 20-იან წლებში გავრცელდა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში. ამ მოძღვრებით ქრისტეში ორი ბუნებაა, მაგრამ ნება და ქმედება ერთი – ღმერთკაცური. ამ დოგმატური ფორმულის მიღება მიზნად ისახავდა დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა შერიგებას და აღმოსავლური მონოფიზიტური პროვინციების შემომტკიცებას. ამის მცდელობა ადრეც იყო, ჯერ კიდევ V საუკუნის 80-იან წლებში (ზენონის „ჰენოტიკონი"), თუმცა უშედეგოდ. ახლა (633 წ.) შემრიგებლური „ეკთეზისების" მიღების ინიციატორებად გამოვიდნენ იმპერატორი ჰერაკლე (610-641) და კონსტანტინეპოლის პატრიარქი სერგი (610-638). 633 წელს გამოქვეყნდა ეს დოგმატი, მაგრამ მას წინ აღუდგნენ ქალკედონელები, რომელთა შორის აქტიური იყო მაქსიმე. ამიტომ ხელისუფლებამ იგი თანამოაზრეებთან ერთად რამდენჯერმე დასაჯა და გადაასახლა შორეულ მხარეებში. მართალია, მონოთელიტობა 680-681 წლების VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერესად გამოაცხადა, მაგრამ ვერ მოახერხა მისი მოსპობა. მონოთელიტთა მემკვიდრეობა იკისრეს მარონიტებმა, რომლებიც შემორჩნენ ლიბანსა და სირიაში (ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, კომენტარითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968).

მონოთელიტობა, როგორც ჩანს, საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ეგრისშიც. ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი 629 წელს იმავე აზრებს იზიარებდა, რასაც მონოთელიტობის ფუძემდებლები: ანტიოქიის პატრიარქი ათანასი და კონსტანტინეპოლის პატრიარქი სერგი. მემატიანე გვამცნობს: „ირაკლი მეფე რომ იერაპოლისში იყო, მასთან მოვიდა იაკობიტების პატრიარქი ათანასი, კაცი საშინელი და აღსავსე სირიელებისათვის თანდაყოლილი ბორო-

ტებით, და აღძრა მეფის წინაშე სიტყვა სარწმუნოების შესახებ.... ის შეეკითხა მეფეს მოქმედებითი ძალისა და ნებათა შესახებ, როგორ დგას ამ მხრით საკითხი ქრისტეს მიმართ, ორმაგია ნება თუ ერთიო? მეფეს უცხოდ ეჩვენა ასეთი ლაპარაკი და მისწერა ამის შესახებ კონსტანტინეპოლის ეპისკოპოს სერგის; მოიწვია აგრეთვე ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი და მას ჰკითხა ამის შესახებ და ნახა, რომ ის ეთანხმებოდა სერგის ერთი ნებისა და ერთი მოქმედებითი ძალის საკითხში. სერგი, როგორც სირიელი წარმოშობით და იაკობიტი მშობლების შვილი, აღიარებდა ქრისტეში ერთბუნებით ნებას და ერთ შემოქმედებითს ძალას და ასეც სწერდა. მეფემ ორივეს აზრი შეადარა ერთმანეთს და ნახა, რომ ათანასი მათ ეთანხმებოდა" (გეორგიკა, წ. 4, ნაკ. I, გვ. 101-102).

მოყვანილი ადგილი მრავალმხრივ საყურადღებოა. ჯერ ერთი, იმით, რომ როცა უცნობ, საორჭოფო რელიგიურ საკითხზე ჩამოვარდა საუბარი, საკითხის გასარკვევად იმპერატორმა მიმართა კონსტანტინეპოლის პატრიარქ სერგისთან ერთად ფაზისის ეკლესიის მეთაურს და არა სხვას. ეს მიუთითებს ფაზისის, როგორც საეკლესიო ცენტრის და მისი წინამძღოლის დიდ ავტორიტეტზე. ამასთან, შეიძლება ვივარაუდოთ, იმპერატორმა, რომელიც ნამყოფი იყო ეგრისში ოციან წლებში ირანის წინააღმდეგ ლაშქრობების დროს, იცოდა აქაურ ეკლესიაში არსებული ვითარება. მისი მღვდელმთავრის შეხედულება-განწყობილება, თეოლოგიურ საკითხებში ჩახედულობა და ავტორიტეტი *(არის მოსაზრება, რომ ფაზისის ეპისკოპოსი კიროსი და კირონ ქართლის კათალიკოსი ერთი და იგივე პიროვნებაა. 613 თუ 616 წლის კტესიფონის ე. წ. სპარსული კრების შემდეგ, როცა ირანის ხელქვეითი ქვეყნების ქალკედონიტებს მიეცათ წინადადება ან შეეცვალათ მრწამსი ან დაეტოვებინათ ქვეყანა, კათალიკოსი კიროსი იძულებული გახდა გასცლოდა ქართლს, გადასულიყო ფაზისში და კათალიკოსობასთან ერთად დაეკავა ფაზისის მიტროპოლიტის ტახტიც. (იხ. ზ. ალექსიძე, კავკასია და ქრისტიანული აღმოსავლეთი IV და VI მსოფლიო საეკლესი კრებებს შორის, თსუ შრომები, 241;*

აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983, გვ. 217). მეორეც, ფაზისის ეპისკოპოსის (თუ მიტროპოლიტის) მონოთელიტური შეხედულებანი უეჭველს ხდის, რომ მის სამწყსოში საკმაოდ ფეხმოკიდებული უნდა ყოფილიყო ეს მოძღვრება. ამას ამტკიცებს ანასტასი აპოკრისიარის წერილში მოთხრობილი ამბებიც.

ანასტასი აპოკრისიარი მაქსიმე „აღმსარებელთან" და ანასტასი მონაზონთან ერთად ლაზეთში გადმოასახლა იმპერატორმა კონსტანტინე პოგონატმა (641-666). უნდა ვიფიქროთ, იმპერატორი იცნობდა იმ დროის ლაზეთში შექმნილ მდგომარეობას, ითვალისწინებდა იქაურ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს და გადასახლების ადგილადაც ამიტომ ლაზეთი აირჩია. წერილის მიხედვით, ლაზეთში გადმოსახლებულები ერთმანეთს დააშორეს და სხვადასხვა ციხეებში გაამწესეს. აქაურმა მმართველმა მათ ყველაფერი ჩამოართვა, რაც კი ებადათ. ამასთან ხშირად უცვლიდნენ ადგილებს: ხან ალანების მიწაზე, ხან აბაზგიაში, ხანაც აფსილიისა და მისიმიანეთის სატუსაღოებში აგზავნიდნენ „ტიტველსა და ფეხშიშველს, მშიერსა და მწყურვალს, რომ გამოასალმონ სიცოცხლეს" (გეორგიკა, წ. 4, ნაკ. I, გვ. 44). როგორც ჩანს, ლაზეთის მმართველი საგანგებო დავალებას ასრულებდა, მაგრამ საოცარია, რომ გადასახლებულებს არც სასულიერო პირები ესარჩლებიან. ეს ბადებს ეჭვს, ამ დროის ლაზიკის ეკლესია მონოთელიტურ მოძღვრებას ხომ არ აღიარებდა, მაგრამ ამ აზრს აქარწყლებს წერილშივე ნათქვამი სიტყვები: „როდესაც ისინი ჩავიდნენ ქრისტეს მოყვარე ლაზთა ქვეყანაში", ან „იქაურმა (აბაზგების ბ.დ.) ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს " (41, 45). დევნილები მონოთელიტ ლაზებზე ან აბაზგებზე ასეთ ეპითეტს (ქრისტესმოყვარე) არ გამოიყენებდნენ.

მხოლოდ აბაზგიაში გამოიჩინეს დევნილთა მიმართ შემწყნარებლობა, „ქრისტესმოყვარე მმართველებმა მთავარს ურჩიეს, რომ ჩემთან თანაგრძნობით ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა დევნა, ჩემგან სიტყვები ესმინა და არა გმინვა" – წერს ანასტასი (გვ. 44, 45).

ანასტასის წერილში დიდი კმაყოფილებაა გამოხატული ნეტარი იოანე ხუცესის შვილის -სტეფანეს ბიზანტიიდან ჩამოსვლის გამო. „როგორც სულიერმა ცხენმა, წერს ანასტასი, მოირბინა მან მთელი ლაზიკე, აფსილია და აბაზგია და უშიშრად ქადაგებდა როგორც ჭეშმარიტებას, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ (გვ. 46), ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ „შემოტანილ ახალ მიმართულებას" საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა, რადგან „ამ კაცის იქ ყოფნა მიზეზი აღმოჩნდა მრავალთა სარგებლობისა და ხსნისა" (იქვე). ამიტომ ანასტასი ითხოვს, „ურიგო არ იქნებოდა რომ ზოგიერთი თქვენიანთაგანი, რომელთაც აქვთ ღმრთის სიყვარული და მისდამი სწრაფვა ცოდნისამებრ, აქ მოსულიყო და დარწმუნებულიყო, თუ რა არის ჭეშმარიტება და რა არის მისი მაგიერი, რათა ისინი განმტკიცებულიყვნენ მართლმადიდებლობაში და შემოტანილი ახალი მიმართულება სრულიად გამომჟღავნებულიყო" (გვ. 47). როგორც ჩანს, თეოდოსისადმი წერილის გაგზავნის მთავარი მიზანიც ეს არის. ჯერ ერთი, სურს თავის მოძმეებს აჩვენოს „რა არის ჭეშმარიტება" და ამით „ისინი განმტკიცებულიყვნენ მართლმადიდებლობაში" და მეორეც, სიცოცხლის წინა დღეებშიც დევნილი ანასტასი იმაზე ფიქრობს, რომ შორს ლაზეთშიც ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს ისინი, ვინაც მცდარი ნაბიჯი გადადგა და მონოთელიტობა აღიარა. „თუ კი, როგორც გავიგე, ჰიბერიამდე მიდიან იქ, რატომ აქაც არ მოდიან?" (იქვე). მაშასადამე, წერილის ავტორს აქვს სარწმუნო ცნობები, რომ იბერიაში ჭეშმარიტი ქრისტიანობის დამცველი, განსწავლული პირები მრავლად მიდიან, ეგრისში კი - ნაკლებად. ამ ცნობით აშკარაა, მონოთელიტობა გავრცელებული ყოფილა ქართლში და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ეკლესიასაც ერთიდაიგივე სენი აწუხებს (ვარაუდობენ, რომ VII საუკუნეში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი მონოთელიტური იყო (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, გვ. 98).

ანასტასის წერილის მიზანი კიდევ უფრო აშკარად ჩანს მის მომდევნო თხოვნაში: „გევედრებით თქვენ, უწმინდესნო, თუ კი შესაძლებელი იქნება, გადმომიგზავნეთ ერთ-ერთი სარწმუნო, ჰიბერიაში მომავალი კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომლებიც დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა, წმინდა და სამოციქულო მოწამის და უზენაესის პაპის მარტინეს წინადადებით, უხუცეს ქალაქ რომში, რადგან იქ გაცილებით უკეთ არის გაშლილი წმინდა მამების დოგმატები და მწვალებლური საზიზღრობანიც, როგორც წინანდელი, ისე ახლა აღმოცენებულნიც (გეორგიკა, წ. 4, ნაკ. I, გვ. 47). ამ ამონაწერით ვრწმუნდებით, რომ ანასტასს სურს ხელთ ჰქონდეს საეკლესიო კრების ან სინოდის დადგენილებანი, რომლებიც გაადვილებენ და ეფექტურს გახდიან მის მუშაობას. ყურადღებას იქცევს ის თხოვნაც, ეს კოდექსი უპირველესად იბერიის ან ლაზიკის მთავართა ხელში უნდა მოხვდეს. ჩანს, ამით მას სურს საქმეს ოფიციალური სახე მისცეს და ხელისუფლების მხარდაჭერა მიიღოს. „თუ თქვენ, როგორც გთხოვდით, გამომიგზავნით ღმრთის ჩაგონებით წმინდა კოდექსს, იმათ, რომლებიც წამოიღებენ მას და მოისურვებენ აქ მოსვლას სახელოვანსა და ღვთით დაცულ პატრიკიოს და ღვთივ მაგისტროს გრიგოლისთან, თან იქონიონ მისდამი მიმართული წერილი ჰიბერიის ღირსსაქებ პატრიკიოსისა და პრეტორიისაგან, მაგრამ თუ ისინი არ მოისურვებენ აქ მოსვლას, გადასცენ ის კოდექსი ჰიბერიის ზემოხსენებულ სახელოვან პრეტორს, რომელიც ვალდებული იქნება გადმოუგზავნოს ის ზემოხსენებულ ჩვენს უფალს და სახელოვან პატრიკიოსს და ღვთივ მაგისტროსს გრიგოლს" - წერს იგი (გვ. 48).

მოყვანილი ადგილი იმასაც აჩვენებს, რომ თუ ლაზიკაში გადმოსახლებულებს პირველ თვეებში ცუდად ეპყრობოდნენ, ხშირად უცვლიდნენ ადგილებს, მშიერს და მწყურვალს ამყოფებდნენ ციხეებში და მათ ჯარისკაცები დარაჯობდნენ, შემდეგ, გრიგოლის მმართველობის პერიოდში, მდგომარეობა შეიცვალა. თავის მოგონებაში თეოდოსი წერს, რომ ანასტასის საშუალება

ეძლევა იზრუნოს სხვების ჭეშმარიტ, მართლმადიდებლობის გზაზე დაყენებისათვის, ხოლო ნეტარი იოანე ხუცესის შვილი სტეფანე თავისუფლად ქადაგებს, „როგორც ჭეშმარიტების, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ" ლაზიკაში, აფსილიასა და აბაზგიაში. რასთან არის დაკავშირებული გადმოსახლებულებისადმი დამოკიდებულების ასეთი შეცვლა? იქნებ, ბიზანტიის ეკლესიაში მიმდინარე პროცესებთან, რომლის შესახებ იცის ანასტასიმ და ამიტომ ითხოვს კოდექსის გამოგზავნას *(ეჭვის საფუძველს იძლევა ის, რომ 692 წელს კონსტანტინეპოლში შედგა „V და VI საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებათა შემსვლები" კრება, რომელზეც განიხილეს მხოლოდ დისციპლინარული საკითხები, შეშფოთება გამოითქვა, რომ არ მოხერხდა მანიქეველობისა და მონოთელიტობის ამოძირკვა. გადაწყდა, ერესების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკლესიაში წესრიგის განმტკიცებისათვის ყოველწლიურად მოეწვიათ კრებები ეპარქიების მიხედვით (ბიზანტიის ისტორია, ტ. 2, მ., 1967, გვ. 43, რუს). კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ და დადგენილებებს ხელი მოაწერეს თეოდორემ - „ლაზთა ეპისკოპოსმა ფაზისელმა" და იოანემ - „ლაზთა ეპისკოპოსმა პეტრელმა" (იხ. გეორგიკა, წ. 4, ნაკვ. 2, გვ. 188).* ან იქნებ იმასთან, რომ „იმ მხარეში ხალხი ღელავდა", რომელზეც მიუთითებს თეოდოსი თავის მოგონებებში.

ანასტასი აპოკრისიარის წერილის შესწავლისას მნიშვნელოვანია თეოდოსი განგრელის მოგონებების გათვალისწინებაც. მასში (გვ. 48-56) თეოდოსი განგრელი გვარწმუნებს, რომ ანასტასის წერილში მოთხრობილი ამბები სინამდვილეა. იგი თვით ყოფილა იმ ადგილებში, სადაც გადასახლებულები იმყოფებოდნენ და წერილში მოთხრობილი ფიცის ქვეშ დაადასტურა თვითმხილველმა ლაზიკის პატრიკოსმა ლებარნიკიოსმა 668 წელს. ლებარნიკიოსს ა. ბრილიანტოვი თვლის თეოფანე ჟამთააღმწერლის მიერ 697 წლისათვის ლაზიკის პატრიკიოსად მოხსენიებული სერგის მამად. ამ აზრს იზიარებს ს. ყაუხჩიშვილიც (გვ.49).

ამგვარად, ანასტასი აპოკრისიარის წერილი, როგორც თვითმხილველისა და მოვლენების უშუალო მონაწილის მონათხრობი, ძვირფასი წყაროა VII საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესასწავლად. ამ წერილით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ VII საუკუნისათვის ბიზანტიელებს აქ მტკიცედ აქვთ ფეხი მოკიდებული, ქვეყანაში არ არის სტაბილური მდგომარეობა. იგი დანაწევრებულია ერთეულებად, რომელთა მმართველები ხშირად იცვლებიან და ბიზანტიის ხელისუფლების ნების აღმსრულებლები არიან. ისე, როგორც ბიზანტიაში, აქაც 30-იანი წლებიდან ეკლესიაში საკმაოდ გავრცელებულია მონოთელიტობა. ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი მონოთელიტია. ამ მიმდინარეობას მიმდევრები მრავლად ჰყავს 60-იან წლებშიც. ამის მაჩვენებელია ის, რომ ეკლესია ვერ იცავს საერო პირთა თვითნებობისაგან ქალკედონისტ მაქსიმე აღმსარებელსა და მის თანამებრძოლებს, ადგილზე არ არიან წმინდა სტეფანეს მსგავსი უშიშარი და მართლმადიდებლობაში ღრმად ჩახედული მქადაგებლები, რის გამოც ანასტასი მათ იწვევს ბიზანტიიდან. იგი ამასაც არ თვლის საკმარისად და ითხოვს იმ დადგენილებათა კოდექსის გამოგზავნას, რომლებიც „დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა.... უზენაესი პაპის მარტინეს წინადადებით", რადგან აღმოსავლეთის ეკლესიებისგან განსხვავებით, იქ რომში „გაცილებით უკეთ არის გაშლილი წმინდა მამების დოგმატები და მწვალებლური საზიზღრობანიც."

1996 წ.

ნიკო ბერძენიშვილი და ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები

წაკითხულია ნ. ბერძენიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე.

აკად. ნ. ბერძენიშვილის მრავალმხრივ სამეცნიერო ინტერესთა სფეროში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართული ეკლესიის ისტორიის პრობლემების კვლევას. ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას (1924-1925 წწ.) მან სადიპლომო ნაშრომად აირჩია თემა "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება" და მეცნიერის პირველ სამეცნიერო ნაშრომად ითვლება სწორედ "დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება. აფხაზეთის კათალიკოზი მე-13-15 საუკუნეებში", რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა.

პრობლემის კვლევა ნ. ბერძენიშვილმა შემდეგაც გააგრძელა, რადგანაც საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების (სავაზიროს) შესწავლისას აუცილებელი გახდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს გენეზისის გარკვევა. შედეგები აისახა ნაშრომში "სავაზირო ფეოდალურ საქართველოში". ავტორმა, როგორც თავად წერს, მიზნად დაისახა "სახელმწიფო სამართლის ამ ინსტიტუტის ისტორიული შესწავლა, ე.ი. შესწავლა მისი წარმოშობა-განვითარება ფეოდალური საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივს განვითარებასთან კავშირში" (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 3, თბ., 1966, გვ. 6, შემდეგ: სავაზირო).

მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები სხვადასხვა დროს წარმოიშვნენ და ცალ-ცალკე არსებობდნენ. მათი დაკავშირება-შეერთება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მოხდა. ავტორის მიზანს სწორედ ამ თანამდებობის (ჭელის) გაჩენის მოტივებისა და საფუძვლების გაშუქება შეადგენდა. მკვლევარმა ცალ-ცალკე შეისწავლა ამ თანამდებობათა გაჩენისა და განვითარების გზა და დაასკვნა, რომ მწიგნობართუხუცესი არსებითად განსხვავდებოდა სხვა ვაზირთაგან. მისი სიტყვით „სხვა სადარბაზიკარო ჭელი ამ ეპოქაში მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. სამსახურის სამაგიეროდ ხელისუფალთ მეფისაგან წყალობად ეძლეოდათ მფლობელობის ამა თუ იმ სახით მთელი მხარეები, ქალაქები, ციხეები, სოფლები... ამ "საპატიო" თუ "სახელო" ქონების გარდა თითოეულ ხელისუფალს, როგორც დიდ გვარიანს, "სამამულო" ქონებაც დიდი ჰქონდა". ამიტომ ასეთი თანამდებობანი ორბუნება იყო. "თუ ერთის მხრივ ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამდენადვე მეფის "მორჭმა გაძლიერებისათვის" თავდადებული უნდა ყოფილიყო, მეორე მხრივ ის, როგორც დამოუკიდებელი "მემამულე", სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მეფის ხელისუფლების გაძლიერების აგრე ერთგული მომხრე როდი იყო" (გვ.31).

„მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო, – წერს ნ. ბერძენიშვილი, - ხოლო მონაზონს ქვეყნის (ქალაქის, ციხის, სოფლის) საკუთრებად თუ სახარჯოდ ქონება არ შეეძლო. ასევე ვერ გამოიჩენდა მწიგნობართუხუცესობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას, რადგან მონაზონს მემკვიდრეები არ ჰყავდა... ამ ჭელსა და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირ-პროპორციული დამოკიდებულება იყო... ამიტომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განდიდების

თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო” – დაასკვნის მკვლევარი (გვ.32).

ასევე საფუძვლიანად შეისწავლა ნ. ბერძენიშვილმა ჭყონდიდელთა ისტორიაც. ჭყონდიდელის საეკლესიო თანამდებობის გაჩენის, მისი არსის შესწავლა მეცნიერმა დაუკავშირა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ქრისტიანობის გავრცელება და მთავარი საეკლესიო ცენტრების წარმოშობა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გათავისუფლება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულებისაგან და მცხეთის საკათალიკოსოში შესვლა და სხვა.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით, ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის შეხედულებათა გათვალისწინებით, ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ “ქრისტიანობა ლიხთიმერეთში ყველგან ერთ დროს და ერთი წყაროდან არ გავრცელებულა. მისი გავრცელების დროისა და გზების სხვადასხვაობა დამოკიდებული იყო: ლიხთიმერეთის ამა თუ იმ ტომის სოციალურსა და პოლიტიკურს ვითარებაზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სხვა მრავალ დანართ ფაქტორზე”. მისი აზრით, ქალაქებში – და უმთავრესად ზღვისპირა ქალაქებში ქრისტიანობა დიდის ხნით უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე სოფლებში, ქვეყნის შუაგულში... ან კიდევ: ლაზთა შორის ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე მათ მეზობელ აფხაზთა შორის (გვ. 42). ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, ბიზანტია დასავლეთ საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევით კმაყოფილდება და ამიტომ აქ ქრისტიანობა მოსახლეობის ფართო ფენების ცნობიერებაზე ვერ მოქმედებს, ჭეშმარიტი რელიგიის ფუნქციას ვერ ასრულებს. იგი უფრო პოლიტიკური ზემოქმედების ფუნქციას ასრულებს. “ბიზანტია, - წერს მკვლევარი, - არ ცდილობს ხელი შეუწყოს აქ ადგილობრივი ქრისტიანობის (ლაზურად, აფხაზურად) ჩამოყალიბებას და კოლონიების პროზელიტობას სჯერდება... ასეთ პირობებში ქრისტიანობა ფორ-

მალური ხასიათისა რჩებოდა და ბერძნულ კულტურას მეტ-ნაკლებად ზიარებული თვით მაღალი საზოგადოებაც კი, უფრო პოლიტიკურად იყო ახალი (უცხო) სარწმუნოების მიმდევარ-გამტარებელი, ვიდრე სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივად... რაც შეეხება ფართო მასებს, ის თავის ძველ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს იცავდა და თუ ამ ახალი უცხო მოძღვრებიდან რაიმეს ითვისებდა, ეს იმას და იმდენად, რამდენადაც ახლად შეძენილი მის ძველ ტრადიციულ წარმოდგენებს ეთანხმებოდა, ე.ი. მასები ისევ" წარმართნი" რჩებოდნენ, თუმცა ფორმალურად "ქრისტიანები" იყვნენ (იხ. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. თბ., 1990, გვ. 597; შემდეგ: მასალები).

მკვლევარის ეს აზრი შესაძლებელია გავიზიაროთ ბიზანტიის ხელისუფლების მიერ დასავლეთ საქართველოში V-VI სს. გატარებული პოლიტიკის გათვალისწინებით, მაგრამ ქრისტიანობამ ხომ დასავლეთ საქართველოში გაცილებით ადრე მოიკიდა ფეხი და IV საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ღვთისმსახურებაც ქართულ ენაზე წარმოებდა. ამასთან, არც ბიზანტიის ინტერესებში შედიოდა, რომ ეკლესიას მხოლოდ პოლიტიკური ფუნქცია შეესრულებინა. უკვე VI საუკუნეში ირანელებთან, ხოლო VII საუკუნის შუახანებიდან არაბებთან ბრძოლისას ქართველები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უპირველესად ქრისტიანული დროშით გამოდიოდა. ამ დროს აქ ფუნქციონირებდა არაერთი საეპისკოპოსო თავისი მრევლით არა მარტო ზღვისპირა ადგილებში, არამედ ზღვიდან საკმაოდ დაშორებითაც. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ როგორც მდიდარ, ისე ღარიბთა სამარხებში ფიქსირდება ინვენტარი ქრისტიანული სიმბოლიკით. ის, რომ ღვთისმსახურება პირველ ხანებში ბერძნულ ენაზე წარმოებდა, არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ აქ "ქრისტიანობა ფორმალური ხასიათისა რჩებოდა". ცნობილია,

რომ ეგრისელები პრობიზანტიური ორიენტაციის არჩევისას პირველ რიგში სარწმუნოებრივ ერთიანობას უსვამდნენ ხაზს.

ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქრისტიანობა ლიხთიმერეთში მხოლოდ ბერძნული გზით არ გავრცელებულა. ახალი მოძღვრება გზას იკაფავდა ქართლიდანაც. რაც დრო გადიოდა, ქართლის ეკლესია სულ უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს არგვეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე, კერძოდ სამეგრელოში.

მკვლევარი ბერძნული სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად თვლის ლიხთიმერეთში ლაზიკის, აფხაზეთის (აბაზგიის) და ჯიქთა (ზიკხთა) ეკლესიების დაარსებას. ბერძნულ საეკლესიო ნუსხებზე დაყრდნობით იგი ასკვნის, რომ ყველა ისინი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელნი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ და დაარსებული უნდა იყვნენ დაახლოებით VI-VII საუკუნეებში (სავაზირო, გვ. 43). ამ დროს დასავლეთ საქართველო ბიზანტიის პოლიტიკურ დამოკიდებულებაშია.

VIII საუკუნის ბოლოს, დასავლეთ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ნ. ბერძენიშვილი ლიხთიმერეთის ეკლესიის განვითარების ასეთ სქემას იძლევა: "პირველ ხანებში, - წერს იგი, - საფიქრელია, პოლიტიკურად ჯერ წელმოუმაგრებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ. არც საპატრიარქო უნდა წასულიყო ამის წინააღმდეგ; ბიზანტიის პოლიტიკური მარცხი ამ ქვეყანაში და მცხეთის საკათალიკოზოს საშიში მეტოქეობა საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები უნდა ყოფილიყო საამისოდ" (გვ. 49). მკვლევარის აზრით, ლიხთიმერეთის ეკლესიის გაერთიანება აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოზის მეთაურობით უნდა მომხდარიყო, რადგან აფხაზეთი ამ დროს პოლიტიკურად ძლიერია, სამეფო დინასტიაც "აფხაზეთიდანაა". იგი თვლის, რომ "ამ დროიდანვე ეწოდა აფხაზეთის არქიეპისკოპოზს "კათალიკოზი"; მისდამი მიტროპოლიტისა (ფო-

თის) და არქიეპისკოპოსის (ნიკოპსიის) დაქვემდებარების შემდგომ შეუძლებელია მას მხოლოდ ძველი პატივი და წოდება შერჩენოდა" (გვ. 49).

დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემდეგ "აფხაზთა" მეფეები შეუდგნენ უფრო დიდი მიზნის განხორციელებას – საქართველოს ფეოდალურ მონარქიად გაერთიანებას. საამისოდ მზადების ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დამოკიდებულებისაგან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ ეს მოხდა IX საუკუნის ბოლოს, ან X საუკუნის დასაწყისში (გვ. 45), მაგრამ ხელისუფლებამ ეს საკმარისად არ ჩათვალა. მას უფრო ძლიერი და ამასთან ამერ-იმერის გაერთიანებით დაინტერესებული მოკავშირე სჭირდებოდა. ასეთ პირობებში, ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი თქმით, "ამიერიდან მცხეთის საკათალიკოზოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთიმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს" (გვ. 50). სამაგიეროდ, დაირღვა თანხმობა ლიხთიმერეთის საერო და სასულიერო უმაღლეს ხელისუფალთ შორის. აფხაზეთის კათალიკოზსა და მისდამი დაქვემდებარებულ ეპისკოპოსებს არ სურდათ დამოუკიდებლობის დაკარგვა და მცხეთისათვის უპირატესობის მიცემა. ამიტომ, მკვლევარის აზრით, აფხაზთა მეფეები, მცხეთის თანხმობით და მასზე დაყრდნობით, ქმნიან ახალ (ქართულ) საეპისკოპოსოებს ძველების გვერდით და მათ ნაცვლად და ამგვარად, კანონიკური საფუძვლების დაურღვევლად საბოლოოდ აქრობენ მოსახლეობისათვის უცხო ბერძნულ ეკლესიას. სწორედ ასეთ პირობებში გიორგი აფხაზთ მეფის ზეობისას (912-957 წწ.) შეიქმნა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. მკვლევარს მოაქვს ამის დამადასტურებელი სათანადო ადგილი "ქართლის ცხოვრებიდან": იყო მაშენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა

იგი” (გვ. 51). შემდეგ შეიქმნა თუ შეიცვალა სხვა საეპისკოპოსოებიც (მოქვი, ბედია და ა.შ.), მაგრამ მათგან განსაკუთრებით გაძლიერდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, რომელიც ბაგრატ IV დროს (1027-1072 წწ.) სამთავარეპისკოპოსოდ მოიხსენიება და პირველი სამღვდელმთავროა ლიხთიმერეთში აფხაზეთის კათალიკოზის შემდეგ. “ამ დროს უკვე ფოთის სამიტროპოლიტო გამქრალია და მისი პატივი ჭყონდიდზეა გადმოსული” – წერს მკვლევარი (გვ. 53), მაგრამ შემდეგ, როცა იგი ქუთაისს განიხილავდა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, წერდა: “ჩემი წინა ვარაუდი, რომ ფოთის მეტროპოლია ჭყონდიდში იქნა გადატანილი, ან პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა – მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამისდა მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი დროწასული და შინაარსს მოკლებული – გაუქმდა (მასალები, გვ. 525). ნ. ბერძენიშვილის აზრით, X საუკუნის დასასრულს ლიხთიმერეთის საეკლესიო რეფორმა დასრულებული ჩანს (სავაზირო, გვ. 58).

აფხაზ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკის წყალობით შექმნილი და აღზევებული ჭყონდიდელი, წერს მკვლევარი, საკუთრებით დამოკიდებული იყო სწორედ ამ პოლიტიკის გამარჯვებისაგან და როდესაც დავით აღმაშენებლის წინაშე დაისვა საკითხი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით ეკლესიის საქმიანობისადმი მეთვალყურეობისა, მეფემ მწიგნობართუხუცესის, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის თანამდებობა შეუთავსა ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსს, როგორც ხელისუფლების ერთგულ, მისი ძლიერებით დაინტერესებულ, დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის უწარჩინებულესს და ამით

მის ხელში გააერთიანა უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება (გვ. 55-56).

ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის განვითარების თავისებურებებზე, საეპისკოპოსოთა ფუნქციებსა და მათ ლოკალიზაციაზე საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული ნ. ბერძენიშვილის ისტორიული გეოგრაფიის ხასიათის გამოკვლევებში. "ბერძნული ქრისტიანობა, - წერს იგი, - ეს იყო კოლონიების ქრისტიანობა და სანამ ძლიერი იყვნენ ეს კოლონიები, სანამ ძლიერი იყო მეტროპოლია (ეს კოლონიები სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად არასოდეს ქცეულან) - ბიზანტია და მისი გავლენა შავიზღვისპირეთზე, კოლონიების მნიშვნელობა და გავლენაც გარშემო ადგილობრივ საზოგადოებაზე შესაფერისი ძალისა უნდა ყოფილიყო" (მასალები, გვ. 596). ამ მიდგომითაა შეფასებული ფაზისის როლი და მნიშვნელობაც. მკვლევარი წერს: "თითქო იგრძნობა, რომ ეს ქალაქი, სადაც ამ დროს უკვე დიდი ხანია საეპისკოპოსო კათედრაა, ლაზიკასთან საბოლოოდ შერწყმული არაა და კოლონიის იერს ატარებს (ლაზიკის საეკლესიო მოწყობა – მეტროპოლია ოთხი საეპისკოპოსოთი – უეჭველია, იუსტინიანეს დროის ან მისი შემდგომი ხანის აქტია და ამის უწინარესი), ამით ფაზისი (ფოთი) კიდევ უფრო შეერწყა ლაზიკას, რომელიც ამიერიდან რომაელების პროვინციაღა იყო" (გვ. 508).

ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასა და ბიზანტიელთა გავლენის შემცირებასთან აკავშირებს ნ. ბერძენიშვილი პეტრას საეპისკოპოსოს დასუსტებას და ახალი საეკლესიო ცენტრების გაჩენას. მისი სიტყვით, "ქვეყნის ფეოდალიზაციასთან ერთად, შესაძლებელია პეტრას – ბიზანტიელთა სტრატეგოსის რეზიდენციის – საწინააღმდეგოდ, ბიზანტიელთა დასუსტებასთან ერთად, წამოიწია გურიანთა (ვაშნარი), რომელმაც შესაძლებელია დასაბამი მისცა შემდგომი ფეოდალური გურიის გაერთიანებას. ამავე ხანებში, შესაძლებელია, შეიქმნა ხინოს საეპისკოპოსოც. სამი „ქვეყნის" კარგი მაჩვენებელია, რომელთაგან

გურია შედგა: ჯუმათის (სუფსის ქვეყანა), შემოქმედის (ნატანების ქვეყანა) და პატარა ხინოს (კინტრიშის ქვეყანა) საეპისკოპოსოები” (გვ. 479).

მკვლევარი ინტერესდება სებასტოპოლისის და ნიკოფსიის (ჯიქეთის) საარქიეპისკოპოსოთა წარმოშობისა და მათი მცხეთის სამწყსოში შესვლის პირობებით. აქ ბევრი რამ გაურკვეველია წყაროთა უქონლობის გამო, ამიტომ მკვლევარი საკითხების დასმით კმაყოფილდება: “როგორ და როდისღა მოხდა, რომ ზიქთა სამთავარეპისკოპოსო შეიქმნა, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შევიდა (ნიკოფსია), ან როგორ მოხდა, რომ ეს ეპარქია მცხეთის სამწყსოში აღმოჩნდა (თუ მართლა ასე იყო...) რაღაც მნიშვნელოვანი, ჩანს, პოლიტიკური ამბები ხდება VII-VIII-IX საუკუნეებში” (გვ. 499).

სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოს ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, იმის გამო, რომ სებასტოპოლისი (ცხუმი) აფშილეთის მიწაზე იგულისხმება (“ქართლის ცხოვრება”), ბერძნულ საეკლესიო ნუსხებში კი – აბაზგებისაა, მკვლევარი სვამს კითხვას, “როგორღა აიხსნება, რომ აბაზგების ავტოკეფალური სამთავარეპისკოპოსო სებასტოპოლისშია ეკთეზისებით, ხოლო სებასტოპოლისი, როგორც მიღებულია, იგივე დიოსკურია – ცხუმია?” (გვ. 497-498). სხვა ადგილას მკვლევარი შესაძლებლად თვლის, რომ ის ნაწილი, სადაც სებასტოპოლისი მდებარეობს, აბაზგიაში შედიოდა (გვ. 494).

ნ. ბერძენიშვილის ინტერესი ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიმართ იმითაც იყო გამოწვეული, რომ დიდია ეკლესიის დამსახურება საქართველოს ფეოდალური მონარქიის ფორმირებაში. მკვლევარი მიუთითებს, რომ ქართლის გაგებაში სხვა პოლიტიკური ერთეულების შესვლით “ეს ტერმინი მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა (სამშინაარსიანი). საჭირო იყო ახალი ტერმინი, რომელიც ამ ახალ შინაარსს შეეფერებოდა. ტერმინი, რომელიც ახალ კულტურულ-პოლიტიკურ შინაარსს გადმოსცემდა. და შეიქმნა ტერმინი “საქართველო”. ეკ-

ლესია ავტორიტეტულად შეეშველა ქართლის ეთნიკურ-პოლიტიკური გავრცელების პროცესის შედეგად შექმნილი ვითარების დასაფუძვლებაში. მან ქართლად გამოაცხადა ყველა ის ქვეყანა, რომელთაც ქართლის სამეფო იერთებდა: ეგრისი, ეგრისწყალ-კლისურას შორის ქვეყანა, ჰერეთი...” (გვ. 385).

გაივლის წლები, ისტორიული მეცნიერება ახალი ნივთიერი და წერილობითი წყაროების საფუძველზე შუქს მოჰფენს ბევრ დღეისათვის გადაუჭრელ პრობლემას, გადაისინჯება საყოველთაოდ აღიარებული დებულებებიც, მაგრამ უცვლელი დარჩება და კიდევ უფრო წონადი გახდება ის ამაგი და ღვაწლი, რომელიც დასდო ქართველ ხალხს, ისტორიულ მეცნიერებას დიდმა მეცნიერმა და მოქალაქემ ნიკოლოზ ბერძენიშვილმა.

1996 წ.

ქრისტიანობა აჭარაში

ქრისტიანობის გავრცელება

საქართველოში ქრისტიანობის ახ.წ. I საუკუნეში ქადაგების შესახებ არსებობს როგორც III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოელი ავტორების ცნობები (ევსევი კესარიელი, თეოდორიტე კვირელი, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი...), ისე "ქართლის ცხოვრების" მოგვიანო ჩანართი, სადაც ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობაა აღწერილი. ამ მონაცემებით დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარაში, ქრისტიანობის პირველ მქადაგებლებად ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათაა დასახელებული (ქცა, 1955:36-43).

წყაროებსა და ლიტერატურაში არ არის თანხმობა იმ ადგილთა დასახელებაში, სადაც იქადაგეს მოციქულებმა. ამავე დროს ეს მოვლენები ასახული არ არის V-VIII საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში. ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს პირველმოციქულთა აქ ქადაგებას და შესაბამისად ამ ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის სანდოობას. თუმცა არ უარყოფენ დასავლეთ საქართველოში ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან ქრისტიანობის გავრცელების შესაძლებლობას (ჯავახიშვილი, 1979:27; ჯანაშია, 1987:95).

III-IV სს. საეკლესიო მოღვაწე ევსევი კესარიელი (260-340 წწ.) "საეკლესიო ისტორიაში" წერს: "როდესაც ჩვენი მაცხოვრის წმინდა მოციქულები და მოწაფეები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, თომას, როგორც გადმოცემა გვიამბობს, პართია ხვდა წილად, ანდრიას - სკვითია, იოანეს - აზია..." (გეორგიკა, 1961: 29-30).

III ს. დასასრულისა და IV ს. მეორე ნახევრის მოღვაწეებს დიროთეოს ტვირელს და ეპიფანე კვიპრელს ეკუთვნით ცნობა იმის შესახებ, რომ "ანდრია... მივიდა დიდ სებასტოპოლში, სა-

დაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე (პარემბოლე-ჯარის ბანაკ–სამყოფელი) და მდინარე ფაზისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესი ეთიოპნი (კოლხნი)". ეს ცნობა დოროთოეს ტვირელის სახელით დაცულია X ს. ქართულ ხელნაწერებშიც (ინგოროყვა, 1954:223).

სხვა ძეგლებში, სახელდობრ, იერონიმეს თხზულებების დამატებაში, რომელიც IV ს. ავტორს სოფრონის მიეწერება, ნათქვამია: "ანდრიამ, როგორც გადმოგვცეს წინაპრებმა, იქადაგა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფაზისი." ამავე ტექსტში ანდრია პირველწოდებულის თანამოღვაწის მატათას შესახებ ნათქვამია: "მატათამ იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰჯსის ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე (ინგოროყვა, 1954: 223-224).

V ს. მოღვაწე თეოდორიტე კვირელი მიუთითებს: "...მიმოსვლასა შინა წმინდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგება შორის ავაზგიასა, რომელ არს აფხაზეთი და მიერ წარსვლა ოსეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმავლა ჩრდილოეთისა, რომელ არს ქართლი" (ინგოროყვა, 1954:214).

"საეკლესიო ანალების" მიხედვით, "იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპის წმინდა კლიმენტის შემწეობით მიიღო. ეს უკანასკნელი იმ მხარეში გადასახლებაში იყო" (ტაბაღუა, 1984:65-71). იმპერატორი ტრაიანე 98-117 წლებში მმართველობდა, ხოლო პაპი წმ. კლიმენტი ზეობდა 88-97 წლებში.

VIII ს. დასასრულის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, რომელსაც ეკუთვნის "მარიამის ცხოვრება," და "ანდრიას ცხოვრება," წერს: "ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსინები დიდს სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და

ალანები.” აქვე ავტორი განაგრძობს, რომ პენტეკოსტის (ე.ი სულიწმინდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სვიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროსთან; დანარჩენებმა მოიარეს ქალაქები... მათე მოწაფეებითურთ იმ ქვეყნებში ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა, ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში”... (გეორგიკა, 1941:57-58).

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ევსევი კესარიელი ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო საქმიანობის ადგილად ასახელებს სკვითიას, დოროთეოს ტვირელი და ეპიფანე კვიპრელი – დიდ სებასტოპოლისს, აფსარის ციხეს და მდინარე ფაზისს; თეოდორიტე კვირელი-ავაზგიას, აფხაზეთს, ქართლს; “დიდ სებასტოპოლისს, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი” (გეორგიკა, 1961:30). ევსევი კესარიელის მიერ დასახელებულ სკვითიას გარდა, რომელშიც შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე გადაჭიმული ტერიტორია იგულისხმება, ყველა დასახელებული პუნქტი დასავლეთ საქართველოშია. მართალია, ამ ავტორების თხზულებათა ავტოგრაფიულ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ პ. ინგოროყვას აზრით, აქ მოხსენიებული გეოგრაფიული ნომენკლატურა (ჰვსი-სუსარმენე V საუკუნიდან) უდაოს ხდის, რომ მათი დედანი III-IV სს. უნდა ეკუთვნოდეს (ინგოროყვა, 1964:224-225).

ქართულ წერილობით წყაროებში მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ ცნობები, ი. ჯავახიშვილის აზრით, მხოლოდ XI-დან ჩნდება (ჯავახიშვილი, 1979:226). ესაა ჩანართი “ქართლის ცხოვრებაში”, რომელიც XVIII ს დასაწყისში ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიამ შეიტანა, თუმცა იგი თარიღდება X საუკუნით. პ. ინგოროყვას აზრით, ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ უნდა სცოდნოდა გიორგი მერჩულეს, რადგან “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” იგი დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზღვრებად იმ პუნქტებს ასახელებს, რომლებიც იმ გადმოცემაშია დაფიქსირებული (ინგოროყვა, 1954: 221). როგორც იგი ფიქრობს, გადმოცემას მო-

ციქულთა შესახებ იცნობდა აგრეთვე ანონიმი, რომელსაც ეკუთვნის პოემა მიქაელ საბაწმინდელზე (IX ს). მასში ქართლი მოციქულთა წილხვდომილ ქვეყნად არის აღიარებული (ინგოროყვა, 1939:111-119), მაგრამ X საუკუნეზე ადრინდელი ქართული წყარო მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება. ი. ჯავახიშვილის აზრით "პირველად ამ თქმულების შესახებ ქართულსა და ბერძნულ ფართო წრეებში საუბარი და მისი დასაბუთება XI ს. დაუწყიათ. ამის თავგამოდებული მებრძოლი კი გიორგი მთაწმინდელი ყოფილა (ჯავახიშვილი, 1979:226). აქედან გამომდინარე იგი ფიქრობდა, რომ "ამ თქმულებას ქართველთა გაქრისტიანების ისტორიისათვის რეალური მნიშვნელობა არა აქვს" (ჯავახიშვილი, 1979:226).

XI ს-ში ბიზანტიასა და საქართველოში შექმნილი ვითარებისა და ეკლესიათა შორის ურთიერთობების გამწვავების გამო, ბიზანტიაში მოღვაწე ქართველები – გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე და სხვები სისტემატურად იშველიებენ ცნობებს საქართველოში ქრისტეს მოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ. პირველმოციქულთა ქადაგებას საქართველოში აღიარებდნენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები (თ.ბატონიშვილი, პლ.იოსელიანი, დ.ბაქრაძე, მ.ჯანაშვილი და სხვა). გამოქვეყნდა აგრეთვე საინტერესო გამოკვლევები და წერილები (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, კ.კეკელიძე, პ. ინგოროყვა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ა.ჯაფარიძე, ვ.გოილაძე და სხვები). ისტორიული აჭარის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების საკითხებია ასახული ი. ბექირიშვილის, შ. ვარშანიძისა და ს. გოგიტიძის პუბლიკაციებში.

ქრისტიანობის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყნებში და კერძოდ, დასავლეთ საქართველოში იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი ახსნა ერთი რომელიმე ფაქტით, ან პიროვნების მოღვაწეობით, შეუძლებელია. იგი შემზადებული უნდა ყოფილი-

ყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქ-ტორებით.

ძვ.წ. IIს-ში კოლხეთის სამეფო დაეცა. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა პონტოსა და რომს შორის აქ გაბატონებისათვის. ძვ.წ. I საუკუნის 60-იან წლებში ეს ბრძოლა რომის გამარჯვებით დამ-თავრდა.

ჯერ პონტოელთა, ხოლო შემდეგ რომაელთა ბატონობამ მო-შალა ადგილობრივი მმართველობა, რის გამოც ქვეყანა ანარქიამ და ძალმომრეობამ მოიცვა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა. ჯიქები, ჰენიოხები და აქაელები ნელ-ნელა იკავებენ ბარის მიწებს. სტრაბონის ცნობით, ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე ჩამოსახლება დაიწყეს ადიღეურმა ტომებმა-ჯიქებმა და განდევ-ნეს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა- "კერკეტები"(სინ. 970:539). მთებიდან ჩამოსახლებული ტომები მეკობრეობდნენ ზღვაზე, არბევდნენ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებსაც კი. პლინიუსი მიუთითებს, რომ ჰენიოხებმა გაძარცვეს პიტიუნტი (ბიჭვინთა), მისივე ცნობით, დიოსკურიაც (სინ, 1970: 539).

ჩრდილოეთიდან მოზღვავებული ეს ტომები გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესს განიცდიდნენ და შესაბამის გავ-ლენას ახდენდნენ ადგილობრივ, სოციალურად განსხვავებულ მოსახლეობაზე. ამავე პერიოდში უნდა გამოჩენილიყვნენ ცენტრა-ლური კოლხეთის სანაპირო ზოლში სანიგები (დიოსკურიის რაიონში), აბაზგები (მათ სამხრეთით) და აფშილები (კიდევ უფრო სამხრეთით) (სინ, 1970:539). ძვ.წ.-ის II საუკუნიდან ამ ტომ-თა გააქტიურებას ბევრად შეუწყო ხელი იბერიის სამეფოს და-სუსტებამაც, რომლის ხელშიც კოლხეთის მხოლოდ უკიდურესი აღმოსავლეთი რაიონები იყო დარჩენილი.

ცენტრალურ კოლხეთში მთიელი ტომების ჩამოსახლება ხდე-ბოდა სამხრეთიდანაც-სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის მთიანეთიდანაც. ესენი იყვნენ უმეტესწილად დასავლურ–ქართუ-ლი (ჭანური) ტომები, რომლებსაც ტომთა კავშირები ჰქონდათ შექმნილი და არაერთხელ მოუპოვებიათ გამარჯვებები რომაულ

რეგულარულ ნაწილებზეც. რომის იმპერიის ხელისუფლებამ არჩია, იბერიის მსგავსად, კოლხეთთანაც სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო. ახ.წ. II ს-ის 30-იანი წლებისათვის შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან ვიდრე დიოსკურია-სებასტოპოლისამდე, ექვსი ნახევრად დამოუკიდებელი გაერთიანება ჩანს: მაკრონებისა და ჰენიოხების, ძიდრიტების, ლაზების, აფშილების, აბაზგების და სანიგების (კეჭეყმაძე, 1961:42-43).

როგორც ჩანს, ახ.წ. I ს-ის ბოლოსათვის თითქმის დასრულდა მთიელ ტომთა ბარში ჩამოსახლება. გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ ისინი განვითარების დონით ჩამოუვარდებოდნენ ბარის მოსახლეობას, იმყოფებოდნენ პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაში. რომი ცდილობს აქ თავისი გავლენის შენარჩუნებას, რისთვისაც ზღვისპირა ციხეებსა და ქალაქებში (ტრაპეზუნტი, აფსარი, ფაზისი, დისკურია-სებასტოპოლისი) გარნიზონები ჰყავს ჩაყენებული (Леквинадзе, 1969: 185-187). ასე, რომ ახ.წ. I ს-ის ბოლოს ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ვითარება (მთიელ ტომთა ჩამოსახლება და მსხვილ ტომობრივ გაერთიანებათა შექმნა, რომაელთა ბრძოლა აქ გავლენის შენარჩუნებისათვის და ამ მიზნით ციხეებსა და ქალაქებში გარნიზონების ჩაყენება, ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის დამძიმება), რომელმაც ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა აქ ქრისტიანული იდეების გავრცელებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ მხარისადმი რომის იმპერიის გაზრდილმა ინტერესმაც. სოხუმსა და გონიო-აფსაროსის მიდამოებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ საქართველოს ზღვისპირა ცენტრების რომის იმპერიის აღმოსავლურ რეგიონებთან აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე (გრძელიშვილი, 1964: 77-78; ინაიშვილი, 1993:114; ა. აფაქიძე, ო.ლორთქიფანიძე, 1965: 110-114; Голенко, 1965:34; Закарая, Леквинадзе, 1966:120-135). ქრისტიანული იდეების აქ გავრცელებას ხელს უწყობდა აგრეთვე ციხეებსა და ქალაქებში ჩაყენებული რომაული გარნიზონებიც, რომელთა ძირითად კონტინგენტს მცი-

რეაზიელები შეადგენდნენ. მცირე აზია კი ამ დროს რომის იმპერიის ის რეგიონია, სადაც ჩაისახა და გავრცელდა ქრისტიანული იდეები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ტერიტორიებიდან წამოყვანილ ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ნაზიარები იყო ქრისტიანულ იდეებს.

წმ. ანდრია პირველწოდებული

წმ. მატათა (მათე)

ასეთ პირობებში გამოჩნდნენ საქართველოს, კერძოდ, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები – ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა და სხვ. მოციქულების შემოსვლას კოლხეთში ქართული წყაროებიდან ეხება "ქართლის ცხოვრების" ერთი ჩანართი, რომლის მიხედვით ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად ეწვია ჯერ ტრაპიზონის მხარეს, შემდეგ "ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების". "ქართლის ცხოვრებაში" ეს ამბავი ასეა აღწერილი: "დაიწყო ქადაგებად სახარებისა, რამეთუ კაცნი პირუტყუთა უუგნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა, ყოველსა საძაგელსა და არაწმინდასა წესსა აღასრულებდეს, რომელი სათქმელადაცა უჯერო

არს. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესაც დაუწყუედელად აღმოსდის... და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდგა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა. აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისასა" (ქცა–,1955:39). შემდეგ მოციქულები სამცხეს გადასულან და ღვთისმშობლის ხატი ანდრია პირველწოდებულს აწყურში დაუსვენებია, ქადაგებასთან ერთად მრავალი სასწაულიც მოუხდენიათ, მესხები ქრისტეს რჯულზე მოუქცევიათ, აქვე ანდრიამ მათ "დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი (ქცა–, 1955: 40). ამის შემდეგ მოციქულები ყოფილან ტაოში, კლარჯეთში, გადასულან დასავლეთ საქართველოში, მოუქცევიათ მეგრელნი, სვანნი, და შესულან აფხაზეთს. აქ ანდრია პირველწოდებულს სვიმონ კანანელი მხლებლებითურთ დაუტოვებია და თვითონ ჯიქეთს გადასულა საქადაგებლად. მაგრამ ჯიქებს სახარება არ მიუღიათ, მოციქული ძლივს გადარჩენია სიკვდილს და აფხაზეთს დაბრუნებულა. სვიმონ კანანელი აქვე გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ ანაკოფიაში. ქართული ეროვნული წერილობითი ტრადიციის შესაბამის ამ მონათხრობში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ჯიქებმა არ მიიღეს სახარება და მოციქული ძლივს გადაურჩა სიკვდილს: "ხოლო კაცნი მის ქუეყნისანი ჯიქნი, იყვნენ კაცნი ფიცხელნი გულისა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრდილნი, ურწმუნონი და უძღები. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკვლა მისი" (ქცა–, 1955: 48). აქ აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანობის ქადაგება, მისი იდეების მიღება-არმიღება ამა თუ იმ ხალხის მიერ, არაიმდენად მოციქულებზე იყო დამოკიდებული, რამდენადაც ამ

ქვეყნებსა, თუ მხარეებში არსებულ ვითარებაზე, იქ შექმნილ სიტუაციაზე. მთიან ჯიქეთში თემური წყობილების პირობებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ქრისტიანული იდეები ახლობელი და მისაღები არ აღმოჩნდა, ხოლო ბარის კოლხეთში, სადაც კლასობრივი საზოგადოებაა ფორმირებული, ქრისტიანული იდეები და შეხედულებები უფრო მახლობელი და მისაღები აღმოჩნდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ვირწმუნოთ, რომ მოციქულებს მართლაც უმოგზაურიათ კოლხეთში და უქადაგიათ ქრისტიანული იდეები. როგორც აკად. კ.წერეთელი ფიქრობს, დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების კიდევ ერთი არხი შეიძლება ყოფილიყო, ახ.წ. I საუკუნის ბოლოს ებრაელთა ახალი მასობრივი მიგრაცია სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. იგი წერს, რომ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი შემოსვლა საქართველოში ებრაელებისა და მათი აქ დასახლება ახ.წ. I საუკუნეში უნდა მომხდარიყო, რომის იმპერატორ ვესპასიანეს დროს, ტიტუსის მიერ იერუსალიმის აღებისა და ტაძრის დანგრევის შემდეგ ახ.წ.-ის 70 წ. (წერეთელი, 1995). ასე, რომ პირველი საუკუნის ბოლოდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება, ქრისტეს პირველმოციქულთა მოგზაურობა და მისიონერული მოღვაწეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ რით უნდა ავხსნათ ქართული წყაროების დუმილი აქ ქრისტიანობის მოციქულთაგან ქადაგების შესახებ მაშინ, როცა ამის შესახებ გვაქვს III-IV სს. უცხოური წერილობითი წყაროები.

IV ს-ის დასაწყისიდან, როცა ქრისტიანობა რომის იმპერიაში უფლებრივად ჯერ სხვა რელიგიებს გაუტოლდა (311-313 წწ), ხოლო ნიკეის 325 წლის საეკლესიო კრებაზე იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, იმპერიის ხელისუფლებაც და ეკლესიაც დაინტერესებულნი იყვნენ ქრისტიანობის სხვა ქვეყნებშიც გავრცელებით, რაც იმპერიის გავლენის სფეროს გაფართოებას შეუწყობდა ხელს. იმპერია შინაგან ტკივილებთან ერთად (პრო-

ვინციების აჯანყებები), ბარბაროსი ტომების თავდასხმების მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო. ასეთ პირობებში იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ამიტომ გასაგებია, რომ სწორედ ბერძენ და რომაელ მემატიანეებთან ვხვდებით პირველ ცნობებს ქართველთა მოქცევის შესახებ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ დარჩა მოციქულთა საქართველოში ქადაგების ამბავი ადრეული ქართველი მემატიანეების ყურადღების მიღმა?

IV ს-ის დასაწყისიდან რომის იმპერიის გაყოფა დამთავრდა. 330 წლიდან, კონსტანტინეს ქალაქი (კონსტანტინეპოლი) ფაქტიურად აღმოსავლეთ რომის იმპერიის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ცენტრად იქცა. იმპერია ამ დროს მართალია, საგრძნობ ზეწოლას განიცდის ირანელებისა და ბარბაროსი გუთებისაგან, მაგრამ ცდილობს თავისი გავლენა შეინარჩუნოს მახლობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ლაზიკაში; მან შეიცვალა ამ ქვეყნისადმი დამოკიდებულება. "ბიზანტიის ხელისუფლებას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალზე უფრო, ძლიერი მოკავშირე ესაჭიროება და იგი იძულებულია არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელიც შეუწყოს და მხარი დაუჭიროს (ლომოური, 1968:74).

IVს-ის მეორე ნახევრიდან ლაზიკა (ეგრისი) გაძლიერდა და მის საზღვრებში მთელი დასავლეთ საქართველო მოექცა. მისი მეფის ვასალური დამოკიდებულება ბიზანტიისადმი იმაში გამოიხატებოდა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს (პროკოპი კესარიელი, 1961:72).

ბიზანტია-ეგრისის ასეთი დამოკიდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა. Vს-ის მეორე ნახევრიდან ბიზანტია ცვლის თავის დამოკიდებულებას ეგრისთან, იგი აქტიურდება, რასაც VI საუკუნეში მოჰყვა ეგრისელთა ხანგრძლივი ბრძოლა როგორც ბიზანტიელების, ისე ირანელების წინააღმდეგ, VII საუკუნეში კი

ეგრისის დაქუცმაცება-დანაწევრება, მისგან აფხაზეთის ჩამოცილება და უშუალოდ ბიზანტიის გამგებლობაში მოქცევა.

ასეთ სიტუაციაში, ქართველი მემატიანეები, როგორც ჩანს, შეეცადნენ დუმილით აევლოთ გვერდი ქრისტეს მოციქულთა დასავლეთ საქართველოში სამისიონერო საქმიანობისათვის, რადგან საეკლესიო სამართლის ნორმებით ბერძნულ ეკლესიას ეძლეოდა უფლება მოციქულთა მიერ მოქცეული ქვეყნების საეკლესიო ცხოვრებაში ჩარევისა (ბექირიშვილი, 1991:29). 357 წლიდან კი, როცა იმპერატორმა კონსტანტინემ ანდრია პირველწოდებულის ნეშტი კონსტანტინეპოლში გადაასვენა, იგი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პატრონად ითვლებოდა. თუ დასავლეთ საქართველო ანდრია პირველწოდებულის მიერ მოქცეულად იქნებოდა აღიარებული, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ჩაერეოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეებში. როგორც ჩანს, ქვეყნის პოლიტიკურმა ინტერესებმა ჩრდილში მოაქცია წმინდა საეკლესიო ინტერესები. ასევე იყო, როცა ქართლის ეკლესია ერთხანს თავის განმანათლებლად წმინდა გრიგოლს თვლიდა და არა ნინოს (ჯავახიშვილი, 1979:251). ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ქართული წერილობითი წყაროების დუმილი დასავლეთ საქართველოში ანდრია პირველწოდებულისა და მისი თანამოღვაწეების სამისიონერო საქმიანობის შესახებ. მაგრამ ქართული წერილობითი წყაროების დამოკიდებულება IX-X სს. შეიცვალა. ამასთან, ამ პერიოდში ბერძნულ ენაზე დაიწერა თხზულება, რომელშიც პირველმოციქულთა სამისიონერო საქმიანობაა აღწერილი. სწორედ ამ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა პირველი ცნობები პირველმოციქულთა საქართველოში ქადაგების შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შედეგად (არაბთა საფრთხის შესუსტება, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება, ახალი სამეურნეო, ადმინისტრაციული

და კულტურული ცენტრების გაჩენა) ჩნდება ახალ საფუძველზე მოწყობილი სამეფო-სამთავროები. ეს გარემოება ხელს უწყობდა ქვეყნის ცალკეული მხარეების (კახეთი, ჰერეთი, ეგრის-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი) დაწინაურებას, მათი მატერიალური თუ სულიერი რეზერვების წარმოჩენას, ადგილობრივი ეკონომიკური და კულტურული ცენტრების აღმშენებლობა-დაწინაურებას და სამომავლოდ ქვეყნის ძლიერების მტკიცე საძირკველის შექმნას. ქვეყნის მშვიდობიან შესვენებას მოჰყვა მისი ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებაც. იზრდება და მშვენდება ქალაქები, ფართოდ იშლება საეკლესიო–სამონასტრო მშენებლობა. ვითარდება მეცნიერება, მწერლობა, იწყება ბრძოლა ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით დასავლეთ საქართველომ ნაკლებად განიცადა არაბთა ბატონობის დამანგრეველი ზემოქმედება. ეს განსაკუთრებით აფხაზეთზე ითქმის, რომელმაც თავისი გავლენა ჯერ მთელ დასავლეთ საქართველოზე გაავრცელა, შემდეგ კი, ხაზართა მხარდაჭერით, ბიზანტიის უღლისაგანაც განთავისუფლდა. ამაში მას ხელი შეუწყო ბიზანტიაში განვითარებულმა მოვლენებმაც. მემატიანის სიტყვით "რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი, ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრო აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისა ჯუანშერცა მიიცვალა" (ქცა–, 1955:251).

აი, ასეთ დროს, ბიზანტიისათვის აუცილებელი გახდა შეეხსენებინა ყველასათვის, რომ ქართველები პირველმოციქულთა მიერ მოქცეული ხალხია, მით უმეტეს, რომ ეგრის-აფხაზეთის

სამეფომ მას შემდეგ, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიიღო დაიწყო ბრძოლა ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის – დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან გამოსაყოფად. შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს, ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომიც (IX ს. დასაწყისი) "მოსახსენებელი მიმოსვლისათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრიასი". საქართველოში განვითარებული მოვლენების შუქზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველებისათვისაც ახლა ხელსაყრელი ჩანდა უცხოურ წყაროებში ადრე გაჩენილი ცნობების "გახსენება" პირველმოციქულთა მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ. ახალ პირობებში ქართული საზოგადოებრივი აზრი, გამოღვიძებული ეროვნული თვითშეგნებით შთაგონებული ქართული მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა ცდილობდა მხარი გაესწორებინა ბიზანტიურისათვის, ხოლო "ქება და დიდება ქართული ენისაი" ქართულ ენას ბერძნულზე მაღლაც კი აყენებდა, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სომხურ და ქართულ ეკლესიათა გათიშვის შემდეგ აუცილებელი გახდა იმ იდეის განმტკიცება, რომლის მიხედვითაც ქართველებსა და სომხებს სხვადასხვა განმანათლებლები ჰყავდათ, რომ ქართველთა მოქცევა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე სომხებისა; ასეთ ვითარებაში ქართულ ისტორიოგრაფიასაც თავისი პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა. გაჩნდა ცნობა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, რომელიც შემდეგ "ქართლის ცხოვრებაში" შევიდა ჩანართის სახით.

მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა (IX ს. პირველი ნახევარი), დღის წესრიგში დადგა მისი ავტოკეფალურობის კანონიერების დასაბუთებაც. საეკლესიო კანონმდებლობის მიხედვით, იმ ეკლესიების ავტოკეფალურობა მიიჩნეოდა კანონიერად, რომელთა მრევლიც პირველმოციქულთა მიერ იყო მოქცეული. ასე, რომ X ს-ში გაერთიანების გზაზე შემდგარი საქართველოს ინტერესებისათვის აუცილებელი ჩანს ქრისტეს პირველმოციქულთა მიერ ქართველ-

თა მოქცევის დასაბუთება, რაც აისახა კიდეც მხატვრულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში. რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ქართული წყაროები IX-Xსს-მდე არაფერს ამბობენ პირველმოციქულთა მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ, არ ამცირებს III-IV საუკუნეებისა და მომდევნო ხანის უცხოელი ავტორების ცნობათა ღირებულებას. ამდენად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ახ.წ. I-II სს-ში დასავლეთ საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ქმნიდა პირობებს, რომ აქ ქრისტიანული იდეები ექადაგათ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ ვითარდება მოვლენები ისტორიული აჭარის ტერიტორიაზეც. აქ ქრისტიანობის გავრცელების ორი მთავარი მარშრუტი იკვეთება. პირველი, ზღვისპირის გავლით (ტრაპიზონი-გონიო-აფსაროსი-ფაზისი...) და, მეორე, ტრაპიზონი-დიდაჭარა-სამცხე...

ზღვისპირა რაიონების მჭიდრო ურთიერთობა მცირეაზიურ სამყაროსთან, დასტურდება როგორც წერილობითი, ისე არქეოლოგიური წყაროებით. ქრისტიანობა აქ დაახლოებით სირია-პალესტინაში გავრცელების პერიოდიდან უნდა იკიდებდეს ფეხს. მთიან აჭარაში კი სხვა ვითარება იყო, სადაც "ქართლის ცხოვრების" ჩანართის მიხედვით, მოციქულმა "მრავალნი ჭირი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან... ვიდრემდის ყოველივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად". შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ არსებული ვითარება წყაროში შეგნებულადაცაა გამძაფრებული და დამძიმებული, პირველმოციქულთა დამსახურების კიდევ უფრო მეტად წარმოჩენის მიზნით. მარშრუტი კი, რითაც მოციქულებს უნდა ესარგებლათ, შეიძლებოდა ყოფილიყო აჭარისწყლის და ჭოროხის ხეობები (ბერძენიშვილი, 1966:10-12; სიხარულიძე, 1962; ვარშანიძე, 1979).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ისტორიული აჭარისათვის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

ბოლო დრომდე ისტორიოგრაფიაში გაზიარებული იყო აზრი, რომ ეგრისში, რომლის საზღვრებშიც შედიოდა ისტორიული აჭარის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად VI ს-ის 20-იან წლებში, კერძოდ 523 წელს გამოცხადდა. ამას ასაბუთებდნენ ერთი მხრივ, VIII-IX სს. ბიზანტიელი ქრონისტის თეოფანე ჟამთაღმწერლის ცნობით, - 523 წელს ეგრისის მეფის წათეს სპარსელებისაგან განდგომის, კონსტანტინეპოლში ჩასვლისა და ქრისტიანულად მონათვლის შესახებ (თეოფანე, 1941: 77-78), ხოლო მეორე მხრივ, იმდროინდელი ეგრისის პოლიტიკური ვითარების ანალიზით, რომ თითქოს, ეგრისის მეფეები ანტირომაული განწყობილების გამო აყოვნებდნენ ამ პროცესს (ჯანაშია, 1987:95). მათი მტკიცებით, ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილე ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე-წარმომავლობით ბერძენი, ბიჭვინთის ბერძნულენოვანი კოლონიის ეპისკოპოსი იყო და არა ადგილობრივი მოსახლეობის (მრევლის) მოძღვარი და საეკლესიო წინამძღოლი (ჯავახიშვილი, 1979:229-235; ბერძენიშვილი, ჯანაშია... 1946: 112-113; კეკელიძე, 1955:16-22).

ჯერ კიდევ XX ს. 10-იან წლებში ცნობილმა ისტორიკოსმა ს. გორგაძემ ამ მოვლენის შესახებ განსხვავებული აზრი გამოთქვა. იგი თვლიდა, რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში იმარჯვებს, თუ უფრო ადრე არა, იმავე წლებში მაინც, როცა იბერიაში, კერძოდ IV ს-ის პირველ ნახევარში. ასევე, გასული საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს ამ აზრს ასაბუთებდა ს. ყაუხჩიშვილიც. მისი მტკიცებით 325 წლის ნეკეის საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობა მანიშნებელია იმისა,

რომ იმ დროისათვის იქ ძლიერი ქრისტიანული ორგანიზაცია არსებობდა და მასში ბერძნებთან ერთად ადგილიბრივი მოსახლეობაც იქნებოდა გაერთიანებული. ამასთან, მისი აზრით, ბიჭვინთის ეპისკოპოსის ბერძნული სახელი "სტრატოფილე" სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ბერძენი იყო. ამ დროს, ბერძნულ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის გამო, საქართველოში ბერძნული სახელები საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარი მიუთითებს, რომ IV-V სს-ში ბიჭვინთაში აგებული ტაძრის მოზაიკურ წარწერაში ქტიტორად მოხსენიებულია ქართველი წარჩინებული "ორელი" (ყაუხჩიშვილი, 1948: 42; გეორგიკა, 1961:6-10). ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნეში გამოცხადების შესახებ მოსაზრებას მრავალი საინტერესო მასალის მოშველიებით ასაბუთებს ნ. ლომოურიც (ლომოური, 1968:42; სინ, 1973: 187-188). ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს სხვადასხვა ისტორიული მასალის გამოყენებით კიდევ უფრო აზუსტებს ვ. გოილაძე. იგი თვლის, რომ ეგრისში ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა ქართლის თანადროულად 318 წლის ახლოს არა უგვიანეს 325 წლის ივლისამდე, კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის ლეონტის გადაყენებამდე (გოილაძე, 1991:112-132). იგი V ს-ის სომეხი ისტორიკოსის აგათანგელოსის "გრიგოლ პართელის ცხოვრებაში" მოტანილი ცნობების საფუძველზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას ეგრისის ეკლესიის პირველი ეპისკოპოსის ვინაობის (იბერ-ბ-ზ-ხუა-იბერის ძე) და მისი რეზიდენციის შესახებ (ეგრისის დედაქალაქი ციხე-გოჯი, ძველი არქეოპოლისი – ახლანდელი ნოქალაქევი).

ამჯერად, ქართულ ისტოგიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლის თანადროულად, IV საუკუნის 20-იან წლებში–326 წელს.

ქართლსა და ეგრისში ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება შედეგი იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისა, რასაც ადგილი ჰქონდა აქ ახ.წ. პირველ საუკუნეებში. სამართლიანად მიუთითებს ა.ბოგვერაძე, რომ "ევროპის რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართლის გაქრისტიანება კლასთა წარმოქმნის პროცესის დაწყების მაუწყებელი კი არ ყოფილა ჩვენში, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში მომხდარი იმ ცვლილებების შედეგი იყო, რომელმაც იდეოლოგიისა და კულტურის სფეროში მომხდარ ძირფესვიან გარდაქმნაში იჩინა თავი. თავის მხრივ, ქრისტიანობამ დიდი სამსახური გაუწია ახალ ფეოდალურ წყობილებას, რომლის შემდგომი წინსვლის საჭიროებამ განსაზღვრა მისი ოფიციალურ კულტად მიღების მიზანშეწონილება (ბოგვერაძე, 1979:8). ეს ვრცელდება ქართლისა და ეგრისის საზღვრებში მდებარე აჭარაზეც.

ამაზე მიგვანიშნებს შესაბამისი არქეოლოგიური მონაცემები აჭარის ბარის ზონიდან (ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო), ეკლესიის ნაშთები ქრისტიანული სიმბოლიკით (გემიანი ბეჭედი თევზების გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება და ქრისტიანული შინაარსის გრაფიტო ამფორებზე), რომლებიც ახ.წ. IV ს-ით თარიღდება (ინაიშვილი, 1993:140). მართალია, ამ პერიოდის მთიან აჭარაში ადრეული ქრისტიანობის შესახებ მსგავსი მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს უფრო ამ რეგიონის ნაკლები შესწავლილობით აიხსნება. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზღვისპირა ცენტრებთან ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებს უძველესი დროიდან ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ და ფაქტიურად, ერთ ეკონომიკურ და კულტურულ არეალში თავსდებიან (ა. კახიძე, შ. მამულაძე, 1993:81-82; მამულაძე, 1993:177; ვარშანიძე, 1994: 40-42). ამდენად, ბარის აჭარაში მოპოვებული მასალების მიხედვით გაკეთებული დასკვნები მთიან აჭარაზეც შეიძლება გავავრცელოთ. მითუმეტეს, რომ ამას მხარს უჭერს აქ დაფიქ-

სირებული ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური, ონომასტიკური, ქრისტიანული საკულტო და სხვა სახის მასალები (ბექირიშვილი, 1991: 88-118; ქამადაძე, 1992; სიხარულიძე, 1958).

ქრისტიანული ეკლესია აჭარაში

ქრისტიანობის გავრცელებას და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ეგრისში (I-IVსს) თან მოჰყვა ცვლილებანი საეკლესიო მშენებლობაში, მთელ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ მხრივ გამონაკლისი არც აჭარა ყოფილა, განსაკუთრებით მისი ბარის ნაწილი (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი, ქ. ბათუმის შემოგარენი, გონიო), სადაც ადრეული ხანიდან შენდებოდა სამლოცველოები, ტაძრები.

1962-1965 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ციხისძირში არსებობდა უძველესი ნამოსახლარი, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა ქალაქი პეტრა. ნამოსახლარი შეიცავს გვიანბრინჯაო-ადრეშუასაუკუნეების ხანის კულტურულ ფენებს (ა. ინაიშვილი, 1974: 102-153).

ამასთან, ყურადღებას იქცევს ბორცვზე აგებული ციხე-სიმაგრე და მის შიგნით განლაგებული ნაგებობა, რომელიც მიჩნეულია პეტრას შიდაციხედ (Мелитаури,1971:161; Леквинадзе, 1973:138). სწორედ აქ, შიდაციხის ცენტრში, აღმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XIV საუკუნეებით დათარიღდა. დადგინდა, რომ ამ ადგილზე უფრო ადრე სამნავიანი ბაზილიკა არსებობდა, რომლის შემდეგ აშენდა აქ ეკლესია (ინაიშვილი, 1974: 130-132). ტაძრის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ქვებით, ხოლო აფსიდა გარედან მოპირკეთებული ყოფილა თანაბარი ზომის თლილი ქვებით. ნაგებობა, როგორც ჩანს, გადახურული იყო კრამიტით, კოჭებისა და ნივნივებისაგან შექმნილ კონსტრუქციაზე (ინაიშვილი, 1974:176). იგი VI საუკუნით

თარიღდება და მას პეტრას საკათედრო ტაძრად მიიჩნევენ (ინაიშვილი, 1974:135-138; Леквинадзе, 1973:139; Мелитаури, 1971:17-18).

პეტრას საეპისკოპოსოს ნაშთი (VI ს.)

სამნავიანი ბაზილიკის სამხრეთი ნავის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ძველი ნაგებობის კედლები, რომლის ნანგრევებზეც დგას ზემოთაღწერილი სამნავიანი ბაზილიკა (ინაიშვილი, 1974:133-134). შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული საკულტო ნაგებობის არსებობა აქ ადრე თუ არა, V ს-ში მაინც უნდა ვივარაუდოთ.

ამ დროს, ქალაქი პეტრა გაშლილი ყოფილა აკროპოლიდან ჩრდილოეთით, სადაც ქალაქის ცალკეულ უბნებს ჰქონიათ თავიანთი სამლოცველოები (ინაიშვილი, 1974:147). აქვე გამოვლენილია მოზაიკის ფრაგმენტი ორნამენტებით და ბერძნული წარწერით: "უფალო შემეწიე" (თავამაიშვილი, ინაიშვილი 1988:8). ეს ფაქტი ქრისტიანული სამლოცველოს არსებობას აქ სავარაუდოს ხდის IV საუკუნისათვის.

ციხისძირში მოძიებული ეკლესიების ნაშთები, სამარხებში და კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნივთები ქრისტიანული სიმ-

ბოლიკით (გემიანი ბეჭედი თევზების გამოსახულებით, ჯვრის გამოსახულება და ქრისტიანული შინაარსის გრაფიტო ამფორებზე) მიუთითებენ, რომ ციხისძირი-პეტრა ახ.წ.-ის III-დან მნიშვნელოვანი დასახლება იყო, რომლის მოსახლეობაც IV საუკუნიდან ქრისტიანობას ეზიარა. იგი აგებს ეკლესიებს და ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს მცირეაზიურ და ბიზანტიურ სამყაროსთან.

III-V საუკუნეების ციხისძირ-პეტრას შესახებ გაგვაჩნია მხოლოდ არქეოლოგიური მასალები, მაგრამ VI შუა ხანების პეტრას საეკლესიო ცხოვრების შესახებ საინტერესოა ერთი წერილობითი წყარო, რომელიც შესულია თ.ჟორდანიას "ქრონიკებში." წყარო გვამცნობს, რომ პეტრას ეპისკოპოსი 553 წ. მონაწილეობდა V მსოფლიო საეკლესიო (კონსტანტინოპოლის მეორე) კრების მუშაობაში. კრების მოწვევა დაკავშირებული იყო ბიზანტიის იმპერიაში მონოფოზიტებსა და დიოფოზიტებს შორის შეურიგებელ ბრძოლასთან. იმპერატორი იუსტინიანე (527-565 წწ) მხარს უჭერდა დოფიზიტებს და ახლა სურდა მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით საბოლოოდ გადაეჭრა ეს პრობლემა. კრებაზე მიიწვიეს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ავტორიტეტული საეკლესიო ცენტრების წარმომადგენლები. იმპერატორი ცდილობდა კრებაზე მრავლად ყოფილიყვნენ დასავლეთის ეკლესიის წარმომადგენლები, მაგრამ ეს არ მოხერხდა და უმრავლესობას აღმოსავლელი ეპისკოპოსები შეადგენდნენ. რომის პაპი კრებას არ დასწრებია (Кулаковский, 1912: 256). კრების მასალებში დაცული ცნობებით, საქართველოდან ჩასულ ეპისკოპოსთა შორის იყო პეტრონის, ანუ როგორც თ. ჟორდანია შენიშნავს, აწინდელი ციხისძირის, ეპისკოპოსი იოანე (ბერძენიშვილი, 1969: 179).

ამ ცნობიდან ირკვევა, რომ 553 წლისათვის პეტრაში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა და მისი მესაჭე ესწრებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებას, რაც იმის დასტურია, რომ პეტრას საეპისკოპოსოს არსებობა თუ V საუკუნით არა VI საუკუნის

პირველი ნახევრით მაინც შეიძლება დათარიღდეს. ბუნებრივია, საეპისკოპოსოს გააჩნდა თავისი სამწყსო და მის ირგვლივ არაერთი ეკლესია ფუნქციონირებდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს ბობოყვათისა და ფიჭვნარის ტრიტორიაზე გამოვლენილი ბაზილიკების ნაშთები.

ფიჭვნარში "ნაპურვალას" ანტიკური ხანის სამაროვნის გათხრისას დაფიქსირებულ იქნა ადრეფეოდალური ხანის ფენა. ეს ჩვენთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ ფიჭვნარში კვლავ შეიმჩნევა ცხოვრების გამოცოცხლება. კერძოდ, აქ გამოვლენილ იქნა ქვის ნაგებობათა საძირკველის ნაშთები, რომლებიც ბაზილიკური ტიპის ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს. იგი მდგარა ძველკოლხურ სამაროვანზე. ნაგებობის შიგნით და გარშემო ნაპოვნია ძეგლის თანადროული, ადრექრისტიანული ხანის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა სამკაულები (მძივები, მშვილდსაკინძები, ქამრის ბალთები, რკინისა და ვერცხლის ბეჭდები, მინის გრაფინი და სხვა). აქ რიგითი ორმოსამარხების გარდა მიკვლეულია ე.წ. კენოტაფური სამარხიც, რომელიც 17 ცალი აგურით იყო გადახურული. აგურის ქვეშ იყო ადამიანის ჩონჩხის ნაშთები, რომლებიც გროვად ჩაულაგებიათ. ჩანს, რომ აქ გადმოუსვენებიათ სასულიერო, ან საზოგადოების სხვა მაღალი ფენის წარმომადგენელი.

ამ ნაგებობის საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს აქვე ნაპოვნი მარმარილოს უნიკალური მინიატურული ჯვარი, რომელზედაც ჯვარცმის სცენაა გამოსახული (კახიძე,1976). ნაგებობის საკულტო ხასიათზე უნდა მიუთითებდეს, აგრეთვე ამ უბანზე გამოვლენილი სასარკმელე მინის ფრაგმენტებიც. ასეთ მინას როგორც ჩრდილოეთ, ისე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეული ბაზილიკების გათხრების დროს პოულობენ.

ფიჭვნარში გამოვლენილი ნივთიერი მონაცემები პეტრას საეპისკოპოსოს არსებობას უკავშირდება და ქრონოლოგიურად IV-VI საუკუნეებით თარიღდება (ჩხაიძე,1980:54). ანალოგიური ვითარება სხვაგანაც გვაქვს. 1996 წელს გონიო-აფსაროსის ციხის

ტერიტორიაზე სამხრეთ კარიბჭესთან, აბანოთუბანზე აღმოჩნდა მარმარილოს მოზრდილი ჯვრის ნაშთი, რომელსაც VII საუკუნით ათარიღებენ. ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონში ადრეული ქრისტიანობის ისტორიის შესასწავლად.

გონიო-აფსაროსთან ახლოს, სარფსა და მის შემოგარენში დ. ბაქრაძეს დაუფიქსირებია არაერთი ეკლესია და ეკლესიის ნანგრევი. მისი სიტყვით, "ლაზისტანში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები, თუმცა მათი უმეტესობა დანგრეულია... სარფის ტყეში დგას ერთი თლილი ქვის ეკლესია. მაკრიალში, ზვანბაიას სახლის მახლობლად, მაღლობზე დგას მშვენიერი დიდი გუმბათიანი ტაძარი, ირგვლივ მაღალი გალავანი ავლია... იქვე დგას სვეტებზე შემდგარი ორსართულიანი სამრეკლო... იმავე სოფელში მახსოვს ძველი მომცრო ეკლესია. იქვე მინახავს ტყეში მიმობნეული ნანგრევები სხვა ეკლესიებისა... ქვემოთ კიდევ იყო მოხატული ეკლესია... ორთახოფაში მაღლობზე ეკლესია იდგა. იგი დანგრეულია, მაგრამ საძირკველი ჩანს. დიმიტრეთშიც არის დანგრეული ეკლესიები... ქისის მთებში კლდეზე დგას ეკლესია, რომელსაც ჯიხას ეძახიან ... ლაზისტანის ზოგიერთ ეკლესიასთან არის ქვის საწნახელი და მიწაში ჩაფლული ქვევრები, ხოლო მათ აკლდამებში მიწაში პოულობენ სხვადასხვა საგნებს... ბალუქლის ეკლესიაში ოთხი წლის წინათ ვერცხლის აკვანი იპოვეს, რომელიც ვიღაც ბერძენმა იყიდა (ბაქრაძე,1987:29-30). ასეთივე ცნობებს გვაწვდის მკვლევარი, ბათუმის შემოგარენის შესახებაც:"ბათუმის მიდამოებში, - წერს დ. ბაქრაძე-ბევრი დანგრეული ტაძარია...სარაიას ზემოთ ოთხი ეკლესიაა, ერთი მათგანი ზედ ყოროლისწყლის სათავესთან. იგი კარგა დიდი იყო და გუმბათოვანი... ახლანდელი ბათუმის ახლოს, მაღალ გორაზე, დგას მოზრდილი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით. სამებაში იყო წარწერიანი საფლავის ქვები, მათგან ორი – მარმარილოსი. ერთ მათგანზე ეწერა: "ღმერთო აცხონე მარიამ," მაგრამ ეს ქვები გაზიდეს და საშენად გამოიყენეს, უფრო ახლოს,

ახალშენსა და კვესელაურში არის ეკლესიების ნაშთები (ბაქრაძე, 1987:27).

ამ მონაცემებით ჩანს, თუ რაოდენ ფართოდ ოყო გაშლილი დღევანდელი ლაზეთის და აჭარის ტერიტორიაზე საეკლესიო მშენებლობა და როგორ ჩქეფდა აქ სამონასტრო ცხოვრება.

VI ს. დასაწყისიდან ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. თუ IV და V საუკუნეების მანძილზე იგი ფორმალურად მაინც დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, VI საუკუნის 20-იანი წლებიდან საცილობელ ობიექტად იქცა ორ დიდ სახელმწიფოს – ბიზანტიასა და ირანს შორის. ეგრისი და შესაბამისად მის შემადგენლობაში მყოფი ბარის აჭარის ტერიტორია, ბრძოლების ასპარეზად იქცა. ჯერ კიდევ ბრძოლების დაწყებამდე იმპერატორმა იუსტინიანემ პეტრა, "გარეზღუდისა და სხვა მინაშენების საშუალებით გაამაგრა და გაამშვენიერა". (გეორგიკა,1965:83). პეტრა გახდა ბიზანტიელ სტრატეგოსთა რეზიდენცია და მთავარი შტაბი. იგი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სამხედრო სტრატეგიულ ცენტრს. პეტრა ხელიდან ხელში გადადიოდა და პარტახდებოდა, მაგრამ მისი საეპისკოპოსო კათედრა განაგრძობდა არსებობას. პეტრას საეპისკოპოსოს შემდგომი ბედის შესახებ მსჯელობა შეიძლება საეკლესიო ნუსხებზე (ეკთესისებზე) დაყრდნობით. ეკთესისებში მოთხრობილია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსოებზე, საარქიეპისკოპოსოებსა და სამიტროპოლიტოებზე (გეორგიკა,1952:181-193). ეკთესისების პირველი წყების ნოტიციათაგან უადრესი (VII ნოტაცია) VII ს. თარიღდება, ხოლო უგვიანესი (I ნოტაცია)-820-829 წლებით. ყველა ამ ნოტიციაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ლაზიკის ეპარქიიდან მოხსენიებულია მიტროპოლიტი ლაზიკეში (ფაზისის მიტროპოლია). ეპისკოპოსებიდან კი როდოპოლისის, აბისენის, პეტრას და ძიგანევისა. ავტოკაფალური საარქიეპისკოპოსოები ყოფილა: აფხაზეთში სებასტოპოლის, ხოლო ჯიქეთში-ქერსონის, ბოსპორის და ნიკოფსიის (გეორგიკა, 1952:187). როგორც ვხედავთ, VII ს. ლაზიკა-ეგრისში

ფუნქციონირებდა სებასტოპოლის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო და ფაზისის სამიტროპოლიტო, რომელშიც სხვა სამ საეპისკოპოსოსთან ერთად პეტრას საეპისკოპოსოცაა გაერთიანებული. ჩვენ არ ვიცით, როდის, რომელ წელს შეიქმნა ფაზისის სამიტროპოლიტო. ვიცით, მხოლოდ, რომ პეტრას საეპისკოპოსო VI ს. შუა ხანებშიც ფუნქციონირებდა და მისი ეპისკოპოსი იოვანე მონაწილეობდა 553 წლის V მსოფლიო (კონსტანტინოპოლის II) საეკლესიო კრების მუშაობაში. საქართველოდან კიდევ სამი ეპისკოპოსი აწერს ხელს ამ კრების დადგენილებას. მათგან ფაზისისა და სებასტოპოლის წარმომადგენლებიც ეპისკოპოსის ხარისხში არიან მოხსენიებული. ასე, რომ სებასტოპოლის საეპისკოპოსოს საარქიეპისკოპოსოდ და ფაზისის საეპისკოპოსოს სამიტროპოლიტოდ ამაღლება 553 წლის შემდეგაა სავარაუდო.

წერილობით წყაროებში პეტრას საეპისკოპოსო VII საუკუნის 80-90-იან წლებშიც ჩანს. კერძოდ, 692 წელს კონსტანტინოპოლში შედგა V და VI (680-681 წწ) მსოფლიო საეკლესიო კრებების "გადაწყვეტილებათა შემვსები" საეკლესიო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ და დადგენილებებს ხელს აწერდნენ თეოდორე –"ლაზთა ეპისკოპოსი ფაზისელი" და იოანე-ლაზთა ეპისკოპოსი პეტრელი (Кулаковский, 1915:277-278). იოანე სწორედ პეტრას ეპისკოპოსი უნდა იყოს. ეს კრება იხილავდა დისციპლინარულ საკითხებს. შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ არ მოხერხდა იმპერიაში და მის საზღვრებს გარეთ გავრცელებული მანიქეველობისა და მონოთელიტობის ამოძირკვა. გადაწყდა, ერესების წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკლესიაში წესრიგის განმტკიცებისათვის, ყოველწლიურად მოეწვიათ კრებები ეპარქიების მიხედვით (История..., 1967:43). ასეთი ხასიათის კრებაზე მონაწილედ დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ორი- ფაზისისა და პეტრას ეპისკოპოსები ჩანან, რაც პეტრას საეპისკოპოსოს გავლენასა და ავტორიტეტზე უნდა მიუთითებდეს.

პეტრას საეპისკოპოსოს შემდგომ ბედზე შეიძლება მსჯელობა ეკთესისების მეორე წყების ნოტიციების მიხედვით, რომელთაგან უადრესია X ნოტიცია: იგი 901-907 წლებით თარიღდება. ამ ნოტიციაში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ცენტრთა შორის აღარაა მოხსენიებული ლაზიკის ეპარქია და მასში შემავალი ზოგიერთი ცენტრი. კერძოდ, ფაზისის სამიტროპოლიტო მისი შემადგენელი საეპისკოპოსოებით: როდოპოლისის, აბისენის, პეტრას, ძიგანევის და ჯიქეთის ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთაგან–ნიკოფსიის (გეორგიკა, 1952:185). ამ ნოტიციით დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრთაგან სებასტოპოლის ავტოკაფალური სააერქიეპისკოპოსო კვლავ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმია დაქვემდებარებული.

საეკლესიო ეკთესისებიდან ჩანს, რომ პეტრას საეპისკოპოსო ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალ სხვა საეპისკოპოებთან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულა 820-829 და 901-907 წლებს შორის. ამ ფაქტს უკავშირებენ დასავლეთ საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას (VIII საუკუნის ბოლო). თუმცა ამ მოვლენას სხვადასხვანაირად ათარიღებენ: მ.ლორთქიფანიძე და პ. ინგოროყვა-IX ს. პირველი ნახევრით (სინ, 1973: 422; ინგოროყვა, 1954:244); ნ.ბერძენიშვილი-IX ს. მეორე ნახევრით (ბერძენიშვილი, 1966:193-201); ს.ყაუხჩიშვილი-X ს. დასაწყისით (ყაუხჩიშვილი, 1952:193-201); კ. კეკელიძე-X ს. მეორე ნახევრით (კეკელიძე, 1957:357).

ცხადია, X საუკუნის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) ეკლესია და შესაბამისად პეტრას საეპისკოპოსოში შემავალი სამწყსო აღარ ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. ეს ის დროა, როცა ტაოკლარჯეთსა და საერთოდ ქართულ „ქვეყნებში“ VIII-IX საუკუნეებში ფართოდ გაშლილი თეოლოგიური, სამეცნიერო-ფილოსოფიური და საერთოდ მწიგნობრული საქმიანობა. თარგმნილ

სასულიერო და საერო თხზულებების გვერდით იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც. ამის პარალელურად, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა წინსვლა-განვითარებამ ხელი შეუწყო VIII-IX საუკუნეებში წარმოშობილ სამეფო-სამთავროებში გამაერთიანებელი მოძრაობის ტენდენციების გაჩენას. მის გაძლიერებას განაპირობებდა ამ პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობის მაღალი ეროვნული თვითშეგნება და მისი დიდი ნაწილის რელიგიურ-კულტურული ერთიანობა.

ამ დროის ადმინისტრაციულ ერთეულ „აჭარაში“, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, წერილობითი წყაროებისა (ლეონტი მროველი, კონსტანტინე პორფიროგენეტი...) და ბოლო პერიოდის გამოკვლევების მიხედვით, იგულისხმებოდა აჭარისწყლის ხეობისა და ბათუმ-ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიები (მუსხელიშვილი, 2003, გვ. 103).

იგი ადრეშუასაუკუნეებში ორი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული: ზღვისპირა ტერიტორიები (ბათუმ-ქობულეთის მხარე) ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, (ქც, 1973, გვ. 789), ხოლო შიდამთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა) – „ქართველთა სამეფოს“ შემადგენლობაში (სინ, 1973, გვ. 418).

IX საუკუნის დასაწყისს ეგრის-აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით – ბიზანტიის ვასალობიდან განთავისუფლებული შეხვდა. მალე განთავისუფლდა მისი ეკლესიაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულებისაგან (დიასამიძე, 2001, გვ. 218-219). ამ დროს აჭარის ზღვისპირა მოსახლეობა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა, ხოლო შიდამთიანი აჭარისა – ანჩის საეპისკოპოსოში (სიხარულიძე, №9, 1996).

სამეფო-სამთავროთა ტერიტორიების გაფართოებისათვის ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიის პოზიციას, თუ ვის მიემხრობოდა ის. მართალია, კახეთი, ჰერეთი, „ქართველთა სამეფო“ ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდ-

ნენ, მაგრამ მათი საეკლესიო ეპარქიები მცხეთას, მის კათა-
ლიკოსს ექვემდებარებოდნენ. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა
ჰქონდა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ერთეულს დაუჭერდა
მხარს მცხეთის საკათალიკოსო. ასეთივე დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა მცხეთის პოზიციას ეგრის-აფხაზეთის საერო ხელისუფ-
ლებისთვისაც. ასეთ პირობებში ეგრის-აფხაზეთის ხელისუფ-
ლება გაითვალისწინებდა მცხეთის ეკლესიის დაინტერესებას
ეგრის-აფხაზეთის ეკლესიით და დათანხმდებოდა მას მისი
იურისდიქციის გავრცელებაზე ამ უკანასკნელის მიმართ. სწო-
რედ ამას გულისხმობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, როცა წერდა:
„ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს
შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-
იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთები-
სათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პო-
ლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს“ (ბერძენიშვილი,
1966, გვ. 50). ასე, რომ ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება მზად
იყო მისი ეკლესია მცხეთისადმი დაექვემდებარებინა სამეფოს
ტერიტორიის გაფართოებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ. სავა-
რაუდოა, რომ ასეთ გარიგებას ეგრის-აფხაზეთის ეკლესია, მისი
საკათალიკოსო („აფხაზეთის საკათალიკოსო“) მხარს არ დაუ-
ჭერდა, არ ისურვებდა ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის
დაკარგვას. ამიტომ ვფიქრობთ, სწორედ ამასთან უნდა იყოს
დაკავშირებული ძველ საეპისკოპოსთა ცვლა ახალი საეპისკო-
პოსოებით, ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერი საეპისკო-
პოსოებით, რომლებიც მიმდინარეობდა მთელი X საუკუნის
განმავლობაში. გაუქმდა ფაზისის, ვარციხის, ძიღანევის (გუდაყ-
ვის), სებასტოპოლისის, ნიკოფსიის საეკლესიო ცენტრები და
დაარსდა ახალი: ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის, დრანდის, ნიკორწ-
მინდის, ხინოს საეპისკოპოსოები. ამ პროცესს აკად. ნ.ბერ-
ძენიშვილი შემდეგნაირად ხსნიდა: „საეპისკოპოსოების ცვლა ისე
კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი
ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეო-

დალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა, ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც გაჩნდა, ხოლო ძველი, დროწასული და შინაარსსმოკლებული, დაკნინებული - გაუქმდა“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 525).

ამავე პერიოდში გაუქმდა პეტრას საეპისკოპოსოც. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი ძველ საეპისკოპოსოთა ცვლას (გაუქმებას) მათი ბერძნულენოვნებით ხსნის, მაგრამ ეგრის-აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ანალიზით ჩანს, რომ მათი გაუქმების მიზეზი საერო ხელისუფლების მიერ მათ მიმართ ჩაფიქრებული პოლიტიკისადმი დაპირისპირება იყო (დიასამიძე, 1990, გვ. 228). სხვა შემთხვევაში მათი გაუქმება თუ შეცვლა უფრო ადრე, IX საუკუნეში, კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ახლო წლებში უნდა მომხდარიყო და ეს ისტორიულ წყაროებშიც იქნებოდა მინიშნებული.

წყაროებში არ ჩანს პეტრას საეპისკოპოსო რომელმა ახალმა ცენტრმა შეცვალა. ნ.ბერძენიშვილი თვლის, რომ პეტრას შემდეგ ეპარქიის ცენტრი ხინოწმინდა უნდა ყოფილიყო, (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 82) ხოლო ი.სიხარულიძეს მიაჩნია, რომ ხინოს საეპისკოპოსო გვიან – XV საუკუნიდან გაჩნდა, შემოქმედისა და ჯუმათის ეპარქიების შექმნის პარალელურად (სიხარულიძე, 1996). მანამდე ამ ტერიტორიების მოსახლეობა ქუთათელის სამწყსოში შედიოდა (ბერაძე, 2008, გვ. 22).

1989-1990 წლებში ხინოწმინდის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ ეს ძეგლი VIII-IX საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიშნებს ატარებს. ამავე პერიოდით (X-XI საუკუნეები) თარიღდება შენობის სამხრეთის ფასადის შესამკობად გამოყენებული მამაკაცის თავის სკულპტურული ნიმუშებიც. ეს კი მიანიშნებს ამ საკულტო ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ამიტომ დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი, რომ X საუკუნეში პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ

ეპარქიის ცენტრი ხინოწმინდა უნდა ყოფილიყო (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 598; თავამაიშვილი, 2008, გვ. 3-5). ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ხინოს არს ეკლესია გუმბათოვანი კეთილ დიდშენი, კარგს ადგილს, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთისა ჭოროხამდე“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 175.).

IX-X საუკუნეებში სერიოზული ცვლილებები გატარდა აგრეთვე აჭარის მომიჯნავე მხარეების შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიებში. იქ მიმდინარე პროცესები იმდენად საინტერესოა ჩვენთვის, რამდენადაც მიღებულია, რომ შიდამთიანი აჭარის ტერიტორია V საუკუნიდან ჯერ ახიზის, ხოლო IX საუკუნის შუა ხანებიდან – ანჩის ეპარქიაში შედიოდა.

ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონთა საგვარეულო მიწა-წყლის გაყოფის შემდეგ, IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში, ტაოს ბაგრატიონი და არტანუჯელი კლარჯი მმართველებიც აარსებდნენ ახალ ეპარქიებს. ამ დროს შეიქმნა შავშეთში ტბეთის საეპისკოპოსოც (914 წელი). მემატიანე წერს: „აშოტ ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისითა“ (სუმბატ დავითის ძე, 1955, გვ. 380). როგორც ჩანს, X საუკუნის მეორე ნახევარში, სამეფო-სამთავროთა შორის „ქართლსა ზედა“ ბრძოლებისას ყველა პოლიტიკურ ერთეულში საერო ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ მათი პოლიტიკის მხარდამჭერი საეპისკოპოსოების წარმოშობას. ამ დროის პირმშო უნდა იყოს ტბეთის საეპისკოპოსოც, რომლის საზღვრებში შედიოდა მთელი შავშეთი და ზემო აჭარა, რომლებიც ადრე ანჩის საეპისკოპოსოს ექვემდებარებოდა.

შიდამთიანი აჭარა, უძველესი ქრისტიანული მხარე, რომლის ადმინისტრაციულ და რელიგიურ ცენტრს პირველ საუკუნეებში დიდაჭარა წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მას შემდეგ, რაც აღორძინდა და

განვითარდა ტაო-კლარჯეთის მხარე, მეტი მნიშვნელობა მიეცა სხალთის ხეობაზე გამავალ გზას, რომელიც აჭარას, მის ზღვისპირეთს ამ მხარესთან აკავშირებდა. ამან გამოიწვია ადმინისტრაციული ცენტრის დიდაჭარიდან ხიხანს გადაადგილება (მუსხელიშვილი, 2007, გვ. 99). ამ დროს დაწინაურდა აბუსერისძეთა გვარიც, რომლის წარმომადგენლები XI-XIV საუკუნეებში ამ მხარის ერისთავები იყვნენ. ეს მოვლენები ემთხვევა ტბეთის საეპისკოპოსოს წარმოშობის ხანას და, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, X საუკუნის შუა ხანებიდან შიდამთიანი აჭარა ტბეთის ეპარქიაშია შესული.

X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა საქართველოში. საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნას. ბაგრატ III გამეფებით დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამავე ხანებში მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანება მცხეთის საკათალიკოსოს გარშემო, რამაც მოამზადა პირობები პატრიარქის ტიტულისა და სახელოს შემოსაღებად. პირველი პატრიარქი („აღმოსავლეთის პატრიარქი“), რომელიც ამ ტიტულითაა ცნობილი, მელქისედეკ I იყო (ქც, 1955, გვ. 282.).

ამ პერიოდს ემთხვევა აჭარაში აბუსერისძეთა გვარის პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებაც. XI საუკუნის 20-იან წლებში ამ გვარიდან პირველი ერისთავი ფლობს არტანუჯს. „ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა, - ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“ (ქც, 1955, გვ. 293.). ცოტა მოგვიანებით, 1046-1047 წლებში ერისთავ იოვანეს შვილი აბუსერი არის „ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყვერისა ციხისა პატრონი“ (ქც, 1955, გვ. 300).

სწორედ აბუსერისძეთა ფეოდალური საგვარეულოს ოთხსაუკუნოვანი მმართველობის ხანაში გაიშალა ფართოდ კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა აჭარაში, რამაც თავისი შედეგები გამოიღო მომდევნო საუკუნეებში.

ქრისტიანული ეკლესია აჭარაში (XI-XVI საუკუნეები)

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აბუსერისძეთა მმართველობის პერიოდის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას წინ უსწრებდა და მყარ საფუძველს უქმნიდა VIII-X საუკუნეების საქართველოში ფართოდ გაშლილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობის ზრდა-განვითარება X საუკუნეში, რომლის გვირგვინს წარმოადგენდა იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. მასში მწერალმა წარმოაჩინა ქართული ენის განსაკუთრებულობა და გამორჩეული ადგილი მსოფლიო ენათა შორის. ამ საუკუნეებში შეიქმნა მადალი დონის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, როგორიცაა ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. განსაკუთრებულია ამ დროის სასულიერო პოეზია – ჰიმნოგრაფია მიქაელ მოდრეკილის ლექსების სახით. განვითარდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რასაც ხელს უწყობდა როგორც საზღვარგარეთ ქართველთა მიერ დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები (პალესტინაში – საბაწმინდის ლავრა (VI ს), ათონის ივერთა მონასტერი (X ს), ასევე საქართველოს ტერიტორიაზე – ტაო-კლარჯეთში შექმნილი ეკლესია-მონასტრები: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, იშხანი, ოშკი, წყაროსთავი, ბანა და სხვები. ყველაფერმა ამან შეამზადა საფუძველი ისეთი დიდი ქართველი მოღვაწეების წარმოსაჩენად, როგორებიც იყვნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები (ათონი) და ეფრემ მცირე (სირიაში – შავ მთაზე), რომელმაც ქართულად თარგმნა 70-მდე წიგნი (საქართველოს ისტორია, 1980, გვ. 96.). ახალ სიმაღლეზე ავიდა საისტორიო მწერლობა, ფილოლოგია, სამართლის თეორია, განსაკუთრებულად დაწინაურდა ხუროთმოძღვრება. დღესაც აღტაცებას იწვევს ბაგრატ III დროს აგებული ქუთაისისა და ბედიის

დიდებული ტაძრები, მცხეთის სვეტიცხოველი, ნიკორწმინდისა და სამთავისის ქმნილებანი და სხვ.

ასე, რომ X-XI საუკუნეები საქართველოსთვის კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის წლებია. სწორედ ამ პერიოდში გადაინაცვლა შიდამთიანი აჭარის ადმინისტრაციულ-კულტურულმა ცენტრმა დიდაჭარიდან ხიხანში (სხალთისწყლის ხეობა), (მუსხელიშვილი, 2007, გვ. 99) რასაც, როგორც ჩანს, მოყვა ამ ხეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი საქმიანობის გააქტიურება. X-XI საუკუნეებით თარიღდება თიკანაურის, სხალთის მცირე და თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესიები. პირველი ორი დარბაზული ტიპის ნაგებობებია, თხილვანის ეკლესია კი ბაზილიკური ტიპისაა.

დარბაზული ტიპის სამლოცველოები საუკენეთა სიღრმიდან მომდინარე გლეხის საცხოვრებელი სახლის – „დარბაზის“ განვითარებაა. „დარბაზმა“ არსებითი როლი შეასრულა ქართული მონუმენტური საეკლესიო ხუროთმოძღვრების შემუშავების საქმეში. (საქართველოს ისტორია, 2008, გვ. 344). თიკანაურის ეკლესია სხალთისწყლის სანაპიროზე, ხიხაძირიდან 1,5 კმ-ის დაშორებით, შემაღლებულ ტერასაზეა აგებული, რომელსაც მოსახლეობა „ნასაყდრალს“ უწოდებს. ამჟამად საძირკვლის დონემდეა დანგრეული. იგი მცირე ზომის (7,7-5,1 მ) ყოფილა. ტაძრის ეზოში გამოვლენილია ქრისტიანული სამარხები.

სხალთის მცირე დარბაზული ეკლესია ზომით შედარებით დიდია (9,9-6,6 მ). ამჟამად გადარჩენილია საძირკველი და ერთსაფეხურიანი ცოკოლი, აგრეთვე, კედლის წყობის რამდენიმე რიგი (1,5 მ). ტაძარს ეტყობა აღდგენისა და გადაკეთების კვალი. მას ერთი შესასვლელი ჰქონდა სამხრეთიდან, რომელიც მოგვიანებით ამოუქოლავთ და ჩრდილოეთით გაჭრილი კარით შეუცვლიათ, საფიქრებელია, დიდ ტაძართან უშუალოდ დაკავშირების მიზნით (მამულაძე, 2000, გვ. 90).

ამავე პერიოდის დარბაზული ტიპის კიდევ ერთი ეკლესიაა შესწავლილი ღორჯომისწყლის ხეობაში, ხულოდან 15 კმ დაშო-

რებით, რომელიც საციხურის (ჯვართნის) ეკლესიის სახელითაა ცნობილი. ეკლესია აღმართულია ე.წ. ჯვარისქედზე არსებულ ყველაზე შემაღლებულ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ჯვართანს“ უწოდებს. მართალია, ეკლესია დანგრეულია, მაგრამ მისი პერანგშემოცლილი კედლები საკმაოდ კარგადაა დაცული. აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ეკლესიის ირგვლივ დიდი დასახლება ყოფილა, რასაც სამაროვნის სიდიდე, მრავალფენიანობა და კოლექტიურ სამარხთა სიხშირეც ადასტურებს. რამდენად უკავშირდება დარბაზულ ეკლესიათა მშენებლობა აბუსერისძეთა საგვარეულოს მოღვაწეობას, ჩვენთვის ცნობილი არ არის. ერთი კი ცხადია, რომ ამ დროიდან აქ საფუძველი ეყრება დიდ მიღწევებს კულტურულ სფეროში, განსაკუთრებით საკულტო დაწესებულებათა მშენებლობაში. ამის დასტურია XI საუკუნით დათარიღებული თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია, რომელიც არქეოლოგებმა სამეკლესიან ბაზილიკად მიიჩნიეს.

ბაზილიკური მშენებლობის სტილი ერთ-ერთი უძველესია. ამ სტილით აგებდნენ საქართველოში როგორც მცირე ზომის სამლოცველოებს, ისე გრანდიოზული იერით გამორჩეულ ქრისტიანულ ტაძრებს. მაგრამ X საუკუნიდან ძირითადად შეწყდა ამ სტილით ეკლესიების მშენებლობა. ასეთ ეკლესიებს გარედან ჩვეულებრივი ბაზილიკური პროფილი აქვს – მაღალი შუა ნავი ორფერდა გადახურვით, გვერდის ნავები ცალფერდა გადახურვით. შიგნით ნავები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გამოყოფილი, არამედ კედლებით. არსებითად საქმე გვაქვს სამ დამოუკიდებელ სამლოცველოსთან და არა ნავთან. როგორც ზემოთ ითქვა, ამ სტილის ეკლესიაა თხილვანის ეკლესია. შენობის გადარჩენილი ნაწილისა და გათხრებისას გამოვლენილი არქეოლოგიური დეტალების მიხედვით ჩანს, რომ ეს ეკლესია წარმოადგენდა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. როგორც ჩანს, ეკლესია აიგო აბუსერისძეთა

ძლიერების ხანაში (XI საუკუნის პირველი ნახევარი) და შემდეგ იქცა მათ საძვალედ (მამულაძე, ვერულაშვილი, 2008, გვ. 243).

ეკლესიათა მშენებლობა განსაკუთრებით გააქტიურებულა XII საუკუნეში, ქვეყნის საერთო აღმავლობა-გაძლიერების ხანაში. XII საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქვეყანას დავით IV მართავდა, ცხოვრების ყველა სფეროში გატარდა რეფორმები, აღიკვეთა თურქთა თარეში, ქვეყანა აღმშენებლობა-განვითარების გზას დაადგა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურის, განათლების განვითარებას. დავით მეფის უშუალო ინიციატივით გელათის ტაძარში დაარსდა მონასტერი, რომელიც მეფის გადაწყვეტილებით მეორე ათინად უნდა ქცეულიყო. აქ მან თავი მოუყარა სწავლულებს. აქ მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, აქ გაიშალა ფართოდ სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

დავითის დროს აშენდა ცნობილი საგანმანათლებლო ცენტრი შიომღვიმის დიდი მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი მოაზროვნე, მწერალი არსენ იყალთოელი, არსენ საღირისძე, გიორგი ხუცეს-მონაზონი და სხვ. ასე, რომ შიომღვიმე, სხალტბის ქედის ძირს გაშენებული ძველთაძველი ქართული მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-შემოქმედებით ძალებს აერთიანებდა (მენაბდე, ნაკ, I, 1962, გვ. 195). მეფე მფარველობდა და ყოველგვარ პირობებს უქმნიდა უცხოელ კულტურის მოღვაწეებსაც, მათ შორის მაჰმადიან მწერლებსა და მეცნიერებს. მეფე ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე, გზების, ხიდების, ეკლესიების მშენებლობას.

ყველაფერი ეს აისახა აჭარისწყლის ხეობის, ანუ აბუსერისძეთა საგამგეო მხარის ცხოვრებაშიც. უნდა ვივარაუდოთ, რომ აჭარისწყლის ხეობაში გამოვლენილ თაღიან ხიდთაგან უმრავლესობა იმ პერიოდშია აგებული, რადგან სწორედ დავით IV ხანაში მიექცა საგანგებო ყურადღება სავაჭრო-სატრანზიტო გზების შეკეთებას, მდინარეებზე ხიდების აგებას და გზებზე

ფუნდუკების (სასტუმროები) მშენებლობას. აჭარაში დღეისათვის 25 თაღიანი ხიდია აღრიცხული, თუმცა ნაწილი დანგრეულია.

აჭარაში ასეთი ხიდები აგებულია სამი ძირითადი მდინარის – კინტრიშის, აჭარისწყლის, ჭოროხისა და მისი შენაკადის მაჭახელის – წყლის აუზებისა და მათზე გამავალი სავაჭრო-სამიმოსვლო გზებზე, რადგან სწორედ ამ გზებით უკავშირდებოდა აჭარა ამ დროს დაწინაურებულ ტაო-კლარჯეთის და საერთოდ, ისტორიული მესხეთის მხარეებს. აჭარისწყლის ხეობაში დღემდე მოქმედი თაღიანი ხიდები (მახუნცეთის, დანდალოს, ფურტიოს, უჩხოს, ჭვანის) აშკარად აჩვენებს შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის სამიმოსვლო გზების მთავარ მიმართულებებს და ეკონომიკურ-კულტურულ კავშირებს საქართველოს სხვა მხარეებთან. შემთხვევითი არაა, რომ ამ გზებზეა აგებული შედარებით მეტი საფორტიფიკაციო ნაგებობანიც (ხიხანის ციხე, ციხისყელი, ვარდციხე, კავიანის (ხიჭაურის) ციხე, საღორეთის, ცივასულას და სხვა ციხეები).

განსაკუთრებით შესამჩნევია ამ პერიოდში საკულტო ნაგებობების – ეკლესიების მშენებლობა. ბოლო წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და XIX საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მყოფ მოგზაურ-მკვლევართა (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, თ. სახოკია და სხვები) ჩანაწერები ადასტურებენ, რომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელში მოქმედებდა ქრისტიანული სალოცავები. მარტო ზ. ჭიჭინაძის მონაცემებით, აჭარის სოფლებში 100-მდე ეკლესიაა აღრიცხული (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 164-186.), თუმცა ჩვენს დრომდე სრული სახით მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია.

სხალთის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ხულოს რაიონში, სხალთისწყლის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდის მოვაკებულ ტერასაზეა განლაგებული. კომპლექსის მთავარი ნაგებობა შვერილაბსიდიანი დარბაზული ეკლესიაა. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამლოცველო – საძვალე, ე.წ. სხალთის მცირე ეკლესია, ნანგრევების სახითაა მოღ-

წეული, ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვითკირით ნაგები მარანია დაცული. ძეგლის ხუროთმოძღვრება XIII საუკუნით თარიღდება, ხოლო მოხატულობა თარიღდება XIV-XV საუკუნეების მიჯნით (მამულაძე, 2007, გვ. 77). შუა საუკუნეებში ტაძრების ფრესკებით შემკობა დამკვეთის, საერო თუ სასულიერო პირებისა და მხატვართა ამქრის თანამშრომლობით ხდებოდა (ჭიჭილეიშვილი, 2007, გვ. 39). ამდენად, საფიქრებელია, რომ ისე როგორც ტაძრის აგება, მოხატულობაც აბუსერისძეთა მოღვაწეობას, მათ სახელს უნდა უკავშირდებოდეს, რადგანაც XIV საუკუნის მეორე ნახევარში აბუსერისძეთა გვარი კვლავ აღზევებულია. მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ივანე აბუსერისძე საქართველოს ამირს-პასალარია და ეს გვარი მართავდა აჭარის საერისთავოსაც.

სხალთის დიდი დარბაზული ტაძარი შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია აჭარაში. მისი მოხატულობის უმთავრესი იდეა უფლის დაბადებისა და მეორედ მოსვლის თემას უკავშირდება (ჭიჭილეიშვილი, 2007, გვ. 40). მოხატულობის პროგრამა გარკვეულწილად აღიქმება, როგორც ტბელის თხზულების „სასწაული წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ შესავალი ნაწილის ვიზუალური სურათი, რომელიც აღსავსეა ქრისტიანული მრწამსის დოგმატებისა და წმინდანთა მეოხების რწმენით. სხალთის ფერწერულ ანსამბლში გამოხატული თეოლოგიური შეხედულებებისა და საერთო იდეური გადაწყვეტის საფუძველს, როგორც ჩანს, საერთო ეპოქისეული სულისკვეთება, ქტიტორთა მოთხოვნები და აბუსერისძე ტბელის მემკვიდრეობა განსაზღვრავდა (ჭიჭილეიშვილი, 2007, გვ. 41).

X-XIII საუკუნეებით თარიღდება და აბუსერისძეთა კულტურულ მოღვაწეობას უკავშირდება ხიხანის, ვერნების, კალოთის, ვანაძეების (აგარის) და სხვა ეკლესიათა მშენებლობებიც. ამათგან ხიხანის ეკლესიის მშენებლობის შესახებ მოთხრობილია ტბელ აბუსერისძის თხზულებაშიც (აბუსერისძე ტბელი, 1998, გვ. 68). ტბელი წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის შესახებ თხრო-

ბას იწყებს, გვაუწყებს ეკლესიის მშენებლობის დამკვეთებს, იმასაც, ვისი სულის სახსენებლად შენდებოდა ეკლესია. ავტორი წერდა: „მე ... აბუსერისძე ტბელი ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დიოფალთ-დიოფლისა ხათუთაისაი... ძმაი ერისთავთ-ერისთავთა აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა ხელვყავ შენებაი ეკლესიისაი სალოცველად გარდასულთა ჩუენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუენთა". ამის შემდეგ იგი განმარტავს, თუ რატომ ვერ აშენდა აქამდე ეკლესია და ახლა რამ გახადა აუცილებელი მისი აგება: „მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ (მხედველობაშია წინაპრები – ბ.დ.) მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუაი კადნიერმან. და მაიძულა ეკლესიისამ მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ძუელი სახლოვანი დაშლილი იყო" (აბუსერისძე ტბელი, გვ. 69). მწერალი ყურადღების გარეშე არ ტოვებს იმათ დამსახურებასაც, ვინც ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო. „მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდ ჭირი ნახეს, გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელ-ვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაი მუნ შინა მისულთა სალოცავად მჭიდროებისა მათისა ნუგეშინისსაცემლად".

თხზულების ავტორი მოსახსენიებელ პირთა ჩამოთვლისას უაღრესად საინტერესო ინფორმაციასაც იძლევა იმათ შესახებ, ვისაც საღვთო საქმე გაუკეთებია, შესაწირავი გაუცია ეკლესიათა მშენებლობა-შემკობისთვის. ასეთებად ჩამოთვლის: თავის დას ვანენს, „რომელმან ეკლესიაი აღაშენა წმინდისა იოვანე მახარებლისაი და ღმრთისმეტყველისაი, სამკვიდრებელი ჩუენი და აღავსო საწყაული კეთილი"; თავის მეუღლეს ბაგულის, რომელმაც „პაშტაი წააგო საშენსა შინა წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისა"; ძმას აბუსერს, რომელმაც „მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენნა დიდრუანნი: ერთი წმიდისა გრიგოლ პართელისაი და მეორე წმიდისა დიმიტრისი, მესამე წმიდისა გიორგისა, მეოთხე

წმიდისა იოვანე ოქროპირისაი, რომელსა ზედა წმიდაი მოწაფე პროკლე ხატავს სახითა მთავარდიაკონობისაითა მსახურებად მაღლისა მღვდელთმთავრობითისა ჯვარის აღპყრობისა მისისა.“ (აბუსერისძე ტბელი, გვ. 69).

საინტერესო ცნობას გვაწვდის ტბელი საკუთარი თავის შესახებაც, გარდა იმისა, რომ ძმების დავალებით ხელმძღვანელობდა წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობას, იგი გვაუწყებს: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვიდრე ცოცხალი ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიხმარებ და დასაგულებლად განაღამცა.“ ეს ინფორმაცია იმის საფუძველს იძლევა, რომ ვამტკიცოთ ტბელის სასულიერო საქმიანობის შესახებ. ის რომ სასულიერო პირი არ ყოფილიყო, მას „ძლისპირნი და სტიქარონნი“ არ დაჭირდებოდა. ამდენად, გამოთქმული მოსაზრება ტბელის სასულიერო საქმიანობის შესახებ სარწმუნო უნდა იყოს (აბუსერისძე ტბელი, გვ. 69, 87).

აბუსერისძეთა საგვარეულოს უკავშირდება ვერნების ეკლესიის მშენებლობაც. ვერნები ერთ-ერთი უძველესი სოფელი ჩანს სხალთისწყლის ხეობაში. ამაზე მიუთითებს სოფლის ცენტრში (მადიძირი) დაცული ეკლესიის ნანგრევები (კომახიძე, 2001, გვ. 246). 1896 წელს აჭარაში მოგზაურობისას ცნობილმა მკვლევარმა და მოგზაურმა თედო სახოკიამ ვერნების ეკლესიის ნანგრევების დათვალიერებისას ნახა ჩუქურთმებიანი და წარწერებიანი ქვა, რომლის ტექსტი გადაიღო, წასაკითხად და გასაშიფრად გადასცა ცნობილ ისტორიკოსს თ.ჟორდანიას. ტექსტში მოხსენიებული პირების (აბუსერისძეების) შესახებ თ.სახოკია წერდა: „შეიძლება ვერნების წარწერაში მოხსენიებული აბუსერისძენი შემდეგი დროისანი იყვნენ (XIV-XVI საუკუნეები), რომელთაც ჩვენი ისტორია არ იცნობს, და ან სულ უძველესი დროისანი (IX-XI საუკუნეები), რომელნიც ნაკლებად არიან ცნობილი (სახოკია, 1985, გვ. 296).“ 1933 წელს ვერნების წარწერა გადაიღო აკად. გ.ჩიატაიამ და წაიკითხა აბუსერისძეთა ისტორიის მკვლევარმა ლ.მუსხელიშვილმა. ტექსტის შინაარსი ასეთია: „ქრისტე ადიდნენ

ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და აბუსერი და გიორგნი და შვილნი მირიან, გრიგოლ, ქავთარ.“

ლ.მუსხელიშვილი პალეოგრაფიულად ამ წარწერას XII-XIII საუკუნეებით ათარიღებს (მუსხელიშვილი, 1941, გვ. 23), ხოლო ი.სიხარულიძე ტაძარს უფრო ძველ სამლოცველოდ თვლის და XI საუკუნეს მიაკუთვნებს (სიხარულიძე, 1963, გვ. 14-15).

ტბელის დის ვანენის აშენებულად ითვლება თხილვანის იოვანე მახარობლის ეკლესია, აბუსერისძეთა საგვარეულო საძვალე. ამას ტბელ აბუსერისძეც ადასტურებს (აბუსერისძე ტბელი, გვ. 68). ამავე სოფელში ეკლესიის ნანგრვებიდან 50 მეტრის დაშორებით, 1948 წელს აღმოჩნდა ორნამენტებით შემკული დიდი ზომის ქვა წარწერით: „ქრისტე, წმიდაო იოანე მახარობელი დაიცვან სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათნი და მოხაიმნე ექმენ. დღეს იმისა სასჯელისა ნუ დასჯი, ამინ“ (კომახიძე, გვ. 246-247.) საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამ წარწერაში ნახსენები პირებიც თხილვანის ეკლესიის მშენებლობასთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი, რადგან ანდერძის მიხედვით, ვანენია იოვანე მახარობლის სახელობის თხილვანის ეკლესიის აღმშენებელი. მაგრამ ერთმანეთს არ ეთანხმება ტბელის თხზულებაში ნახსენები ვანენისა და აბუსერის ურთიერთობა ეპიგრაფიკულ ძეგლში ნახსენებ ვანენ-აბუსერის ურთიერთობას. კერძოდ, წერილობით ძეგლში და-ძმად ჩანან („დისავე ჩვენისა – ვანენისა“), ეპიგარფიკულ ძეგლში ცოლ-ქმრად („ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დედოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია“). როგორც ჩანს, მოტანილ წყაროებში სხვადასხვა პირებზეა ლაპარაკი. ასეა მიჩნეული დღემდე (ხალვაში, 2006, გვ. 6). აბუსერ II და მისი ძე ზაქარია აბუსერისძეთა მეოთხე-მეხუთე თაობებად არიან აღიარებული. თუ ამ ვარაუდს ვირწმუნებთ, მაშინ დრეს არსებული თხილვანის ეკლესიის ამშენებლად ტბელის დის ვანენის მიჩნევა ეჭვის ქვეშ დგება, რადგან აბუსერ II მოღვაწეობდა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. ასევე განსხვავებუ-

ლია თხილვანის ეკლესიის მშენებლობის დათარიღება (XI საუკუნე) არქეოლოგთა მიერაც (მამულაძე, ვერულაშვილი, გვ. 243). გამოდის, რომ იოვანე მახარობლის ეკლესიად მიჩნეული სალოცავი ადრეული პერიოდისაა (XI საუკუნე), ხოლო ტბელის დის ვანენის მიერ აგებული ეკლესია სხვაგანაა საძიებელი. როგორც ჩანს, საკითხი შემდგომ ძიებასა და დაზუსტებას საჭიროებს.

ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბუსერისძეთა მმართველობის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარისწყლის ხეობაში ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული ძვრები ხდებოდა. შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, ხიდები და ყველა საქმიანიობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ერისთავთ-ერისთავთა დიდი ოჯახის წარმომადგენლები.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველოში მონღოლ-თათართა გაბატონებამ, მძიმე გადასახადებმა, ქვეყნის დაყოფამ, მონღოლთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა იძულებითი მონაწილეობით გამოწვეულმა დიდმა მსხვერპლმა და მატერიალურმა ზარალმა ქვეყანა დააუძლურა და დაასუსტა, დაინგრა და გაპარტახდა სოფლები და ქალაქები, დაინგრა ეკლესია-მონასტრები. მართალია, XIV საუკუნის დასაწყისიდან, გიორგი V მმართველობის პერიოდში (1314-1346 წწ) ქვეყანამ გადაიგდო მონღოლთა ბატონობის უღელი, შედარებით წესრიგი დამყარდა ქვეყანაში და დაიწყო აღმშენებლობითი საქმიანობა, მაგრამ თემურ-ლენგის რვაგზის ლაშქრობამ (1386-1403 წწ) საბოლოოდ წელში გატეხა ქვეყანა და მოამზადა ნიადაგი მისი სამეფო-სამთავროებად დაშლა-დაქუცმაცებისათვის. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ფორმალურად ჯერ კიდევ ერთიან საქართველოს თურქმანებმა და ოსმალებმა შემოუტიეს. ქართველთა თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, XVI საუკუნის შუახანებიდან ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოიკიდეს ფეხი. XVI საუკუნის ბოლო მესამედიდან ოსმალთა მფლობელობაში აღმოჩნდა აჭარა. ეს მოხდა

სულთან სელიმ II მმართველობის ხანაში (1566-1574 წწ). ამაზე მიუთითებს ამ პერიოდში შედგენილი „ზემო აჭარის ვრცელი დავთარი“ (შაშიკაძე, 2006, გვ. 1).

დავთრის მიხედვით XVI საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს აჭარისწყლის ხეობაში 94 სოფელი ითვლებოდა 540 კომლით. ამათგან 35-მდე სოფელი დაცლილი ყოფილა მოსახლეობისაგან. დანარჩენში 2-5 კომლი იყო. ისმება კითხვა, რამ გამოიწვია 94 სოფლიდან მესამედზე მეტის დაცარიელება, მათი ნასოფლარებად ქცევა? მიზეზი შეიძლება ყოფილიყო შავი ჭირი, მსხვერპლი დიდი ომიანობისას და მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობის აყრა.

მასობრივი ავადმყოფობა, შავი ჭირი, რომელსაც შეეძლო მხარისათვის ასეთი ზიანის მიყენება, XIV საუკუნის შუა ხანებში ევროპაში ცნობილია „შავი სიკვდილის“ სახელით, რომელმაც ამ კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა გაანახევრა. იგი საქართველოშიც მძვინვარებდა და მას 1366 წელს მეფე ბაგრატ V მეუღლე დედოფალი ელენეც უმსხვერპლია (ივ. ჯავახიშვილი, 1966, გვ. 107). მაგრამ მაშინ დაცარიელებულ-დაცლილი სოფლები XVI საუკუნის 60-იანი წლების ოსმალურ დავთარში ვერ აისახებოდა. ასეთი ოსმალებს არც დააინტერესებდათ. სავარაუდოა, რომ ამ სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის შემცირება აქ ოსმალთა გამოჩენის წინა ხანებში მოხდა, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ნასოფლარები და ხსოვნა მათ შესახებ. ამ აზრს სარწმუნოს ხდის 1573 წლის ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული.“ სულთანი ავალებს ლივანას, მაჭახლის და ფერთეკრეკის სანჯაყ-ბეგებს ყველაფერი იღონონ გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად (შაშიკაძე, 2006, გვ. 2). ამიტომ სოფლების დაცარიელების ორი მიზეზი რჩება – ხშირი ომიანობა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ამასთან დაკავ-

შირებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებში.

XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ირან-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ საქართველოსათვის ხშირად ბრძოლის ასპარეზად აქცევდა აჭარისწყლის ხეობას, აქ გადიოდა სატრანზიტო გზები სამხრეთ საქართველოს პროვინციებისაკენ. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად არსებული ათობით სოფლის მკვიდრმა იცის მათი სოფლის წარსული, წინაპართა საფლავები. ხშირ შემთხვევაში ამ სოფლების ასაკი 300 წელს არ აღემატება. ამავე სოფლებში არის ძველი სამაროვნები, რომელთა ფართობი თანამედროვე 300-წლიანი სოფლის სამაროვნების ფართობს უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი XVII და უფრო ადრინდელი საუკუნეების მცხოვრებთ უნდა ეკუთვნოდეს.

დავთრის მიხედვით დაცლილია კავიანისა და ოთოლთას ციხის რაბათები, მაშინ, როცა მიმდებარე სოფლებში აღრიცხულია: ჭვანაში 20, ბარათაულში 5 კომლი. დაცლილი ყოფილა ხიხაძირის ციხის რაბათი და მისი მიმდებარე სოფლებიც (კალოთა, ქოჩაკი, რაქვთა). ორი კომლი დარჩენილა თხილვანაში. მოსახლეობისაგან მიტოვებული ჩანს სხვა სოფლებიც. ზემო აჭარის ნაჰიეში ყველაზე დიდ სოფლებად ითვლებოდა ხულა (37 კომლი), ღორჯომი (32 კომლი), ჭვანა (20 კომლი). ქვემო აჭარის ნაჰიეში დასახელებულია მერისი (26 კომლი), ორცვა (26 კომლი), საღორეთის რაბათი (24 კომლი).

აღნიშნული პერიოდის ზემო და ქვემო აჭარის მოსახლეობის შესახებ შეიძლება მიახლოებითი სურათი მოგვცეს სამაროვნების არქეოლოგიურმა შესწავლამ. ასევე საინტერესო მეცნიერულ ინფორმაციას მივიღებთ საქართველოს სხვა მხარეებში ადრე გაჩენილი ე.წ. „აჭარული სოფლების“ (ზესტაფონის რაიონის სოფ. „აჭარა“, ლეჩხუმის „აჭარა“) ეთნოლინგვისტური შესწავლითაც.

დავთრების მიხედვით ისიც ირკვევა, რომ ოსმალები დაპყრობილ ადგილებში შესვლისთანავე ცდილობდნენ მათი მმართვე-

ლობისა და ცხოვრების წესის დანერგვას, მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას და სალოცავების მშენებლობას. ამან გარკვეული გავლენა იქონია კუთხის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განვითარებაზე.

არზრუმის მეჩეთის სავაყუფო მიწების შესწავლისას ირკვევა, რომ ახლადაშენებულ მეჩეთს აუცილებლად სჭირდებოდა ვაყუფები (შაშიკაძე, 2006, გვ. 129). არზრუმის ახლადაშენებული მეჩეთისათვის მუსტაფა ფაშას მიერ (XVI საუკუნის 60-70-იანი წლები) მიწების შესყიდვის თაობაზე ნათქვამია, რომ მიწები თითქმის მთლიანად შეძენილია ქართველი მფლობელებისაგან. როგორც ჩანს, ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა მეჩეთების მშენებლობა და მათთვის მიწების (ვაყუფების) შეძენა ძირითადად ქართველთაგან. საფიქრებელია, რომ მსგავს პროცესს ექნებოდა ადგილი აჭარაშიც. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში აჭარაში მოგზაურობისას ცნობილ მკვლევარებს (გ.ყაზბეგი, დ.ბაქრაძე, ზ.ჭიჭინაძე, თ.სახოკია) აღრიცხული აქვთ 100-ზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიის ნანგრევია დაფიქსირებული (ორთახოხნა, საღორეთი, დარჩიძეები). მარტო დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-მდე, ხოლო შუახევის რაიონის ერთ – მარეთის ხეობაში 20-მდე ეკლესია-მონასტრის ნანგრევია აღრიცხული (ჭიჭინაძე, გვ. 161-186). სავარაუდოა, რომ ოსმალთა გაბატონების და მეჩეთების მშენებლობის პარალელურად, ინგრეოდა ქრისტიანული სალოცავები. სხვანაიარად ვერ აიხსნება ის, რომ ათობით ეკლესია-მონასტრიდან ჩვენს დრომდე მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია მეტ-ნაკლებად სრული სახით. ნიშანდობლივია, რომ დღესაც შემორჩენილია ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ბზის კორომები და შესაბამისი ტოპონიმები.

ამ დროს, როგორც XVI საუკუნის წყაროდან („კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“) ჩანს, დანდალოს ზემოთ აჭარა მტბევარის სამწყსოში შედიოდა, ხოლო დანდალოს ქვემოთ ტერიტორიები – ქუთა-

თელის სამწყსოში (დოლიძე, 1979, გვ. 245). თუ რომელი ტერიტორიები იგულისხმებოდა „დანდალოს ქვემოთ აჭარაში“, ამის გასარკვევად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, საიდანაც ჩანს, რომ ოსმალები დაპყრობილი ადგილების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისას ანგარიშს უწევდნენ ადრინდელ ვითარებას, ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებს. დავთრის მიხედვით აჭარის ლივა ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა (ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიები). დავთრის სახელწოდებიდან („ზემო აჭარის ლივა“) გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა: რადგან არსებობდა ზემო აჭარის ლივა, ხომ უნდა არსებულიყო ქვემო აჭარის ლივაც? თუ ეს ასე არ იყო, დავთარს რატომ ეწოდა „ზემო აჭარის“ და არა საერთოდ „აჭარის ლივა“ მაშინ, როდესაც მასში შემავალი ორი ნაჰიე მთელ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა? ხომ არ იგულისხმებოდა ქვემო აჭარის ლივაში ბათუმის ლივა, რომელიც სხვა – ტრაპიზონის ვილაიეთში იყო გაერთიანებული მასთან ტერიტორიულად მომჯნავეობისა და საურთიერთობოდ მოხერხებულობის გამო?

ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ლეონტი მროველის (XI ს) ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა (ძვწ. III ს) ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად და „მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარიდან, ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავიდგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24)“ აქედან გამომდინარე, აჭარის საზღვარი ზღვამდე ვრცელდებოდა.

ვფიქრობთ, იგივე აზრი იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაშიც. გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრისას განმარტების სახით იგი სქოლიოში მიუთითებს: „ჯუმათი მაღალს გორზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა, ფოთი.“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 313). აქ ავტორი ბათუმს ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად წარმოგვიდგენს და

არა გურიის შემადგენელ ნაწილად. თუმცა, ვახუშტი სხვა ადგილას დღევანდელ ქობულეთის რაიონს, ბათუმს, გონიოს და ერგეს გურიის შემადგენლობაში განიხილავს და გურიის საზღვრებს ასე განმარტავს: „ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე.“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 323) როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი აქ გურიის საზღვრების სხვანაირ განმარტებას იძლევა, მაგრამ საკითხის გარკვევაში სიცხადე შეაქვს ისევ მისივე ნაშრომის სხვა ადგილას გამოთქმულ აზრს, კერძოდ, ჭოროხის ხეობის დახასიათების შემდეგ, როცა აღწერს აჭარისწყლის ხეობას. იგი წერს: „არამედ ვინადგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის შესართავიდამ“. ვფიქრობთ, აქ იმის განმარტებაა, თუ რატომ იწყებს აჭარის დახასიათებას „აჭარისწყლის შესართავიდამ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1904, გვ. 325).. ამას მოყვება ავტორის კიდევ სხვა განმარტება გურიის დახასიათების დასასრულს: „განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა.“ აქ პასუხი ნათელია. ჩვენი აზრით, ვახუშტი ბატონიშვილი იმიტომ განიხილავს ბათუმს, გონიას და ერგეს გურიის აღწერისას, რომ ისინი ერთხანს გურიელს ეპყრა, ხოლო აჭარა და ჭანეთი განიხილა სამცხესთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის სამცხის ნაწილებად მიიჩნეოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ცნობილი ქართველი მეცნიერის დ.ბაქრაძის XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერები. აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს იგი აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლიდა. იგი წერდა: „ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა.“ (ბაქრაძე, 1987, გვ. 69). აკადემიკოსი დ.მუსხელიშვილი საქართველოში მთისა და ბარის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონზომიერების შესა-

ბამისად თვლის: რადგანაც „ოდესღაც არსებობდა „ქვეყანა დიდაჭარა“, რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია, ეს გულისხმობს „მცირე აჭარის“ არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი („მცირე აჭარა“) სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს. რაც შეეხება სახელწოდებას „ქობულეთს“, იგი შედარებით გვიანდელია (მუსხელიშვილი, გვ. 74). ნაშრომის სხვა ადგილას მკვლევარი მიუთითებს, რომ „ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის“ ის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, „ხევებია“, რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ვივარაუდეთ (მუსხელიშვილი, გვ. 103).

თუ ყველა ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან ისტორიის ყველა ეტაპზე, აშკარად იკვეთება აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის არსებობა (ინაიშვილი, გვ. 48, 49; კახიძე, მამულაძე, 1993, გვ. 5-6; მუსხელიშვილი, გვ. 90-01). მაშინ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება XVI საუკუნის დოკუმენტიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნა: XVI საუკუნის 70-იან წლებში ადმინისტრაციულ ერთეულში „აჭარა“ შედიოდა დღევანდელი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების და აჭარისწყლის ხეობის ტერიტორიები ქალაქ ბათუმით.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მთელ ამ ტერიტორიაზე XVI საუკუნის ბოლო ათწლეულებში ოსმალთა ბატონობა დამყარდა, მოსახლეობა, რომლისთვისაც ქრისტიანობა ეროვნულ რელიგიად იყო ქცეული, ძნელად ეგუებოდა გამუსლიმანების პროცესს და შეუპოვრად, სისხლის ფასად იბრძოდა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. მოსახლეების ერთი ნაწილი განერიდა ოსმალთა ბატონობას, ისლამის რელიგიას და თავშესაფარი ჰპოვა საქართველოს სხვა კუთხეებში (გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი), ზოგიც ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით კათოლიკობას ღებულობდა (თაყაიშვილი, 1991, გვ. 216.). ზოგიც

ოსმალთა მძიმე გადასახადებით შევიწროებული, იძულებული ხდებოდა გამისლიმანებულიყო და დათმობების ფასად თავი გადაერჩინა სასტიკი ანგარიშსწორებისაგან. თუმცა იოლად რო-დი თმობდა ქრისტიანულ ტრადიციებს და სხვადასხვა ფორმით ცდილობდა მის დაცვას და შენარჩუნებას (კახიძე, ბათუმი, 2009, გვ. 9). კერძოდ, ცნობილია არაერთი აჯანყება და შეთქმულება, რომელთაც დამპყრობლები მთელი სისასტიკით ახშობდნენ. ქრისტიანობის დაცვა-შენარჩუნებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ქრისტიანული ცხოვრების წესის, ქრისტიანული ტრადი-ციების ფარულად შესრულებამ. ამის დამადასტურებელი არაერ-თი ფაქტია დაფიქსირებული XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში მოგზაურთა მიერ. ზაქარია ჭიჭინაძეს სოფ. დერეხოხნაში (ქედის რაიონი) მოხუცისაგან ჩაუწერია, რომ მის ბავშვობაში სოფლის მოსახლეობის ნახევარი ფარულად ქრისტიანობდა. ღამით ერთად იკრიბებოდნენ სახლში და ჭრაქის სინათლეზე ლოცულობდნენ (ჭიჭინაძე, 2008, გვ. 85), ქრისტიანული დღესასწაულის დღეებში კვერცხებს ღებავდნენ, სალოცავად ეკლესიათა ნანგრევებთან იკრიბებოდნენ და სხვ.

აჭარაში ოსმალთა გაბატონებისა და ისლამის გავრცელების შემდეგაც დიდხანს ქრისტიანობდა ხინოს მოსახლეობა. დ.ბაქრა-ძის თქმით, აქაური მოხუცები თურმე ხატებზე ლოცულობდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს და ფრინველებს, ეკლესიის ნანგრევებთან ანთებდნენ სანთლებს და სხვ. შემოქმედის ეკლე-სიის მღვდელს, 90 წლის გიორგი დუმბაძეს მისთვის უამბნია, რომ XIX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩურუქ-სუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ კარგადა ახსოვდათ და ეკლესიებიც ხელუხლებელი ყოფილა (ბაქრაძე, 1987, გვ. 42). მსგავსი სიტუაცია ყოფილა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე აჭარისწყლის ხეობაშიც.

ასე, რომ XIXსაუკუნის 70-იანი წლებისათვის, როცა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა საქართველოს. მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობისა,

აქაურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხსოვნა ქრისტიანული წარსულის შესახებ.

1998-2008

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ტექსტი გამოსცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998.
2. აფაქიძე., ლორთქიფანიძე ო., მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. –"მაცნე", №3, 1965
3. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987
4. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1904
5. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ. 1966
6. ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1946
7. ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969
8. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1960
9. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, თბ., 1990
10. ბექირიშვილი ი, ქრისტიანობა აჭარაში, თბ., 1991
11. ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979
12. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965
13. გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, თბ., 1941
14. გეორგიკა, IV, ნაკ. II, თბ., 1952
15. გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936
16. გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ., რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, კრ. "სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები" (სდსძ), I, თბ., 1964

17. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991

18. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965

19. ი.დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1979.

20. ვარშანიძე შ., ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1994

21. ვარშანიძე მ., გზები და საგზაო ნაგებობანი აჭარაში, ბათ., 1979

22. ე.თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო. – ემიგრაციული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1991

23. თავამაიშვილი გ.,ინაიშვილი ნ.,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის ციხისძირის რაზმის 1988 წლის ანგარიში (ხელნაწერი).

24. ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, სდსძ, ტ. IV, თბ., 1974

25. ინაიშვილი ნ., ციხისძირი ახალი წ-ის I-VI სს., თბ., 1993

26. ინაიშვილი ა., დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – სდსძ, V, 1975, გვ. 48, 49;

27. ინგორიყვა პ., ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. - "მნათობი", №9, 1939

28. ინგორიყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954

29. კახიძე ნ., ფარულ ქრისტიანთა საკითხისათვის ჭოროხის ხეობასა და აჭარაში. – ჩვენი სულიერების ბალავარი, ბატუმი, 2009.

30. კახიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარში, გაზ."საბჭოთა აჭარა," 16 სექტემბერი, 1976

31. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993

32. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1966

33. კეჭეყმაძე ნ., ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961

34. კომახიძე თ., რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობანი აჭარაში. ბათუმი, 2001.

35. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი, 1993, გვ. 5-6; დ.მუსხელიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90-01.

36. ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. - სინ, II, თბ., 1973

37. ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968

38. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები. ბათუმი, 2000.\

39. მამულაძე შ., ვერულაშვილი ნ., თხილვანის აბუსერისძეთა საგვარეულო ეკლესია. - „ტბელობა“, 2008.

40. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993

41. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980

42. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I, ნაკ, I, თბ., 1962.

43. მუსხელიშვილი დ., აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა. ტ. I, თბ., 2007.

44. მუსხელიშვილი ლ., ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე, თბილისი, 1941.

45. საქართველოს ისტორია (შემდგენელ-რედაქტორი გ.მელიქიშვილი), თბილისი, 1980.

46. საქართველოს ისტორია, ტ. I (რედაქტორი ნ.შოშიაშვილი), თბილისი, 2008.

47. სახოკია თ., მოგზაურობანი. ბათუმი, 1985, გვ. 296.

48. სიხარულიძე ი., ტბელ აბუსერისძე. თბ., 1963.

49. სიხარულიძე ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966

50. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათ., 1958

51. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სინ), ტ. I, თბ., 1970

52. შაშიკაძე ზ., აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. გვ. 1.

53. შაშიკაძე ზ., არზრუმის მეჩეთის ქართული სავაყუფო მიწები. - აღმოსავლეთი და კავკასია, №4, თბილისი, 2006, გვ. 129.

54. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977

55. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992

56. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955

57. ჭიჭინაძე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913, გვ. 164-186.

58. ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვაწლი. ბათუმი, 2006.

59. ჭიჭინაძე ზ., ქართველთა გამუსლიმება. თბ., 2008.

60. ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის მხატვრობის იდეური გადაწყვეტის ერთი ასპექტი. - სამეცნიერო კონფერენცია „ანდრია პირველწოდებულის გზით“, 2007, გვ. 39.

61. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. III, თბ., 1966, გვ. 107.

62. ჯავახიშვილი ი., თხზ.ტ.I, თბ., 1979

63. ჯანაშია ს., შრომები, ტ.V, თბ., 1987

64. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1983-1988

65. ყაუხჩიშვილი ს., რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964

66. წერეთელი კ., ქრისტეს შობამდე და მის შემდეგ. გაზ. ”საქართველოს რესპუბლიკა”, 17 ივლისი, 1995

67. Голенко К.В. Денежное обращение Колхиды в Римское время, 1964

68. Закарая П. П., Леквинадзе .А., Археологические раскопки в Шухути. – “მაცნე”, №1, 1966

69. История Визаитии в 3-х томах, т.II, М., 1969

70. .Кулаковский Ю., История Визаитии, т.II, Киев, 1912

71. Кулаковский Ю., История Визаитии, т.III, Киев, 1915

72. Леквинадзе В.А. О построиках Юстиниана в западной Грузии, ВВ, №34, 1973

73. Леквинадзе В.А., Понтийский лимес, ВДИ, 2, 1969

74. Мелитаури К.Н. Крепости феодальной и раннефеодальной Грузии, Тб., 1971

ქრისტეს პირველმოციქულები გონიო-აფსაროსში

ახლა, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო და მათ შორის საქართველოც ემზადება მაცხოვრის ქვეყნად მოვლინების ორიათასწლიანი იუბილეს ღირსეული აღნიშვნისათვის, დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გარკვევა, რამდენად სარწმუნოა III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოური და ქართული წყაროების ცნობები ქრისტეს პირველმოციქულთა საქართველოში მისიონერული საქმიანობის შესახებ.

ამ პრობლემასთან დაკავშირებული თითქმის ყველა უცხოური წყარო (დოროთეოს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, "პასქალური ქრონიკა"...) პირველმოციქულთა ერთ-ერთ სამოღვაწეო პუნქტად გონიო-აფსაროსს ასახელებს, ან ცალკეული პუნქტების, თუ ტერიტორიების ჩამოთვლისას, მასაც გულისხმობს. ასეა მოგვიანო პერიოდის ქართულ წყაროებშიც.

ქრისტეს პირველმოციქულთა შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ახ.წ. 40-50-იან წლებშია სავარაუდო. ამ დროს, ფლავიუს არიანეს II საუკუნის 30-იანი წლების ცნობების გათვალისწინებით, სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთმანეთის მიყოლებით ტრაპიზონიდან სებასტოპოლის-ბიჭვინთის მხარემდე ცხოვრობდნენ კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები და სანიგები. პლინიუსის ცნობით, აფსაროსი მაკრონთა მიწაზეა, სადაც რომაელებს ციხე აუგიათ და შიგ ჯარისკაცები ჩაუყენებიათ. ამ ცნობას არქეოლოგიური მასალებიც (იმპერატორების ნერონის (54-68) და დომიციანეს (81-96) სპილენძის მონეტები, I საუკუნეში გავრცელებული იტალიკურ და ქიოსურ ნაწარმად მიჩნეული ამფორები, ცრუყურიანი წითელლაკიანი ჯამები, მინის ბალზამარი-

უმები და იტალიკური ბრინჯაოს ლათინურწარწერიანი ჭრაქები) ადასტურებენ.

ამ დროს აფსაროსზე გადის სატრანზიტო გზა, რომელიც სებასტოპოლისამდე და შემდეგ ერთი სომხეთის მიმართულებით, მეორე კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადის. სწორედ ეს გზაა ასახული IV საუკუნის რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის რუკაზე. ამ გზით უნდა შემოსულიყვნენ ტრაპიზონიდან საქართველოში ქრისტეს პირველმოციქულები.

წერილობითი წყაროების მიხედვით, საქართველოში მისიონერული საქმიანობისათვის ჩამოსული ჩანან ქრისტეს იმ თორმეტ მოციქულთაგან სამი (წმ. ანდრია, სვიმონი და მატათა (მათე), თუმცა მოგვიანო პერიოდის წყაროები წმ. ბართოლომეს, თადეოზს და სხვებსაც ასახელებენ.

წმ. მატათას (მათეს) საფლავი გონიო-აფსაროსში

მართალია, ზოგიერთი მკვლევარი საეჭვოდ თვლის ქრისტეს პირველმოციქულთა მისიონერულ საქმიანობას საქართველოში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოსა და ბიზანტიის საუკუნოვანი ურთიერთობის ფორმებს, ეკლესიის როლსა და ადგილს მასში, მაშინ ცხადი გახდება IX-X საუკუნეებამდე ქართული წყაროების დუმილის მიზეზი პირველმოციქულთა საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შესახებ.

მარტო ის, რომ ისტორიული ტრადიცია (უცხოური, ქართული) ორი მოციქულის (სვიმონ კანანელი, მატათა) სამუდამო განსვენების ადგილად საქართველოს (ნიკოფსია, აფსაროსი) ასახელებს, გაზრდილ ინტერესს იწვევს ამ საკითხისადმი და აუცილებელს ხდის ინტენსიურად და მიზანმიმართულად წარიმართოს ამ მიმართულებით კვლევა.

ტრადიცია აფსაროსს მიიჩნევს მათეს (მატათას) დასაფლავების ადგილად. აქ სიმბოლური ჯვარიცაა აღმართული, მაგრამ ჯერ-ჯერობით საკულტო ნაგებობა არაა მიგნებული. 1996 წელს სამხრეთ კარიბჭესთან, აბანოთუბანში აღმოჩნდა ბრინჯაოს მოზრდილი ჯვრის ერთი ფრთის დაბოლოება, რომელსაც VII საუკუნით ათარიღებენ. ასევე აღმოჩნდა იუდეის ზარაფხანიდან გამოსული მონეტები, რაც იმის საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ აფსაროსი ახ.წ. პირველი საუკუნიდან მოწმეა და მონაწილე იმ დიდი მოვლენებისა, რაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან არის დაკავშირებული.

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალთან არსებული არქეოლოგიური ექსპედიციის მიზანმიმართული არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც არაერთი საინტერესო აღმოჩენის მოწმენი გაგვხადა, იმის იმედს იძლევა, რომ კვლავაც ბევრ სიახლეს გვამცნობს საქართველოში ქრისტეს პირველმოციქულთა მისიონერული საქმიანობის შესახებ.

1999 წ.

ერთიანი ქართული ეკლესია – ქვეყნის გაერთიანების საფუძველი

IX საუკუნის 40-იან წლებში, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებით, დასრულდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა. აფხაზეთის მთავრის ლეონ პირველის მიერ დაწყებული დასავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ერთეულთა გაერთიანების პროცესი ლეინ II დროს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნით დამთავრდა. მართალია, ამ დროს საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია კახეთისა და ჰერეთის სამთავროები, სამხრეთით – ტაო-კლარჯეთის "ქართველთა სამეფო", მაგრამ ამათგან ეგრის-აფხაზეთის სამეფო ყველაზე ცენტრალიზებული და პოლიტიკურად ერთიანი იყო. აქ მეფეს ემორჩილებოდა ყველა ერისთავი და ხელისუფლება გაცილებით მტკიცედ გრძნობდა თავს, ვიდრე ტაო-კლარჯეთში, სადაც ყველა ბაგრატიონი მმართველი თავის თავს მეფის ხელისუფლების თანაზიარად თვლიდა და ასეც იწოდებოდნენ წარწერებში (1: 31). ეგრის-აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების საფუძველი იყო ერთი მხრივ, მმართველი დინასტიის ძლიერი დასაყრდენი ბაზა აფხაზეთის სამთავროს სახით, რომელიც ყველაზე მეტად დაცული აღმოჩნდა გარეშე ძალების მხრივ დარბევა-ნგრევისაგან და მეორე, განმათავისუფლებელ ბრძოლაში საზოგადოების ყველა ფენისა და ეთნიკური ერთეულის ჩამბამ ხელი შეუწყო მათ ერთიანობას, რაც კარგად გამოიყენა ხელისუფლებამ. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეგრის-აფხაზეთის სამეფო ხელისუფლებას მთელი IX საუკუნის მანძილზე, როგორც ჩანს, ბრძოლა უხდებოდა, ერთი მხრივ, დიდფეოდალთა თვითნებობის ალაგმვისათვის, მეორე მხრივ, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, რადგანაც არც ბიზანტია და არც არაბები იოლად არ თმობდნენ პოზიციებს.

ბიზანტია ყოველთვის ცდილობდა ეგრის-აფხაზეთზე თავისი გავლენის გავრცელებას, მაგრამ როგორც აკად. ი.ჯავახიშვილი მიუთითებდა, კეისრის უფლება არასდროს უბრალო მფარველობისა და გავლენის საზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება არა ჰქონია. ბიზანტიის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა ხაზი გაესვა თავის უპირატესობაზე, რაც კარგად ჩანს მიმართვის იმ ფორმებში, რასაც იყენებდნენ მეზობელი ქვეყნების და, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალთა მიმართაც. ისინი ქართველი მეფეებისათვის ვერ "იმეტებდნენ" მეფის წოდებას და სხვადასხვა ბიზანტიური ტიტულებით მიმართავდნენ, რომლებიც მეფის წოდებასა და ხარისხს არასდროს არ უტოლდებოდნენ. ასევე კარგად ჩანს მათი დამოკიდებულება ქართული სამეფოს მიმართ ე.წ. შეკიდული ბეჭდებით (ბულებით) მიმართვების თუ წერილების შემკობითაც. თუ არაბთა ამირას ოთხი სოლიდის, დიდი არმენიის ერისთავთერისთავს და ხაზართა ხაკანს სამი სოლიდის ოქროს ბულით შემკულ წერილს უგზავნიდნენ, აბაზგიის, იბერიის, ალანიის, რუსეთის და სხვა ხელისუფალთა წერილებს ორ-ორი სოლიდის ოქროს ბულებით ამკობდნენ (კონსტანტინე პორფიროგენეტი).

ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება ამ პირობებშიც ცდილობდა სამეფოს გავლენის გაფართოებას და თავის ირგვლივ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის გაერთიანებას. მე-9 საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქართლი "არაბთა მძლავრობისა" გამო, გაჩნდა შესაძლებლობა მისი დაუფლებისა. ქართლის ხელში ჩაგდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ეს იყო ქვეყნის ბუნებრივი ცენტრი და ამასთან, მასში გადიოდა მთავარი გზები ყველა სტრატეგიული მიმართულებით. ამიტომ, როგორც აკად. დ.მუსხელიშვილი მიუთითებს, სამთავროების მესვეურებს ნათლად ჰქონდათ შეგნებული ქართლის მფლობელობის მნიშვნელობა ჰეგემონობისათვის ბრძოლაში. ეს ცხადად ჩანს იქედან, რომ ეს ბრძოლა სწორედ

ქართლის დაუფლებისათვის დაიწყო. მართლაც, მთელი საუკუნენახევარი მიმდინარეობდა ბრძოლა ყველა პოლიტიკური ერთეულისა (კახეთი, ეგრის-აფხაზეთი, ტაო-კლარჯეთი, თბილისის საამირო, სომეხი ბაგრატუნები) ქართლის ხელში ჩასაგდებად. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში გამარჯვებული ეგრის-აფხაზეთის მეფე გამოვიდა, რომლის წარმომადგენლები მართავდნენ ქართლს X საუკუნის მეორე ნახევარში. ქვეყნის გაერთიანების ერთ-ერთი მოთავე იოანე მარუშისძეც აფხაზთა მეფის ერისთავი იყო. ამავე პერიოდში აფხაზთა მეფე ფლობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ჯავახეთს და აშკარად იგრძნობა მისი დიდი გავლენა ალანებთანაც. სწორედ ეგრის-აფხაზეთის მხარდაჭერითა და ძალისხმევით შევიდა ოსეთში ქრისტიანობა. ყველა ამ ღონისძიების მონაწილე უნდა ყოფილიყო ეგრის-აფხაზეთის ეკლე-სია. მართალია, წყაროები ან საერთოდ არაფერს გვეუბნებიან, ან ძალიან ძუნწად ამ დროის ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაზე, მაგრამ ის, რომ IX საუკუნის შუახანებში, კერძოდ, 856 წელს "ლაზების მეფე" საჩუქრებს უგზავნის რომის პაპს, ის, რომ ოსები ეგრის-აფხაზეთის მეშვეობით ქრისტიანდებიან და ბიზანტიის კეისარი ეგრის-აფხაზეთის მეფეს სთხოვს, რომ მეტი ყურადღება და შემწეობა აღმოუჩინოს ალანებს, ის, რომ ეგრის-აფხაზეთის საეპისკოპოსოების ცვლა მიდის IX საუკუნის ბოლოდან მთელი საუკუნის მანძილზე, გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანებში შესაბამისი შეხედულებებისა და იდეების ჩამოყალიბებას. თუ თანამედროვე პირობებში ამისათვის ყველა ქვეყანაში შექმნილია შესაბამისი სამსახურები, საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ამ ფუნქციას რელიგია და მისი მსახურნი ასრულებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ ფარნავაზიდან მოყოლებული საგანგებო ყურადღება ეთმობოდა წარმართული კულტების ადგილსა და ფუნქციას საზოგადოებაში. ეს ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა

ქრისტიანობის დამკვიდრებით. ამიერიდან, ეკლესია გახდა ქვეყნის მოსახლეობის მსოფლმხედველობის, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების უმთავრესი ინსტრუმენტი, ამიტომ იყო, რომ ყველა გონიერი ხელისუფალი ცდილობდა ეკლესია ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა. ამასთან იყო დაკავშირებული დიდი ვახტანგ გორგასლის ცნობილი საეკლესიო რეფორმა, უპირველესი მეფის – დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული გარდაქმნები ეკლესიაში რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით. ასეთივე მიზანი ექნებოდათ დასახული ახლადშექმნილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მესვეურებსაც.

ქართული ეკლესია ოდითგანვე განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა რომის კათოლიკურ ეკლესიას, მის მწყემსთავარს. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე რჩევისათვის მას მიმართავდნენ ხოლმე. ცნობილია ქართლის კათალიკოსის კირიონის წერილის შესახებ რომის პაპისადმი, რომელშიც კათალიკოსი განმარტებას თხოვდა პაპს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად. რაც შეეხება 856 წელს პაპისადმი გაგზავნილ საჩუქრებს: საეკლესიო ანალებში ნათქვამია: “856 წელი, პარაგრაფი II, მაგრამ ამ წელსაც, როგორც ანასტასიუსი გადმოგვცემს, ძველი ჩვეულების მიმდევარმა იმპერატორმა მიქაელმა რომში ახალ პაპთან ელჩობა გაგზავნა საჩუქრებით, ხოლო ლაზების მეფემაც იმ ღვთისმოსავობის გამო, რომელიც მოციქულოებრივ საზღვრამდე აღწევდა, საუცხოო საჩუქრები გაგზავნა წმინდა პეტრეს სახელზე”. წერილში ხსენებული ანასტასიუსი რომის პაპი იყო 911-913 წლებში. ბიზანტიის იმპერატორი მიქაელის სახელით 842-867 წლებში მმართველობდა. ამ წლებში ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო დემეტრე მეორე (825-861 წწ.), ხოლო 856 წლისათვის რომის პაპის ტახტს ფლობდა ბენედიქტე III (855-858 წწ.). ეჭვგარეშეა, რომ დემეტრე მეორეს მიერ საჩუქრების გაგზავნა რომის პაპთან რაღაც მნიშვნელოვან ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული. IX საუკუნის შუა ხანებისათვის ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოად-

გენდა აფხაზთა საკათალიკოსოს ოფიციალურად ცნობა და დამოუკიდებელი ეკლესიის გავლენის გაძლიერება, რადგან მას სერიოზული დახმარების გაწევა შეეძლო ხელისუფლებაზე ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ძალების გაერთიანებისა და საგარეო საკითხების წარმატებით მოგვარებაში. ამიტომ სავარაუდოა, რომ ხელისუფლება იზრუნებდა მისი საერთაშორისოდ ცნობისათვის. ბიზანტიის ხელისუფლება და ეკლესია ამას არ გააკეთებდნენ, მათ ხომ დაკარგული გავლენის აღსადგენად სამხედრო ძალაც კი გამოიყენეს (თეოქტისტეს ლაშქრობა). ამიტომ ვფიქრობთ, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას შეიძლებოდა ეს ნაბიჯი გადაედგა და რომის პაპისათვის ეთხოვა ეგრის-აფხაზეთის დამოუკიდებელი ეკლესიის ცნობა, მით უმეტეს, რომ ამ დროს კონსტანტინეპოლის პატრიარქი და და რომის პაპი დაპირისპირებული იყვნენ ბულგარეთის ეკლესიის საკითხზე. მართალია, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დომინირებს შეხედულება, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მიღებისთანავე (IXს.) შეუერთდა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას და აფხაზეთის კათალიკოსი დაექვემდებარა მცხეთას, მაგრამ თუ პოლიტიკური მოვლენების მსვლელობას დავაკვირდებით, ასე არ უნდა იყოს. ეს გაერთიანება უფრო სავარაუდოა მე-10 საუკუნის შუა ხანებში, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის განთავისუფლებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, როცა საამისოდ პოლიტიკური ძალებიც მომზადდნენ ამ ნაბიჯის გადასადგმელად და ეკლესიაშიც ჩატარდა საჭირო გარდაქმნები ამ დიდმნიშვნელოვანი აქტის განსახორციელებლად.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ეგრის-აფხაზეთის სამეფო კარი დაკავებული იყო ქვეყნის შიგა პრობლემებით, სამეფო ტახტისათვის ბრძოლით. დინასტიების ცვლას უმტკივნეულოდ და წინააღმდეგობის გარეშე არ ჩაუვლია და, ბუნებრივია, ეკლესია ვერ იქნებოდა ამ მოვლენათა მხოლოდ მოწმე და დამკვირვებელი, რადგან ორივე ძალა მოისურვებდა მის გამოყენებას. ამასთან, ბიზანტიისადმი დამოკიდებულებიდან ახალ გათავისუფლე-

ბულ ეკლესიაში, საეპისკოპოსოებში იქნებოდნენ პრობიზანტიურად განწყობილი პირები, ვისზე დაყრდნობითაც ბიზანტია სამეფო ხელისუფლების ძლიერებისა და გავლენის შესუსტებას შეეცდებოდა. ყველა უკმაყოფილო პირი ხომ ბიზანტიაში პოულობდა თავშესაფარს! გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო შეეცდებოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას და დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსის შენარჩუნებას. საყოველთაოდ ცნობილია შუასაუკუნეების პოლიტიკოსთა პოლიტიკური და ზნეობრივი კრედო და მისგან გამომდინარე შედეგები: ძალაუფლებისათვის ძმა ძმას არ ინდობს და მამა შვილს. თითო-ოროლა გამორჩეული პიროვნება თუ გამოჩნდებოდა, რომელიც დათრგუნავდა პიროვნულ ამბიციებს და სახელმწიფოებრივს, ეროვნულს დააყენებდა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა. ამიტომ გულუბრყვილობა იქნებოდა დაგვეჯერა, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია იოლად დათმობდა მოპოვებულ დამოუკიდებლობას მეფეთა ამბიციური მიზნების განხორციელებისათვის. მეფეთა მოქმედებაში იგი ამბიციას დაინახავდა, რადგან მეფეთა უმეტესობა თავისი გავლენის გაძლიერების, სამეფო საზღვრების გაფართოებისათვის იბრძოდა და არა იმიტომ, რომ ითვალისწინებდა ერის, ქვეყნის ინტერესებს და იმას, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მისი გაერთიანება-გაძლიერებით შეიძლებოდა. ამიტომ დღეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი, რომ X საუკუნის დასაწყისიდან ძველი საეპისკოპოსო კათედრების მოშლა და ახლის დაარსება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ "იშლებოდა ძველი (ბერძნული) და არსდებოდა ახალი, ქართული საეპისკოპოსოები", ვფიქრობთ, სრულად არ უნდა გამოხატავდეს მაშინდელ ეგრის-აფხაზეთში არსებულ ვითარებას, რადგან ძველი საეპისკოპოსო კათედრებიც ქართული იყო, ოღონდ ახალ პირობებში, X საუკუნის მეფეთა პოლიტიკისათვის შეუსაბამო. ახლა ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ფართო, მიზნები აქვს, მისი გავლენა ვრცელდება ჯავახეთზე, რომელსაც მისივე მოხელე ზვიად მარუშიანი მართავს და

ჩრდილოეთით – დღევანდელი ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, ზელენჩუკის რაიონის ჩათვლით. ასევე მიაღწია იმას, რომ ქართლშიც მისი მოხელე ზის. ასეთ პირობებში ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალნი (კონსტანტინე III, გიორგი II, ლეონ III) გეგმავენ რა მთელი საქართველოს თავიანთი სამეფოს ირგვლივ გაერთიანებას, ცდილობენ მცხეთის საკათალიკოსოს მხარდაჭერის მოპოვებას, რადგან მის სამწყსოში შედის მთელი საქართველო ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის გარდა (მიუხედავად იმისა, რომ ტაოკლარჯეთი, ჰერეთი, კახეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ). ასე, რომ, ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკოსები მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ მხარდაჭერის სანაცვლოდ, მზად არიან აფხაზეთის საკათალიკოსო, ეგრის-აფხაზეთის ეკლესია მცხეთას დაუქვემდებარონ, რაც ემთხვევა მცხეთის საკათალიკოსოს ინტერესებსაც. ამაზე მიუთითებდა სწორედ აკად. ნ. ბერძენიშვილი: "ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება – შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს".

ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას – აფხაზეთის ეკლესია დაუქვემდებაროს ქართლის ეკლესიას, აფხაზეთის საკათალიკოსო და მასში შემავალი საეპისკოპოსოები სიხარულით არ შეხვდებოდნენ. ისინი კარგავდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ასე, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის მესვეურთა და საერო ხელისუფალთა ინტერესები დაუპირისპირდა ერთმანეთს. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა ძველ საეპისკოპოსოთა მოშლა და ახალი საეპისკოპოსო ცენტრების შექმნა. მემატიანე გვამცნობს, რომ აფხაზთა მეფე გიორგი II "იყო მაშენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვლთათა", ხოლო მისმა ძემ ლეონ III "აღაშენა ეკლესია და

შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა". ახალი საეპისკოპოსოები შეიქმნა ბაგრატ III დროსაც (ბედიის, ქუთაისის კათედრალები). ამავე ხანაში დაფუძნდა ახალი ათონისა და ნიკორწმინდის ტაძრებიც. პ. ინგოროყვა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში გატარებულ ამ ცვლილებებს აკავშირებს მის "გაქართველებასთან" და ჩამოთვლის იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც ამ მიზნით გაატარა ხელისუფლებამ:

ა) გაუქმდა აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ცხუმში (სოხუმში) და ნიკოფსიის სააქიეპისკოპოსო. ამ ორი ძველი ცენტრის ნაცვლად დაარსდა ახალი ცენტრი – ბიჭვინთის კათედრა, რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა...

ბ) შეუცვლიათ ძველი ცენტრები ლაზეთის მიტროპოლიაში. როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გადაუტანიათ დასავლეთ საქართველოს – აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში ქუთაისში; ამავე დროს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათუმის მხარის) კათედრა და ბათუმის მხარე დაუკავშირდა ქუთაისს.

გ) აფხაზეთის მეფის გიორგი II დროს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში ფასისის კათედრა და იგი გადაიტანეს შიდა მხარეში, ახალ ცენტრში – ჭყონდიდში.

დ) ასევე მე-10 საუკუნის დასასრულს გაუქმდა ზღვის სანაპირო ზონაში ძიღანების (გუდაყვის) კათედრა და ისიც გადაიტანეს შიდა მხარეში – ბედიაში.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს შიდა მხარეებში იქმნება მთელი რიგი ახალი კათედრები: მოქვი და დრანდა ("შუა სოფელში", საკუთრივ აფხაზეთისა და საეგროს სანაპიროზე), ცაგერი (ლეჩხუმი), ნიკოლოზ-წმიდა ე.ი. ნიკორწმინდა (რაჭაში) (პ. ინგოროყვა).

აკად. ნ. ბერძენიშვილიც ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში გატარებულ რეფორმას ბერძნული საეპისკოპოსოების ქართულით შეცვლასთან აკავშირებდა და თვლიდა, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოსოზე გადავიდა ფოთის სამიტროპოლიტოს პატივი, მაგრამ

მოგვიანებით იგი საეპისკოპოსოთა ცვლის მიზეზად უფრო ქვეყანაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მიიჩნევდა. იგი წერდა: "ჩემი წინა ვარაუდი, რომ ფოთის მიტროპოლია ჭყონდიდში იქნა გადატანილი, ან პ.ინგოროყვას ვარაუდი, რომ ქუთაისმა ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვლა – მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების მარტივი ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა. ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამისდა მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი, დროწასული და შინაარსს მოკლებული – გაუქმდა".

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეკლესიაში მომხდარი ცვლილებების საკითხს იხილავს პროფ. გ.მჭედლიძეც და ძირითადად იზიარებს პ. ინგოროყვას შეხედულებებს.

ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ რამდენადაც წყაროები არ უჩვენებენ რომელი საეკლესიო ცენტრი რომელით შეიცვალა, თავს ვიკავებთ ამ საკითხზე ვარაუდების გამოთქმით, მაგრამ საეპისკოპოსოთა ცვლის მიზეზად მიგვაჩნია ქვეყნის სიციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები და ხელისუფლების სურვილი, რომ ეკლესია თავისი ნების აღმასრულებლად აქციოს.

ამ ვარაუდის საფუძველს სხვა ზემოთქმულ არგუმენტებთან ერთად გვაძლევს მეზობელ სამეფოში (ტაო-კლარჯეთი) გატარებული ღონისძიებები, სადაც ასევე საკუთარი ინტერესების შესაბამისად აარსებენ ახალ საეპისკოპოსოებს ბაგრატიონი მეფე-მთავრები, თუმცა ეს მხარე სულაც არ განიცდიდა საეპისკოპოსოთა ნაკლებობას. ეჭვსგარეშეა, ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოებში ეპისკოპოსებად საერო ხელისუფლების ერთგული პირები დაინიშნებოდნენ, რაც ხელს შეუწყობდა ხელისუფალთა ნების განხორციელებას. ეს მით უფრო საჭირო გახდებოდა იმიტომაც, რომ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა საეკლესიო-სამონასტრო მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა და

სულ უფრო იზრდებოდა ეკლესია-მონასტრების გავლენა, ხელისუფლება შეეცდებოდა ეკლესია თავის კონტროლს დაექვემდებარებინა. ამას კარნახობდა ბიზანტიის ეკლესიის უზომოდ გამდიდრება და გაძლიერებაც, რაც იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ იგი შეეცდებოდა რაღაც ფორმით ქართულ ეკლესიაზე თავისი გავლენის გავრცელებას. X საუკუნეში კონსტანტინეპოლის პატრიარქი განაგებდა 57 სამიტროპოლიტოს, 49 სააერქიეპისკოპოსოს და 514 საეპისკოპოსოს. იგი ფაქტიურად, კონსტანტინეპოლის ეკლესიის პაპი იყო, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში განხორციელებული რეფორმა არა ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმების მიზნით გატარებული ღონისძიება იყო, არამედ ეკლესიის საერო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებისა და ბიზანტიის მხრივ იმ გავლენისაგან გათავისუფლების მიზნით გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ ემჩნეოდა ეგრის-აფხაზეთის ეკლესიას. მართლაც, საეპისკოპოსოთა გაუქმების მიზეზი მათი ბერძნულენოვნება რომ ყოფილიყო, მაშინ ღონისძიება (მათი გაუქმება) გაცილებით ადრე, კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისთანავე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ეს საეპისკოპოსოები ქართული იყო და ხელისუფლებისათვის მანამ მისაღები იყვნენ, ვიდრე მისი პოლიტიკისადმი დაპირისპირებულნი არ აღმოჩნდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მემატიანეები თუნდაც მინიშნებით მაინც იტყოდნენ ამის შესახებ, ან მეფეთა დახასიათებისას წარმოაჩენდნენ ამ დამსახურებას. წყაროში კი ბაგრატ მესამის შესახებ ვკითხულობთ: ...და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა, არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოველითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათვის" (მატიანე ქართლისა). ამიტომ, ვფიქრობთ, გიორგი მერჩულეს ცნობილი სიტყვები "ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღეს-

რულების, ხოლო “კვირიელეისონი” ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართულად: “უფალო,წყალობა ყავ”, გინა თუ “უფალო, შეგვიწყალენ”, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გიორგი მერჩულე გვიდასტურებდეს დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში ბერძნულ ენაზე ღვთისმსახურებას. ამ სიტყვების ავტორის მიზანია მკითხველს უთხრას, რომ ქართლია (საქართველოა) ის ქვეყანა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდება, ხოლო “კვირიელეისონი” ბერძნულად წარმოითქმის. ამ სიტყვებს ავტორი ამბობს იმ დროს, როცა სამეფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა ერთიანდება და როგორც ეკლესიის წარმომადგენელს, სურს თქვას, რომ ამ გაერთიანებული ქვეყნის ერთიანობის მთავარი ნიშანი ერთ ენაზე – ქართულ ენაზე წირვა-ლოცვაა. ჩვენის მხრივ ვიტყვით, რომ იმ დროს მართლაც ეს იყო მთავარი ნიშანი, რადგან სწორედ ეკლესიას ეპყრა ხელთ ეროვნული თვითშეგნებისა და მსოფლმხედველობის ფორმირების ყველა საშუალება და ბერკეტი (სკოლა, განათლება, მეცნიერება, კულტურა). სწორედ ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ ქართლის გაგებაში სხვა პოლიტიკური ერთეულების შესვლით “ ეს ტერმინი მეტისმეტად გადატვირთული აღმოჩნდა (სამშინაარსიანი). საჭირო იყო ახალი ტერმინი, რომელიც ახალ შინაარსს გადმოსცემდა და შეიქმნა ტერმინი – “საქართველო”. ეკლესია ავტორიტეტულად შეეშველა ქართლის ეთნიკურ-პოლიტიკური გავრცელების პროცესის შედეგად შექმნილი ვითარების დასაფუძვლებაში: მან ქართლად გამოაცხადა ყველა ის ქვეყანა, სადაც ჟამი ქართულად შეიწირებოდა”.

ასე რომ, X საუკუნის შუა ხანებში, ეგრის-აფხაზეთის ეკლესიაში რეფორმის გატარების შემდეგ, როცა არაერთი საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა (ფოთის, პეტრას, ვარდციხის, ძიღენევის (გუდაყვა) და გაჩნდა ახალი კათედრები (ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის, დრანდის, ნიკორწმინდის...), შეიქმნა იმის პირობები, რომ ეგრის-აფხაზეთის ეკლესია დაქვემდებარებოდა მცხეთის ტახტს. ამიერიდან, ერთიან ქართულ ეკლესიას სერიოზული როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის გამაერთიანებელ პროცეს-

ში, რომლის საფუძვლები საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ და არაქართველურ ტომთა ერთ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულად, ერთი ქვეყნის – საქართველოს მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ამ ერთიანობის საფუძველს აკად. რ. გორდეზიანის თქმით, ქმნის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ზოგჯერ თავად ენობრივი ერთიანობის ფაქტორიც კი. მისი აზრით, "ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა. ვიდრე ხალხი რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განფენილიც უნდა იყოს იგი დედამიწაზე, ინახავს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია აქვს ეთნიკურ ერთიანობაზე".

ჩვენი აზრით, ამ გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა, რწმენა, საუკუნეების, შეიძლება ითქვას, ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში თუ გადამწყვეტი არა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რელიგიამ, როგორც ხალხის სულიერი, კულტურული და იდეოლოგიური ცხოვრების მესაჭემ. ჯერ ე.წ. ქართულმა წარმართობამ, ხოლო შემდეგ ქრისტიანობამ ხელი შეუწყეს ტომთა გაერთიანება-შერწყმის პოლიტიკური და კულტურული საფუძვლების მომზადება-განვითარებას. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ქვეყნის გაერთიანებისათვის, რადგან ეროვნული ერთიანობის შეგნების გარეშე ძნელი ან შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთობის მიღწევა.

1999 წ.

ქრისტეს პირველმოციქულები დასავლეთ საქართველოში

III-IV და მომდევნო საუკუნეების უცხოური წყაროების (დოროთოეს ტვირელი, ეპიფანე კვიპრელი, სოფრონი, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი, "პასქალური ქრონიკა", "საეკლესიო ანალები"...) მიხედვით ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ (მათე) და სხვა ქრისტეს პირველმოციქულებმა გაავრცელეს, მაგრამ დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ეს აზრი საეჭვოდაა მიჩნეული, რადგან, ჯერ ერთი, უცხოურ წყაროებში დასახელებული გეოგრაფიული ადგილები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს და მეორე, X საუკუნემდე ეს მოვლენა არაა ასახული ქართულ ისტორიულ თუ რელიგიურ ლიტერატურაში.

ახლა, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო და მათ შორის საქართველოც აღნიშნავს ქრისტეშობის 2000 წლისთავს, აუცილებელია ამ პრობლემის მეცნიერულად გააზრება-გაანალიზება, რადგან ამით პასუხი გაეცემა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის არაერთ საკითხს.

ქრისტიანობის გავრცელება ამა თუ იმ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, იმდენად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი დაკავშირება და ახსნა რომელიმე ფაქტით, ან პიროვნების მოღვაწეობით, შეუძლებელია. იგი შემზადებული უნდა ყოფილიყო მრავალი ფაქტორით, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით.

ახ.წ. პირველ საუკუნეში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე რთული და მძიმე ვითარება შეიქმნა. რომაელთა ბატონობა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებანი, მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში მათი ჯარების ჩაყენება, ნომადებისა და მთიელ ტომთა სისტემატური დამარბეველი ლაშქრობები, ადგილობრივ სკეპტუხთა და ქურუმთა მხრივ სოციალური ჩაგვრა აუტანელ

პირობებში აყენებდა მოსახლეობას. ამას ემატებოდა ახ.წ. 70 წელს რომაელთა მიერ პალესტინის აჯანყების ჩახშობისა და იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ლტოლვილ ებრაელთა დიდი ნაკადის შემოსვლა საქართველოში. ამასთან, დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში ჩაყენებულ ლეგიონერთა დიდი ნაწილი მცირე აზიელები იყვნენ, რომელთაგან ბევრი ქრისტიანულ იდეებს იქნებოდა ნაზიარები. დიდ როლს თამაშობდა ის გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანიც, რაზეც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მიგვანიშნებენ (გონიო-აფსაროსი, პეტრა-ციხისძირი, ფიჭვნარი, სებასტოპოლისი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი-არქეოპოლისი). ამ დროს, ტრაპიზონიდან დაწყებული, გონიო-აფსაროსზე და მთელ დასავლეთ საქართველოზე გადიოდა სატრანზიტო გზა სებასტოპოლისამდე, საიდანაც ერთი-სომხეთის მიმართულებით მიემართებოდა, მეორე კი ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. სწორედ ამ გზით უნდა შემოსულიყვნენ ქრისტეს პირველმოციქულები ჯერ აჭარაში და სამცხეში, შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთში (ქ.ცა, ტ.I, გვ. 39-42). ისტორიული ტრადიცია ორი მოციქულის (სვიმონ კანანელი, მატათა) სამუდამო განსვენების ადგილად საქართველოს (ნიკოფსია, აფსაროსი) ასახელებს. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ბევრის მთქმელია ბიჭვინთაში აღმოჩენილი მესამე საუკუნის საეკლესიო ნაგებობა და ადრექრისტიანული სტელა ჯვრის ჩასადგმელი ბუდით, რომელიც კირხსნარით იყო დაფარული (გ. ლორთქიფანიძე), აგრეთვე სებასტოპოლისში, პეტრა-ციხისძირსა და ფიჭვნარში აღმოჩენილი ადრექრისტიანობის დამადასტურებელი მასალები (საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები, ჯვრის გამოსახულებები, ქრისტიანული შინაარსის გრაფიტო ამფორებზე და სხვა). ასე, რომ ეს ყველაფერი დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის უცხოელ ავტორთა იმ ცნობებს, რომლებიც მოგვითხრობენ ქრისტეს პირველმოციქულთა მისიონერულ საქმიანობაზე დასავლეთ საქართველოში.

ცნობილ მკვლევარ პ. ინგოროყვას აზრით, ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ, უნდა სცოდნოდა გიორგი მერჩულეს, რადგან "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზღვრებად ასახელებს იმ პუნქტებს, რომლებიც იმ გადმოცემებშია მოცემული. მისი აზრით, მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობის შესახებ, იცოდა ანონიმმა ავტორმაც, რომელსაც ეკუთვნის პოემა მიქაელ საბაწმინდელის შესახებ, (IX.ს.), რადგან მასში ქართლი მოციქულთა წილხვდომილ ქვეყნად არის გამოცხადებული. ქრისტიანობას ახ.წ.-ის პირველ საუკუნეებში გავრცელებულად გულისხმობს იოანე საბანისძეც, როცა აცხადებს, რომ ქართველები "ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმინდათა მადლითა ნათლისღებისაითა". თუ ყველაფერ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უცხოურ წყაროებში დასახელებული გეოგრაფიული ადგილები: "ავაზგია", ქართლი, "დიდი სებასტოპოლი",აფსარის ციხე, მდინარე ფაზისი, ჰისოს ნავსადგური, სკვითია და სხვა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფარგლებში თავსდება, ხოლო არაერთი ძველი ავტორი (ლიბანიოსი, პლუტარქოსი, არისტოფანეს სქოლიასტი...) კოლხეთს სკვითიას უწოდებს და მდინარე ფაზისს – სკვითიას მდინარეს, მაშინ კიდევ უფრო სარწმუნო ხდება პირველმოციქულთა მისიონერული საქმიანობა დასავლეთ საქართველოში.

ამ აზრს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს მოქცევის შესახებ, სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. ამას ცნობილი ისტორიკოსი ს.გორგაძე ხსნის იმით, რომ მოციქულთა მომდევნო ხანაში, ქრისტიანობას აქ "მარტო შორიდან მცნობელნი კი არა, მიმდევარნიც საკმაოდ უნდა ჰყოლოდა". "უეჭველია, წერს იგი, იქ მოსაქცევი ბევრი აღარავინ არ იქნებოდა და, მაშასადამე, პირველდაწყებითი ქადაგებაც ზედმეტი უნდა ყოფილიყო" (ს.გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი "მოამბე",№3, თბ., 1905).

ისმება კითხვა – რატომ X საუკუნემდე არ აისახა ეს მოვლენა ქართულ ისტორიულ თუ სასულიერო ლიტერატურაში. ამის პასუხი ადრეშუასაუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ობიექტური გააზრებით მოინახება. VIII საუკუნის ბოლომდე, ვიდრე დასავლეთ საქართველო გათავისუფლდებოდა ბიზანტიის მეურვეობა-ბატონობისაგან, ქართველების მიერ იმის აღიარება, რომ საქართველო პირველმოციქულთა, განსაკუთრებით წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ იყო მოქცეული, ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან 357 წლიდან, როცა წმინდა ანდრიას ნეშტი კონსტანტინეპოლში გადმოასვენეს, ამიერიდან კანონიერად ჩაითვლებოდა ამ მოციქულის მიერ მოქცეული ქვეყნის საქმეებში ბიზანტიისა და მისი ეკლესიის ჩარევა. ამიტომ ქვეყნის პოლიტიკურმა ინტერესებმა უკან დასწია წმინდა რელიგიურ-საეკლესიო ინტერესები ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, როცა ქართლის ეკლესია ერთხანს თავის განმანათლებლად წმ. გრიგოლს თვლიდა და არა წმ. ნინოს (ივ. ჯავახიშვილი).

IX-X საუკუნეებიდან, როცა პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და საქართველოსა და მისი ეკლესიისათვის საჭირო და მისაღები გახდა პირველმოციქულთა მიერ საქართველოს მოქცევის "გახსენება", გაჩნდა საამისო ცნობებიც და სულ მალე (XI ს) დაიწყეს მათი გამოყენება (გიორგი მთაწმინდელი) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დასასაბუთებლად.

2000 წ.

ქართული სახელმწიფოებრიობა
და ეკლესია

ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების ამ მძიმე პერიოდში გვმართებს განსჯა იმის, თუ როგორ გადარჩა, რამ გააძლებინა ურიცხვი მტრების გარემოცვასა და ხანგრძლივ თავდაცვით ბრძოლებში მყოფ ამ პატარა ქვეყანას დღემდე, რადგან ახლა, როგორც არასდროს, საქართველოს, მის მოსახლეობას განსაკუთრებით სჭირდება სახელმწიფოებრიობის შენებისა და დაცვის იმ ათასწლოვანი გამოცდილების გათვალისწინება, რაც ჩვენმა ისტორიამ შემოგვინახა.

ასოცზე მეტი წლის წინათ, 1880 წელს, ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე სვამდა ასეთ კითხვებს და იქვე ასკვნიდა: „პასუხი ჩვენს ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს... ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში". ამიტომ შემთხვევითი არაა ის, რომ ყველა დამპყრობელი ცდილობდა ქართველი ხალხის ამ ეკონომიკური საფუძვლისა და ეროვნული მთლიანობის მოშლას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე დაკვირვება იმის საშუალებას იძლევა, რომ ამ სამიათასი წლის მანძილზე ქართული სულის შენარჩუნების იმ მექანიზმზეც ვიმსჯელოთ, რომელმაც ცალკეულ ტომებად დაყოფილ ხალხს მოახერხებინა გაერთიანება ერთი ენითა და ერთი საცხოვრისით, რაც საბოლოო ჯამში ქართული სახელმწიფოს აშენებით დაგვირგვინდა.

ვიდრე საერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები წამყვან ადგილს დაიკავებდნენ მსოფლიო ხალხების სულიერ ცხოვრებაში, მასების სწავლა-განათლების, სულიერი და მსოფლმხედველობრივი ფორმირების სადავები რელიგიას, შესაბამისად ეკლე-

სიას ეპყრა ხელთ. ამასთან, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ქვეყნად იშვიათია სახელმწიფო, რომელშიც ერთი მოდგმის ხალხი ცხოვრობდეს. არადა, სახელმწიფოებრიობის შენებაში, მის დაცვასა და განმტკიცებაში ყველა უნდა მონაწილეობდეს. დიდი ილიას აზრით, სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე; მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლია სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია". (11:33-34). ამიტომ ქვეყნის მოსახლეობის ერთი სულისკვეთებით, სამშობლოს ინტერესებისადმი ერთგულეისა და სიყვარულის გრძნობით აღზრდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამას კი საუკუნეების განმავლობაში, ჩვენი ისტორიის უახლეს ხანამდე, ძირითადად რელიგია და, შესაბამისად, მისი ინსტიტუტები აკეთებდნენ.

ისე, როგორც, მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის, ქართველების პირვანდელი რელიგიაც წარმართული იყო, მაგრამ განვითარების გარკვეულ საფეხურზე, აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, „ქართველ ტომებს სათავისთაო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა", რომ „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია" (8:156). მართლაც, ძველი საქართველოს წარმართულ პანთეონში ვხედავთ მთავარ ღმერთს-მთვარეს, მზეს-მზექალას, ვარსკვლავებს, კვირიას და სხვა. მოგვიანებით, ძვ. წ-ის IV საუკუნის ბოლოს ქართლში აზოს გაბატონებას ახალი კერპების (გაცი, გაიმი) გამოჩენა მოჰყვა, ხოლო პირველი გამაერთიანებე-

ლი მეფე ფარნავაზი (ძვ. წ. III ს.) უმთავრეს ღვთაებად არმაზს აღიარებს. „ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და, ყოველნი ქალაქი და ციხენი ქართლისანი მოოხრებულნი (მტერთაგან), ამან აღაშენა... და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა; ესე არს არმაზი... ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახვებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (7:25-26).

როგორც ვხედავთ, ისტორიული ტრადიცია ქვეყნის გაერთიანებას, ქართული ენის ქვეყნის მასშტაბით გავრცობას და მწიგნობრობის განვითარებას ფარნავაზის ეპოქასთან აკავშირებს. ფარნავაზმა კი მთავარ ღვთაებად არმაზი გამოაცხადა ისე, რომ ძველი კერპების მსხვრევა არ დაუწყია. როგორც ჩანს, ამანაც შეუწყო ხელი ქვეყნის მოსახლეობის გაერთიანებას, ერთიანი ენისა და მწიგნობრობის გავრცელება-განვითარებას.

მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებია, როცა ქვეყნა სოციალ-ეკონომიკური განვითარების ახალ, ფეოდალურ საფეხურზე ავიდა, რაც განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ უზრუნველყოფას მოითხოვდა. ქვეყანა არჩევანის წინაშე იდგა: აღმოსავლური, მაზდეანური სარწმუნოება, თუ ქრისტიანული, რომლის იდეებს პირველი საუკუნიდანვე ნაზიარები იყო მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (5:29-44).

IV საუკუნის 20-იან წლებში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით საქართველომ არჩევანი გააკეთა და ამით განსაზღვრა თავისი პოლიტიკური ორიენტაციაც დასავლეთისაკენ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა-განმტკიცების ახალი ეტაპი დადგა V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობის წლებში. ახლა ქვეყნის ბედს ბევრად განსაზღვრავდა ის, ჯერ ერთი, მოიპოვებდა თუ არა ქვეყნის ეკ-

ლესია დამოუკიდებლობას (ავტოკეფალია) და მეორეც, დაუჭერდა თუ არა იგი მხარს ხელისუფლებას სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში. საყოველთაოდ ცნობილია ამ მიმართულებით ვახტანგ გორგასლის მიერ გადადგმული ნაბიჯები და მისი შედეგები: V საუკუნის ბოლო მეოთხედში ეკლესია ავტოკეფალური გახდა და ქვეყნის საზღვრებში მოექცა ისტორიული საქართველოს დიდი ნაწილი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს - ეგრისს, მართალია მისი ამ დროის ეკლესიის შესახებ ისტორიული წყაროები არაფერს გვამცნობენ, მაგრამ რადგან IV საუკუნის II ნახევრიდან, ვიდრე V საუკუნის ბოლომდე, ეგრისის სამეფო ძლიერ და დამოუკიდებელ ერთეულად ჩანს და მისი ბიზანტიისადმი დამოკიდებულება, წყაროების მიხედვით, იმაში გამოიხატება, რომ „როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს" (6, 72), უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძლიერ სამეფო ხელისუფლებას მხარს უჭერს ეკლესია, რომლის საეპისკოპოსოები, ჩვენი აზრით, ფაზისის სამიტროპოლიტოს გარშემო იყვნენ გაერთიანებული და დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ძლიერების სამსახურში იდგნენ (4:15).

მომდევნო VI-VIII საუკუნეები იყო, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის, ასევე ქარული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ასწლეულები. აღმოსავლეთ საქართველოში ეს გამოიხატა ირანელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ერისმთავრობის ინსტიტუტის გაძლიერებითა და ქართულ და სომხურ ეკლესიათა 608 წელს გათიშვით, რაც მომავალში ბევრი პოლიტიკური და კულტურული მოვლენის საწყისი გახდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა ეგრისის სახელმწიფოს ხანგრძლივი ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასთან ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რაც თავის ასახვას ჰპოვებდა აქაური ეკლესიის ცხოვრებაში. კერძოდ, VI საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში გაჩნდა

ორი ეპარქია-აფხაზეთისა, ცენტრით სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო და ლაზიკის ეპარქია - ცენტრით ფაზისის სამიტროპოლიტო. შესაბამისად, VII საუკუნის დასაწყისიდან ეგრისის სახელმწიფოც, წყაროების მიხედვით, ორ პოლიტიკურ ერთეულადაა გაყოფილი: აბაზგიის სამთავრო, რომელსაც არქონტი უდგას სათავეში და ეგრისის, რომლის მმართველს, ცოტა მოგვიანებით, ბიზანტიური წყაროები „სახელოვან ღვთივ დაცულ პატრიკიოსის" ტიტულით მოიხსენიებენ. აბაზგია უშუალოდ ექვემდებარებოდა ბიზანტიის იმპერიას, ხოლო ეგრისი დამოუკიდებელ ქვეყანად რჩებოდა, მაგრამ აბაზგიის არქონტიც და ლაზიკის პატრიკოსიც გადამწყვეტ მომენტში იქცეოდნენ ისე, როგორც ბიზანტიის მოკავშირეები და არა როგორც დამოკიდებულ-დამორჩილებული ქვეყნების მეთაურები. საერო ხელისუფალთა ასაეთი პოზიცია თავის გავლენას ახდენდა საეკლესიო ცხოვრებაზეც.

დასავლეთ საქრთველოს პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა აბაზგთა და ეგრისელთა გაერთიანებულმა ძალებმა დაამარცხეს არაბები და მომზადდა პირობები ამ ორი სამთავროს გასაერთიანებლად. როგორც ჩანს, VIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისის და აბაზგიის ეკლესიები გაერთიანდნენ და შეიქმნა აფხაზეთის საკათალიკოსო (2:169; 9:75). ამიერიდან, დასავლეთ საქართველოს ეკლესია ფორმალურად რჩებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის დამოკიდებულების ქვეშ და ამზადებდა სულიერ საფუძველს ქვეყნის განთავისუფლებისათვის. VIII საუკუნის 80-იან წლებში, ლეონ II მმართველობისას (758-798), ჩამოყალიბდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო, რომელმაც საუკუნის ბოლოს ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობაც მოიპოვა. მალე, IX საუკუნის 40-იან წლებში, მისმა ეკლესიამაც გაითავისუფლა თავი კონსტანტინეპოლის პატრიარქის იმ ნომინალური დამოკიდებულებისგან (5: 220).

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ცალკეული სამეფო-სამთავროების ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. განსაკუთრებით აქტიურობდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო. მას საამისო საფუძველიც გააჩნდა. იგი სხვებთან შედარებით უფრო ცენტრალიზებული და ეკონომიკურად მოღონიერებულიყო. ამ ბრძოლაში მას ძლიერი და დაინტერესებული მოკავშირე სჭირდებოდა ქართლის ეკლესიის, მცხეთის საკათალიკოსოს სახით, რომლის მიზანს ასევე ქვეყნისა და ეკლესიის ერთიანობა შეადგენდა. ასე, რომ ეგრის-აფხაზეთის ხელისუფალთა და ქართლის ეკლესიის მესვეურთა ინტერესები ემთხვეოდა ერთმანეთს. აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „მცხეთა ლიხთიმერეთის კულტურულ-რელიგიური შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს" (1:50). ამ ორი ძალის გაერთიანების პირობა იყო ეგრის-აფხაზეთის ეკლესიის - აფხაზეთის საკათალიკოსოს მცხეთის საკათალიკოსოზე დაქვემდებარება, რაც ბუნებრივია, ახლად დამოუკიდებლობამიღებული აფხაზეთის საკათალიკოსოსა და მასში შემავალი საეპისკოპოსოების მხრივ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის სამეფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმა, რომელიც ძველი საეპისკოპოსოების (ფაზისი, ვარციხე, ძიღანევი....) გაუქმებითა და ახალი საეპისკოპოსოების (ჭყონდიდი, მოქვი, ბედია, დრანდი, ხინო, ნიკორწმინდა....) დაარსებით დასრულდა (5: 226-227).

ამიერიდან, ეგრის-აფხაზეთის ეკლესია დაექვემდებარა მცხეთის ტახტს. ახლა ერთიან ქართულ ეკლესიას სერიოზული როლის თამაში შეეძლო ქვეყნის გამაერთიანებელ პროცესში, რომლის საფუძვლები საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ და არაქართველურ ტომთა ერთ პოლიტიკურ და კულტურულ ერთეულად, ერთი ქვეყნის–საქართველოს მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ამ ერთ-

იანობის საფუძველს, აკად. რ. ორდეზიანის თქმით, „ქმნის ეროვნული თვითშეგნება, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ზოგჯერ თავად ენობრივი ერთიანობის ფაქტორიც კი." მისი აზრით „ეროვნული თვითშეგნება ეფუძნება რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საყრდენს, რომელთაგან უმთავრესია ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა და რწმენა" (3:3). ეს კი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ამ პროცესში თუ გადამწყვეტი არა, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რელიგიამ, როგორც ხალხის სულიერი, კულტურული და მსოფლმხედველობრივი ცხოვრების მესაჭემ.

X საუკუნის ბოლო მეოთხედში ეგრის-აფხაზეთის, ტაოკლარჯეთისა და ქართლის გაერთიანებით დაიწყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის წლებში (1089-1125) დაგვირგვინდა. აქაც, ამ უმნიშვნელოვანეს პროცესს დიდი საეკლესი რეფორმა (რუის-ურბნისის საეკლესიო კერება 1103 წ.) ახლდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და განმტკიცების ყველა ეტ პზე ქრისტიანული ეკლესია ფარივით იცავდა ქვეყანას ჯვრით, სარწმუნოებისა და ქვეყნისადმი ერთგულების ღრმა რწმენით. ქრისტიანული ეკლესიები და მონასტრები მათთან არსებული სკოლებით, აკადემიებით (გელათი, იყალთო, გრემი), სწავლულ მწიგნობართა, მორწმუნე მამათა და დიდმოღვაწეთა: პეტრე იბერის, გრიგოლ ხანძთელის, ეფრემ მცირეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, ანტონ დიდის, ილია მართლის და სხვათა მაგალითებსა და ნააზრევზე დაყრდნობით ზრდიდა და ამზადებდა თაობებს. შემთხვევითი როდია, რომ ეროვნულ წამებულთა შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ სომეხ შუშანიკსა და არაბ აბოს, სპარს რაჟდენსა და ევსტათის, არც ისაა შემთხვევითი, რომ ეკლესიამ წმინდანებად აღიარა მეფე - გვირგვინოსნების (დავითი, თამარი, ლუ-

არსაბი, ქეთევანი....), დიდებულების (დავით და კონსტანტინე ერისთავები, ცოტნე დადიანი, ბიძინა ჩოლოყაშვილი...) და მღვდელმთავრების (კათალიკოს-პატრიარქები: ევდემოს I (დიასამიძე), ამბროსი (ხელაია), კირიონ III (საძაგლიშვილი), მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპოსი გაბრიელი....), გვერდით უბრალო ადამიანებიც (მღვდლები-თევდორე, გერმანე, სიმონ, დიაკონი ბესარიონ, იღუმენი ალექსი.....), რადგან მათ ერთი უმთავრესი რამ აერთიანებდათ: ქართული სახელმწიფოსადმი, ქრისტიანული რწმენისადმი თავდადება.

ასე, ქვეყნისა და ქართული სახელმწიფოებრიობისადმი ერთგული სამსახურითა და თავდადებით მოვიდა საქართველოს ეკლესია ჩვენს საუკუნემდე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, საერო განათლებისა და აღზრდის დამკვიდრების საუკუნემდე, მაგრამ არც ჩვენს დროში შესუსტებულა მისი ფუნქცია და მნიშვნელობა ქვეყნის, სახელმწიფოებრიობის დაცვა-განმტკიცებაში. არ შეიძლება შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს ის, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვა (1811 წ.) ხოლო 1917 და 1990 წლებში ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას - ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ქართული სახელმწიფოებრიობისადმი ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გაწეული სამსახურის მოკლე ექსკურსი იმის მაჩვენებელია, რომ თუ სახელმწიფოს სურს იყოს ძლიერი და დღეგრძელი, უნდა იზრუნოს იმ ინსტიტუტების დაცვისა და უზრუნველყოფისათვის, ვისაც აბარია ქვეყნის მოსახლეობის სულიერი, მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი ფორმირების ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე.

2002 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966

2. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991

3. გორდეზიანი რ., ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ., 1993

4. დიასამიძე ბ., უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2000

5. დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (1-X საუკუნეები), ბათ., 2001

6. პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965

7. ქართლის ცხოვრება, ტ, I, თბ., 1955

8. ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. I, 1979

9. ჯაფარიძე ა., ქართული სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II, თბ., 1998

10. ჭავჭავაძე ი., თხზ., თ. IV, თბ., 1955

11. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. V, თბ., 1955

იოსებ იმედაშვილი და აჭარა



წაკითხულია ი. იმედაშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილ საუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე.

იოსებ იმედაშვილი ნაშრომში "ჩემი ცხოვრების წიგნი" თავისი უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ წერს: "ზაქარია – მეწიგნე, ზაქარია – გამომცემელი, ზაქარია – აჭარაში მოგზაური, ზაქარია – სემინარიელთა მზრუნველი, ზაქარია - არალეგალურ წიგნთა მცველი და გამავრცელებელი, ზაქარია – მუშათა მასწავლებელი და აღმზრდელი... ზაქარია – ვინ მოთვლის, რა იყო ზაქარია – ყველაფერი და ყველგან მყოფი"... შეიძლება იგივე სიტყვები გავიმეოროთ თვით იოსებ იმედაშვილის მიმართაც, რადგან მისი ხანგრძლივი მოღვაწეობაც ისეთივე მრავალფეროვანი იყო, როგორიც მისივე უფროსი მეგობრის. მისი საზრუნავია ამბოხებული კახეთიცა და ივრისპირეთიც, თბილისიცა და გურიაც, არალეგალური წიგნე-ბის დაცვა-გავრცელებაცა და დემოკრატიული ჟურნალის "თეატრი და ცხოვრების" გამოცემაც, მუშათა და გლეხთა თეატრების დაარსება-ხელმძღვანელობაცა და ცნობილ მოღვაწეთა ნაწარმოებების მოვლა-პატრონობაც, რადგან მისი ფიქრისა და მოქმედების საგანს ერთიანი საქართველო წარმოადგენდა.

განსაკუთრებულია ი. იმედაშვილის დამოკიდებულება ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობიდან გათავისუფლებული აჭარის მიმართაც. მას ესმოდა აქ შექმნილი რთული ვითარება, ჯერ

ერთი, აქაური მოსახლეობის დაბალი ეროვნული ცნობიერებისა და მეორე, თურქეთისა და რუსეთის მხრივ თავიანთი ფარული ზრახვების განხორციელების მიზნით აქ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო. ამიტომ სხვადასხვა გამომცემლობაში გამოქვეყნებულ წერილებსა თუ მის მიერ დაარსებული ჟურნალის "თეატრი და ცხოვრების" ფურცლებზე მოთავსებულ პუბლიკაციებში ის აშკარად გამოხატავს მამულიშვილურ პოზიციას. მან ჟურნალის 1915 წლის 28 ივნისის ერთი ნომერი (№26), სათაურით "ქართველ მაჰმადიანთა ნომერი", მთლიანად აჭარის პრობლემებს მიუძღვნა. მადლიერებით მოიხსენიებს რა აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისა და მისი მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეში პლატონ იოსელიანის, გიორგი ყაზბეგის, დიმიტრი ბაქრაძის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, თედო სახოკიას, ნიკო მარის, აჭარელთაგან: მემედ-ბეგ აბაშიძის, გულო-აღა კაიკაციშვილის, აბდულ მიქელაძის, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის და სხვათა დამსახურებებს, იგი განსაკუთრებით გამოჰყოფს 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დამსახურებას, რომელიც უყოყმანოდ ჩადგა ქვეყნის სამსახურში, არ შეუშინდა ოსმალთა რისხვას, პრივილეგიების დაკარგვას და ხალხიც გაიყოლია.

თავის წერილებში ი. იმედაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ სარწმუნოებრივი განსხვავება ხელს არ უნდა უშლიდეს ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ერთიანობას. იგი განმარტავდა, რომ არ უნდა აღვრიოთ რჯული და ეროვნება, რომ მთავარია ჩვენი საერთო სისხლი, ჩამომავლობა, ენა, კულტურა, ისტორია. ი. იმედაშვილის ეს მოწოდება, როგორც ჩანს, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძის წერილის გამოძახილია, რომელიც 1913 წელს "ბათუმის გაზეთში" (№3) დაიბეჭდა სათაურით "ქრისტიან ქართველებს". ჰაიდარ-ბეგი მათ მიმართავდა: "ჩვენ ქართველები ვართ, გვიპატრონეთ, როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა, ამოგვიყენეთ გვერდით, ჩვენი

ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილია, რადგან ჩვენ ერთნი ვართ".

ი. იმედაშვილი თვლის, რომ აჭარელი ძმების გათვითცნობიერებისათვის, მათში ქართული წიგნის, კულტურის გავრცელებისათვის ყველა ხერხი და ფორმა მისაღები იყო. ამ მხრივ საინტერესოა ზემოთ მოხსენიებულ წიგნში მოყვანილი აკაკი წერეთლისა და ზაქარია ჭიჭინაძის დიალოგი.

აკაკის სიტყვებზე: "ბარემ იქვე დასახლდი, ჩემო ზაქარია", ზაქარია ჭიჭინაძე პასუხობს: "რას იზამ, როცა ეს ჩვენი ერისათვის საჭიროა... თუკი თქვენ, ბატონო აკაკი, ერის გადასარჩენად ბაგრატ მეფეს რჯული გამოაცვლევინეთ, მე განა დამნაშავე ვიქნები, რომ ქართული მწიგნობრობის გავრცელებისათვის ჩვენ ძმა მუსლიმანთა ჯამეში ვილოცო" (გვ.187). საინტერესოა აკაკის პასუხიც: "გეხუმრე, ჩემო ზაქრო, გეხუმრე... ჩვენი ერის გამრავლებისა და გადარჩენისათვის ყველაფერი უნდა ვიკისროთ, ჯამეში კი არა, თუნდ ჯოჯოხეთში ვილოცოთ" (იქვე).

იოსებ იმედაშვილს ახსოვდა აკაკის შეგონება: "ხალხის საქმეს ხალხისვე შვილებმა უნდა უჭირნახულონ... ხალხური ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენო" (გვ.195).

იოსებ იმედაშვილი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს აჭარაში მიმდინარე მოვლენებს და გამოხმაურების გარეშე არ ტოვებდა არც ერთ მნიშვნელოვან პრობლემას. მან თავისი ჟურნალის 1915 წლის 12 ივლისის ნომერში მოათავსა ბათუმელი გიმნაზიადამთავრებულის – სულეიმან დიასამიძის სურათი, რომელიც თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად მიდიოდა. იმედაშვილმა ეს აქტი ამ მხარისათვის დიდმნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა და ეს ასე იყო მართლაც.

ი.იმედაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება აჭარის მიმართ კარგად ჩანს 1916 წლის 3 მარტს თბილისში აჭარელთა დეპუტაციის სტუმრობასთან დაკავშირებულ მოვლენებში, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" 1916 წლის 13 მარტის ნომერში. აჭარის დეპუტაციიდან მგზნებარე

სიტყვებით გამოვიდნენ: მემედ-ბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე და ხოჯა ისკენდერ ცივაძე. ამ უკანასკნელის გამოსვლაში რაფიელ ერისთავის ლექსიდან მოტანილი სიტყვები "როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა" – განსაკუთრებულად ჟღერდა და კიდევ უფრო ამაღლებდა საზეიმო განწყობილებას.

ამავე ხანებში, 1916 წელს გაზეთ "სახალხო ფურცელში" მემედ აბაშიძე წერდა: "დღეს ის აღარ ვართ, რაც წარსულში ვიყავით... გვინდა ჩვენი ღვიძლი ძმანი და თანამემამულენი სულითა და გულით ჩავიკრათ მშობლიურ მკერდში, ნაღველი ამოვიცალოთ და ამ ქვეყანას ნათესაურის ბედნიერებითა დავსტკბეთ, გავიცნოთ და დავუმკვიდროთ ერთმანეთს ჩვენი გული". ამ იმედიანმა განწყობილებამ ცოტა მოგვიანებით ი.იმედაშვილს ათქმევინა: "დიდი ხნის დაქსაქსული ძმები ძლივს ერთის კერის ირგვლივ, დედაქალაქის გარშემო ვიკრიბებით... ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან" ("თეატრი და ცხოვრება" №24, 1916). ამავე ჟურნალში (№39) იგი აქვეყნებს ინფორმაციას ერთი ქრისტიანი ქართველის ზემო აჭარაში მოგზაურობის შესახებ, რომელიც აღტაცებულია აქაურთა სუფთა ქართულითა და ქართული წერა-კითხვის შესწავლის დაინტერესებით.

ჩვენი მხარის მიმართ ი. იმედაშვილის განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა კარგად ჩანს მისი და ზაქარია ჭიჭინაძის აჭარაში ბოლო მოგზაურობის ცალკეულ ეპიზოდებშიც. ბათუმში ჩამოსულნი ქალაქის ძველ ხმოსან, ნაკატორღალ ალფესი მიქელაიშვილთან დაბინავებულან და 8-9 დღე დარჩენილან. "შემდეგ – წერს ი.იმედაშვილი, - ბათუმელი აბაშიძენი გაგვიმასპინძლდნენ. ყველა ესენი ზაქარიას მამას ეძახდნენ, თვალის ამხელსა და მზრუნველს". წიგნის ავტორი იქვე აგრძელებს: "მაოცებდა ამ აბაშიძეთა ოჯახში გამართული ნადიმობა, ნიაზად მომზადებული სადილ-ვახშამი, მრავალფერი და იშვიათ გემოიანი" (გვ.291). საპატიო სტუმრები შემდეგ გადაუპატიჟებიათ გულო-აღა კაიკაციშვილის, ხოჯა ისკენდერ ცივაძისა და სახალხო მასწავლებლის არსენ წითლიძის იჯახებში. "ყველგან დიდი სიყ-

ვარული და თავაზიანობა გვიჩვენესო", წერს ი.იმედაშვილი (გვ.91). აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც ყვება: "კაიკაციშვილების ოჯახში, ნადიმის დროს, ერთი შუახნის ქართველი მუსლიმანი შეეკითხა ზაქარიას: "ეფენდუმ ზაქარია, ჩვენი ხებერი როგორ იქნება ახლა, რომ კომუნისტები არიან, ბოლშევიკები". ზაქარიამ დინჯად უპასუხა: "გურჯები?– რამდენჯერ მითქვამს და გეუბნებით, რომ გურჯები იგივე ქართველები, საქართველოს – გურჯისტანის შვილები არიან და რაც საქართველოს მოელის, ის თქვენაც" (გვ. 291).

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აჭარაში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. ამის საფუძველი გახდა ხელისუფლების მხრივ მიღებული ნაჩქარევი ღონისძიებები. 1927 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, საბჭოეთში მცხოვრებ ყველა მუსლიმანს უფლება მიეცა 9 თვის განმავლობაში ემიგრირებულიყო თურქეთში. ამასთან, საგრძნობლად გააქტიურდა ანტირელიგიური კამპანია, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ერთი ნაწილის გადასახლება თურქეთში და მასობრივი მღელვარებანი.

ამ პროცესს ხელი შეუწყო ეკონომიკურმა ფაქტორებმაც (გადასახადები, ბაჟი ტყეზე, საძოვრებზე, საქონლის დაზღვევა, სასაზღვრო რეჟიმის გამო ვაჭრობის შეზღუდვა, საძოვრების საზღვრის იქეთ დარჩენა და სხვა). მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა ე.წ. "ჩადრის ახდის" კამპანიის დაწყებამ. ხელისუფლება მკაცრი ადმინისტრირებისა და რეპრესიების გზას დაადგა, 1929 წლის მარტში მაღალმთიან აჭარაში მასობრივი გამოსვლები დაიწყო. მთავრობა მკაცრად გაუსწორდა ამბოხებულებს. მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს კომუნართა რაზმები და რეგულარული სამხედრო შენაერთების ჯარისკაცები. ამბოხებულთაგან დაიღუპა 30 და ამდენივე დაიჭრა, ხოლო ხელისუფლების ძალთაგან დაიღუპა 8 კაცი (ი.მანველიძის საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ.26). ამ პერიოდში ფართო გასაქანი მიეცა ანტიაჭარულ კამპანიას. ამის გამოძახილი უნდა იყოს ზ. ჭიჭი-

ნაძის 1930 წლის 29 მაისით დათარიღებული წერილი ი. იმედაშვილისადმი, სადაც წერს: “დღეს უკვე ცხადათ ჩანს ის გარემოება, აჭარას ეთხრება სამარე და ადრე თუ მალე, აჭარაში მოისპობა ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი და იქ დარჩება ცარიელი აჭარის ტერიტორია... აბა შენ იცი, თუ ამ დასაღუპავ მხარეს არ დაივიწყებ და ჩვენ ვალს მოვიხდით, ჩვენ მთავრობასაც ვაცნობებთ თავიანთ ვალდებულებებს... ამაზედ მეტი დიდი საქმე ჩვენთვის სხვა აღარა იქმნება რა”...

ზ. ჭიჭინაძე აქვე აგრძელებს: “ლუარსაბ ანდრონიკაშვილს თუ იცნობ, ჩვენ უნდა აღვძრათ საჩივარი მოსკოვში, იქ უნდა ვაცნობოთ, რომ აჭარელნი თურქნი არ არიან. ეს ლუარსაბი დაგვიწერს თხოვნას. ასე მასხრობა ქართველ ნაციის შესახებ და დამცირება არ უნდა დავტოვოთ. ჩვენი ძიება გაიტანს თავის სიმართლეს (გვ. 185).

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი მხარის დიდი მოჭირნახულე ზ. ჭიჭინაძე ასეთი შინაარსის წერილს სწერს სწორედ ი. იმედაშვილს და არა სხვა ვინმეს, რადგანაც იცის მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა აჭარისადმი, მისი მოსახლეობისადმი. ეს რომ ასეა, იმითაც დასტურდება, რომ ზაქარია ჭიჭინაძე სიკვდილის წინ თავისი ანდერძით, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგება და აქედან სამი აჭარას, მასზე ფიქრსა და ზრუნვას ეხება, ი. იმედაშვილს უბარებს:

„1. სანდრო ეულს (იგი მთავლიტი იყო) უთხარი, ქართველ მწერლობას სიყვარულით მიხედოს...

2. აბაშიძეებს და მუსლიმან ქართველებს ეტყვი... საქართველოს კალთა მაგრა დაიჭირონ, რომ ჩვენი სამშობლო ისევ აღორძინდეს...

3. ჩემი სახლი კერძო მდგმურებისაგან გასწმინდონ და შიგ ჩაასახლონ აჭარელ-ქობულეთელი უბინო სტუდენტები, ქართველი მუსლიმანები...

4. მუსლიმან აბაშიძეებს უთხარი, საქართველოს ერთგულნი იყვნენ... საითაც აბაშიძენი იქნებიან, სხვანიც იქით...”

ი. იმედაშვილისა და ზ.ჭიჭინაძის მხრივ აჭარისა და მისი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა ბუნებრივია, რადგან ყველაზე უკეთ მათ ესმოდათ სამშობლოსთან ახლად დაბრუნებული მხარის სიძნელეები და ტკივილები, ამიტომაც ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ და გვერდში ამოდგომოდნენ მას.

2002 წ.

საუკუნეების მანძილზე ლაშა-გიორგის, როგორც მეფისა და პიროვნების შესახებ, განსხვავებული შეფასება და შეხედულებები იყო გაბატონებული. ასეა ახლაც. გაზიარებულია აზრი იმის თაობაზე, რომ იგი ვერ აღმოჩნდა დიდი და სახელოვანი წინაპრების, ბრძენი დედის საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

გვირგვინოსნის მოღვაწეობის ასეთი შეფასება გამოწვეულია, ერთი მხრივ, მისი ზეობიდან საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შესუსტებით, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მარცხითა და ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვით, მეორე მხრივ, მისი პიროვნების იმ დახასიათებით, რომელსაც იძლევა XIV საუკუნის მემატიანე, „ჟამთააღმწერლის" სახელით ცნობილ (15:151-167) მატიანეში ლაშა-გიორგის პიროვნება წარმოდგენილია, როგორც ამპარტავანი, თვითბუნება, "სახიობის, ღვინისა და გემოთ მოყვარე". აი, რას ვკითხულობთ იქ: "მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა... განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა, წესთა მასწავლელნი, შეიყვარა თანამოასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა...ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თჳსი" (15:154-155).

მემატიანის თქმით, ამასაც არ დასჯერდა იგი და "მისულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან, მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყუარა ფრიად, და მუცლად იღო დედაკაცმან მან და შვა ყრმა, რომელსა უწოდეს სახელად დავით"(15:155).

როცა ქალის უკან დაბრუნება მოთხოვეს კათალიკოსებმა, ეპისკოპოსებმა და ვაზირებმა, "ხოლო მეფესა არა ენება, არცა უსმინა", ქალის წაგვრის (წართმევის) შემდეგ "არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად" (15:157). ამის შემდეგ მემატიანე დაასკვნის: "ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისაღირსი და აწ კარსა ზედა მყოფნი. დაღათუ კათალიკოსთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდათ საქმე ესე, არღარა ინებეს მასთანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳსად იყოფოდეს. ამისათვის აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოოჯრებისანი" (15:157).

როგორც ამონარიდიდან ჩანს, ჟამთააღმწერელი XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში დატრიალებულ უბედურებებს (მონღოლთა და ხვარაზმელთა ლაშქრობები, ქართველთა მარცხი) ლაშა-გიორგის პიროვნული ნაკლოვანებებითა და მის მიერ ჩადენილი ცოდვებით ხსნის. ლაშა-გიორგის მოღვაწეობის ასეთი პროვიდენციული შეფასება გაზიარებული იყო მომდევნო საუკუნეებშიც, თუმცა იყო განსხვავებული შეფასებების ცდებიც ფარსადან გორგიჯანიძისა (7:93-104) და იოანე ბატონიშვილის ნაშრომებში (6:290-295).

ლაშა-გიორგის მოღვაწეობის უარყოფითი შეფასებაა მარი ბროსეს "საქართველოს ისტორიაშიც". იგი წერს: "საუბედუროდ, თავისს მეფობის ბოლოს გიორგიმ ისეთი გარყვნილი ცხოვრება დაიწყო, რომ ათაბაგი ივანე და ვარამ გაგელი ჩამოეცალნენ მას. კანონიერად ის არავისზე არ დაქორწინებულა, არამედ შეუყვარდა მას ვიღაც ველისციხელი ქალი, რომლისგანაც ჰყავდა ძე დავითი... ის მუდამ მისვლა-მოსვლაში ატარებდა დროს, ხან ნადირობდა აჯამეთში, ცხუმში ანუ აბხაზეთში, ხან დაიზამთრებდა დვინში, სომხეთში; ხან კი ზაფხულს ატარებდა კოლაში, მტკვრის სათავეში მდებარე

ადგილებში, სადაც ის ხარკს ჰკრეფდა ყველა თვის ხელ-ქვეით მხარეებიდან" (2:137-138).

ლაშა-გიორგის, როგორც მეფის, შეფასებას იძლევა ივ. ჯავახიშვილიც. "სამწუხაროდ, – წერს იგი, რაინდული სულისკვეთებითა და პატიოსნებით უხვად დაჯილდოებული ლაშა-გიორგი, ვითარცა დედისერთა ვაჟიშვილს სჩვევია, განებივრებული და თავისნათქვამა ჭაბუკი გამოდგა... იმ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს შემდგომი წარმატებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის საჭირო იყო, ლაშა-გიორგი გამოსადეგი ვერ აღმოჩნდა" (19:1). შემდეგ აგრძელებს: "ეტყობა, ლაშა-გიორგის მაინც ნათლად წარმოდგენილი არ ჰქონდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მას, ვითარცა სამეფოს უზენაეს საჭეთამპყრობელსა და კეთილდღეობის მესვეურს ეკისრებოდა და რომლის სიმძიმეც მას მკაფიოდ უნდა ჰქონოდა შეგნებული" (19:5).

საინტერესოა ივ. ჯავახიშვილისეული ლაშა-გიორგის, როგორც პიროვნების, შეფასება. იგი წერს: "როგორც ცალკეული, კერძო მოქალაქე, ლაშა-გიორგი იმ დროისათვის ბევრი მხრით საინტერესო პიროვნებად უნდა იქნეს მიჩნეული: თავისი რწმენის დასაცავად გამომჟღავნებული მისი მტკიცე ნებისყოფა, ეკლესიისადმი მისი თავისუფალი დამოკიდებულება, მისი გატაცება სახიობა-სანახაობითა და ხშირად ათეისტობამდე მიმავალი თეოსოფიური მოძღვრების მიმდევარ სუფიების რინდთა წრესთან დაახლოებულობა, მას იმ ხანისათვის ისეთ არაჩვეულებრივ ადამიანად გვაგულისხმევინებს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გაბატონებული ძველი რწმენისა და ზნეობის დარღვევას არ ერიდება" (19:5).

ივ. ჯავახიშვილი, რადგან ჟამთააღმწერელის მსგავს ცნობებს ლაშა-გიორგის შესახებ ვერ ნახულობს XIII საუკუნის სომეხი და სპარსი ავტორების თხზულებებში, ეჭვს გამოთქვამს მემატიანის ობიექტურობაში, მაგრამ ითვალისწინებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვებს: "ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა

კაცთა არცა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდისო", რაც, მისი აზრით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ლაშა-გიორგის სიცოცხლეში ქებასთან ერთად გმობაც ისმოდა, მკვლევარებს ამ წყაროების გამოყენებისას სიფრთხილისაკენ მოუწოდებს და ურჩევს, რომ წყაროთა ამ უთანხმოებას სათანადო განმარტება მოუძებნონ (18:32-33).

მართლაც, რით უნდა აიხსნას XIII საუკუნის ქართულ და უცხოურ წყაროთა დუმილი ლაშა-გიორგის უარყოფით თვისებათა შესახებ, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ იგი შემდეგ შეთხზეს მისი პოლიტიკით უკმაყოფილოებმა, ან ლაშა-გიორგის შემდეგდროინდელი საქართველოს ბედით შეწუხებულებმა? შეიძლება თუ არა XIII საუკუნის საქართველოში განვითარებული მოვლენები ლაშა-გიორგის "უპასუხისმგებლობას" და "თავისნათქვამობას" მიეწეროს? რით შეიძლება აიხსნას ლაშა-გიორგის, იმ დროისათვის ბევრისთვის გაუგებარი "თავისუფალი აზროვნება", ეს მისი, პიროვნულია, თუ იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგი, როგორ უნდა შეფასდეს მისი, როგორც პიროვნებისა და მეფის როლი?

ამ საკითხის სწორად და ობიექტურად გაშუქებით ჯერ ერთი, თანამედროვეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას სწორ წარმოდგენას შევუქმნით დიდ წინაპარზე და მეორე, აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას.

XIII საუკუნის დასაწყისი მრავალმხრივ საინტერესო პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს, ერთი მხრივ, გამოვლინდა, ყველაზე მეტად, ფეოდალურ ურთიერთობათა დასრულება ყველა თავისი შედეგით (მეფის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების ჩამოყალიბება, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ქალაქების ზრდა-განვითარება და შესაბამისად მოქალაქეთა ანუ ბიურგერული ფენის ჩამოყალიბება, ხელისუფლების დასაყრდენად მოქალაქეებისა და მსახურეული არისტოკრატიის გადაქცევა და სხვა) და მეორე მხრივ,

აშკარა გახდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონის შეუსაბამობა სახელმწიფო მმართველობის სისტემასა და მის იდეოლოგიასთან. ამას კი მოჰყვა იმ დროის მსოფლიოში სრულიად ახალი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის - რენესანსის გაჩენა.

ამ იდეური მიმართულების აზრი შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოძრაობა მიწიერი სინამდვილისა და ადამიანის მიწიერი არსებობის ღირებულების უარყოფიდან, მათი ღირებულებისა და მნიშვნელობის აღიარებამდე. ამით ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა დედამიწამ, როგორც "მდაბალმა", "უბადრუკმა" და "მოძულების საგანმა" (16:6). დედამიწასთან ერთად ღირებულება და მნიშვნელობა მოიპოვა ადამიანის მიწიერმა არსებობამაც (შ.ხიდაშელი). ამიტომ რენესანსი, როგორც ანტიკურობის აღორძინება და ჰუმანიზმი, როგორც ადამიანურის ახლებური, შუასაუკუნეების ასკეტური იდეალისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული გაგება, ერთად განიხილება და რენესანსულ ჰუმანიზმს მსოფლმხედველობად აღიარებენ (16:5).

ეს დიდი გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XV-XVI საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, მიმართული იყო შუასაუკუნოებრივი სქოლასტიკისა და ქრისტიანული დოგმატების წინააღმდეგ და წინ სწევდა ადამიანთა საერო, ამქვეყნიურ ინტერესებს, ჰუმანისტურ მისწრაფებებს. ეს იდეები და მისწრაფებები ყველაზე რელიეფურად იჩენდნენ თავს ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

დიდხანს რენესანსი, როგორც იდეურ-კულტურული მოძრაობა, დასავლური კულტურული სამყაროს კუთვნილებად და იმ დიდ უპირატესობად ითვლებოდა, რაც დასავლეთის კულტურამ მოიპოვა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, მაგრამ XX საუკუნის 70-იან წლებში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში პირველად, შალვა ნუცუბიძემ დასვა საკითხი აღმოსავლური რენესანსის შესახებ (11) და არგუმენტირებულად დაასაბუთა აღმოსავლეთის გავლენა დასავ-

ლური რენესანსის საწყისებზე (20:27). შ. ნუცუბიძემ "ვეფხისტყაოსანი" იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს შუქზე განიხილა და იგი რენესანსის აღმოსავლური სამყაროს ნიშანსვეტად გამოაცხადა (12:204). ამით მან დაასაბუთა ქართული რენესანსის რეალური არსებობაც. ამასთან, დადგენილია, რომ ქართული რენესანსი ტიპოლოგიურად მაინც დასავლურია, რადგან "ვეფხისტყაოსანშიც" იგივე სააზროვნო პრობლემატიკაა აღძრული, მას იგივე საფუძველი და ნიშან-თვისებები აქვს, რაც ევროპულ რენესანსს ახასიათებს (12:207).

ქართული რენესანსის უპირველესი წინამძღვარი ქართული ქრისტიანული კულტურა იყო, რომლის ფესვები ადრე შუა საუკუნეებში იყო გადგმული. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი მერჩულე "სულ სხვა მიმართულების კაცი იყო... მას გულში უღვივოდა ბუნების მშვენიერების ტრფიალება, იგი აღტაცებული შეჰხაროდა ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს", ხოლო გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთ ძეგლზე (973 წლის იშხნის ჯვარცმა) ქრისტე გამოსახულია "დახუჭული, ჩავარდნილი თვალებით, გამხდარი სახით, რომელიც აღსავსეა გადატანილი ტანჯვის სევდით" (16:11). სახარების ამგვარი ინტერპრეტაცია უჩვეულოა იმდროის ევროპისათვის, საქართველოში კი, როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რენესანსულ აზროვნებას და სამყაროს ახლებურად გააზრებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ადრეშუასაუკუნეებში.

ინტერესის გადაადგილება მიწიერისა და ადამიანურისაკენ, შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში, განსაკუთრებით ინტენსიური გახდა XI-XII საუკუნეებში, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ წინსვლასთან ერთად, ეკლესის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებითაც. ამ ეპოქის ქვეყნის მმართველებმა და მეფეებმა შეცვალეს ცხოვრებიდან განდგომილი მონაზვნები არა მხოლოდ საისტორიო

მწერლობაში, არამედ პოეზიასა და ფერწერაშიც. ამ ხანას ეკუთვნის ბაგრატ III, ბაგრატ IV , გიორგი III, თამარისა და ლაშა-გიორგის ფრესკული გამოსახულებანი, სადაც მხატვრობა ჯერ კიდევ არაა თავისუფალი შუა საუკუნეების ტრაფარეტისაგან, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხაზი აქვს გასმული მათ "ცხოვრებისეულ თვისებებს - პორტრეტულ მსგავსებას, მიმზიდველობას, ფიზიკურ ძალას, სიბრძნეს, ნებისყოფას, ენერგიასა და სამხედრო დახელოვნებას" (16:15).

ქართული რენესანსული აზროვნება, იდეები და შეხედულებები ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში", რომლის გმირები თავისუფალი არიან შუასაუკუნოებრივი რელიგიურ-მისტიკური შეხედულებებისაგან და ცხოვრების აზრს ამქვეყნიურ ბედნიერებაში ხედავენ. ისინი აქტიური, მოქმედნი და მებრძოლნი არიან დასახული მიზნის მიღწევის გზაზე. მათი დევიზია "სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა, რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა". მათი ცხოვრებისეული დევიზია ადამიანური, წმინდა სიყვარული და ერთგულება, მოყვასისათვის თავის დადება, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანობა და სიკეთე. რუსთაველის გმირები პიროვნულად თავისუფლები არიან, მათ ნებელობას არ ზღუდავს არც უზენაესი ძალა და არც ბრმა ბედისწერა. რუსთაველმა გაცილებით ადრე მკაფიოდ გამოხატა ის იდეური მიდრეკილებანი, რაც ჩვეულებრივ ევროპული რენესანსის ნიშანდობლივ დამახასიათებელ თვისებად იქცევა (5:281). პოემაში გაცხადებულია სახელმწიფოს მართვის პრინციპიც: "ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების" - არიგებს მეფედ კურთხევისას შვილს-თინათინს როსტევანი. ასევე იბარებს ავთანდილი ანდერძად: "რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად, მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად". ასეთი იდეები, შეხედულებები და მისწრაფებები შემთხვევითობად, ან რუსთაველის, როგორც ინდივიდის მსოფლმხედველობის

ნაყოფად არ უნდა მივიჩნიოთ. ეს საერთო საკაცობრიო ჰუმანური მოთხოვნები XI-XII საუკუნეების საქართველოში არსებულ იმ იდეოლოგიაში უნდა იღებდეს სათავეს, რომელსაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა განვითარებამ მოუმზადა საფუძველი, ოღონდ იგი რუსთაველთან მაღალ რანგშია აყვანილი და ლიტერატურულ-მხატვრული ფორმით წარმოდგენილი (4:83).

რუსთაველის პოემა თამარ მეფეს ეძღვნება და თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის მოღვაწეობის დროის საქართველოს რეალობას ასახავს. ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ფინანსური შემოსავალი ყმადნაფიცების გარეშე 3,750 000 ოქროს უდრიდა, როცა მცირე აზიისა, სპარსელი გეოგრაფის-ყაზვნის მიხედვით, 2 475 000 ოქროს შეადგენდა, საფრანგეთისა კი 3 000 000 ფრანკს, ზომბარტის ცნობით (17:392). განვითარებულია სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა. ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობა აქვს ირანთან, ერაყთან და სირიასთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან და რუსეთთან, ყივჩაღებთან და სხვა ახლო თუ შორეულ მეზობლებთან. ადგილობრივი, საქართველოს ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, თელავის, ახალციხის, არტანუჯის და სხვათა პარალელურად საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების სამსახურში დგანან შემომტკიცებული ანისი, დვინი, კარი (სომხეთი), განძა, ბარდავი (რანი), შამახია, ყაბალა (შარვანი) და სხვები. სერიოზული ცვლილებებია ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაშიც. გლეხობის, აზნაურობის და სასულიერო ფენის გვერდით, უკვე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ ხელოსნები და ვაჭრები და შესაბამისად – ქალაქები. ქვეყნის ასეთი ეკონომიკური აღმავლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობისათვის. საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საშუალება ჰქონდა დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ, მეტად თავისებურსა და მრავალფე-

როვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა (14:370). ამ დროს შეიქმნა საქართველოში იყალთოსა და გელათის აკადემიები, კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა საზღვარგარეთ არსებულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა (ივერიის მონასტერი ათონის მთაზე; შავი მთა – სირიაში, ანტიოქიის მახლობლად; ჯვრის მონასტერი – პალესტინაში; პეტრიწონის მონასტერი – ბულგარეთში), ითარგმნა და ადგილზე შეიქმნა მსოფლიო დონის მხატვრული თუ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები, სადაც ასახვა ჰპოვა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოების მიღწევებმა პოლიტიკურ თუ სულიერ სფეროში. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მრავლისმთქმელი უნდა იყოს ქალის - თამარის გამეფებაც. აი, ასეთი ეპოქის შვილია ლაშა-გიორგი. იგი თამარის მეფობის ბოლო წლებში, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ, დედის თანამოსაყდრედაც ითვლებოდა.

ლაშა-გიორგი, თამარი, გიორგი III
(ბეთანიის ფრესკის ასლი)

თამარის მეფობის წლები მრავალმხრივ საინტერესო ეტაპად ჩანს ქვეყნის ისტორიაში. ერთი მხრივ, ესაა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანა, როცა სრულად გამოავლინა ქვეყანამ თავისი შესაძლებლობანი და დათრგუნა და დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, მაგრამ მეორე მხრივ, აშკარად გამოჩნდა ამ ქვეყნის შინაგანი წინააღმდეგობანი და სისუსტე თამარის გარდაცვალებიდან უახლოეს - ლაშა-გიორგის მეფობისა და მომდევნო წლებში.

საქმე იმაშია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო თავისი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზეა ასული. "ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრული, ამ ურთიერთობის განვითარების საზღვარი, მისი შუახნის დასასრული. ამის შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ" (1:125). ასეთ პირობებში, სამეფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების საკითხში, ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა - ფეოდალური საერო და სასულიერო არისტოკრატია, რომელიც იბრძვის მეფის ძალაუფლების შესუსტებისა და მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიების მოპოვებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოსული, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი მესამე წოდება (ხელოსნები, ვაჭრები...), რომლებიც ხელისუფლების მხრივ მხარდაჭერას მოითხოვენ. ამათ მხარეზე უნდა ვიგულისხმოთ ქალაქისა და სოფლის დეგრადირებულნიც. ასეთ პირობებში თამარმა თავის დასაყრდენად მსხვილი არისტოკრატია გაიხადა. მისი წინაპრები კი (დავით IV და გიორგი III) მეფის ძალაუფლების განმტკიცებისათვის უგვარო, პირადი ღირსების მქონე ერთგულ მოხელეებს ეყრდნობოდნენ. როგორც ჩანს, ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა, რომელიც შეეცადა ჯერ ერთი, თავისი (მესამე წოდების) უფლებების გაძლიერება-განმტკიცებას და მეორე, სახელმწიფო მმართველობის

სისტემის შეცვლას. მართალია, ისტორიოგრაფიაში ყუთლუ არსლანის დასის შემადგენლობისა და მისი მიზანდასახულობის შესახებ სხვადასხვა აზრია, მაგრამ მემატიანის ცნობა, რომ ყუთლუ არსლანი იყო უგვარო, რომლის წრეს "აღამაღლებდის სიმდიდრე" და სხვა ცნობები ამტკიცებს, რომ ყუთლუ არსლანი დაბალი სოციალური წარმოშობის პირია (10:102). ამასთან, "სიმდიდრით ალაღებულნი" და "ამაღლებულნი" ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენიდან გამოსული - მსხვილი ვაჭრები და ამ წრიდან დაწინაურებული პირები უნდა იყვნენ (9:105). ივ. ჯავახიშვილი წერს: "რაც უნდა იყოს, ერთი რამ სრულებით ცხადი და აუცილებელია: ყუთლუ არსლანისა და მისი თანამოაზრეების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი სახელმწიფოს ცხოვრებაში განსაკუთრებულ მეტად საგულისხმიერო მოვლენად უნდა ჩაითვალოს; რამდენადაც ვიცით, არასდროს არავისაგან ასე მკაფიოდ და ნათლად არ ყოფილა წამოყენებული საკითხი საქართველოს სახელმწიფო წყობილების შეცვლის საჭიროების შესახებ, რომ მეფეს "თვითმპყრობელობით" და მხოლოდ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება არ ჰქონოდა, არამედ ეს უფლება განსაკუთრებულს უზენაესს დაწესებულებას მიჰნიჭებოდა, მეფეს კი მარტო ამ დაწესებულების "განგებულის" აღსრულების, "სრულქმნის" უფლება შერჩენოდა" (17:248-249). ასეთი მოთხოვნები ცოტა მოგვიანებით ჩანს ინგლისში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, რასაც წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნა (პარლამენტი, გენერალური შტატები, კორტესები) მოჰყვა, მაგრამ თამარის დროის საქართველოში მეფემ და ფეოდალურმა არისტოკრატიამ გაიმარჯვეს და ამდენად, "უგვაროთა" ამაღლების გზაც დახშული იქნა. მიუხედავად ამისა, თამარი მაინც ატარებს ქვეყანაში რიგ დემოკრატიულ და ჰუმანურ ღონისძიებებს: აკრძალა ასოთმოკვეთა და სიკვდილით დასჯა, წესად აქცია დავრდომილთა, ქვრივ-ობოლთა მფარველობა და შეწყალება, პოლიტიკურ ცხოვრებაში ლმობიერება და სათნოება. ეს ყველაფერი

ქვეყანაში შექმნილი სულიერი ატმოსფეროს შედეგი იყო, რამაც ყველაზე მეტად თავისი გამოვლენა ჰპოვა ლაშა-გიორგის ხასიათსა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. თუ კარგად დავაკვირდებით, ლაშა ატარებს რუსთაველის გმირების: ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის თვისებებს. ლაშას შესახებ ორივე მემატიანე ერთნაირად აცხადებს, რომ იგი იყო გულადი მებრძოლი, განათლებული, რაინდული სულის, გულკეთილი და ლმობიერი. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე ასე ახასიათებს მას: "თორმეტი წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილ-მოზარდი და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა, მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი, მშვილდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიხადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი. ბედნიერი ლაშქრობითა... დაჭირვებულთა გამკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა" (8:370). ქებას მემატიანე ამთავრებს სიტყვებით: "ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდეს", რაც ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ რადგან ყველაფერ სიმართლეს ვამბობთ, არცა გვრცხვენიაო.

სამაგიეროდ, ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის პიროვნებასა და საქმიანობაში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ბევრ ნაკლს ხედავს, რომლებმაც, მისი აზრით, ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა. იგი საყვედურობს ლაშა-გიორგის, რომ ჩამოიშორა დედამისის ერთგული ვაზირები და დაიახლოვა თანამოასაკენი. შეიძლება თუ არა ვირწმუნოთ ეს და როგორ უნდა შეფასდეს ახალგაზრდა მეფის ეს ნაბიჯი? თამარისა და შემდეგ ლაშას დროსაც სამხედრო წინამძღოლებად ერთი და იგივე პირები ჩანან. ეს დაწინაურებული, გამდიდრებული და გაძლიერებული სამხედრო რაინდული ფენა

ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა. რიგ შემთხვევაში მეფეც უძლურია მათ წინაშე. ამას ხედავს ლაშა-გიორგი და ცდილობს მდგომარეობის შეცვლას. იგი ხომ განძის კედლებთან იძულებული გახდა მათთვის ბოდიშიც მოეხადა და რაც ნიშანდობლივია, იმ 4000 კაცში, ვინც ლაშას ახლდა განძის ციხის გარსშემოვლისას, ძველი ვეტერანები არ ჩანან. ლაშა-გიორგის ესმის, რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს და ცდილობს ახალგაზრდა ძალების, მსახურეული არისტოკრატიისა და მოქალაქეების შემოკრებას და ქვეყნის მმართველობის სისტემის გარდაქმნას. ჯერ კიდევ ლაშას ბავშვობიდანვე ათაბაგობა დაუპირისპირდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობას და საქართველოს სამეფო ხელისუფლების ძლიერებას ერთგვარი ბზარი გაუჩნდა, ბზარი, რომლის გამრთელებას XIII ს. 20-იან წლებში ლაშა-გიორგი შეეცადა და აქტიური ღონისძიებებიც გაატარა (10:73). ეს ყველაფერი ფეოდალური არისტოკრატიის მხრივ საპირისპირო რეაქციას იწვევდა და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მათ წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო უარყოფითი აზრი და შეხედულებები ლაშა-გიორგის შესახებ, რითაც ისარგებლა შემდეგ ჟამთააღმწერელმა (13). ამიტომაა, რომ მასთან ლაშას თანამოასაკენი დახასიათებული არიან, როგორც "მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა"... "თანამოასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა". მსგავსივე ნიშნებით არიან დახასიათებული ლაშა-გიორგისთან დაახლოებული რინდებიც. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ესენი ისლამის წიაღში წარმოშობილი მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი სუფიები ყოფილან (18:33), მოქალაქეთა წრეებიდან გამოსული და ფეოდალური არისტოკრატიისადმი ოპოზიციურად განწყობილი (3:122-124). რინდი სიტყვა-სიტყვით "მემთვრალეს" ნიშნავს და რადგანაც ჟამთააღმწერლისათვის მოქალაქენი და სუფიები მიუღებელნი არიან, სალანძღავად რინდთა სახელით მოიხსენიებიან. ამიტომ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ მეფესთან დაახლოებული ახალგაზრდები

მხოლოდ ღვინის და ქალების მოყვარულები იყვნენ. ამას ადასტურებს თვით მემატიანეც, როცა მოგვითხრობს ლაშა-გიორგის სიყვარულზე ველისციხელ, წარმოშობით მდაბიო ქალთან. მეფე ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი პირველი სიყვარულის, იგი კანონიერ მეუღლედ თვლიდა მას. რომ ეს ასეა იქიდანაც ჩანს, რომ სიკვდილის წინ მეფე დას, რუსუდანს ანდერძად უტოვებს, რომ აღზარდოს მისი ძე დავითი, "ხოლო რაჟამს შეძლოს მეფობა და მხედრობა, რომელ დავით მეფე ჰყოს, იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა" (15:167). აქედან ჩანს, რომ ლაშა-გიორგი შვილს დავითს კანონიერად თვლიდა, მეუღლეს კი, არა მხევლად, არამედ კანონიერ ცოლად. `ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ" (15:156). მატიანეში კარგად ჩანს ის მოტივი, რის გამოც მოითხოვენ კათალიკოსები, ეპისკოპოსები და ვაზირები ქალის უკან დაბრუნებას: „არა ჯერ არს, რათა მხევალი გესუას და არა ცოლი". აქ პირველი და მთავარი ისაა, რომ ველისციხელი ქალი მხევალია, მსახურია, საზოგადოების დაბალი წრის წარმომადგენელია და მეორე, რომ უქორწინოდ, ჯვარდაუწერელადაა მოყვანილი. არსად არ ჩანს წუხილი იმის გამო, რომ ეს ქალი ქმრიანი იყო და მეფის მხრივ ეს ცუდი მაგალითი იქნებოდა, რის წინ წამოწევასაც ვხვდებით თანამედროვე ცალკეულ გამოკვლევებში. თავისთავად, მეფის მიერ გლეხზე ცოლის წართმევა ვერ იქნებოდა კარგი მაგალითი, მაგრამ მატიანეში ეს იმდენად დასაგმობად არ ჩანს, როგორც მეფის მიერ უბრალო, გლეხის ქალის შერთვა და ისიც ჯვარდაუწერლად. საინტერესოა ისიც, რომ მეფემ მასთან მისულ მაღალ წარმომადგენლობას (კათალიკოსები, ეპისკოპოსები, ვაზირები) არც კი მოუსმინა. მემატიანე გვამცნობს: "მეფესა არა ენება, არცა უსმინა" (15:155), ხოლო დიდებულთა (ივანე ათაბაგი, ვარამ გაგელი და სხვ.) ულტიმატუმი "არა თავს ვიდებთო, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ" თუმცა მოისმინა, პირობაც მისცა, რომ მათი

შეხედულებისამებრ იმოქმედებდა, მაგრამ "დაღათუ აღასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტერი უჩინო" (15:159), ე.ი. საპირისპიროდ მოქმედებდა. ვფიქრობთ, ყველაფერ ამაში ჩანს ლაშა-გიორგის პროტესტი და წინააღმდეგობა მის დროს გაბატონებული მოთხოვნების მიმართ, რაც ესოდენ დამახასიათებელია რენესანსული აზროვნებისათვის. თუ ყველა ზემოთქმულს გავაანალიზებთ, შეიძლება გავიმეოროთ ლაშა-გიორგის პიროვნების ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება, რომ "ლაშა-გიორგი იმ დროისათვის ბევრი მხრით საინტერესო პიროვნებად უნდა იქნეს მიჩნეული", რადგან მოვლენებისადმი... "თავისებურს დამოკიდებულებასა და თავისუფალ აზროვნებასაც მკაფიოდ ამჟღავნებდა" (19:5-6). ისმება კითხვა, რით უნდა აიხსნას ლაშა-გიორგის ასეთი თავისებურებანი, მისი თავისუფალი აზროვნება? რატომ ყველაფერი ეს შეამჩნია ჟამთააღმწერელმა და შეუმჩნეველი დარჩა მეფის თანამედროვე მემატიანესა და სომეხ და სპარს ისტორიკოსებს? ვფიქრობთ, აქ პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ლაშას შეხედულებანი და შესაბამისად პრაქტიკული ქმედებებიც იმ დროის საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში გაბატონებული ახალი, თავისუფალი აზროვნების, ამქვეყნიური ცხოვრებისადმი განსხვავებული, ჰუმანისტური დამოკიდებულების შედეგია. ლაშას აზროვნება თავისუფალია იმ დროის ტრადიციული შეზღუდვებისაგან, რის დანერგვასაც იგი სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაშიც ცდილობდა. ამით შესაძლებელია ქვეყანასაც ახალი, მასაზრდოებელი სისხლი გადაესხმებოდა, გაახალგაზრდავდებოდა, მაგრამ ეს მას აღარ დასცალდა ქვეყნის საგარეო პირობების შეცვლისა და ნაადრევი სიკვდილის გამო. ლაშას ეს ნაბიჯები თანამედროვე მემატიანეთათვის (ქართველი, სომეხი, სპარსი) გასაგები უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ისინი ახალგაზრდა მეფის ხასიათსა და ქმედებებში საძრახისს ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ ჟამთააღმწერელი, რომელიც XIV საუკუნეში ცხოვრობდა და

რომლისთვისაც უცხო იყო XII-XIII საუკუნეების საქართველოს რენესანსულ-ჰუმანისტური აზროვნება, მოვლენებს მხოლოდ ქვეყნის განვითარების შედეგებით აფასებდა. რადგანაც მონღოლთა შემოსევები, რამაც ქვეყანას დამოუკიდებლობა დააკარგვინა, ლაშა-გიორგის მეფობის ხანიდან, ქართველთა მაშინდელი მარცხიდან დაიწყო, არ შეიძლებოდა ამას თავისი გავლენა არ მოეხდინა მემატიანის დამოკიდებულებაზე მეფე ლაშა-გიორგის მიმართ. ამიტომაა, რომ მასზე საუბრისას, წინ წამოსწევს იმ მომენტებს, რომლებმაც, მისი აზრით, გამოიწვია ჯერ საქართველოს პოლიტიკური ძალების შესუსტება, შემდეგ კი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვაც.

ამრიგად, ლაშა-გიორგი, როგორც პიროვნება და მეფე ერთი მთლიანია. მისი შეხედულებანი და დამოკიდებულება მეგობრობის, სიყვარულის, საზოგადოების ცალკეული ფენების, ეკლესიისა თუ სახელმწიფოსადმი გაპირობებულია მისი დროის საქართველოში ფეხმოკიდებული და გავრცელებული რენესანსული მსოფლმხედველობით, რომლის საფუძველზეც სურს მას ქვეყნის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციაც. მან წარმატებული ბრძოლები აწარმოა განდგომილი ყმადნაფიცების წინააღმდეგ, რითაც შეძლო ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და იმ საერთაშორისო აღიარების მოპოვება, რაც გამოვლინდა ჯვაროსანთა (პაპის) მხრივ მუსლიმანთა წინააღმდეგ დახმარების თხოვნაში. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, ლაშა-გიორგიმ "იმდენი სახელმწიფოებრივი ალღო გამოიჩინა, რომ მამა-პაპათა და დედის ნაანდერძევი სრულიად საქართველოს ყოველივე მონაპოვრის შენარჩუნება შეძლო და ამ დიდი სახელმწიფოს მთლიანობის დაცვაც მოახერხა". ამიტომ იმ დროის "მსოფლიო ტაიფუნთან" - მონღოლებთან მარცხი და მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოში განვითარებული მოვლენები არ შეიძლება აიხსნას მისი მოღვაწეობისას "დაშვებული შეცდომებით". სხვა შემთხვევაში მას თანამედროვენი "ღმრთის სწორად", "მანათო-

ბელ ვარსკვლავად" (ალაშა) და დიდი პაპის - დავით IV თანასწორად არ წარმოაჩენდნენ.

2002 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, №6, 1954.
2. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ბათ., 1998.
3. ვ. გაბაშვილი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან. იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1957.
4. სვ. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1995 .
5. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969.
6. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
7. რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა-გიორგის ისტორიისათვის კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 93-104.
8. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ., 1995.
9. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.
10. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
11. შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, შრომები, IV, თბ., 1976.
12. ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1989.
13. აბ. სურგულაძე, კ. სურგულაძე, "სწორი ღმრთისა" ,გაზ. "აღორძინება" 22.05.2000.

14. თ. პაპუაშვილი, კულტურა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბ., 1979.

15. ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

16. შ. ხიდაშელი, შუა საუკუნეების კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები აქსიოლოგიის თვალსაზრისით. კრ. „ქართული რენესანსის საკითხები", თბ., 1998;

17. ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. II, თბ., 1983

18. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966

19. ი. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, თბ., 1982

20. Лосев А., Эстетика Возрождения, М., 1978

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და ეგრისელთა ენის პრობლემა

ქართველ არქეოლოგთა ბოლო წლების აღმოჩენები არაგვის ხეობაში (დავათის ქვა-ჯვარი), ყვარლის რაიონში (ნეკრესის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე ასომთავრული წარწერები), მცხეთაში, დმანისში, ფიჭვნარში, წებელდაში და სხვაგან, ახალ ინფორმაციებს გვაწვდიან საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის დასახლებისა და ცხოვრების, ქართული დამწერლობის განვითარების, საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის და სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე.

ნეკრესში აღმოჩენილი რვა წარწერიდან ერთ-ერთის – ფიქლის ნატეხზე ასომთავრულით შესრულებულის დათარიღება ახ.წ-ის I საუკუნის 80-იანი წლებით, უდაოს ხდის იმ შეხედულებას, რომ ქართული დამწერლობა წარმართულ ხანაში წარმოიშვა [ჭილაშვილი, 2002], ხოლო IV საუკუნის 30-იანი წლების წებელდის ბარელიეფებზე შესრულებული ოთხენოვანი წარწერა, რომელთაგან ერთ-ერთი ასომთავრულია, უეჭველს ხდის ამ დროს ქართული დამწერლობის გავრცელებულობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება, რომ "სანამ დასავლეთი საქართველო ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური, ეკლესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა" [ლორთქიფანიძე, 1973: 428], ემყარებოდა იმას, რომ აქ აღმოჩენილი არ იყო ამ პერიოდის (IV-IX სს.) ქართული წერილობითი ძეგლები და დასავლეთი საქართველო (ეგრისი) ბიზანტიის დამოკიდებულების ქვეშ იყო მოქცეული.

წებელდაში აღმოჩენილ ბარელიეფებზე წმინდა გიორგის ხატის შესწავლა და იქ წარწერების ამოკითხვა [ნარსიძე, 2000:12], აგრეთვე ანუხვის მღვიმის ქართული წარწერები, რომლებსაც მკვლევარი ლ.

მარუაშვილი V-VIII საუკუნეებით ათარიღებს [ფირჩხაძე, 2002: 24], უფრო საფუძვლიანს ხდის ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ ეჭვს ეგრისში ბერძნული ენის სახელმწიფო და საეკლესიო-ღვთისმსახურების ენად გამოყენების შესახებ [დიასამიძე, 2001:63- 64].

წებელდის ბარელიეფებზე აღმოჩენილი წარწერების შესახებ მკვლევარი გ.ნარსიძე აღნიშნავს, რომ "წინამორბედ მკვლევარებს, რომლებმაც შეისწავლეს წებელდის ბარელიეფები, არ შეუმჩნევიათ ამ კომპოზიციაში ირანის შაჰი და ის წარწერები, რომლებიც თითქმის ყველა ხატზეა ამოკვეთილი. წარწერების დაზიანება სხვადასხვა ხარისხისაა და უმეტესი მათგანის წაკითხვა, კვლევის თანამედროვე საშუალებების გარეშე, ძალზე ძნელია". შემდეგ იგი აგრძელებს: "შედარებით კარგად შემონახული ცალკეული ასოების მიხედვით ირკვევა, რომ წარწერები შესრულებული იყო ოთხ ენაზე: ქართულად (ასომთავრული), ბერძნულად, არამეულად და ფალაურად" [ნარსიძე, 2000:14]. წარწერიანი ბარელიეფები ახ.წ-ის 325 წლის ახლო პერიოდით თარიღდება. ამდენად, საქმე გვაქვს IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ასომთავრულით შესრულებულ ეპიგრაფიკულ ძეგლთან, რომელიც ამტკიცებს ამ საუკუნეში ეგრისის ტერიტორიაზე ქართული ასომთავრული დამწერლობისა და საერთოდ ქართული მწიგნობრობის გავრცელებას. ეს აზრი ახლა მით უფრო სარწმუნო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართული ასომთავრული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელებული ჩანს. ამ ფონზე მრავლისმთქმელია პეტრე იბერის ბიოგრაფის ზაქარიას ცნობები, რომელიც თან გაჰყოლია მძევლად წაყვანილ თორმეტი წლის მურვანოსს (პეტრეს) იმპერატორ თეოდოსის კარზე. მისი თქმით, პატარა მურვანოსი საქართველოში სამი წლის ასაკიდან "მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავა მან ყოველივე სწავლა და გულისხმის ყოფით აღმოიკითხონ წმიდათა წერილთა და იწურთინ მარად დღე და ღამე" [ძეგლები, 1967 :217]. იგი თორმეტი წლის ასაკში გაემგზავრა კონსტანტინეპოლს და იქ "დაისწავა ენა ბერძნული და სწავლა",

ხოლო იერუსალიმში გამგზავრების შემდეგ "ისწავა ენა და სწავლა ასურებრივი" [ძეგლები, 1967:224]. როგორც მოტანილი ადგილებიდან ჩანს, პეტრე-მურვანოსს ბერძნული ენა კონსტანტინეპოლში ჩასვლის შემდეგ უსწავლია, ხოლო ასურული – იერუსალიმში. მაშინ, სამი წლის ასაკიდან თორმეტ წლამდე რომელ ენაზე სწავლობდა იგი? იგულისხმება, რომ პატარა მურვანოსი ცხრა წლის განმავლობაში იწვრთნებოდა "მარად დღე და ღამე ქართულ ენაზე [ჯაფარიძე, 2002:20].

მურვანოსის მშობლებს შვილის აღმზრდელად მოუწვევიათ "ნეტარი იოანე საჭურისი, რომელიც მისი აზრების და მისწრაფებების მოზიარე იყო და რომელიც მის სწრაფვას საუკუნო ცხოვრებისაკენ იზიარებდა და ამისკენ მიმავალ გზაზე მისი დამხმარე იყო, წარმოშობით ლაზიკის ქვეყნიდან [იოანე რუფუსი, 1965:260].

აკად. ს. ყაუხჩიშვილის თქმით, "თავისთავად ცხადია, რომ უფლისწულის აღმზრდელად განათლებულ, ნასწავლ კაცს გამოიწერდნენ... ამ დროს დასავლეთ საქართველოში იყო განთქმული ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა (ფაზისის მახლობლად), სადაც IV საუკუნეში სწავლობდნენ ბიზანტიელი ფილოსოფოსი ევგენიოსი და მისი შვილი თემისტიოსი, ცნობილი რიტორი... არ არის დასაეჭვებელი, რომ... მითრიდატე ამ სკოლასთან დაკავშირებული იქნებოდა. ის ან კოლხიდის სკოლის პროფესორი იყო, ან... ამ სკოლაში მიიღებდა განათლებას. [ქცა_., 1955:33-34]. ფაზისის სკოლიდან გამოსული მითრიდატე (იოანე ლაზი), როგორც ზემოთ ითქვა, მურვმანოსს ქართულად წვრთნიდა და ასწავლიდა წმინდა წერილს, რაც იმდროის დასავლეთ საქართველოში ქართული მწიგნობრობის, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების არსებობას ადასტურებს. მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის აზრით, "იოანე ლაზი უნდა ყოფილიყო ქართული საეკლესიო-საღვთსმსახურო ენისა და ლიტერატურის ფუძემდებელთა, პირველ მთარგმნელთა წრის აქტიური წევრი, ქართული თავდაპირველი მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ლიდერი. ასეთი დასკვნის

არგუმენტად მას ის მიაჩნია, რომ "სწორედ იოანე ლაზის მიერ აგებულ პალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარ-წერები... მათში ნახსენები არიან ანტონი, აბაი და იოსია. ეს უკანასკნელნი პირველ მთარგმნელებად იყვნენ მიჩნეულნი ძველ საქართველოში (ჯაფარიძე, 2002:21). რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ პალესტინის მონასტერს, მასში ბეთლემის მონასტერი იგულისხმება, რომლის შესახებ ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ "ის მონასტერი რამენაირად მართლა ლაზების სახელთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული, პროკოპი არ უწოდებდა მას "ლაზთა მონასტერს[ქ. ცხ., 1959 :62]. ცნობილი მეცნიერის ასეთი დასკვნა იმითაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ თუ ეს მონასტერი ლაზთა იყო, იგულისხმება მისი მესაკუთრე ხალხი იმ დამწერლობითა და ენით სარგებლობდა, რომლითაც ეს წარწერებია შესრულებული. ამის მტკიცება იმიტომაც გვჭირდება, რომ დღემდე სამეცნიერო და სახელმძღვანელო ლიტერატურაში ბატონობს აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს მთელი ადრეშუასაუკუნეების მანძილზე დასავლეთ საქართველოში (ეგრისი) საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენად გამოიყენებოდა არა ქართული, არამედ ბერძნული. ეს დებულება მით უფრო უსაფუძვლო ჩანს, თუ ყველა ზემოთქმულთან ერთად გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საკუთრივ ბიზანტიაში VII საუკუნემდე სახელმწიფო ენად ლათინური გამოიყენებოდა და არა ბერძნული [ყაუხჩიშვილი, 1948:97; Васильев, 2000: 158-159] და თვით ბერძნულენოვანი წყაროების მიხედვით, ეგრისელები ამ საუკუ-ნეებში არ ფლობდნენ ბერძნულ ენას [გეორგიკა, 1965 :195; 1936:125-127].

სამეცნიერო ლიტერატურაში ბიზანტიას აღმოსავლეთ რომის იმპერიასაც უწოდებენ, რადგან დიდი იყო რომის გავლენა ბიზანტიის სახელმწიფოს ცხოვრებაში, კანონმდებლობაში, მარ-თვა-გამგეობაში, სამხედრო ორგანიზაციაში. ბერძნები საუკუნეების განმავლობაში თავს "რომაელებს უწოდებდნენ და ეროვნების კითხვისას პასუხობდნენ: "მე რომაელი ვარ" [ყაუხჩიშვილი, 1973:8].

იმპერატორ თეოდოსის (408-450 წწ.) დროს კონსტანტინეპოლში დაარსებულ უმაღლეს სკოლაში სწავლება ლათინურ ენაზე წარმოებდა და ქვეყანაში სახელმწიფო ენა, როგორც ზემოთ ითქვა, ლათინური იყო.

ასეთ პირობებში, საეჭვოა, ბიზანტიის ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ ქვეყანას ლათინურ ენაზე მართავდა, ნომინალურად მორჩილ ლაზიკაში (ეგრისი) სახელმწიფო ენად ბერძნულის გაბატონებისათვის ეზრუნა. მით უფრო, როცა დამოუკიდებლობის მოსურნე ლაზიკის ხელსუფლების მხრიდან მას მხარდაჭერა არ ექნებოდა, რადგან ბოლო წლებში აღმოჩენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, აქ ქართული მწიგნობრობა ჩანს გავრცელებული.

ბიზანტიელი ავტორების ცნობით, VI საუკუნის შუა ხანებში ეგრისელთა უმრავლესობამ არ იცის ბერძნული ენა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აგათია სქოლისტიკოსის მიერ გუბაზ II მკვლელთა გასამართლების სცენის აღწერიდან. აგათია საგანგებოდ მიუთითებს, რომ ამ სასამართლოს ამბები სტენოგრაფიული სიზუსტით იწერებოდა, რადგან იმპერატორის მიერ გამოგზავნილ მოსამართლე ათანასის "ახლდნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპასხუპით" [გეორგიკა, 1936:125]. შემდეგ იგი აგრძელებს, რომ "რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსაღოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა" [იქვე, 127]. აგათიას მიერ საგანგებოდ ხაზგასმა იმაზე, რომ ბრალმდებელ კოლხებს "კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა", მიუთითებს იმაზე, რომ ჩვეულებრივად კოლხებს (ეგრისელებს) ბერძნული ენა არ სცოდნიათ. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს შემდეგ მონათხრობში: "ბრალმდებლები, რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო; მაგრამ იმას კი ხვდე-

ბოდნენ ისინი, თუ რის გამო იყო თითოეული მათგანი გამოთქმული და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდნენ. ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს, თუ სასოწარკვეთას [იქვე, 140].

მოტანილი ადგილები აშკარად აჩვენებენ, რომ ადრეშუასაუკუნეებში ეგრისელებმა არ იციან ბერძნული ენა და ადგილობრივი ენით, ქართული ენით სარგებლობენ, რადგან წინარექართული ენის დიფერენცია-დაშლა ქართულ, ზანურ და სვანურ ენებად ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ჩანს.[1] ისინი ჯერ კიდევ საგრძნობლად არ არიან ერთმანეთისაგან დაშორებული და ქართული, რომელიც სალიტერატურო – სამწერლობო ენად ჩამოყალიბდა, ყველასათვის გასაგები და მისაღებია, ყველა ერთნაირად ზრუნავს მისი მოვლა-პატრონობისათვის. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში აკად. ი. ჯავახიშვილს, როცა ამბობდა: „ქართველ ერს თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამწერლობო ენაც ჰქონდა და აბადია ახლაც, რომელიც... მეგრელებისა და სვანებისთვისაც ერთადერთი სამწერლობო და კულტურის ენა იყო და არის ახლაც, რომლის შექმნა-შემუშავებაშიაც მეგრელებსაც და სვანებსაც თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი“ [ჯავახიშვილი, 1979:154]. ეს აზრი მით უფრო სარწმუნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებული ყველა ენა, რომელსაც დამწერლობა და დიდი ლიტერატურული ტრადიცია გააჩნდა, დღეს ან მკვდარია, ან საფუძვლიანადაა შეცვლილი. სამყაროში არ არსებობს ენა, რომელსაც სამი ათასი წლის მანძილზე თავისი სახე შეენარჩუნებინოს, უცვლელად შენახულიყოს; ყველა თანამედროვე ენა თუ ერი (ხალხი, მით უფრო, უდამწერლობო), ფაქტიურად, თანამედროვე სახით ქრისტეს შემდეგ ყალიბდება [ქებაᲥ... 2000:109].

---

[1] არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, წინარექართულის დაყოფა იგულისხმება II-I ათასწლეულებში.

ამგვარად, ნეკრესის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე ახ.წ-ის I საუკუნისა და წებელდის ბარელიეფებზე IV საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ასომთავრულით წარწერების აღმოჩენა უდავოს ხდის იმას, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო ერთიანი ქართული სივრცეა ენით, დამწერლობითა და ყოფა-ცხოვრებით. ამიტომ საფუძველს მოკლებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება - ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში ბერძნული ენის „ფუნქციონირებისა და მოგვიანებით ეგრისელთა ე.წ. "ქართიზაციის გაქართველების შესახებ. თუ კვლავაც გავიზიარებთ ე.წ. ,,ქართიზაციის'' თეორიას, მაშინ უარვყოფთ ადრეშუასაუკუნეებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი ქართული ეთნიკური და კულტურული სივრცის არსებობას, რაც ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალობას, რადგან ისტორიულ კოლხეთსა თუ იბერიაში უცხოელი ავტორები, უმრავლეს შემთხვევაში, მთლიან საქართველოს, ,,სრულიად საქართველოს'' გულისხმობდნენ.

2003 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965.

2. გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936.

3. ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, ბათ., 2001.

4. იოანე რუფუსი, წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოზის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება, გეორგიკა, II, 1965.

5. მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.

6. გ. ნარსიძე, წებელდის წმინდა გიორგის ხატი, კრ. ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბ., 2000.

7. მ. ფირჩხაძე, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოში (I-IVსს.), ავტორეფერატი, თბ., 2002.

8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

9. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.

10. ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ , შემდგენელ-რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე, 2000.

11. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948.

12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967.

13. ლ. ჭილაშვილი, ჩვენი წარმართი წინაპრების ფასდაუდებელი სახსოვარი, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", №290, 30 ნოემბერი, 2002.

14. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979.

15. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), 2002.

16. Васильев А., История Византийской империи, С-Пб, 2000.

რელიგია აჭარაში

(მოკლე ექსკურსი)

ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში, ქართველებშიც უძველეს წარსულში წარმართული რელიგია ყოფილა გავრცელებული, რაც მრავალღმერთიანობასა და კერპთაყვანისმცემლობას გულისხმობს. საამისო სარწმუნოებრივი თქმულებები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები მრავლად მოიპოვება როგორც მთლიანად საქართველოს, ისე აჭარის ტერიტორიაზეც. ქართველების წარმართობის შესახებ არაერთი საინტერესო გამოკვლევაა შექმნილი, როგორც უცხოელი (მ კოვალევსკი, ბ. ინოსტრანცევი...), ისე ქართველი მკვლევარების (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი...) მიერ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ქართული წარმართობის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ „ქართველ ტომებს სათავისთაო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა.“ ასე რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის საქართველოში და კერძოდ, აჭარაში ქრისტიანობის გავრცელების არამარტო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები იყო შექმნილი, არამედ „წარმართობაში ჩამოქნილი რელიგიური ცნობიერება მომზადებული იყო ქრისტიანობის მისაღებად“ (კ. გამსახურდია). აჭარა ამ დროს აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა შავ ზღვამდე.

ბერძნულ-რომაული (ევსევი კესარიელი, ეპიფანე კვიპრელი, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, თეოდორიტე კვირელი) და ქართული (ჩანართები „ქართლის ცხოვრებაში, “იოვანე საბანისძე) წერილობითი წყაროების თანახმად, ქრისტიანობა აჭარაში ქრისტეს პირველ მოციქულებმა–წმ. ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ (მათემ) გაავრცელეს. ისინი ტრაპიზონიდან აჭარაში შემოსულან, აჭარისწყლის აყოლებით, მაშინ ცნობილ

დასახლებაში – დიდაჭარაში შეჩერებულან და ქადაგება დაუწ-ყიათ. მოსახლეობა ქრისტიანობაზე მოუქცევიათ, მღვდელი და დიაკონი დაუდგენიათ, ღვთისმშობლის ეკლესია აუშენებიათ და აქედან სამცხეში გადასულან. ამ უძველეს ცნობებს ადასტურებს აქ დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები და თაობიდან თაობაზე გადაცემული ზეპირი თქმულებები, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქრისტიანული შინაარსის მატა-რებელი მასალები. ამ მხრივ ყველაზე მეტად საინტერესოა ქ. ქობულეთიდან სულ რვა კილომეტრით დაშორებულ პეტრა–ცი-ხისძირში აღმოჩენილი IV–VI საუკუნეების ქრისტიანული ტაძრე-ბის ნაშთები და ქრისტიანული სიმბოლიკით შემკული სხვა მასა-ლები, რაც ქრისტიანობის ძირძველობაზე მიუთითებს.

IV საუკუნის ოციან წლებში, კერძოდ, 325 წელს ქ. იკეაში ჩატარებულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ქრისტი-ანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა რომის იმპერიაში. ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ მაშინდელი დასავლეთ საქართველოს ორი უკიდურესი საეკლესიო ცენტრის – ტრაპიზონისა და პიტიუნტის ეპისკოპოსებიც. ამ დროიდან ჩანს საეკლესიო ცენტრი პეტრა – ციხისძირშიც. წერილობითი წყაროებით დასტურდება აქ პეტრას საეპისკოპოსოს არსებობა V–VI საუკუნეებში, რომლის მღვდე-ლმთავრებს არაერთ მსოფლიო საეკლესიო კრების მშაობაში მიუღიათ მონაწილეობა. უძველესი საეკლესიო ნაგებობების ნაშ-თებია აღმოჩენილი ფიჭვნარში და ქ. ბათუმის შემოგარენში.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ქრისტიანული ძეგლები, საქართველოს სხვა რეგიონებში გამოვლენილ მა-სალებთან ერთად, აშკარად ამტკიცებენ აქ IV საუკუნეში ქრის-ტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას. X საუკუნეში აჭა-რა ორი საეპისკოპოსოს – ხინოსა და ტბეთის საეპისკოპოსოების სამწყსოში შედიოდა და ასე ჩანს XVI საუკუნეში შედგენილ სამცხე-საათაბაგოს ეპარქიების სიებშიც. ამ დროს აჭარის თით-ქმის ყველა ცნობილ სოფელში ეკლესიაა აშენებული (სხალთის

მცირე, თიკანაურის, საციხურის, ვერნების, თხილვანის, ხიხანის...). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XIII საუკუნეში აშენებული სხალთის ტაძარი, რომელიც ერთადერთია, ჩვენს დრომდე რომ მოაღწია. XVI საუკუნის ბოლოდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ტერიტორიები, კერძოდ სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს. ეს ბედი ეწია აჭარასაც. დამპყრობელთა სოციალურ-ეკონომიკურმა და რელიგიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას. ოიშალა და დაინგრა ქრისტიანული ტაძრები, მაგრამ შეურყევლად დარჩა ეროვნული ცნობიერება და მშობლიური ქართული ენა.

1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს აჭარის დედასამშობლოსთან - საქართველოსთან დაბრუნებამ ხელი შეუწყო აქ ეროვნული ცნობიერების ამაღლება-განმტკიცებას, ქართული კულტურისა და განათლების, ქრისტიანული რწმენის აღორძინებას. მართალია, საბჭოთა წყობილების სამოცდაათწლიანი ბატონობის ხანაში ყველა რელიგია იდევნებოდა, მაგრამ ადამიანებში რელიგიური რწმენა არ ქრებოდა. XX საუკუნის 90 წლებიდან, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და კონსტიტუციით რწმენის თავისუფლება გამოცხადდა, ყველას საშუალება მიეცა გამოეხატა თავისი ნება. ამჟამად აჭარაში ჭეშმარიტად რწმენის თავისუფლებაა. ბათუმში მოქმედებს ქრისტიან მართლმადიდებელთა, კათოლიკთა და სომეხ გრიგორიანელთა ეკლესიები, მუსლიმანური მეჩეთი, ებრაული სინაგოგა. რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, კათოლიკური ეკლესია ამ ბოლო წლებში აიგო, ხოლო სინაგოგის შენობა თითქმის ხელახლა აშენდა. აჭარაში ადგილი არ ჰქონია რელიგიური ხასიათის წინააღმდეგობებს, რელიგიურ უმცირესობათა შევიწროვებას.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით უბრუნდება აჭარის მოსახლეობა მის ისტორიულ რელიგიას – მართლმადიდებლურ ქრისტიანობას. თუ 1990 წელს აჭარაში სულ სამი მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია იყო, ამჟამად 25-მოქმედია და ათამდე ეკლესია შენდება ავტონომიური რესპუბლიკის ყველა რაიონში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხინოსა და ქ. ბათუმთან ახლოს წმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის, გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა. ფუნქციონირებს სასულიერო გიმნაზიები და სემინარიები. ამჟამად სასულიერო სასწავლებლებში სწავლობს 1000-მდე მოსწავლე. მოსახლეობა უბრუნდება თავის პირვანდელ რწმენას.

2003 წ.

ისტორია ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარია

(საქართველოს ისტორიის სწავლების თანამედროვე პრობლემები)

წაკითხულია საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების საქართველოს ისტორიის კათედრათა წარმომადგენლების სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე. მასალები იხილეთ კრებულში „ისტორია – ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარი," ბათუმი, 2003.

თორმეტი წელი გავიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. ეს დრო ისტორიისათვის ძალიან მცირეა, მაგრამ იმ თაობისათვის, რომელიც იბრძოდა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახალი საქართველოს აშენებისათვის, საკმაოდ ხანგრძლივი და დამქანცველი აღმოჩნდა, რადგან ქვეყანა დღესაც გაუსაძლის პირობებშია. ეკონომიკური სიდუხჭირე, მასობრივი უმუშევრობა, ძალადობა და უკანონობა, მმართველი ელიტის დიდი ნაწილის მხრივ მხოლოდ საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის ზრუნვა, მოსახლეობაში საყოველთაო ნიჰილიზმსა და უიმედობას, მომავლისადმი რწმენის დაკარგვასა და ერისათვის დამახასიათებელი მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მიმართ ეჭვს იწვევს. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მოურიდებლად აცხადებენ, რომ ქართველი ერისათვის ღალატი და გაუტანლობა, მომხვეჭელობა და სხვა ქვენა გრძნობები ისტორიულადაა დამახასიათებელი და გულმოდგინედ იქექებიან ისტორიაში ასეთი მაგალითების მოსაძიებლად, თუმცა დარწმუნებული ვართ, ამ ურწმუნოებმა კარგად იციან, რომ ბოროტებითა და ურთიერთგაუტან-

ლობის სენით დაავადებული ხალხი ათასწლეულებს ვერ გაუძლებდა, რომ ისტორიის გარკვეულ, მძიმე ეტაპზე ყველა ერის ცხოვრებაში იძალებდა ხოლმე უარყოფითი მოვლენები და მკვლევარმა თუ ისტორიკოსმა ისინი კი არ უნდა წამოსწიოს წინ, არამედ ახსნას, თუ რა გახდა ამის მიზეზი და თაობებს სანიმუშოდ ერის ისტორიის ის დადებითი ტენდენციები და მაგალითები უნდა მიაწოდოს, რომლებიც, საბედნიეროდ, მრავლადაა ჩვენს ისტორიაში.

მოსახლეობის ერთ ნაწილში ასეთი განწყობილების შექმნა გამოწვეულია იმით, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ჩვენს ქვეყანას, რომელიც ადრე ინტეგრირებული იყო უზარმაზარი საბჭოთა სახელმწიფოს სივრცეში, ახლა დამოუკიდებელი ცხოვრება უნდა დაეწყო, შეემუშავებინა თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, გადაეჭრა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანები ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში. მდგომარეობას ართულებდა ე.წ. მეტროპოლიის - რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება ახალი რეალობისადმი და ყოველმხრივ ხელის შეშლა დამოუკიდებლობამიღებული ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში. ამას დაემატა ქვეყნის შინა ძალების დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოშლა და მისი ეკონომიკის გაჩანაგება. არანაკლები უარყოფითი როლი ითამაშა დემოკრატიისა და თავისუფლების არასწორმა გაგებამაც, რაც საყოველთაო ანარქიისა და თვითნებობის, კანონდაუმორჩილებლობის საფუძვლად იქცა. არადა, დემოკრატია უპირველესად გულისხმობს ხალხის ინტერესების შესაბამისი კანონების მიხედვით ქვეყნის ცხოვრებას, კანონებისადმი ყველას მხრივ ერთნაირ მორჩილებას.

ასეთ პირობებში, ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული იდეოლოგიის შემუშავებას, ეროვნული ცნობიერების მქონე ახალი საქართველოს მშენებელი თაობის აღზრდას, რაც

დაეფუძნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვან გამოცდილებასა და ჩვენი ერის საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ღირებულებებს.

XIX საუკუნის დიდი სამოციანელი – ილია ჭავჭავაძე, 1877 წელს აანალიზებდა რა ოსმალოს საქართველოს პრობლემებს, წერდა: "ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს, იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარ-ტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა (თხზ.ტ. XV. თბ.1989, გვ.9).

დიახ, ახალი საქართველოს მშენებელი თაობის აღზრდა უპირველესად უნდა დაეფუძნოს ქართველი ერის სულიერ სიმდიდრეს, მის მდიდარ ენასა და ლიტერატურას, ეროვნულ ისტორიას, სადაც მოთხრობილია იმ გმირულ გზაზე, რომელიც გამოიარა ჩვენმა მცირერიცხოვანმა, თუმცა სულით გაუტეხელმა და ულევი ენერგიის მქონე ერმა. ამის გაკეთება კი შესაძლებელი გახდება ამ ეროვნული დისციპლინების სწავლებისადმი ყურადღების დათმობით, მათზე პრიორიტეტული ადგილის მინიჭებით სასწავლო დისციპლინათა შორის, რადგან ეროვნული ცნობიერების ჩამოძალიბება და ახალგაზრდებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება სწორედ ამ დისციპლინების ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებით, კარგად გააზრებითა და გათავისებითაა შესაძლებელი.

ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ცნობიერება, არაერთი ცნობილი მკვლევარის აზრით, რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საყრდენს ეფუძნება, რომელთაგან უპირველესია ამა თუ იმ ხალხში არსებული გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა. "ვიდრე ხალხი, რაოდენ დანაწევრებული და ფართოდ განფენილი არ უნდა იყოს იგი დედამიწაზე, ინარჩუნებს ამ რწმენას, შეიძლება ითქვას, რომ მას თანდაყოლილი ორიენტაცია

აქვს გენეტიკურ ერთიანობაზე (რ.გორდეზიანი, ქართული თვით-შეგნების ჩამოძალიბების პრობლემა, თბ., 1993, გვ.3).

გენეტიკური ერთიანობის მახსოვრობა თუ რწმენა უპირველესად საკუთარი ერის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა-გააზრებით ყალიბდება. თუ ერს, მის თითოეულ მოქალაქეს, ახსოვს ვინ არის იგი, საიდან მოდის, რისი პატრონი იყო, რა ეკუთვნოდა ისტორიულად და რა გააჩნია დღეს, მას დაღუპვა-გადაშენება არ უწერია. ამ თვალსაზრისით ისტორია გვევლინება, როგორც ერის მეხსიერება და მისი ძლიერების ბალავარი, რადგან სანამ ჩვენს თაობებს ემახსოვრებათ სხვადასხვა დროს ჩვენგან ჩამოჭრილი ტერიტორიები, ისინი დაკარგულად არ ჩაითვლება. სწორედ ისტორიულმა მეხსიერებამ მისცა ებრაელ ერს იმის საშუალება, რომ 2000 წლის შემდეგ აღედგინა თავისი სახელმწიფოებრიობა. ერს მუდამ უნდა ახსოვდეს მისი ისტორული მისია და მიზანი, ხოლო მის მოქალაქეს - რა გზა გამოიარეს მისმა წინაპრებმა, რომ არ გაუნელდეს საკუთარი წარსულისადმი სიამაყის გრძნობა. აკი ბრძენკაცი გვასწავლიდა "წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა". მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ მარტო ცოდნა არ კმარა, საჭიროა მისი შესაბამისი მოქმედება, აქტიურობა, საქმის კეთება. XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწე იონა მეუნარგია იგონებს, რომ 1881 წელს, ხაშურის სადგურის სასადილოში შესულს, როცა მიმტანმა საჭმელი მიართვა, ხმადაბლა ჰკითხა "მამულისათვის სასარგებლო რამე გააკეთე?" ამის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა რა დონეზე აიყვანეს XIX საუკუნის სამოციანელებმა ეროვნული თვითშეგნება, მამულისათვის სამსახურის აუცილებლობის გრძნობა. მაგრამ ეს იოლად არ მიღწეულა. თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეიმუშავეს ეროვნული პროგრამა, რომლის საბოლოო მიზანს ქართველობისა და საქართველოს გადარჩენა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენდა, გამოკვეთეს და ჩამოაყალიბეს ამ პროგრამის განხორ-

ციელების მიმართულებებიც: ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება, ეროვნული სიმდიდრის, განსაკუთრებით ქართული მიწის დაცვა, ქართული ენის გადარჩენა, მისი სიწმინდისათვის ბრძოლა, ეროვნული იდეოლოგიის საშუალებების (პრესა, პერიოდული გამოცემები) საქმიანობის გააქტიურება და მათი დარაზმვა ქართველი ერის გაერთიანებისა და მისი ძალების ქვეყნის სასარგებლოდ მიმართვისათვის, ზრუნვა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ბრძოლა ქართველი ერის ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ, ზრუნვა საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების დაცვისა და ეროვნული პროგრამის მათზე ორიენტირებისათვის და სხვა.

საუკუნის და მეტი ხნის წინანდელ მოვლენებზე ასეთი ყურადღების შეჩერება იმიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ მსგავსი პრობლემები დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე დღესაც, წარსული სწორედ იმითაა მკვიდრი საფუძველი აწმყოსი, რომ ბევრი რამის გამოგონება არ დაგვჭირდება, თუ გონივრულად გამოვიყენებთ ისტორიის გამოცდილებას, თანაც, არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან.

ალბათ უპრიანი იქნება გავიხსენოთ XX საუკუნის 20-იანი წლების აშშ-ის გამოცდილებაც: როცა ეს ქვეყანა ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა, მმართველი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კალვინ კულიჯმა ასეთი ლოზუნგი წამოისროლა: კაცი, რომელიც აშენებს ქარხანას, სინამდვილეში აშენებს ტაძარს, ხოლო ის, ვინც იქ მუშაობს, ემსახურება ღმერთს. ზემოთ ნათქვამი, ვითარების შესაბამისი იდეოლოგიის შესანიშნავი ნიმუშია, რომლის მსგავსის გახსენება, ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების ისტორიიდან, ალბათ, გაგვიჭირდება.

ბოლო წლებში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები ცდილობენ სწავლების მსოფლიო სტანდარტებს მოერგონ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან თანამედროვე პირობებში სწავლებისა და მეცნიერების ინტეგრირების გარეშე წინ ვერ წავალთ, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურათა ფართო ინტეგ-

რირებას თან სდევს ისეთი მოვლენებიც, რომლებსაც თუ ერმა საკუთარი ზნეობრივი ღირებულებები და ნორმები არ დაახვედრა დაკარგავს ეროვნულ სახეს, თვითმყოფადობას და იმას, რის შესანარჩუნებლად საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა იგი, მით უმეტეს მაშინ, როცა ვგრძნობთ და ვხედავთ ამის მცდელობას. ამ მიმართებით განსაკუთრებული ფუნქცია უნდა შეასრულოს მშობლიურმა ენამ, ლიტერატურამ და ისტორიამ. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განათლებისა და სწავლების ე.წ. გლობალიზაციას არ ემსხვერპლოს ეროვნულ დისციპლინათა ინტერესები.

ისტორია ერის ცხოვრებაში აქტიურ როლს მაშინ თამაშობს, როცა მის გამოცდილებას ითვალისწინებენ და მოხერხებულად იყენებენ მომავალი თაობების და არა მარტო მათი, ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესში. აქ კი უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს დამოკიდებულებას ეროვნული ისტორიისადმი, რაც ვლინდება იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებს ქვეყანა ეროვნული ისტორიის კვლევის, პოპულარიზაციისა და მომავალი თაობისა და საერთოდ მოსახლეობის მიერ ამ დიდი იდეოლოგიური დატვირთვის მქონე საგნის საფუძვლიანად შესწავლა-გააზრებისათვის.

მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ წლებში ეროვნული დისციპლინების (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია) სწავლებას სერიოზული ყურადღება დაეთმო, კერძოდ, მიღებულია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა, საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის გაიზარდა სასწავლო საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მისი სწავლება სავალდებულო გახდა უმაღლესი სკოლის ყველა სპეციალობაზე, გაიხსნა ასპირანტურები და მაგისტრატურები საქართველოს ისტორიაში და სხვა, მაგრამ როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ეს საკმარისი არაა, რადგანაც ამას არ მოჰყვა სახელმწიფო სტანდარტები ამ მეტად მნიშვნელოვანი

მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური დისციპლინის სწავლებისათვის. მართალია, საშუალო სკოლებისათვის გამოიცა სახელმძღვანელოები, მაგრამ ყველა ვერ იმსახურებს პრაქტიკოს-მასწავლებელთა მოწონებას. არა გვაქვს ახალი სახელმძღვანელოები რუსული სკოლებისათვის, ცერაც არ შექმნილა უმაღლესი სკოლების ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ერთიანი სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ამ დისციპლინისადმი სახელმწიფოს მიერ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისი შინაარსი და ცალკეულ კათედრებს უფლება მიეცემათ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ცვლილებების შეტანა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. დღეს კი უმაღლესი სასწავლებლები, მათი შესაბამისი კათედრები საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით ვაკეთებთ ყველაფერ ამას, რაც სასწავლო გეგმების სერიოზული განსხვავების საფუძველი ხდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს ისტორია ისწავლება სპეციალურ, მონათესავე და არასპეციალურ ფაკულტეტებზე. აგრეთვე, უმაღლეს სკოლებში ორსაფეხურიანი სწავლების შემოღების შემდეგ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) იგი ისწავლება როგორც პირველ, ისე მეორე საფეხურზე, ეს საგანი ისწავლება რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზეც. იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია სასწავლო გეგმების, პროგრამების და სახელმძღვანელოების შედგენისას. მაგრამ როგორი მდგომარეობაა რეალურად? როგორც ჩვენს კოლეგებთან საუბრიდან ირკვევა, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განსხვავებული მიდგომაა ამ პრობლემებისადმი. განსხვავებულია საათების რაოდენობა საგნის შესწავლისათვის, არასპეციალურ ფაკულტეტებზე საგანი ზოგან მთავრდება ჩათვლით, ზოგან გამოცდით, ზოგან ერთ სემესტრში, ისიც პირველ სემესტრში ისწავლება და ზოგან ორ სემესტრში, მისაღებ გამოცდებზე ეს საგანი ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში პრიორიტეტით სარგებლობს და მონათესავე სპეციალობებზეც

ბარდება, ზოგან კი არა და სხვა. არადა, საგნის მნიშვნელობა იმდენად დიდია ქვეყნისათვის, რომ იგი აუცილებლად გამოცდით უნდა დასრულდეს. ყველამ უნდა იგრძნოს მისი შესწავლის აუცილებლობა და სახელმწიფოს განსაკუთრებული დამოკიდებულება მისდამი. ჩვენ გვესმის, რომ უმაღლესი სკოლების ავტონომიურობა ბევრ უფლებას ანიჭებს მათ, მაგრამ იგი უპირველესად სახელმწიფოს ინტერესებსა და სწავლების ხარისხის გაუმცობესებას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ვფიქრობთ, იდეოლოგიური დატვირთვის მქონე ამ საგნის სწავლების საერთო კოორდინირება სულაც არ მიაყენებს ჩრდილს უმაღლესი სასწავლებლების დამოუკიდებლობას. ამ პრობლემებზე საუბრისას კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო. წარსულის გამოცდილება აჩვენებს, რომ თუ ქვეყანას სურს აქტიური იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობითი მხარდაჭერა, ასეთი დისციპლინების სპეციალისტები გარკვეული საშეღავათო სასწავლო დატვირთვებით უნდა სარგებლობდნენ, რადგან ამ დარგის სპეციალისტების არასააუდიტორიო საქმიანობა დიდ ენერგიას, შრომას და დროს მოითხოვს. მაგალითად, გასულ 2002 წელს ჩვენს კათედრას 20–ზე მეტი ღონისძიება აქვს ჩატარებული უნივერსიტეტსა და მის გარეთ, სადაც 60–ზე მეტი მოხსენებაა წაკითხული, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა შეხვედრებზე, წიგნების განხილვებსა და სხვა ამ სახის ღონისძიებებზე. ვფიქრობთ, ასეთივე დატვირთვებით მუშაობენ საქართველოს ისტორიის კათედრათა პროფესორ-მასწავლებლები ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

როცა ამ საკითხებზე ვსაუბრობთ, არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ჩვენს უნივერსიტეტში ამ საგნის სწავლებას ხელის შეწყობა აკლდეს. პირიქით, ჩვენი შარშანდელი და ახლანდელი შეხვედრები ამის დასტურია, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ერთ-ერთი პირველი იყო ჩვენი სასწავლებელი, სადაც არასპეციალურ ფაკულტეტებზე საქართველოს ისტორიის სწავლება შემოვიღეთ. ამავე ხანებში შეიქ-

მნა საქართველოს ისტორიის კათედრაც. ეს იყო 1991 წლის 3 ივნისი. მაშინ კათედრაზე ხუთი წევრი იყო, რომელთაგან სამს ჰქონდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, დღეს კათედრაზე 30–დე წევრია, რომელთაგან 11 მეცნიერებათა დოქტორი და 13 მეცნიერებათა კანდიდატია; ამათგან ბოლო სამ წელიწადში ხუთმა სადოქტორო და შვიდმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ბუნებრივია, ეს ვერ გაკეთდებოდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრივ მხარდაჭერისა და იმ კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს გარეშე, რაც ჩვენს უნივერსიტეტსა და კათედრაზეა და თუ მაინც ვსაუბრობთ ეროვნული ისტორიისადმი დამოკიდებულობის პრობლემებზე, ეს გამოწვეულია ცერ ერთი, იმ მაღალი პასუხისმგებლობით, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ ქვეყნის წინაშე და მეორეც, ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენებით.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სამთავრობო კომისიას, რომელიც განათლების საკითხზე მუშაობს, უმაღლესი სკოლის პრიორიტეტულ დისციპლინათა ჩამონათვალში (ქართული ენა-ლიტერატურა, უცხო ენები, მათემატიკა) საქართველოს ისტორია არ შეუტანია, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საგანთა ჩამონათვალის პროექტში, რომელსაც სახელმძღვაელო დოკუმენტად ქცევა, ვფიქრობ არ უნდა ეწეროს, იგი სულ არ ფიგურირებს და მოიაზრება საგანში ისტორია. რა ხდება ბატონებო, ამიტომ ვიბრძოდით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი გენისა და ჯიშის გადარჩენისათვის ხომ არ დაგვავიწყდა დიდი ილიას გაფრთხილება „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქედამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა“. დარწმუნებული ვართ, ეროვნული ისტორია არამარტო სკოლის, არამედ ჩვენი მოსახლეობის და ეროვნული არმიის პოლიტიკური განათლების სისტემაში იმ ადგილს დაიკავებს, რომელიც მას დამსახურებულად ეკუთვნის.

ბოლო წლებში, უმაღლესი სკოლების სწავლებაში საკრედიტო სისტემის შემოღებით, საქართველოს ისტორიის სწავლება კიდევ უფრო დაზარალდა. ადრემოქმედ სასწავლო გეგმებში, მართალია, მონათესავე და არასპეციალურ ფაკულტეტებზე ამ საგნის სწავლებისათვის გამოყოფილი საათები (შესაბამისად 64 და 32) არ გვაკმაყოფილებდა, გვეცოტავებოდა, მაგრამ ახალი სასწავლო გეგმის პროექტში კიდევ უფრო შემცირებულია და სულ ორი კრედიტია (30 სთ.) გათვალისწინებული. არადა, ფილოლოგიის, ჟურნალისტიკის, ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის და სხვა მონათესავე სპეციალობებზე შეიძლება განა ამ საგნის 30 საათში, თუნდაც მოკლე მიმოხილვა.

საქართველოს ისტორიის სწავლებაში არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, შეიქმნას საქართველოს ისტორიის კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც სხვა აუცილებელ საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ის, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად იქცეს ეროვნული ისტორიის ჯერაც შეუსწავლელი, ან ნაკლებად დამუშავებული პრობლემების კვლევა. ამ მიზნით ინტენსიური გახდეს მკვლევართა მივლინება უცხოეთის სიძველეთსაცავებში, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური ექსპედიციების მოწყობა ჩვენი ისტორიისათვის საინტერესო მასალების მოსაძიებლად და შესასწავლად;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა კლასში კვლავაც ისწავლებოდეს ეს დისციპლინა სასწავლო მასალის განმეორებადობის გამორიცხვით. გამოცხადდეს კონკურსი სახელმძღვანელოების შესაქმნელად;

მოსწავლეთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, საქართველოს ისტორიაში ჩატარდეს, როგორც კლასიდან კლასში გადასაყვანი, ისე სახელმწიფო გამოცდები;

(კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი)

ახალგაზრდობაში მშობლიური ისტორიის ცოდნის აუცილებლობის შეგნების ამაღლების მიზნით, უმაღლესი სკოლების ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, სავალდებულოდ იქცეს მისაღები გამოცდების ჩატარება საქართველოს ისტორიაში;

უმაღლესი სკოლების არასპეციალურ ფაკულტეტებზე საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის გამოიყოს არა ნაკლებ 3 კრედიტისა (45 საათი), ხოლო მონათესავე სპეციალობებზე 6 კრედიტი (90 საათი);

გამოცხადდეს კონკურსი უმაღლესი სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ყველა ამ ღონისძიებათა მიზანი უნდა იყოს ღირსეული მოქალაქის, ერის საუკეთესო ტრადიციებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ღირებულებებზე აღზრდილი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებისთვისაც უპირველესია სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული, რადგან როგორც დიდი ილია გვასწავლიდა, „სიყვარულია სათავე ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტო-

რიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე; მარტო სიყვარულით გამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია".

2003 წ.

P.S. კონფერენციის მონაწილეთა სახელით წერილი გაეგზავნა ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს ბატონ ე. შევარდნაძეს, რომლის ტექსტსაც გთავაზობთ:

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ *ედუარდ შევარდნაძეს*

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ *ნინო ბურჯანაძეს*

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ბატონ *ავთანდილ ჯორბენაძეს*

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო უსაღლესი

სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს,

აკადემიკოს *როინ მეტრეველს*

№2555
14.05.03

2003 წლის 2-3 მაისს ზოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის **სახელმწიფო** უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს უსაღლესი სასწავლებლების საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეების და პრორექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია თემაზე „ისტორია ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარია."

კონფერენციის მუშაობის პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ საქართველოს უსაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეში გაჩენილი ხარვეზები შეინიშნება, რაც შესაძლებელია მომავალში ამ საგნის დიდი პრობლემები შეუქმნას.

ჩვენ კარგად მოვეხსენებით საქართველოს ისტორიის როლი და მნიშვნელობა მომავალი თაობების ერთიანული სულიერებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აღზრდის საქმეში. ჩვენ ვფიქრობთ, საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ სახელმწიფო მხრეულობამ მოითხოვს, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის შექმნას, რომელიც დასახავს უსაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის სტარტეგიასა და ტაქტიკას, აამაღლებს საქართველოს ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის აუტორიტეტს, ხელს შეუწყობს ამ ნიჰილისტური განწყობის დაძლევას, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის ერთნაირად დიდად საშეუხარია, ეფუძნოვებულია ჩვენს ახალგაზრდობაში. მხად ვართ, ჩვენი ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება უშურველად და უანგარიშოდ გავიღოთ ამ საქმისათვის და ვიმუშაოთ ოქვენი ერთიანი ხელმძღვანელობით ამ მიზნით შექმნილ კომისიაში. გვეჯერა, რომ ამგვარი კომისიის მუშაობის შედეგები დაგეხმარება საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის შექმნაში. ვფიქრობ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული პრობლემის დადებითად ვადაწყვეტა ხელს შე-

უწყობს საქართველოში სამოქალაქო, სამართლებრივი, დემოკრატიული, ზნეობრივად ამაღლებული, ისტორიულ მეხსიერებაზე დაფუძნებული საზოგადოების აღმშენებლობას, რომლის საფუძველი, არსებითად, უკვე ჩაყრილია.

კონფერენციის მონაწილეთა სახელით:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის laureate — *ნანა ხაზარაძე*

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — *ბიჭიკო დიასამიძე*

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — *სვიმონ გამსახურდია*

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლეთ ევროპული ენებისა და კულტურის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — *ნოდარ ასათიანი*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესხეთის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — *ვალერი სალოგავა*

ᲐᲣᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲒᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡ: Ა. ᲗᲐᲕᲮᲔᲚᲘᲫᲔᲡ
Ⲁ. ᲙᲐᲠᲢᲝᲖᲘᲐᲡ
Ⲣ. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ
Ⲧ. ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔᲡ

ᲛᲘᲒᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐᲡ.
ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲣᲨᲐᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲐᲑᲖᲔ.

Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ

2003 Წ. „23 ᲛᲐᲘᲡᲘ

№ 2555

ერთი ოსმალური წყაროს შესახებ

თანამედროვე პირობებში, როცა შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიის საკითხების შესასწავლად უცხოური წყაროების მოძიება მეზობელი ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში, აქტუალურია მათი საფუძვლიანად, ობიექტურად და ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში გაანალიზება-გააზრება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ - ზაზა შაშიკაძის მიერ სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში აღმოჩენილი ორი დოკუმენტი, რომელიც ეხება XVI საუკუნის 60-იან წლებში აჭარისწყლის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს (ზ. შაშიკაძე, 2002: 146-157).

პირველი დოკუმენტის მიხედვით, 1561 წლის თებერვალში ,,აჭარის ხეობა" ჩამოერთვა ქრისტიან ბეჟანს, რომელიც "უფლების გარეშე'' ფლობდა მას, აწყობდა არეულობებს და დაუმორჩილებელია, მისი ძალაუფლება ას კაცზეც არ ვრცელდებოდა", არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით აჭარის ნაჰიე ებოძა ისპირის სანჯაყის ემირს *(ზ. შაშიკაძე, 2002: 156).*

მეორე დოკუმენტის მიხედვით, აჭარის ქვეყნის განდგომილ ქართველ თავადთაგან ბეჟან ბეგი დედაქალაქში (სტამბოლში – ბ. დ.) ჩავიდა, მორჩილებისა და ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ ისლამი აღიარა, სამასი ათასი ებოძა და მეჰმედის სახელი დაერქვა" *(ზ. შაშიკაძე, 2002: 156).* ამ ოსმალურ წყაროებზე დაყრდნობით ზაზა შაშიკაძე ფიქრობს, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცევის თარიღი (XVII ს. I ნახევარი) უნდა გასწორდეს XVI საუკუნის 60-იანი წლებით, რადგან "ეს დოკუმენტები უტყუარი მასალაა აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად *(ზ. შაშიკაძე, 2002: 153).*

ზ.შაშიკაძის ამ თვალსაზრისს სარწმუნოს ხდის მის მიერვე მოპოვებული და გამოქვეყნებული *(ზ. შაშიკაძე , 2004)* სულთან სელიმ

II (1566 – 1574წწ.) დროს შედგენილი "ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი", რომელიც ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველი დოკუმენტია. დავთარში დასახელებულია აჭარისწყლის ხეობის (ზემო და ქვემო აჭარის) ყველა სოფელი, მოსახლეობისაგან დაცლილებიც კი, გადასახადების დადგენის მიზნით.მიუხედავად ამისა, ეს საკითხი – აჭარაში ოსმალთა ბატონობის დამყარების ზუსტი თარიღის დადგენა, იმდენად რთული, პრინციპული და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ რადგან ახალ პირობებში შესაძლებელი გახდა აქამდე ხელმიუწვდომი უცხოური და განსაკუთრებით ოსმალური წყაროების მოძიება, ამ მიმართულებით კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ამჯერად მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ პირველ ორ დოკუმენტში მოხსენიებული *ბეჟანის* პიროვნებაზე, რადგან წყაროში ნახსენები ბეჟანის გენეალოგიის დადგენის მცდელობას, ბოლო ხანებში, მოჰყვა, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მცდარად გააზრება.

2003 წლის 20 ივნისის გაზეთ “აჭარაში” გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ რამაზ ხალვაშის სტატია “ბეჟან აბუსერისძე – აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი“, რომელშიც ავტორი აცხადებს, რომ „აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი – ბეჟანი ეკუთვნოდა აბუსერისძეთა ფეოდალურ საგვარეულოს. 1545-1560 წლებში ბეჟან აბუსერისძე დაუმორჩილებლობას უცხადებს ოსმალებს და აგებს ზენდიდის (ბეჟანიძეთა) ციხეს. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით 1563 წელს ის ისლამს იღებს და მოგვიანებით საფუძველს უყრის ბეჟანიძეთა საგვარეულოს.”

ასეთი კატეგორიული დასკვნით მკვლევარი რ. ხალვაში ცნობილ ისტორიკოსთა მიერ გაზიარებული რამდენიმე თვალსაზრისის გადასინჯვას აყენებს დღის წესრიგში.

კერძოდ, 1) დაახლოებით საუკუნენახევრით ახანგრძლივებს ცნობილი ისტორიული საგვარეულოს – აბუსერისძეთა პოლიტი-

კური ძლიერების ხანას (XIV საუკუნიდან XVI საუკუნის 60-იან წლებამდე);

2) ოსმალურ წყაროებში ნახსენებ ბეჟანს აიგივებს "კლარჯული სვინაქსრის" XVI საუკუნის აღაპებში მოხსენიებულ ბეჟან აბუსერისძესთან;

3) ბეჟანიძეთა გვარის წარმოშობას აკავშირებს აბუსერისძეთა საგვარეულოსთან.

მკითხველს უეჭველად დააინტერესებს რა ისტორიული წყაროებისა და არგუმენტების საფუძველზე ცდილობს ახალგაზრდა მკვლევარი ცნობილი მეცნიერების (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ლ. მუსხელიშვილი...) თვალსაზრისის გაბათილებას. რ. ხალვაშის სტატიის გაცნობის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ თურმე აქამდე გაზიარებული თვალსაზრისი ზემოთ ნახსენები საკითხებისადმი, გამოწვეული ყოფილა XVI საუკუნის დასაწყისში შექმნილი დოკუმენტის "სამცხე-საათაბაგოში კათალიკოზის სამწყსოთა თავადთა და სოფელთა სიის" მცდარი ამოკითხვით, რომელიც დ. ბაქრაძემ და თ. ჟორდანიამ დაამკვიდრეს *(რ. ხალვაში, 2003).* ამიტომ ჩვენც მკითხველის ყურადღების შეჩერება მოგვიწევს ამ საინტერესო ისტორიულ წყაროზე, რომ დავრწმუნდეთ ბ-ნ რამაზ ხალვაშის მტკიცების ჭეშმარიტებაში.

XVI საუკუნის ხსენებული წყარო "კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე – საათაბაგოში'' ხელნაწერთა ინსტიტუტის ორი ნუსხის მიხედვით გამოაქვეყნა ი. დოლიძემ *(ი. დოლიძე , 1979: 242-244),* ხოლო პარალელური ტექსტი ორივე ნუსხის მიხედვით ქრ. შარაშიძემ (*ქრ. შარაშიძე, 1961: 31-35).* იგივე წყარო გამოქვეყნებული აქვს დ. ბაქრაძეს წიგნში "არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", რომელშიც გვაუწყებს, რომ ეს სიგელი მას მინაწერის სახით უპოვნია ორ ხელნაწერში: საჩხერეში, თავად ნესტორ წერეთელთან, საეკლესიო წიგნში, რომელიც გადაწერილია 1822 წელს და თბილისში, ვახუშტის ხელნაწერ ისტ-

ორიაში, რომლის გადაწერა დამთავრებულია 1816 წელს *(დ. ბაქრაძე, 1987: 75).*

ძეგლის გამომცემელნი ი. დოლიძე და ქრ. შარაშიძე ხელნაწერის აღწერისას წერენ, რომ "განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი" *ი. დოლიძე, 1979: 115),* რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტი მისი სასვენი ნიშნებით გამართულია გამომცემლების მიერ, ხოლო დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ტექსტი გადაწერილია 1816 და 1822 წლებში დასრულებული ხელნაწერებიდან. ის ხელნაწერები საიდანაა გადაწერილი ჩვენ არ ვიცით, თუმცა საჩხერულ ვარიანტს ახლავს მინაწერი: „ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართუელოისა მეფეთასა და გადმოვსწერე, ვითარცა წერილ იყო" ეს კი იმას ნიშნავს,რომ 1822 წელს გადაწერილი ხელნაწერი იმ ძველ ისტორიაში არსებულის იდენტურია. მართალია, ის ძველი ისტორია როდინდელია არ ვიცით, მაგრამ მე-18 საუკუნისაზე ახალი რომ არ იქნება ცხადია. ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ მეთვრამეტე საუკუნეში უკეთ და ზუსტად წაიკითხავდნენ და გამართავდნენ მე-16 საუკუნეში შექმნილ ტექსტს, ვიდრე XX საუკუნის მეორე ნახევარში. აქედან გამომდინარე, დ. ბაქრაძისეული ტექსტი უფრო სანდოდ გვეჩვენება, როგორც ორი საუკუნის წინ გადაწერილი უფრო ძველი დოკუმენტიდან.

მკითხველის ყურადღებას იმიტომ ვაჩერებთ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ტექსტის გამართვაზე, რომ საგაზეთო სტატიის ავტორი რ. ხალვაში, ვფიქრობთ, სწორედ ამან შეიყვანა შეცდომაში. მას ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებული ტექსტიდან მოაქვს ადგილი: " (8) ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, დიასამიძეთა აქუს", (9) აბუსერისძე, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა" და აკეთებს დასკვნას, რომ მოცემული საეკლესიო საბუთი გვიდასტურებს, რომ XVI საუკუნის დასაწყისში აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი, სამცხე საათაბაგოს რამდენიმე ძველ ფეოდალურ გვართან ერთად, ძალაუფლებას ინარჩუნებს. თუ

მკითხველი დააკვირდება წყაროდან მოტანილ ადგილს, დაინახავს, რომ პირველი წინადადების შინაარსი გასაგებია: ღობიერების მამული დიასამიძეებს ეკუთვნით, მაგრამ მეორე წინადადება: აბუსერისძე, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა–დაუსრულებელია. აშკარად ჩანს, რომ ისინიც ვიდაცას ემორჩილებიან. ვფიქრობთ, ბატონ რ. ხალვაშს იგივე დოკუმენტის დ. ბაქრაძისეული ვარიანტიც უნდა მოეხმო, შეედარებინა და დასკვნაც შემდეგ გაეკეთებინა, რადგან სწორედ სასვენი ნიშნების განსხვავებული დასმითა და მუხლებად დაყოფით ტექსტის შინაარსსაც სხვანაირს ვღებულობთ. დ. ბაქრაძესთან ზემოთ მოტანილი ტექსტი ასეა გამართული: "ერისთავთ ერისთავსა ხურსისძესა აქუს ღობიერნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა. დიასამიძეთა აქუს აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა." ბაქრაძისეული ვარიანტით აბუსერისძენი XVI საუკუნისათვის ჩამოქვეითებული ჩანან და მათი მამული დიასამიძეთა ფეოდალურ გვარს უკავია. ეს აზრი გაბატონებულია დღემდე, რადგან XVI საუკუნისათვის დიასამიძეთა ფეოდალური გვარი ამ დოკუმენტის გარეშეც აღზევებული ჩანს და მისი არაერთი წარმომადგენელი მონაწილეობს არა მარტო მესხეთის, არამედ საერთო ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში. აბუსერისძენი კი XIV საუკუნის შემდეგ აღარ ჩანან პოლიტიკურ ასპარეზზე, არადა XVI საუკუნეშიც რომ ისინი თუნდაც ერთი ქართული პროვინციის მმართველები ყოფილიყვნენ, როგორც ამას რ. ხალვაში ვარაუდობს, აუცილებლად უნდა გამოჩენილიყვნენ იმდროის თუნდაც სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე. ამდენად, XVI საუკუნის ოსმალურ დოკუმენტებში ნახსენები ბეჟანი ვერ იქნებოდა აბუსერისძე და მისი გაიგივება "კლარჯული სვინაქსრის'' XVI ს-ის აღაპებში მოხსენიებულ ბეჟან აბუსერისძესთან უმართებულოდ ჩანს.

მაშინ ვინ შეიძლება იყოს ორ ოსმალურ წყაროში მოხსენიებული ბეჟანი? აქ უნებლიედ გვახსენდება ზ. ჭიჭინაძის ნაშრომიდან

ერთი ადგილი, სადაც ავტორი წერს: „სოფელ ზენდიდში ცხოვრობენ ბეგი ბეჟანიძენი. ესენი სამცხიდამ გადასახლებულან აჭარაში XVII ს. და შემდეგ. ესენი აჭარაში დასახლებულან ზენდიდში და ეს ციხე "მოდინახეც'' მაშინ გაუკეთებიათ მათ ძველებს. ამ ბეგების ძველი გვარი დიასამიძეა. ამათ ძველებს ძველის ძველთა პირმსახურის ძეთაც იტყოდნენ. პირთ მსახურად ქართველებში თამარ მეფე იგულისხმება. მაშასადამე ესენი თამარ მეფის მსახურათაც ყოფილან, თავადობაც მის დროს მიუღიათ." შემდეგ ავტორი აგრძელებს:

„ამათ ისლამთან დაკავშირება მიეწერება XVII საუკუნის დამლევს. ამ დროს, ერთ მათგანს, რომელსაც ისლამი მიუღია, სახელად *ბეჟანი* რქმევია, ამიტომ ოსმალთაგან ამათ დიასამიძეს მაგიერ ბეჟანოღლი სწოდებიათ, ოსმალურის სახელის "თულუმბაზადეს'' დამატებით. დღეს ესენი იწოდებიან ბეჟანოღლი – თულუმბაზადეთ *(ზ. ჭიჭინაძე, 1916: 15).*

ამ ვრცელი ამონარიდიდან რამდენიმე ფაქტია საგულისხმო. კერძოდ:

ა) ბეჟანიძეები დიასამიძეთა გვარის შტოა;

ბ) დიასამიძეთა გვარი თამარ მეფის ხანიდან დაწინაურებული გვარია;

გ) აჭარაში დიასამიძეები (ბეჟანიძეები) სამცხიდან გადმოსახლებულან;

დ) პირველ დიასამიძეს, ვინაც მუსლიმანობა მიიღო, ბეჟანი რქმევია;

ე) ბეჟანიძეებს აუგიათ „მოდინახეს" ზენდიდის ციხე. გასათვალისწინებელია, რომ ზ. ჭიჭინაძის მონათხრობი ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობა. მოგზაურის მთხრობელი (რესპოდენტი) ადგილობრივი ხანდაზმული პიროვნება იქნებოდა,რომელიც მის დროს გავრცელებულ ამბავს მოუთხრობდა. საგაზეთო სტატიის ავტორი რ. ხალვაში წერს: "ბეჟანიძეთა გვარს ზ.ჭიჭინაძე დიასამიძეთა საგვარეულოს ერთ – ერთ განშტოებად მიიჩნევს... უეჭველია, რომ ის

ემყარება "სამცხე – საათაბაგოში კათალიკოზის სამწყსოთა, თავადთა და სოფელთა სიის" მცდარ ამოკითხვას, რომელიც დ. ბაქრაძემ და თ. ჟორდანიამ დაამკვიდრეს."

ვფიქრობთ, რ. ხალვაშის ასეთი კატეგორიული განცხადება უმართებულო უნდა იყოს, რადგან დ. ბაქრაძის წიგნში მოტანილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი დიასამიძეთა პირმსახურისძეებად, ხოლო მათგან გამოყოფილი ბეჟანიძეების თულუმბაზადეებად წოდების შესახებ. რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იგი არ შეიძლება იყოს ამ ზეპირსიტყვიერი გადმოცემის პირველწყარო. (ამ ხანებში ჩვენთვის ცნობილი გახდა (რესპოდენტი პროფ. ჯ. ბერიძე), რომ მე_19 საუკუნის დასაწყისში ბეჟანიძეთა გვარის ერთი ცნობილი წარმომადგენელი თავისი შესახედავობის გამო ზედწოდებად თულუმბას ატარებდა. აქედან ხომ არ იღებს სათავეს ბეჟანიძეების ზედწოდება – თულუმბა ზადე?) მითუმეტეს, რომ ეს ზედწოდება „თულუმბა ზადე" შ. ლომსაძის მიერ გამოცემულ „ახალციხურ ქრონიკებშიც" არაერთჯერ იხსენიება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხალხური გადმოცემა არაფრისაგან არასდროს წარმოშობილა და მისი ხელაღებით უარყოფა არა მგონია მისაღები იყოს, მითუმეტეს, თუ ამ გადმოცემებს ფაქტებიც ამაგრებენ.

სადავო არაა, რომ სამცხის დიასამიძეების გვარი XV–XVII საუკუნეებში დაწინაურებულ და პოლიტიკურად ძლიერ საგვარეულოს წარმოადგენდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლებში და უპირისპირდებოდა ათაბაგ – ჯაყელთა სეპარატისტულ პოლიტიკას, რასაც არაერთი ამ გვარის ღირსეული წარმომადგენელი შეეწირა *(ძმები შერმაზან და ვახუშტი, ელია, კათალიკოს- პატრიარქი ევდიმოზ დიასამიძე და სხვ. ქცა 1959: 425, 510).*

დიასამიძეთა მიერ აბუსერისძეთა მამულების დაკავების შემდეგ, რომელიც თანამედროვე ზემო აჭარის ტერიტორიებს მოიცავდა *(ქსე, 1978: 503),* როგორც ჩანს, ამ გვარის დიდი ნაწილი აჭარის ტერიტორიაზე დასახლდა, მაგრამ ოსმალთა აჭარაში შემოსვლის შემდეგ,

დიასამიძეთა იმ ნაწილმა დაქვეითება განიცადა და ძველი წარჩინებულობა დაკარგა, რომელიც არ შეურიგდა დამპყრობელს, არ მიიღო ისლამი, ხოლო მეორე ნაწილმა, რომელმაც მიიღო მუსლიმანობა, შეინარჩუნა ძველი გავლენა. ვფიქრობთ, ამ სიტუაციას უნდა ასახავდეს ის ოსმალური მეორე დოკუმენტი , რომელიც გვაუწყებს ბეჟანის ჩასვლას სტამბულში, ისლამის მიღებას და შესაბამისად აჭარის ლივის, ანუ სანჯაყის ბეგად აღიარებას (300 000 ახჩას სანჯაყბეგს უნიშნავდნენ შემოსავლად). მართალია, ზეპირგადმოცემისა და წერილობითი წყაროს ქრონოლოგია არ ეთანხმება ერთმანეთს, მაგრამ ხალხური თქმულებებისათვის დროში ცთომილება დამახასიათებელია.

თუ ისტორიულ წყაროს მონაცემებს და ზეპირსიტყვიერ მასალას შევაჯერებთ, ზემოთ მოტანილ სურათს ვღებულობთ, რომლის საბოლოო ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მას უფრო მყარი მტკიცებულებები სჭირდება. მაგრამ საინტერესოა, რომ ის ხალხური გადმოცემა დღემდე გავრცელებულია მოსახლეობაში და ბევრს ეჭვიც არ ეპარება მის ჭეშმარიტებაში. რაც შეეხება ბ-ნ რ. ხალვაშის თვალსაზრისს, რომ აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი ბეჟანი იყო აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენელი, არც ისტორიული და არც ტრადიციული ხალხური გადმოცემებით არ დასტურდება.

ამ საკითხის გააზრებისათვის მცირე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას, რომ დიასამიძეთა ტრადიციულ ფუძე-სოფელს აჭარაში - გულებს თავისი საგვარეულო ციხე და ეკლესია გააჩნია, ზენდიდი – ამ საგვარეულოს განაყოფთა – ბეჟანიძეთა მამულად ითვლება მისი ცნობილი ციხით და ბოლოს, საგულისხმოა, რომ დღეს საქართველოში მცხოვრებ რვა ათასზე მეტ დიასამიძეთაგან ექვს ათასზე მეტი აჭარაში ცხოვრობს.

მკითხველს იქნებ გაუკვირდეს ერთი პიროვნების გენიალოგიასთან დაკავშირებით კამათი, მაგრამ აქ საქმე ეხება ისტორიულ მოვლენათა სწორ გააზრებას, წარსულის ობიექტური სურათის

შექმნას და არა რომელიმე საგვარეულოს ისტორიული უპირატესობის მტკიცებას.

2004 წ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა აჭარაში, რუსული ტექსტი თარგმნა ა. ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987
2. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1979
3. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, III, თბ., 1978
5. ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები V-XVI სს, თბ., 1961.
6. ზ. შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. III, ბათუმი, 2002
7. ზ. შაშიკაძე, გაზ. "აჭარა", 17 იანვარი, 2004
8. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ., 1916
9. რ. ხალვაში, გაზ. "აჭარა", 20 ივნისი, 2003

ბიორგობიდან – ბიორგობამდე

(ვარდების რევოლუცია აჭარაში)

2004 წლის ვარდობის თვე აჭარაში რევოლუციით დაიწყო. 6 მაისის გამთენიისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ტელევიზიით მოსახლეობასა და მთელ მსოფლიოს ამცნო აჭარაში ასლან აბაშიძის ცამეტწლიანი რეჟიმის დასრულება. "ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია". ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა და მოსახლეობისადმი მილოცვა, ქვეყნის პრეზიდენტმა.

ჯერ 2003 წლის 23 ნოემბერის "ვარდების რევოლუციამ" და შემდეგ 6 მაისს აჭარაში მშვიდობიანად ა. აბაშიძის რეჟიმის დამხობამ, აჩვენა მსოფლიოს, რომ ქართველი ხალხის ურყევი ნებაა – იცხოვროს და იშრომოს დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, ასლან აბაშიძის აჭარის ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, აშკარა გახდა, რომ საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის ცხოვრება განსხვავებულად ეწყობოდა, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. მაშინ ამას თავისი გამართლება ეძებნებოდა: ქვეყანაში, ჯერ სამოქალაქო ომი დაიწყო, რამაც ხელები გაუხსნა ათას ნაძირალასა და მედროვეს, რომლებმაც შექმნეს შეიარაღებული რაზმები და აყაჩაღებდნენ და არბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას; შემდეგ, დაიწყო საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლო), გრძელდებოდა ქაოსი და თვითნებობა ქვეყანაში, რაც საკმაო საფუძველი გახდა იმისათვის ,რომ ასლან აბაშიძის ბრძანებით, მდინარე ჩოლოქთან შექმნილიყო საკონტროლო საგუშაგოები (ჩოლოქის, ქაქუთის) და ქვემეხებითა და მძიმე ტექნიკით გაემაგრებინათ აჭარის ადმინისტრაციული საზღვარი დანარჩენ საქართველოსთან.

ასლან აბაშიძე სარგებლობდა იმით, რომ საქართველომ დროებით დაკარგა რა აფხაზეთი და სამაჩაბლო და ქვეყნის ხელისუფლება ერიდებოდა მასთან ვითარების გამწვავებას, სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას და ქვეყნის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას ამჟღავნებდა. თანდათანობით დაიქვემდებარა აჭარაში დისლოცირებული საქართველოს არმიის ნაწილები და ბოლოს თავი მთავარსარდლადაც გამოაცხადა. მას ემორჩილებოდა აჭარის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, გაწვრთნა და შეაიარაღა ორიათასკაციანი პირადი დაცვის სამსახური, ყველა წამყვან თანამდებობაზე დასვა მისი ერთგული და ნათესავი პირები, მის განკარგულებაში აღმოჩნდა ავტონომიური რესპუბლიკის მთელი რესურსები და ეკონომიკა, რომლითაც (საკუთრივ ქვეყანაში თუ მის გარეთ) უახლეს იარაღს ყიდულობდა ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ერთი სიტყვით, შეიქმნა სახელმწიფოში სახელმწიფო, რომლის მმართველი მხოლოდ ულტიმატუმების ენით ელაპარაკებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას.

აჭარაში ასეთი სიტუაციის შექმნას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ (სამოქალაქო დაპირისპირება, და აქ მიმდინარე პროცესებისადმი ცენტრალური ხელისუფლების მხრივ დანაშაულებრივი უპრინციპობა – წაყრუება) და მეორე მხრივ, აჭარის მოსახლეობის მძევლის პირობებში ჩაყენებამ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლა ნიშნავდა თვითმკვლელობას, ლტოლვილობას ან ფიზიკურ განადგურებას. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილება, შინაგანი პროტესტი ყოველთვის იგრძნობოდა აჭარის მოსახლეობაში, რაზეც ხელისუფლება მკაცრად რეაგირებდა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ქვეყნის მასშტაბით გაყალბებით გამოწვეულმა ვარდების რევოლუციამ (23 ნოემბერი) და შემდეგ 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა აჭარაში, ცხადყო, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების გავლენა

და ძალა აშკარად მოჩვენებითი იყო. მავანთა მიერ დიდ პოლიტიკოსად აღიარებულმა ასლან აბაშიძემ მაშინ გამოავლინა თავისი ნამდვილი გეგმები, როცა მ. სააკაშვილის, ზ. ჟვანიასა და ნ. ბურჯანაძის ხელმძღვანელობით შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებს მხარი კი არ დაუჭირა, პირიქით, აჭარიდან ასობით მოქალაქე აიძულა თბილისში ჩასულიყო და ხელისუფლების დამცველთა მხარეზე დამდგარიყო. აშკარად გამოჩნდა, რომ წლების განმავლობაში ე. შევარდნაძესა და ა. აბაშიძეს შორის თითქოსდა დაძაბული ურთიერთობა, მოჩვენებითი იყო და მას არ აწყობდა ქვეყნის სათავეში ახალი, დემოკრატიული ძალების მოსვლა. საბედნიეროდ, ხელისუფლების მიერ ინსპირირებული სამოქალაქო დაპირისპირება არ შედგა, ვარდების რევოლუცია უსისხლოდ განხორციელდა.

ა. აბაშიძე და მისი გარემოცვა ვერც ამან გამოაფხიზლა. საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებისთანავე ა. აბაშიძის დასაყრდენმა პარტიამ ("აღორძინების კავშირი") და მისმა ლიდერმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა – აჭარა არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობასო. ეს უკვე აჭარის საქართველოს საკონსტიტუციო – სამართლებრივი სივრციდან გასვლას ნიშნავდა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. ნ. ბურჯანაძის, ზ. ჟვანიას, აშშ-ის ელჩის რ. მაილსის ბათუმში ჩამოსვლა, ადგილობრივი მოსახლეობის დემონსტრაციები და მიტინგები დასჭირდა იმას, რომ ორი-სამი დღით ადრე არჩევნებამდე, გახსნილიყო საარჩევნო უბნები. ა. აბაშიძემ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო არჩევნების დასრულებამდე მხოლოდ ნახევარი საათით ადრე, რომ "აღორძინების" სხვა წევრებს არ ჰქონოდათ ხმის მიცემის საშუალება, რითაც თანაგუნდელთა სამართლიანი უკმაყოფილება და უნდობლობა გამოიწვია.

ა. აბაშიძის სახელისუფლებო გუნდი სულ უფრო ამწვავებდა ურთიერთობას ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობასთან. პრეზიდენტის ინაუგურაცია 2004 წლის 25 იანვარს უნდა შემდგარიყო. ინაუგურა-

ციამდე პრეზიდენტმა საზღვაო ძალების აღლუმი დაგეგმა ბათუმში. ამ დროს აჭარაში მოქმედებდნენ ა. აბაშიძის ხელისუფლების ოპოზიციური გაერთიანებანი: "ჩვენი აჭარა", "ერთიანობის დარბაზი", "დემოკრატიული აჭარა" და "აფსაროსი", რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ა. აბაშიძის რეჟიმის უსისხლოდ შეცვლაში. მათ გადაწყვიტეს პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგის ჩატარება. ხელისუფლებამაც, თავის მხრივ, მომხრეები ჩამოიყვანა მთიანი რაიონებიდან თითქოსდა პრეზიდენტთან შესახვედრად, სინამდვილეში ოპოზიციონერებთან დასაპირისპირებლად. მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: პრეზიდენტის მხარდამჭერი მიტინგი აჭარის ხელისუფლებამ და მისმა მომხრეებმა დაარბიეს, ხოლო ა. აბაშიძე პრეზიდენტის მიერ მიწვევის მიუხედავად, თბილისში ინაუგურაციაზე არ ჩავიდა.

ხელისუფლება, მის მიერ შექმნილი შეიარაღებული ჯგუფები სულ უფრო გამომწვევად იქცეოდნენ: ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ოპოზიციურ გაერთიანებათა აქტივისტებს, არბევდნენ და ანადგურებდნენ მათ ოფისებს, დაუნდობლად უსწორდებოდნენ ჟურნალისტებსაც კი.

14 მარტს დაინიშნა გაერთიანებული ოპოზიციის "ჩვენი აჭარის" წარმომადგენელთა შეხვედრა პრეზიდენტთან. აჭარის ხელისუფლებამ მათი ჩოლოქთან დაკავება და ანგარიშსწორება დაგეგმა. როცა ეს თბილისისათვის ცნობილი გახდა, პრეზიდენტი თავად წამოვიდა აჭარაში, მაგრამ ჩოლოქის ხიდთან აჭარის ხელისუფლებამ და მისმა მხარდამჭერებმა პრეზიდენტი არ გაატარეს. მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა, პრეზიდენტს არ მიეცა საშუალება მისივე ქვეყნის ერთ ნაწილში შესულიყო.სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტი უკან გაბრუნდა, მაგრამ ეკონომიკური სანქციები გაატარა აჭარის მიმართ, რამაც აიძულა ა. აბაშიძე დათმობაზე წასულიყო. კერძოდ, დათანხმებულიყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისა და და ჯგუფების დაშლაზე, მოსახლეობიდან ამოეღო ადრე მათზე დანაწილებული ავტომატური ცეცხლ-

სასროლი იარაღი, ხელი შეეწყო საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისათვის მზადებაში და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი განხორციელებულიყო ბათუმის პორტსა და საბაჟოზე.

პრეზიდენტის ამ მოთხოვნების განხორციელებას ითხოვდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებმაც შიმშილობის აქცია წამოიწყეს. მოშიმშილეებს სოლიდარობა გამოუცხადეს სხვა სასწავლებლების სტუდენტებმაც. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოშიმშილეებიც დაარბია, რასაც საქართველოს პრეზიდენტის, უმაღლესი სასწავლებლების და საერთოდ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მკაცრი რეაგირება მოჰყვა.

28 მარტის საპარლამენტო არჩევნები შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, მაგრამ იყო სერიოზული დარღვევები, ძალადობისა და ამომრჩევლებზე ზეწოლის შემთხვევები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ხულოს საარჩევნო ოლქში არჩევნების მასობრივი გაყალბების გამო, არჩევნების შედეგები ბათილად სცნო, ხოლო არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით "აღორძინების კავშირმა" შვიდპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა. ასე, რომ საპარლამენტო არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო ა. აბაშიძის რეჟიმისა და მისი პარტიის ავტორიტეტის სრული კრახი.

მიტინგები, დემონსტრაციები და მოთხოვნები ა. აბაშიძის ხელისუფლების გადადგომის შესახებ არ ცხრებოდა. საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნები კიდევ უფრო კონკრეტული გახდა: ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს ერთიანი ფინანსური პოლიტიკა, ქვეყანას უნდა ჰყავდეს ერთი არმია, ერთი უშიშროების სამსახური და ერთი შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგიონული სამსახურებით. ა. აბაშიძეს კატეგორიულად მოთხოვეს გაეუქმებინა უკანონო შეიარაღებული რაზმები, მოსახლეობიდან ამოეღო ადრე დარიგებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და სახელმწიფოსათვის გადაეცა მძიმე სამხედრო ტექნიკა.

ა. აბაშიძე, მოთხოვნების შესრულების ნაცვლად, კიდევ უფრო ამაგრებდა აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარს ჩოლოქთან მძიმე სამხედრო ტექნიკით. იგი შეიარაღებული კონფლიქტისათვის ემზადებოდა და ყოველნაირად ცდილობდა მის პროვოცირებას. აჭარაში არ შემოუშვა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზ. ჭიაბერაშვილი, თავისუფალი გადაადგილების საშუალება არ მისცეს მინისტრებს: ზ. ნოღაიდელს, კ. ლომაიას და სხვა. ა. აბაშიძე სისტემატურად ახსენებდა მოსახლეობას აფხაზეთის ამბებს და ყარსის ხელშეკრულებას, რომლის პირობებით, მისი თქმით, რუსეთი და თურქეთი დაიცავდნენ აჭარის ავტონომიას. ამით ასლან აბაშიძე მოსახლეობას მიანიშნებდა, რომ ახალი ხელისუფლება საშიშროებას უქმნიდა ავტონომიას და ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის რელიგიას – მუსლიმანობას.

საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდნენ შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებას, აბსურდული მტკიცებების გაბათილებას და ა. აბაშიძის ხელისუფლების მოკლე დროში შეცვლის აუცილებლობაში ყველას დარწმუნებას.

აპრილის ბოლოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიწყო სამხედრო წვრთნები ("დიოსკურია"). ა. აბაშიძე მიხვდა, რომ ეს უფრო მასზე ზემოქმედების მიზნით იყო გაპირობებული. აშკარად ჩანდა, რომ ა. აბაშიძე გაუთვლელ ნაბიჯებს დგამდა. 30 აპრილს, ბათუმში, საქალაქო სასამართლოს შენობასთან დაარბია არცთუ ისე ხალხმრავალი მიტინგი, აჭარაში არ შემოუშვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი მინერალური სასუქებით დატვირთული ავტომანქანები, ხოლო 2 მაისს, მისი ბრძანებით, ააფეთქეს ჩოლოქისა და ქაქუთის ხიდები იმ მოტივით, რომ საქართველოს მთავრობას აჭარაში ჯარები არ შემოეყვანა. მინერალური სასუქებით დატვირთული ავტომანქანების არ შემოშვებამ და ხიდების აფეთქებამ, უკმა-

ყოფილებისა და პროტესტის ახალი ტალღა ააგორა. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ დარწმუნდა ა. აბაშიძის რეჟიმის დამხობის აუცილებლობაში. აშკარა გახდა, რომ უკვე მზად იყო ა. აბაშიძის რეჟიმისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადების პირობები.

4 მაისს, დილით, ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა უარი განაცხადა აუდიტორიებში შესვლაზე და მიტინგი გამართა მოთხოვნით: "გადადგეს ასლან აბაშიძე". მომიტინგეებს სხვებიც შეუერთდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ დაარბია სტუდენტები. ა. აბაშიძე ფიქრობდა, ამით შეაშინებდა ახალგაზრდებს და აღკვეთდა გამოსვლებს, მაგრამ შუადღისას, უნივერსიტეტთან, VI სკოლის წინ, პედაგოგთა მიტინგი დაიწყო, რომელსაც შეუერთდნენ სტუდენტები, მაღალი კლასის მოსწავლეები და პროფესორ – მასწავლებლები. მომიტინგეთა ლოზუნგები: "ასლან გადადექი", "თავისუფლება აჭარას" და სიმღერები, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ, სრულად აჩვენებდა აქ შეკრებილთა განწყობილებას. ხელისუფლებამ სახანძრო მანქანით წყლის ჭავლი გამოიყენა მომიტინგეების დასაშლელად, მაგრამ როცა ამით ვერას გახდა, რკინის ხელკეტებით შეიარაღებული ბრბო შეუსია, რომლებიც ისეთი მონდომებითა და გამეტებით ასრულებდნენ დავალებას, თითქოს თანამოძმეებს კი არა, გადამთიელებს, მომხვდურ მტრებს ებრძოდნენ. ათზე მეტი მომიტინგე დაშავდა.

სტუდენტთა და პედაგოგთა მიტინგის დარბევამ, ხელისუფლების მხრივ გამომწვევმა განცხადებებმა და მოსახლეობის განწყობის საწინააღმდეგო ნაბიჯებმა, ოპოზიციური ძალებისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის გაერთიანება და ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო აქტიური მოქმედების ატმოსფერო შექმნა. გაერთიანებული ოპოზიციის " ჩვენი აჭარის " მიერ, იმავე დღის საღამოს 9 საათზე, უნივერსიტეტთან დანიშნულ მიტინგზე ათასობით ბათუმელმა შეიყარა თავი. მომიტინგეებთან შესაერთებლად ქალაქის ყველა მხრიდან ნაკადებად მოედინებოდა ხალხი. აშკარად ჩანდა, მათ

აღარ ეშინოდათ ხელისუფლების. მომიტინგეთა რაოდენობამ ხუთ ათასს გადააჭარბა. ლოზუნგები: "ასლან გადადექი", "ასლან შენ არა ხარ აჭარა","ასლან, შენ არ გეკუთვნის აჭარა", და შეძახილები: "საქართველო", "თავისუფლება", "მიშა, მიშა", "ასლან წადი", იმ განწყობას გამოხატავდნენ, რაც იმ საღამოს სუფევდა არა მარტო მიტინგზე, არამედ მთელ ქალაქში. ხელისუფლების მხრივ მიტინგის დარბევის საშიშროება გამთენიისას შეიქმნა, როცა მომიტინგეთა რაოდენობამ იკლო, მაგრამ იქ მდგომთა გადაწყვეტილება ერთი იყო – არ დაეხიათ უკან, მიეღწიათ მომიტინგეთა მთავარი მოთხოვნის _"ასლან გადადექი" – შესრულებისათვის.

5 მაისს, დილიდან იმატა მომიტინგეთა რაოდენობამ. ორატორები პოლიციელებს, სამხედრო მოსამსახურეებს, უშიშროების ორგანოების მუშაკებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებს მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ ა. აბაშიძის ხელისუფლებას და მომიტინგეებს შეერთებოდნენ. სულ მალე გამოჩნდა შედეგები: ქალაქის პოლიციის შემადგენლობის დიდი ნაწილი მომიტინგეებს შეუერთდა და მათ უსაფრთხოებას იცავდა. ასევე მოიქცნენ უშიშროებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებიც. აჭარის ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად (იარაღიც კი გამოიყენეს) მიტინგს შეუერთდნენ მთის რაიონებიდან ჩამოსულებიც. მომიტინგეთა რაოდენობამ ოც ათასს გადააჭარბა.

ბათუმში განვითარებულ მოვლენებს მღელვარებით ადევნებდა თვალს ტელევიზიის საშუალებით მთელი საქართველო. მიუხედავად აჭარის ხელისუფლების მიერ შექმნილი ათასნაირი წინააღმდეგობებისა, მომიტინგეებს უერთდებოდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჯერ ერთი, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შექმნილიყო ა. აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ და მეორე, ქვეყანას მიეღო მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა აშშ- ის, რუსეთის და სხვა სახელმწიფოთა მეთაურები-

საგან. ამასთან, მიეღწია იმისათვის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნებითა და ქვეყნის საერთო მხარდაჭერით ა. აბაშიძის ხელისუფლება უსისხლოდ გადამდგარიყო.

ა. აბაშიძესა და მის გარემოცვას არ სურდა იმის დაჯერება, რომ მათი ბატონობის საათები იწურებოდა. დრო და დრო ისმოდა ავტომატების კაკანი მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის, მაგრამ ეს ვერაფერს ცვლიდა. ყველა დარწმუნებულიყო, რომ 5 მაისს, საღამოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, რადგან მოსახლეობას ტელევიზიით ეცნობა, იმის შესახებ რომ ბათუმში ჩამოფრინდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი ა. აბაშიძესთან მოსალაპარაკებლად და პოლიტიკური თავშესაფრის შესათავაზებლად (მოსახლეობას ახსოვდა ი. ივანოვის 2003 წლის 23 ნოემბრის ჩამოსვლის შედეგი).

6 მაისის 2 საათსა და 15 წუთზე ა. აბაშიძემ ბათუმი დატოვა. სწორედ ამის შესახებ აუწყა მოსახლეობას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვებით : "მოგილოცავთ, ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია".

ორ დღეს ზეიმობდა აჭარა და დანარჩენი საქართველო ა. აბაშიძის ცამეტწლიანი ბატონობის უსისხლოდ დასრულებას, რადგან ეს რეჟიმი საფრთხეს უქმნიდა და ამუხრუჭებდა საქართველოს ერთიანობასა და მის წინსვლას. ა. აბაშიძის ხელისუფლების დამხობით იწყება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ საფეხურზე აყვანა.

აჭარაში ა. აბაშიძის რეჟიმის მშვიდობიანად დასრულებით მსოფლიომ დაინახა, რომ თბილისის "ვარდების რევოლუცია" შემთხვევითი მოვლენა არ იყო და, რომ ისეთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში, როგორიც სამხრეთი კავკასიაა, შესაძლებელია კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანად მოგვარება. მტერიც და მოყვარეც დარწმუნდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ სიმწიფეში, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში მისი ერთიანობისა და დასა-

ხული მიზნის განხორციელებისათვის თავგანწირვაში. ამასთან, დაინახა ისიც,რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, მის პრეზიდენტს, ძალუძთ ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

იმედი და მომავლის რწმენა აუხდინოს უფალმა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს!

P.S. აჭარაში ვარდების რევოლუციაზე ბევრი დაიწერება. ითქმება იმათზეც, ვინც ყველაზე მეტი გაიღო გამარჯვებისათვის. წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი განცდები და შეფასებებია მოცემული რევოლუციიდან ათი დღის შემდეგ, ამიტომ მკითხველმა შემინდოს, თუ ყველაფერზე ვერ ვთქვი...

15 მაისი, 2004 წ.

გლობალიზაციის პროცესს ეროვნული ინტერესები არ უნდა ემსხვერპლოს

წაკითხულია რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ბსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ინიციატივით 2004 წლის 16 აპრილს თემაზე: "გლობალიზაციის პირობებში ეროვნულ დისციპლინათა სწავლების პრობლემები".

ახალ, მესამე ათასწლეულს გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესი მოჰყვა. მართალია, ეს ტერმინი 1981 წელს ამერიკელმა პოლიტიკოსმა მაკლინმა, ხოლო შემდეგ სოციოლოგმა რობერტსონმა გამოიყენეს, მაგრამ ჩვენთან ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ახალი საუკუნის დასაწყისში. იგი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, მათ შორის განათლებასაც. სწორედ ამის გათვალისწინებითაა გააზრებული ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლის რეფორმა, რომლის კანონთა პროექტები ახლა მუშავდება და ქვეყნდება.

განათლების სისტემა რომ რეფორმას საჭიროებს, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ჯერ ერთი, თანამედროვე პირობებში, როცა მეცნიერება და ტექნიკა, საერთოდ ცხოვრება, არნახული ტემპით იცვლება, საჭირო ხდება სკოლაშიც შესაბამისი ცვლილებები გატარდეს. კერძოდ: მის მართვაში, სასწავლო მასალის მოცულობასა და შინაარსში და რაც მთავარია სწავლების ხერხებსა და მეთოდებში, მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობის ფორმებში, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს ჩვენი საგანმანათლებლო ტრადიციებისა და ადგილობრივი პირობების, ეროვნული ინტერესებისა და ქვეყნის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დღეს მსოფლიოში ფართო ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს, რაც მოითხოვს ჩვენი საგან-

მანათლებლო სისტემის საერთო ევროპული სტანდარტებისადმი მორგებას, მაგრამ ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ გლობალიზაციის პროცესს არ ემსხვერპლოს ეროვნული ტრადიციები და ეროვნულ დისციპლინათა ინტერესები. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის, რომელსაც თუ სურს იარსებოს ამ ქვეყანაზე, უნდა აითვისოს მსოფლიოს მიღწევები და შეინარჩუნოს ის, რითაც გამოირჩევა სხვებისაგან, რომ თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო კულტურის საგანძურში. ერთი სიტყვით, გლობალიზაცია-ინტეგრაცია უნდა გავიაზროთ არა როგორც კულტურათა შერწყმა, არამედ როგორც კულტურათა დიალოგი, ურთიერთგამდიდრება მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ამის გამოცდილება ჩვენს ქვეყანას მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებით დაუგროვდა. ამითაა მდიდარი და მრავალფეროვანი ჩვენი ყოფა და კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა.

საერთოდ რეფორმა უნდა ტარდებოდეს ქვეყნის, ხალხის ინტერესების გათვალისწინებით. ხალხში იგულისხმება მასწავლებელ-მოსწავლეც, სტუდენტიც და მშობელიც. დავიწყოთ იმით, რომ სკოლაში კვლავ პრობლემად რჩება კლასებში მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება. როგორი ახლებური მეთოდითაც არ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა, 35-40 ბავშვისადმი ჯეროვანი ყურადღების მიქცევა 35-45 წუთის განმავლობაში შეუძლებელია. გამოდის, რომ ბავშვის მიერ სასწავლო მასალის გაგება-ათვისების საქმეს ისევ მშობლის, ოჯახის იმედზე ვტოვებთ, არადა, საზოგადოება ელოდა, რომ ახალი პროექტით კლასში 20-25 მოსწავლეზე მეტი არ იქნებოდა გათვალისწინებული.

კითხვებს იწვევს ისიც, ცხრა კლასის დასრულების შემდეგ, სკოლის გარეთ დარჩენილი მოზარდებისათვის რას ითვალისწინებს სახელმწიფო, სად დაასაქმებს, როგორ მოუვლის ათიათასობით ახალგაზრდას, ან როგორი იქნება სკოლის მმართველობის საქმე. პროექტით სკოლას თვითმმართველობა – მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლობითი ორგანო, მზრუნ-

ველთა საბჭო უხელმძღვანელებს. დირექტორი შეიძლება იყოს არაპედაგოგიური განათლებითაც კი, რომელსაც უფრო ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციები ეკისრება, არადა, ხალხის სიბრძნე გვეუბნება – პური მეპურემ გამოაცხოსო. სკოლის საბოლოო მიზანი განათლებული, ცხოვრებისათვის მომზადებული ახალგაზრდების გამოშვებაა და მის დირექტორს ერთი გაკვეთილის ჩატარების საშუალებაც არ უნდა ჰქონდეს? მაშინ როგორღა აგებს იგი პასუხს სკოლის ავ-კარგზე?

სერიოზულ განხილვას და ზოგიერთი ცვლილებების აუცილებლად შეტანას მოითხოვს უმაღლესი განათლების რეფორმის პროექტიც.

პირველ რიგში, დასაზუსტებელია უმაღლესი სკოლების სტატუსის საკითხი. აქამდე ისინი ავტონომიური უფლებებით სარგებლობდნენ, რომელიც განსაზღვრული იყო ქვეყნის კონსტიტუციითა და მოქმედი უმაღლესი განათლების კანონით. ვფიქრობთ, იგივე სტატუსი უნდა შეუნარჩუნდეთ მათ. პროექტით არსებითად იცვლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოები. იგი ასეთად მოიაზრება: სენატი, აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ჩვენს ეჭვს იწვევს რამდენად მოქნილი და მოხერხებული იქნება ასეთ პირობებში სწავლების მართვა.

პროექტით გათვალისწინებულია სტუდენტთა ორსაფეხურიანი სწავლა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა (4+2) და ამ უკანასკნელის (მაგისტრის) აკადემიური ხარისხის შემდეგია დოქტორის აკადემიური ხარისხი, რომელსაც მაძიებელს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ანიჭებს. ხომ არ დააქვეითებს ეს სამეცნიერო ხარისხების დონეს? მეცნიერებისა და განათლების ხარისხის ამაღლების სასარგებლოდ იმუშავებს ეს სიახლე?კიდევ უფრო მეტ კითხვებს იწვევს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ახალი მოდელი, რომლის მიხედვითაც იქმნება მისაღები გამოცდების ერთიანი ეროვნული ცენტრები (რეგიონების მიხედვით), სადაც განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი საგამოც-

დო კომისიები ჩაატარებენ მისაღებ გამოცდებს. გამოცდებზე პრიორიტეტულ საგნებად მიჩნეულია ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები და ზოგადი უნარები. არჩევით საგნებად გათვალისწინებულია მათემატიკა და საქართველოს ისტორია. 2005-2006 სასწავლო წელს საქართველოს ისტორია საგანთა ჩამონათვალში არ არის იმის გამო, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას განმარტებით, არ მოესწრო ამ საგანში ტესტების მომზადება. როგორც ჩანს, ეროვნული დისციპლინების სწავლების მნიშვნელობა შეგნებულად დაკნინებულია, თორემ თუ სხვა საგნებში მოხერხდა ტესტების მომზადება, განა ამ საგანში გაჭირდა სპეციალისტთა მოძიება, რომლებიც ამის გაკეთებას შეძლებდნენ, ანდა წინ არაა მთელი შვიდი-რვა თვე გამოცდებამდე? ამის თქმის საფუძველს მაძლევს ახალი პროექტით საშუალო სკოლის სასწავლო გეგმებში ქართული ენის შესწავლისათვის დათმობილი საათების შემცირება.

აქ ისიც უნდა შევახსენო პროექტის ავტორებს, რომლებიც ხშირად ამერიკულ მოდელებს იმოწმებენ, რომ აშშ – ეს მსოფლიოს ზესახელმწიფო ამერიკის მოქალაქეობას არ ანიჭებს იმას, ვინც ამ ქვეყნის ენა და ისტორია არ იცის. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში, რომლის ღირსეული შვილები ერის ისტორიის, მისი ენისა და კულტურის დაცვისათვის თავს სწირავდნენ, არავითარი გამართლება არ ექნება ეროვნული დისციპლინების (ქართული ენა, საქართველოს ისტორია) სწავლების მნიშვნელობის დაკნინებას და მათი პრიორიტეტულ საგანთა ჩამონათვალიდან ამოღებას. ისინი უმაღლესი სასწავლებლის ყველა სპეციალობაზე უნდა ისწავლებოდეს.

მიუღებლად მიგვაჩნია ისიც, რომ ცალკეულ სპეციალობათა (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა და სხვა) დაკომპლექტება მოხდება სპეციალურ საგანთა ცოდნის შემოწმების გარეშე. იმის საშიშროებაც იქმნება, რომ სოფლის, განსაკუთრებით მთის რეგიონების კურსდამთავრებულები ვერ მოხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში იმის გამო, რომ ყველა სპეციალობაზე ბარდება გა-

მოცდები უცხო ენაში, მაშინ როცა ვიცით, რომ იქ სკოლების უმეტესობაში უცხო ენას არ ასწავლიან, ანდა არასპეციალისტებზეა ეს საქმე მინდობილი. ალბათ გასათვალისწინებელია განათლების ფუნქციისადმი ჩვენი საზოგადოების ტრადიციად ქცეული შეხედულებაც. ინგლისელი მეცნიერი მ.სადლერი ამ პრობლემასთან დაკავშირებით წერს: როცა განათლებაზე ჩამოვარდება სიტყვა, გერმანელი კითხულობს – რა ეცოდინება; ფრანგს აინტერესებს: როგორი იქნება გამოცდები; ამერიკელს – რის გაკეთებას შესძლებს; ინგლისელს – კარიერა (ზ.ცუცქირიძე, უცხოური თეორიები განათლების გზების შესახებ. – კრ. საქართველოს განათლების მეც. აკადემიის მოამბე. №6, 2003, გვ.9).

რა კითხვას დასვამდა ჩვენი თანამემამულე? – ალბათ, დიპლომს ხომ მიიღებსო! ასე, რომ ძალიან ბევრია სამუშაო იმ თვალსაზრისით, რომ შეიცვალოს ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება განათლებისადმი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით უმაღლეს სასწავლებლებს დიდი ტვირთი, პასუხისმგებლობა და კორუპციის საფუძველი მოეხსნათ, მაგრამ ამ ბოლო პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოსაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კორუფცია საყოველთაო გავრცელებას პოულობს იქ, სადაც კანონი არ კანონობს და მოსახლეობა უმძიმეს ეკონომიურ პირობებში ცხოვრობს. კორუფციას დაპატიმრებებით და მოსამსახურეების შემცირების ხარჯზე ხელფასების გაზრდით ვერ აღმოფხვრი. სამუშაო ადგილების გაჩენა, სახალხო მეურნეობის აღორძინება და იქ მოსახლეობის დასაქმება, კანონიერების განმტკიცება და ადამიანთა დაფასება, მათი ცოდნის, უნარისა და პროფესიონალიზმის მიხედვით, შექმნის იმის საფუძველს, რომ თანდათანობით აღმოიფხვრას ეს სენი.

ერთი სიტყვით, მიგვაჩნია, რომ გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალია, მაგრამ იგი უნდა გავიაზროთ მსოფლიოს მოწინავე, პროგრესულ ცივილიზაციასთან საკუთარი ტრადიციების, კულტურის, მეცნიერების შემოქმედებით დიალოგად ურთიერთგ-

ამდიდრების მიზნით და არა უსახო წამბაძველობად, რაც შეიძლება მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მონაპოვრების დაქვეითება-დაცემის მიზეზად იქცეს.

აპრილი, 2004 წ.

P.S. კონფერენციის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ კახა ლომაიას, რომლის ტექსტსაც გთავაზობთ:

საქართველოს განათლების მინისტრს
ბატონ ალექსანდრე ლომაიას

ბატონო ალექსანდრე!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2003 წლის მაისსა და 2004 წლის აპრილში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რომლებიც ეძღვნებოდა გლობალიზაციის პირობებში ეროვნული დისციპლინების ადგილს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში. აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ წლებში, იგრძნობოდა ყურადღება ახალგაზრდობის ეროვნული ცნობიერების ფორმირებისადმი, რასაც ეროვნული დისციპლინების (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია) სწავლებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლება და სახელმწიფოებრივი მზრუნველობა მოჰყვა, მაგრამ ბოლო წლებში ეს პროცესი შეჩერდა. ამან გამოიწვია სერიოზული ხარვეზები როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლეს სკოლაში. მოვლენები ისე ვითარდება, რომ სკოლის მიზნად იქცევა არა ეროვნული ცნობიერების მქონე, არამედ მისგან დაცლილი, ე.წ. მსოფლიო მოქალაქეების აღზრდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საშიშია ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერებისათვის, რომელთაც თუ სურთ იარსებონ ამ ქვეყანაზე, უნდა აითვისონ მსოფლიო მიღწევები

და ამასთან, შეინარჩუნონ ის, რითაც გამოირჩევიან სხვებისგან, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ბოლო ხანებში, გლობალიზაციის პროცესის გათვალისწინებით შემოთავაზებულ საშუალო და უმაღლესი სკოლების რეფორმათა პროექტებში, სასწავლო დისციპლინათა ინტეგრირების საბაბით, ეროვნული საგნები (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია) გაერთიანებულია საგნებში „ქართული ენა“, „ისტორია“, „გეოგრაფია“, რაც წინასწარ განსაზღვრავს ამ დისციპლინებში სასწავლო საათების შემცირებას და მათი აღმზრდელობით-შემეცნებითი ფუნქციის დაკნინებას. საქართველოს ისტორია არაა შეტანილი პრიორიტეტულ დისციპლინათა (ქართული ენა, უცხო ენები, მათემატიკა) ჩამონათვალში და იგი არ ჩანს ჰუმანიტარულ სპეციალობებზე მისაღები გამოცდების საგანთა შორისაც.

ამ დისციპლინებში ცოდნის შეფასების ფორმად ტესტირების მომეტებულად გამოყენება ხელს შეუწყობს ფაქტებისა და მოვლენების მექანიკურ დამახსოვრებას და არა გააზრებასა და განზოგადოებული ცოდნის შეძენას, ეროვნული ცნობიერების ფორმირებას.

ნაჩქარევი გვეჩვენება უმაღლეს სკოლებში მისაღები გამოცდების ახალი სქემა, რადგან საჭირო მუშაობა არ ჩატარებულა არც საზოგადოებრივი აზრის და არც საშუალო და უმაღლესი სკოლების საამისოდ მოსამზადებლად. ასევე გაუმართლებელია ბაკალავრიატის სამწლიან სწავლებაზე გადაყვანა, ცალკე საგნად სამოქალაქო განათლების შემოღება და სხვა ზოგიერთი სიახლე, რომლებიც უცხოეთიდან უცვლელად გადმოღებულს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენი ტრადიციებისა და საგანმანათლებლო გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმილს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია განათლების რეფორმის პროექტი ფართო განხილვის საგნად იქცეს და როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლებს, ისე ამ დარგის სპეციალისტებს მოეთხოვოთ წინადადებები და შენიშვნები პროექტის ბოლო ვარიანტში გასათვალისწინებლად.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენი სურვილები და წინადადებები ისე არ აღიქმება, თითქოს ჩვენ არ ვიზიარებდეთ გლობალიზაციის პროცესის შესაბამისი რეფორმების განხორციელების აუცილებლობას. პირიქით, მივესალმებით პოზიტიური ხასიათის გარდაქმნებსა და სიახლეებს ისე, რომ მათ არ ემსხვერპლოს ეროვნულ დისციპლინათა ინტერესები.

გვჯერა, განათლების რეფორმის პროექტის საბოლოო ვარიანტში, მხარდაჭერა ექნება სწავლებაში ეროვნული დისციპლინების პრიორიტეტულობას, რადგან გლობალიზაცია უნდა გავიაზროთ არა როგორც კულტურათა შერწყმა, არამედ როგორც კულტურათა დიალოგი, ურთიერთგამდიდრება მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

კონფერენციის მონაწილეთა სახელით:

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი მ. ფაღავა
საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. ბ. დიასამიძე.
ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, დოცენტი ე. მაკარაძე.
გეოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი შ. ფალავანდიშვილი

16.04.2004

იმედისა და რწმენის ერთი წელი

წაკითხულია „ვარდების რევოლუციის“ წლისთავისადმი მიძღვნილ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საზეიმო კრებაზე 2004 წლის 22 ნოემბერს.

მართლმადიდებელი სამყარო ზეიმით აღნიშნავს გიორგობის წმინდა დღესასწაულს. ჩვენთვის, ქართველებისათვის 23 ნოემბრის გიორგობა ორმაგად სადღესასწაულო გახდა, რადგან „ვარდების რევოლუციასთან“ ასოცირდება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმტკიცებისათვის, უძრაობიდან, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი სტაგნაციიდან გამოსვლისათვის თავდადებული გაბრძოლება და მშვიდობიანად, უსისხლოდ მისი განხორციელება.

შემთხვევითი არაა, რომ ამ დღეს ემთხვევა საქართველოში უდიდესი ტაძრის, მომავლისადმი ჩვენი ურყევი რწმენისა და საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს – თბილისის წმინდა სამების ტაძრის ოფიციალური კურთხევა, რომელშიც მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

სულ ერთი წელია გასული იმ მღელვარე დღეებიდან და ბუნებრივია, ძნელია მომხდარის ობიექტურად და სრულყოფილად შეფასება, რადგან ჯერაც არ დამცხრალა ემოციები, მაგრამ ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლის 23 ნოემბერი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დარჩება, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის დღე.

შეცდომებითა და უაზროდ დაღვრილი სისხლით, ქართული ტერიტორიების დაკარგვით და ახალგაზრდა ინტელექტუალთა უცხო-

ეთში გადინებით, სარჩოს მოპოვებისათვის მეზობელ ქვეყნებში ბედის ძებნით, დამცირებითა და ურთიერთდალატით განვლეთ თორმეტწლიანი შევარდნაძის მმართველობის პერიოდი. ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ ჯერ სამოქალაქო ომმა, შემდეგ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმა და აჭარაში ასლან აბაშიძის სეპარატისტულმა პოლიტიკამ არ მისცა მას მშვიდობიანი მშენებლობის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვის საშუალება. უკანონობა, ძალადობა, მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე, კორუფცია, ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობა და ამის პარალელურად ერთეულ, ხელისუფლებაში მოკალათებულთა გამდიდრება, გამილიონერება ეროვნული, სახელმწიფოებრივი, სახალხო სიმდიდრის მითვისების ხარჯზე, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხელისუფლებამ შეუტია ინფორმაციის იმ საშუალებებს, რომლებმაც ამხილეს და სააშკარაოზე გამოიტანეს მისი დანაშაულებრივი უმოქმედობა, წაყრუება და დამნაშავეების მიმართ ხელშეწყობა-ლობირება. ხელისუფლება არც იმათ სწყალობდა, ვინაც გაბედავდა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას. ვფიქრობ, ჯერაც არ დაგვიწყებია ტელეარხ „რუსთავი – 2-ის“მიმართ მაშინდელი ხელისუფლების გამომწვევი შეტევა და ამასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ ზურაბ ჟვანიას გადადგომა. ალბათ, ისიც გვახსოვს მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორი ბრალდებები წაუყენა მთავრობის კორუმპირებულ წევრებს დამამტკიცებელი საბუთებით. ეს ამბები იმიტომ გავიხსენე, რომ მინდა ვთქვა, ქვეყანაში შექმნილ მძიმე, მოუთმენელ და აუტანელ მდგომარეობას საღად აფასებდა მაშინდელი ხელისუფლების ერთი, შედარებით მცირე ნაწილი და ცდილობდა სამართლიანი გზით, საპარლამენტო არჩევნებით, შეეცვალა ვითარება. ასე მივიდა საქართველო 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებამდე. აშკარად გამოჩნდა, რომ შევარდნაძის პარტიის - „მოქალაქეთა კავშირის“ და

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის – ასლან აბაშიძის პარტიის - „აღორძინების კავშირის“ დაპირისპირება მოჩვენებითი იყო. ისინი ერთმანეთს უწყობდნენ ხელს არჩევნების გაყალბებაში, რომ როგორმე შეენარჩუნებინათ ძალაუფლება. ასე ხდებოდა წინა არჩევნებისას და მსგავსივე მეორდებოდა ახლაც. აშკარა გახდა, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

არჩევნები არნახული დარღვევებითა და გაყალბებებით ჩატარდა. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო, ან არ ისურვა საარჩევნო სიების დაზუსტებაც კი. ამომრჩეველი შეურაცხყოფილი და იმედგაცრუებული დარჩა. ეს განწყობილება, ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, რასაც აძლიერებდა ოპოზიციური ძალების - „ნაციონალური მოძრაობის“, „დემოკრატების“ და სხვათა კიდევ უფრო გააქტიურება. ისინი მოითხოვდნენ საარჩევნო ბიულეტინების ხელახლა გადათვლას, კორუმპირებული ხელისუფლების გადადგომას. ქვეყნის დედაქალაქში დაწყებული მოძრაობა რეგიონებსაც გადაედო. ასობით უკმაყოფილო მოქალაქე დედაქალაქისაკენ დაიძრა და მთავრობის სასახლესთან მდგომ „ნაციონალებს“ და მის მომხრეებს შეუერთდა. ხელისუფლებამაც თავის მომხრეებს მოუხმო. აჭარის ხელისუფლებამ იმის მომიზეზებით, რომ იგი კონსტიტუციური გზით არჩეული ხელისუფლების უსაფრთხოებას იცავდა, თავისი წარმომადგენლების – საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა გაგზავნა დაიწყო დედაქალაქში. ვითარება იძაბებოდა. მიხეილ სააკაშვილის, ნინო ბურჯანაძის და ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით წარმართულ მიტინგებზე ათიათასობით მოქალაქე იყრიდა თავს. 22-23 ნოემბრის საღამოს იმის საშიშროებაც შეიქმნა, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარეზე მდგომ მოქალაქეებს შორის პროვოკაციის საფუძველზე შეტაკება არ მომხდარიყო, მაგრამ ორივე მხარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გონიერებამ გაიმარჯვა, საქართველო გადაურჩა კიდევ ერთ სირცხვილს.

საყოველთაო დაუმორჩილებლობამ, და ოპოზიციური ძალების სიმტკიცემ, სწრაფმა და ენერგიულმა მოქმედებამ პრეზიდენტი შევარდნაძე და მისი ხელისუფლება აიძულა გადამდგარიყო. საქართველო საყოველთაო ზეიმმა მოიცვა. პარლამენტის დარბაზში ვარდებით ხელში შესული ოპოზიცია ზეიმობდა, „ვარდების რევოლუციამ“ გაიმარჯვა.

ერთი წელი გავიდა „ვარდების რევოლუციიდან,“ რომელზეც საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა: პენსიონერი და მოსამსახურე პენსიისა და ხელფასის დროულად მიღებას, დაუსაქმებლები – სამუშაო ადგილებს, უსამართლოდ დაჩაგრულები – სამართლის გაჩენას, კორუფციის აღმოფხვრას, ეკონომიკის აღორძინებას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სამხედრო ძალების გაძლიერებას, ევროსტრუქტურებთან დაახლოებას და მათში გაერთიანებას, მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას და სხვა. ყველას ეჩქარება საკუთარ თავზე, მის ოჯახში იგრძნოს რევოლუციის სიკეთე, ამიტომ ხშირად გვესმის ახალი ხელისუფლების მიმართ კრიტიკაც და უკმაყოფილებაც, მაგრამ სამართლიანობა ითხოვს ვთქვათ, რომ სულ ერთი წელია გასული და ზღაპრებში ხდება მხოლოდ, ჯადოსნური ჯოხის მოქნევით, რომ სიუხვე ჩნდება და ირგვლივ ყველაფერი იცვლება. ცხოვრებაში კი თანდათანობით, ცხოვრების კანონზომიერებათა გათვალისწინებით ხორციელდება. თუ ობიექტურები ვიქნებით, შევამჩნევთ, რომ ბევრი რამ შეიცვალა და კვლავაც იცვლება: სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა მთავარი ამოცანის – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად: ჯარი – ჯარს ემსგავსება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვიცით, რომ ძლიერებს პატივს სცემენ, ანგარიშს უწევენ. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აჭარაში მომხდარი ცვლილებებიც, ჩვენი მხარის ერთიან ქართულ სამართლებრივ და ეკონომიკურ სივრცეში დაბრუნება. იქნებ არ მოგვწონდეს ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი, მაგრამ ისინი გამოსწორებადია, მთავარი და არსებითი, საქვეყნო

საქმე გაკეთდა. სერიოზული ბრძოლა გამოეცხადა კორუფციას, პენსიონერს მიეცა პენსია და მომსახურეს ხელფასი, ჩნდება იმედები მათი გაზრდისა. ყურადღება ექცევა ტრანსპორტს, კეთდება გზები, მზადდება და ძალაში შედის ეკონომიკის აღორძინების ხელ-შემწყობი რეფორმები, სერიოზული გარდაქმნებია მოსალოდნელი განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროში, იქნებ უმნიშვნელოდ გვეჩვენება ის, რომ ამ გაჭირვების ჟამს, ახალმა ხელისუფლებამ მოსვლიდან სულ რამდენიმე თვეში უფასოდ დაუნაწილა სახელმძღვანელოები პირველკლასელებს, II–IX კლასების მოსწავლეებს დახმარების სახით მიეცათ 10-10 ლარი, ხოლო ასობით სტუდენტს პრეზიდენტის სტიპენდია, მაგრამ ეს ხომ ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვ-ლინებაა. მზადდება პირობები ქვეყნის ევროსტრუქტურებში ინტეგ-რაციისათვის. ახლა ჩვენი, საზოგადოების ვალია ხელი შევუწყოთ ყველაფერ ამას, მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერი გლობალიზაციის პირობებში უნდა გაუფრთ-ხილდეს ეროვნულ ღირებულებებს: ენას, ისტორიას, ტრადიციებს, რაც სხვა ერებისაგან განგვასხვავებს, რომ არ დავკარგოთ მეობა, არ გადავშენდეთ. ინტეგრაცია, გლობალიზაცია უნდა გააზრებულ იქნას არა როგორც განსხვავებულ კულტურათა შერწყმა, არამედ როგორც კულტურათა დიალოგი და ურთიერთგამდიდრება. სხვა-ნაირ მიდგომას უპირველესად ჩვენ უნდა აღვუდგეთ წინ, არ დავთ-მოთ!

ძვირფასო მეგობრებო, „ვარდების რევოლუციამ“ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, იგი უნიკალურ მოვლენად ჩაითვალა, რადგან განხორციელდა უსისხლოდ ისეთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში, როგორიც სამხრეთი კავკასიაა. განვლილმა ერთმა წელმა მტერიც და მოყვარეც დაარწმუნა ქართველი ხალხის პოლიტიკურ სიმ-წიფეში, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში მის ერთიანობასა და დასახული მიზნის განხორციელებისათვის თავგანწირვაში. გვჯე-რა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, მის პრეზიდენტს

კარგად აქვთ გააზრებული დიდი ილიას შეგონება, რომ „მარტო სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს... მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია.“ ამიტომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ ადამიანების გულებთან მისასვლელად, მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გასათვალისწინებლად, ეს კი იმედს გვაძლევს, ხალხის მხარდაჭერით, შეძლებენ ურთულესი პრობლემების გადაწყვეტას და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

2004 წ.

ამაღლება-დაცემის ათწლეულები

(„დიდი ღამის“ დასაწყისი)

შესავალი

XII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIII საუკუნის 30-იან წლებამდე –50 წლიანი პერიოდი, უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს საქართველო ერთი მხრივ, ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყნად ითვლებოდა და მორჩილებაში ჰყავდა მოსაზღვრე თუ შორეული მუსლიმანური სამეფო-სახანოები, ამარცხებდა მის წინააღმდეგ გაერთიანებულ მუსლიმანებს შამქორთან და ბასიანთან, სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის გამაგრების მიზნით შექმნა ტრაპიზონის იმპერია და მზად იყო დასავლეთი ევროპის კათოლიკური სამყაროს დასახმარებლად, მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ მეორე მხრივ, ამ ერთი შეხედვით ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს ხელისუფალს ოპოზიციური ძალები აიძულებენ, ჯერ მისი ერთგული მოხელეები გადააყენოს, ხოლო შემდეგ, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხები მხოლოდ მათი „ერთნებობა – თანადგომით“ გადაწყვიტოს. შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებული ქვეყანა, სულ რადაც 15-20 წლის შემდეგ, ვერ უმკლავდება მარბიელ ოცათასიან მონღოლთა ჯარს, სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევს ლტოლვილ ხვარაზმელ ჯალალედინს, შურისა და დალატის მსხვერპლად ტოვებს ბრძოლის ველზე ოთხათას ქართველს გარნისთან, ერთ გენერალურ ბრძოლასაც ვერ გაუმართავს ქვეყნის დასაპყრობად შემოსეულ მონღოლებს და როგორც მეფე და ჯარების მთავარსარდალი, ისე მენაპირე ერისთავებიც მხოლოდ საკუთარი თავის გადასარჩენად ზრუნავენ. ყველაფერმა ამან ქვეყანა დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხი საფუძვლიანადაა შესწავლილი, ვფიქრობ, დამაჯერებელი და დასაბუთებული ახსნა არაა მოცემული, თუ რამ განსაზღვრა XII - XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასეთი წინააღმდეგობრივი განვითარება. წარმოდგენილი ნაშრომი ამ პრობლემის გარკვევის მოკრძალებული მცდელობაა.

საქართველო – საერთო კავკასიური სახელმწიფო

XIII საუკუნის 20-იანი წლებისთვის საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო ამიერკავკასიის საზღვრებს სცილდებოდა (ბერძენიშვილი, 1965:54). იგი ამ დროის ევროპის კულტურული სამყაროს აღმოსავლეთის რეგიონში შედიოდა. მასთან ერთად ამ რეგიონში მოიაზრებოდნენ ბიზანტია, სომხეთი, ბალკანეთის სლავეთი და კიევის რუსეთი. მეორე – დასავლეთის რეგიონში იგულისხმებოდა დასავლეთი ევროპა – რომანული, გერმანული და კელტური ქვეყნები. ამ დაყოფას საფუძველი ანტიკურ ხანაშივე დაედო – ელინური და რომაული. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი მემკვიდრეა ელინური ცივილიზაციისა, დასავლეთ ევროპის რეგიონი კი რომაულისა (ინგოროყვა, 1978:11).

საქართველოს საზღვრების ასეთი გაფართოება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისას დაიწყო და XIII საუკუნის ათიან წლებში დასრულდა. ამ დროის საქართველოს საზღვრებში შედიოდა: 1) საკუთრივ საქართველო ოცი ქართული საერისთავოთი, რომლის ტერიტორია 150 152 კვადრატულ კილომეტრს და მოსახლეობა 5 550 000 კაცს შეადგენდა; 2) ჩრდილოეთი სომხეთი, რომლის შემოერთება 1124 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღებით დაიწყო. მასში შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს ოთხი სამხრეთი საერისთავო: ანისი, ბიჯნისი, დვინი, სივნიეთი; 3) ჩრდილო-

დასავლეთი ალვანეთი (ყაბალას თემი, ადმინისტრაციულად დაკავშირებული საქართველოსთან; 4) სამხრეთ ალვანეთი (ხაჩინის საერისთავო); 5) შირვანი (ორი პროვინციით – შირვანი და დარუბანდი), ავტონომიური შირვანის სამეფო, რომელიც 1120-1124 წლებში იქნა შემოერთებული.

მთლიანად ამ ოთხი პოლიტიკური ერთეულით იმ დროის საქართველოს მოსახლეობა 8 250 000 სულს შეადგენდა (ინგოროყვა, 1978: 17-18).

საქართველოს ამ გაერთიანებულმა კავკასიურმა სახელმწიფომ ხანგრძლივ დროს გაუძლო, ვიდრე თემურ ლენგის შემოსევამდე.

გარდა ამისა, XIII საუკუნის ათიანი წლების ბოლოს, საქართველოს პოლიტიკური მფარველობის (პროტექტორატის) ქვეშ შედიოდა: ტრაპიზონის სამეფო, რომელიც 1204-1261 წლებში არსებობდა; ღუნძეთი–თანამედროვე ავარია შიდა დაღესტნის ტერიტორიით; დურძუკეთი-ჩეჩნეთი; ოსეთი; ქაშაგეთი-ჩერქეზეთი, ზედა ჯიქეთი და კარნუ-ქალაქის საამირო. პროტექტორატში მყოფი ქვეყნები არ იხდიდნენ ხარკს, მაგრამ საჭირო შემთხვევაში გამოიყვანდნენ ჯარს, რომელიც საქართველოს ლაშქრის ნაწილად ითვლებოდა.

XIII საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, ეს პოლიტიკური ერთეულები საქართველოს მფარველობის ქვეშ გაძლიერდნენ და განმტკიცდნენ. იგი თავმოწონებით გვაუწყებს, რომ „რაოდენნი დაგლახაკებულნი სამეფოდვე თვისად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“ (ქცა_, 1959:147).

გარდა ამისა, ამავე პერიოდში საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნების მეორე ჯგუფს შეადგენდა ვასალური მუსლიმანური სამეფო–სამთავროები: არანის (განძის სასულტნო);

ნახჭევანის საამირო; შაჰ-არმენთა ხლათის სასულტნო; ეზინკის (ერზინჯანის საამირო).

ეს პოლიტიკური ერთეულები სცნობდნენ საქართველოს სიუზერენობას, რაც იმას ითვალისწინებდა, რომ ისინი არ დაამყარებდნენ პოლიტიკურ და სამხედრო კავშირს იმ ქვეყნებთან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ. სამაგიეროდ საქართველო მათ აძლევდა მუდმივი ზავის გარანტიას, თუ არ დაარღვევდნენ ვასალური ქვეყნის სტატუსის პირობებს.

ყველა ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველო სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით იმდენად ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდა, რომ 1215 წელს ერთი ჯვაროსნის მიერ საფრანგეთში მიწერილი წერილის მიხედვით, ევროპელ ჯვაროსნებს იგი მშველელად, იერუსალიმის მხსნელად და მუსლიმანთა დამმორჩილებლად მიაჩნდათ. წერილის ავტორი მხარის მთავარსა და მთავარეპისკოპოსს ამედე დე ტრემელს აიმედებს, რომ გეორგიანთა ახალგაზრდა მეფე (იგულისხმება გიორგი-ლაშა) ურიცხვი მხედრობით ჩავა წმინდის ქალაქის იერუსალიმის მიწის სახსნელად და წარმართთა დასამორჩილებლად (ინგოროყვა, 1978:79).

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მხოლოდ სურვილი იყო და მას რეალურად განხორციელება არ ეწერა, რადგან ჯერ ერთი, სულ მალე გარდაიცვალა გიორგი-ლაშა და მეორეც, საქართველო აღმოჩნდა ისეთ პირობებში, რომ საკუთარ პრობლემებს ვერ გაართვა თავი და XIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

ისმება კითხვა, რა მოხდა საქართველოს ცხოვრებაში ისეთი, რამაც შეცვალა მისი განვითარების მიმართულება. შემთხვევითი იყო ყველაფერი ეს, თუ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერი შედეგი.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მმართველობის ხანას უკავშირდება. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ქვეყნის მმართველობის, ეკონომიკის, სამხედრო საქმის, ეკლესიის, თუ სხვა სფეროებში, მოამზადა საჭირო საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებისა და მუსლიმანთაგან გასათავისუფლებლად. დავით IV საერო და საეკლესიო მმართველობის სფეროებში დასაყრდენად დაბალი და საშუალო ფენების წარმომადგენლები გაიხადა. ასევე იყო სამხედრო სფეროშიც. გარდა იმისა, რომ მკაცრი წესრიგი დაამყარა არმიაში, მეფემ დასაყრდენად უცხო ძალაც მოიწვია ყივჩაყების სახით და ამით დიდაზნაურთა სურვილებიც გაანელა და საგარეო პრობლემებიც მოაგვარა. მიუხედავად ამისა, XII საუკუნე მძლავრი შინაბრძოლების ხანა იყო მდაბიორ-მოლაშქრეთა კლასსა და დიდგვარიან აზნაურთა შორის. აკად. ნ. ბერძენიშვილის შეფასებით, XII საუკუნის მიწურულს დიდაზნაურები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მეფე თავისი „წურილი ერით,“წურილი აზნაურებით“, მოლაშქრე-მოსაკარგავეებით, რომელთა ნაწილს იგივე დიდი აზნაურები დაპატრონებოდნენ, ნაწილი კი მეკობრეებად ქცეულნი, გზაჯვარედინებზე სახრჩობელებზე ეკიდნენ. ქალაქებიც კი–ეს ერთადერთი რეალური ძალა, მეფის ხელისუფლების დასაყრდენი, სრულიად ანტიფეოდალური ტენდენციების მქონე, მეფისმიერვე არა მცირედ გაიცემოდა გამარჯვებულ დიდ აზნაურებზე სამამულოდ, საკუთრად, სანახევროდ, სახარჯოდ (ბერძენიშვილი, 1965:30).

ფეოდალური განვითარების ტენდენციები, მეფეთა მიერ გატარებული ღონისძიების მიუხედავად „წურილ ერს“ მუსრს ავლებდა, თავისუფალ ადამიანებს აყმევებდა, მეფეებს კი ერთგულ დასაყრდენს აცლიდა. ამის მკაფიო სურათია მოცემული თამარის გამეფების პირველ წლებში, როცა დიდაზნაურებმა მეფე აიძულეს გადაეყენებინა მდაბიური წარმოშობის ერთგული მოხელეები და მათ

ნაცვლად კვლავ დიდაზნაურთა წრიდან გამოსულები დაეწინაურებინა. სულ მალე მეფე იძულებული გახდა იმაზეც დათანხმებულიყო, რომ ქვეყანას მათი „ერთნებობა-თანადგომით“ მართავდა, რაც XII საუკუნის საქართველოსათვის დამახასიათებელი, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის იდეოლოგიას წარმოადგენდა (ბერძენიშვილი, 1971:160).

XII საუკუნის დასასრულისათვის მეფესა და დიდაზნაურებს შორის ურთიერთობა ისეთ სახეს იღებს, რომ აშკარად ჩანს მეფის შიში, დიდაზნაურები არ გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ; მეორე მხრივ, ეს უკანასკნელნი ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ მეფესთან დაახლოება, მისგან სარგებლის მიღება. ამ პროცესს მემატიანე ასე გადმოგვცემს: „და იყო ყოველგან მშვიდობა წარმატება, დღითი-დღე შემატება სამეფოთა ღმრთივდაცულისა მეფისა თამარისა, ხოლო სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთობასა. თვით თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფის წინაშე იყვნიან, განისუენებდიან და აღივსებოდიან საბოძურითა მეფისა მიერ მათისა“ (ქცა_, 1959:112). ბასილი ეზოსმოძღვარი მეფე- დიდებულთა შორის ასეთი ურთიერთობის საფუძვლებზეც მიგვანიშნებს: თამარი „არავის მისცემდა მოცალეობასა... რათა არამოცლილთა განსვენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა, ანუ ერთ-ურთისა მტერობად მოიცლიდეს და ვითარ ბრძოლად“(ქცა_, 1959:138).

განიხილავს რა ამ ურთიერთობათა არსს, ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის:„თუ მეფე დაინტერესებულია იმით, რათა დიდგვაროვანნი კარზე იყვნენ, რომ რაღაც განზრახვებს არ გამოეკიდნენ, დიდგვაროვანნიც არანაკლებ არიან დაინტერესებულნი, რომ მეფის კარზე იყვნენ, რათა მისივე მოძმე დიდგვაროვანმა არ მოასწროს და მეფის წყალობა უპირატესად არ ირგოს“(ბერძენიშვილი, 1974:235)

შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის დიდგვაროვანი აზნაურები მეფესთან ბრძოლაში გამარჯვებული

არიან და ე.წ. დროებითი ჰარმონია ამ ორ ძალას შორის, მხოლოდ გარიგებებითაა შენარჩუნებული.

დიდგვაროვან აზნაურთა გაძლიერება უპირატესად გაპირობებული იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში. წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ ამ პერიოდში სულ უფრო იკვეთება ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ ფენებად დიფერენციაციის პროცესი. მიწისმფლობელი თავისუფალი ადამიანების რიცხვი მცირდება და ბოლოს აზნაურის, ეკლესიის ან სამეფო ყმებად არიან ქცეული. აზნაურებიც თავის მხრივ გვაროვნულ და მსახურეულ აზნაურებად იყოფოდნენ. ხელისუფლება, მეფე ყოველნაირად ცდილობდა თავის დასაყრდენად უგვაროვნო, მისი ხელშეწყობით გამდიდრებული, მაგრამ ერთგული მსახურეული აზნაურობა გამოეყენებინა, ხოლო ლაშქარი თავისუფალი ადამიანებით შეევსო. ამას მიაღწია კიდეც დავით აღმაშენებელმა, მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესი სულ უფრო ცვლიდა ძალთა თანაფარდობას. გლეხობა კარგავდა მიწას. იგი უმეტესწილად გვაროვნული აზნაურობის, ან ეკლესიის ხელში ვარდებოდა, ხოლო მისი ძველი მესაკუთრე ან ყმად იქცეოდა, ანდა საერთოდ გლახაკ-მაწანწალად. ასე, რომ XIII საუკუნის საქართველოში უკვე უმიწაწყლო გლეხები ყოფილან, რომლებიც მხოლოდ მუშაობით ირჩენდნენ თავსა (ჯავახიშვილი, 1998:247). ამ პროცესმა არსებითად შეცვალა ფეოდალური ლაშქრისა და საერთოდ სამხედრო ძალის შინაარსი და ხასიათი. მოლაშქრის, მებრძოლის მატერიალური უზრუნველყოფა ლაშქრობათა სიხშირესა და მოპოვებული ალაფის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომაა, რომ ზოგჯერ მეფეებიც კი უძლურნი არიან შეაკავონ ჯარისკაცთა თუ სარდალთა მხრივ ლაშქრობის სურვილი. მემატიანე გვაუწყებს, რომ რაკი დიდხანს ომი არ იყო, დიდებულებმა და ჯარმა გიორგი III-ს მოახსენეს: „არ არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისაო“ და ამას მოჰყვა უაზრო რბევა მეზობელთა, რომელსაც მემატიანე ასე აფასებს: „იქმნა ესე ვითარი უცხო ლაშქრობა, რომელ

არა ოდეს ვის ეხილა-“ო. ასეთივე უმიზეზო, უაზრო ლაშქრობები ეწყებოდა თამარის დროსაც. მემატიანე გვაუწყებს, რომ „მხარგრძელი ზაქარია სპასალარი, მსახურეთუხუცესი იოანე და ვარამ გაგელი წარუდგნენ ხელმწიფეს და მოახსენეს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანი თქვენი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ აღვამხედროთ ერაყს, რომგურსა ზედა, რომელ არს ხვარასანი (ქცა_, 1959:103)... ან კიდევ: ლაშაგიორგის დაბადება გახდა საბაბი ლაშქრობისა, რომლის შესახებ მემატიანე გვამცნობს: „იქმნა ლაშქრება...ბედსა და სუესა ზედა ლაშასა“. როცა ლაშქრობის არავითარი საბაბი და მიზეზი არ მოინახებოდა, ლაშქრობებს ასეთ გამართლებას უძებნიდნენ: „რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცეს სიმხნე სპათა“ (ქცა_, 1959:103). მოყვანილი მაგალითები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან XII ს. დასასრულისა და XIII ს. დასაწყისის საქართველოს სამხედრო დიდკაცობასა და მეომრებში შექმნილ მორალურ-ზნეობრივ ატმოსფეროზე.

XIII საუკუნის ათიანი წლებისათვის, როგორც ჩანს, ეკონომიკური თვალსაზრისითაც ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მართალია, მემატიანეები აღმატებულად წარმოაჩენენ თამარის დროის საქართველოს სიმდიდრეს: „ვერცხლისა ჭურჭელთა არღარა აქუნდა პატივი პალატასა შინა მეფისასა, რამეთუ ყოველი ოქროსა და ბროლისა წინაგებულ იყო ინდოურთა ქვათაგან შემკობილი,“ მაგრამ იგივე მემატიანე გვაუწყებს გლახაკთა, მაწანწალათა და მათხოვართა სიმრავლეზე, რომელთა მიმართ უმკაცრეს ზომებს იყენებდნენ. ეჭვი არ არის, რომ თამარის მეფობისას, ხშირი წარმატებული ომებით დიდი შემოსავალი ჰქონდა ქვეყანას ალაფისა და ხარკის სახით. მარტო შამქორის ბრძოლის შემდეგ, მემატიანის თქმით, „მოიღეს ნიჭი არმაღანი და განძი აურაცხელი, კაცი – ხელმწიფე, აზნაურთა მონამდის – თორმეტი ათასი, ავაზა – ორმოცი, ცხენი- ოცი ათასი, ჯორი – შვიდი ათასი, აქლემი – თხუთმეტი ათასი, ყოველი კიდებული სიმრავლეთა სიმდიდრეთა და საჭურჭლეთა,

ოქროთა და ლართა," (ქცა_, 1959:73-74), მაგრამ ყველაფერ ამის საფუძველი საკუთრივ ქვეყანაში შექმნილი დოვლათი როდი იყო. მისი სიმრავლე წარმატებულ ომებსა და მოხარკე ქვეყნებიდან ამოღებულ სიმდიდრეზე იყო დამოკიდებული. ამასთან, ასეთი გზით მოპოვებული სიმდიდრე მოსახლეობასაც შრომის, ოფლის ღვრით დოვლათის შექმნის სურვილს აკარგვინებდა და აუსაქმურებდა. ამან ყველაფერმა კი თამარის სიკვდილის შემდეგ აშარად აჩვენა თავისი შედეგი. მალე დაწყებულა ეკონომიკური კრიზისი. ეს კარგად ჩანს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სომხეთის ძველ დედაქალაქ ანისში განვითარებული მოვლენებით. იქ ვითარების დაძაბვის მაჩვენებელია 1218 წლის ეტიფანე კათალიკოზის განჩინება.

აქაურ სამღვდელოებას, ცხოვრების გაძვირებისა და სიდუხჭირის გამო, საეკლესიო წესების (ჯვრის წერა, მიცვალებულის წესის აგება და სხვა) შესრულებისათვის დაწესებული გადასახადი გაუდიდებია. ხუცესი თითოეული წესის შესრულების საფასურად 100 ტფილურ დრამას, კარგ პურისჭამას, ქელეხს, ძროხის მთლიან ტყავს ითხოვდა (ჯავახიშვილი, 1982:7). ამას მოსახლეობა აღუშფოთებია, მაგრამ სამღვდელოებასაც უარი უთქვამს მისართმეველზე და ეკლესიაში სიარულზე თავი მიუნებებია. მდგომარეობა იმდენად დაძაბულა, რომ ეკლესიის ახალი შენობის კურთხევის საბაბით, ანისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჩასულა და საგანგებო საეკლესიო კრება ჩაუტარებია. პატრიარქის განჩინება ერთ-ერთი ქართული ეკლესიის კედელზე ამოუკვეთიათ (ჯაფარიძე, 2003:166).

განჩინებაში დაგმობილია სამღვდელოების მოქმედება და მოცემულია რჩევა მრევლისადმი:„მხიარულებით მისაცემელი უყვარს უფალსა, "ან „ლოცვასა ნურც თქვენ დააკლდებით"(ჯაფარიძე, 2003:167). კათალიკოსსა და საეკლესიო კრებას დაუდგენია მისაცემელის ოდენობის სამჯერ შემცირება (ქართული სამ. ძეგ., 1970:154).

საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცის მოშლის მაჩვენებელია სახელმწიფოს ტრადიციული მმართველობის სისტემის რღვევაც. XII საუკუნის 80-იან წლებში დასრულებული სახე მიიღო

მმართველობის სისტემამ. მეფესთან არსებობდა სათათბირო ორგანო დარბაზი და სავაზირო. ამ უკანასკნელში ჯერ ოთხი ვაზირი შედიოდა: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. თამარის სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა ზაქარია მხარგრძელი-ამირსპასალარი გარდაიცვალა და მეფემ მის ძმას ივანეს შესთავაზა ეს სახელო, ამ უკანასკნელმა იცოტავა ეს პატივი და მეფეს სთხოვა: „ახალსა და უაღრესსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო. “თამარმაც ახალი პატივი ათაბაგობა დაარსა და იგი ივანე მხარგრძელს უბოძა (საქ. ისტ. ნარკ., 1979:358).

რუსუდანის მეფობაში კიდევ ერთი ვაზირი დაემატა– მსახურთუხუცესის სახით. განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო ათაბაგის სახელოს შემოღება და ამირსპასალარ ივანე მხარგრძელზე ბოძება, რითაც პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გავლენისა და პირველობის შესუსტებისაკენ, ვაზირთაგან შეუზღუდველი უფლებების მოპოვებისაკენ. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIII საუკუნეში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი (ბერძენიშვილი,1965:60) მწიგნობართუხუცესები იღვწოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის. ფაქტია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს ზეობის დროს საქართველო გაერთიანდა, გაიზარდა და კავკასიის მასშტაბით ზესახელმწიფოდ იქცა... ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დამარცხდა და დაიშალა (ჯაფარიძე, 1999: 2). ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მენაპირეთა ინსტიტუტის მხარიდანაც. მენაპირე საერისთავოები საქართველოს სახელმწიფოს სამხრეთ საზღვრებში დაარსდა, რადგან აქედან მუდმივი საშიშროება ელოდა ქვეყანას. მენაპირეთა მთავარი ფუნქცია სამხედრო-საომარი მზადყოფნა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე მეთვალყურეობა იყო. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, მენაპირე ერისთავის მოქმედება მთლიანად მეფეზე იყო

დამოკიდებული (ქცა_, 1959:130), მაგრამ რუსუდანის მმართველობის ხანაში მენაპირეები სულ უფრო დამოუკიდებლობას იჩემებენ, რითაც ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების რღვევას აძლიერებენ.

თუ ყველა ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს სახელმწიფო, მიუხედავად მისი გარეგნული ბრწყინვალებისა, მძაფრ შინაგან ტკივილებს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ კრიზისს განიცდიდა. დავით IV და გიორგი III მიერ გატარებულმა რეფორმებმა თავისი დრო მოჭამა, ქვეყანა განვითარების ახალ საფეხურზე იყო ასული და შესაბამის სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს, ცხოვრების ყველა სფეროში ცვლილებებს ითხოვდა, რასაც ჩვენი აზრით, გრძნობდა თამარის მემკვიდრე გიორგი-ლაშა და პირველ ნაბიჯებს დგამდა კიდეც ქვეყნის გადასარჩენად (იხ."რენესანსული აზროვნების ხელისუფალი, გვ... 146-164).

„დიდი ღამის“ დასაწყისი

ლაშა-გიორგის ნაადრევი სიკვდილით და რუსუდანის გამეფებით, ქვეყნის მართვის სადავეები კვლავ იმ მოხელეთა ხელში აღმოჩნდა, რომლებიც ადრე მის ძმას განუდგნენ, „არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თვის-თვისად იყოფოდეს“ (ქცა_, 1959:157). საქართველოს მესაჭეობა კვლავ ქალს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, არა თამარისებრ ბრძენსა და ძლიერი ნებისყოფის პატრონს და დედის თანამოსაყდრეობით გამობრძმედილს, არამედ სახელმწიფო საქმეებში სრულებით გამოუცდელსა და პასუხსაგები მოვალეობისათვის შეუფერებელს, განებივრებულ არსებას (ჯავახიშვილი,1982:8-9). არადა, ქვეყანას დიდი განსაცდელი უახლოვდებოდა, მას შემდეგ, რაც მონღოლთა მარბიელმა ოციათასკაციანმა ლაშქარმა პირველი მარცხი აგემა ქართველებს და დატოვა მათი მიწა-წყალი, ეტყობა

ქართველებმა ეს თავიანთ გამარჯვებად ჩათვალეს და კვლავ ძველებურ უზრუნველ ცხოვრებას აგრძელებდნენ. ქვეყნის ირგვლივ კი სიტუაცია აშკარად იცვლებოდა. მონღოლთა მიერ დამარცხებული ხორეზმის შაჰი მუჰამედი ერანზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე პრეტენზიას აცხადებდა. მისმა ლტოლვილმა შვილმა ჯალალედინმა კი სამხრეთ ერანში გამაგრების შემდეგ, აშკარად განაცხადა, რომ მუსლიმანთა შემავიწროვებელი ქართველების დამარცხების გარდა სხვა მიზანი არა აქვს და როცა ამას მიაღწევს, ერანს გააერთიანებს და სხვა მეზობლებთან მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს. ამით მან შეძლო საქართველოს ყმადნაფიც მუსლიმან მმართველთა ერთი ნაწილის გადაბირება. ამის შემდეგ ჯალალედინმა საქართველოს მთავრობას მუქარის წერილი მოწერა და ნებაყოფილებით დამორჩილება მოთხოვა.

პასუხად ასეთი შინაარსის წერილი მიწერა საქართველოს სამეფო კარმა ჯალალედინს: „მამაშენი შენზე ძლიერიც იყო და გულადიც, შენზე მეტი ლაშქრის პატრონიც იყო, მაგრამ რაც თათრებმა მამაშენს უყვეს, შენც ხომ იციო და თქვენი სამეფოებიც დაიპყრესო. ის თათრები ჩვენკენ გამოემართნენ, ჩვენ იმათი არ შეგვშინებია და იმათი ლაშქრობა იმით დაბოლავდა, რომ ჩვენგან გაიქცნენო“ (ჯავახიშვილი, 1966:48).

საქართველოს მთავრობის საპასუხო წერილში აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფალთ ჯერ კიდევ არა აქვთ კარგად შეფასებული არც საკუთარი და არც მოახლოებული მტრის ძალები. რუსუდანმა საქართველოს ჯარის სარდლობა დაავალა ივანე ათაბაგს, „რომელი მას ჟამსა მიმხცოვნებულ იყო, არა განცხადებულად არამედ ფარულად მონაზონქმნილ იყო“ (ქცა_, 1959:169). მოწინააღმდეგეთა ძალები სოფელ გარნისთან განლაგდნენ. მაღლობი ქართველებს ეჭირათ, დაბლობში ხვარაზმელები დაბანაკდნენ. „ივანე ათაბაგმან განაწყო სპანი მეფისანი, იმერნი და ამერნი და აჩინა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მბრძოლნი“ (ქცა_, 1959:169). რადგან

ქართველები არ ჩქარობდნენ ბრძოლის დაწყებას, ხვარაზმელები დაიძრნენ. მათ ოთხათასიანი ლაშქრით ავანგარდში მყოფი თორელები და ახალციხელები დაუხვდნენ. ძალები არათანაბარი იყო, ორჯერ თუ სამჯერ თხოვეს მეწინავეებმა დამხმარე ძალა ივანე ათაბაგს, რომელსაც ორმოცდათექვსმეტი ათასი მებრძოლი ჰყავდა, მაგრამ უშედეგოდ. გმირულად შეაწყდა ოთხი ათასი ქართველი მტერს. დაიღუპა ივანე ახალციხელი, ტყვედ ჩავარდა მისი ძმა შალვა. დღემდე აუხსნელი რჩება, რა მოხდა გარნისთან. რატომ გაწირა შორიდან მომზირალმა ქართველთა არმიამ მეწინავე ოთხათასიანი რაზმი. ჟამთააღმწერელი აშკარად მიუთითებს მიზეზზე: „იტყვიან, ვითარმედ შურითა იყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. ჰოი, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყუედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყლველი“ (ქცა_,1959:170). მემატიანე კიდევ უფრო აზუსტებს: „არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა“ (ქცა_, 1959:170). ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ჟამთაღმწერლისეული ახსნა არ უნდა იყოს სწორი, რადგან იგი თავის შეხედულებას კი არ გადმოგვცემს, არამედ მიუთითებს, რომ ხალხურ გადაცემას ეყრდნობა (იტყვან, ვითარმედ...), ამასთან მას მიაჩნია, რომ ივანე ათაბაგი ამას შეგნებულად არ გააკეთებდა იმიტომაც, რომ „ივანე ათაბაგი ბავშვი ხომ არ იყო, რომ არა სცოდნოდა წინამბრძოლთა მიუშველებლობით წაგებული ომი, ვის უფრო გაუფუჭებდა სახელს, მას მთავარსარდალს, თუ მის ხელქვეითს სარდალს შალვა ახალციხელს... შესაძლებელია ივანე ათაბაგი ამ ბრძოლაში შეცდა და წინამბრძოლთ საქართველოს ჯარის დანარჩენი ნაწილი დროზე ვერ მიაშველა“ (ჯავახიშვილი, 1966:52)... გასაგები და დამაჯერებელი იქნებოდა დიდი მეცნიერის ასეთი ახსნა, რომ მსგავსი სხვა შემთხვევები არ გვქონდეს. შამქორის ბრძოლაშიც ზაქარია და ივანე მხარგრძელების „როლი დიდად არ გასცდენია მოთვალთვალის როლს. ორივემ მეტისმეტად „დაიპყრნა ფერხნი“ (შაიშმელაშვილი,1981:39), როცა ქართველთა

„წინამსრბოლის რიგები... იმდენად შეთხელებულა, რომ კინაღამ უკუქცეულა, ბრძოლაში მაშინ ჩაბმულან, როცა მეფე დავით სოსლანი გამოჩენილა. ამიტომ ამბობს ბასილი ეზოსმოძღვარი „აქა ვერ კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე და ესოდენ იქმნა დაკლება ამასა გამარჯვებასა შინა“ (ქცა_,1959:127). ვინ უწყის, ვისი სახელის საზიანოდ იკავებდნენ თავს ზაქარია და ივანე, როცა მეფე დავით სოსლანის გამოჩენამდე შამქორის ციტადელზე მისული „წინამსრბოლი“ ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე სისხლად იცლებოდა (შაიშმელაშვილი,1981:39). ასე, რომ ივანე მხარგრძელისათვის, როგორც ჩანს, შური უფრო ძლიერი და განმსაზღვრელი იყო, ვიდრე მოვალეობა, რადგან ჯალალედინის კარის ისტორიკოსის თქმით, რაც სანდო ცნობა უნდა იყოს, ბრძოლის ველი დაახლოებით 4000 მოკლული მტრის გვამით იყო მოფენილი (ჯავახიშვილი, 1966:53). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველთა ლაშქრის ძირითადი ნაწილი ბრძოლაში საერთოდ აღარ ჩაბმულა. არც ეს უნდა გაგვიკვირდეს, თუ შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ. საქართველოს ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაეწია ხელმძღვანელობა, მეფე - დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში გაიხიზნა, ხოლო ჯარების მთავარსარდალი ივანე ათაბაგი– ანისში ჩაიკეტა.

ძალთა დაქსაქსულობა, ერთიანი ხელმძღვანელობის უყოლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო 1235 წლიდან, როცა მონღოლები მოადგნენ საქართველოს. მენაპირე ერისთავებს დაავიწყდათ თავიანთი მოვალეობა და მტერზე დახვედრის ნაცვლად, მოსახლეობა უწინამძღოლოდ დატოვეს. ასე მოიქცა ვარამ გაგელი და შანშე მანდატურთუხუცესი. მეფემ თბილისის დაცვა ციხისთავს ანდო და თვითონ ისევ ქუთაისს გაიხიზნა. ავაგ მხარგრძელი, ივანე ათაბაგის შვილი, რომელიც ახლა საქართველოს ჯარის მთავარსარდალი იყო, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების ნაცვლად, კაენის ციხეში ჩაიკეტა. შემდეგ კი ყველა ესენი მონღოლებს ეახლენ პატიების და საგამგეო მიწების შენარჩუნების თხოვნით. ასე, რომ

ქვეყანა სრულმა დაქსაქსულობამ მოიცვა, მტერს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა, ეს კი იმით დამთავრდა, რომ 1242 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მონღოლებისადმი მორჩილება აღიარა და შესაბამისი ზავიც გააფორმა.

დ ა ს კ ვ ნ ა

საკვლევი პერიოდი – თამარის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ზეობის წლები, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია, რადგან ერთი მხრივ, ჩვენმა ქვეყანამ-ფეოდალურმა საქართველომ ამ დროს მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს – განვითარებული ფეოდალიზმის ხანას, რომლის წიაღში ისახებიან და ვითარდებიან ის ძალები (ვაჭარ-ხელოსნები, ბიურგერობა, ქალაქები, ყმა გლეხები...), რომლებიც ამზადებენ საფუძველს განვითარების ახალ, ბურჟუაზიულ საფუძველზე გადასასვლელად და მეორე მხრივ, საგარეო პირობების გართულებისა და ქვეყნის შიგნით განვითარებული მოვლენების (მსხვილ ფეოდალთა გამარჯვება, სუსტი სამეფო ხელისუფლება, ეკონომიკური და ზნეობრივი სტაგნაცია...) გამო ქვეყნის ბუნებრივი განვითარება ჩიხში მოექცა (ნ. ბერძენიშვილი), რაც არ შეიძლება პროვიდენციულად აიხსნას, როგორც ამას აბუსერისძე ტბელი და XIV საუკუნის მემატიანე – ჟამთაღმწერელი აკეთებენ (აბუსერისძე ტბელი,1998:65-66; ქცა_, 1959: 183).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო XII–XIII საუკუნეთა მიჯნაზე სოციალურ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი განვითარების იმ საფეხურს აღწევს, რასაც ევროპის განვითარებული ქვეყნები– XIV-XVI საუკუნეებში, როცა ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ჩასახული მესამე წოდება სხვა ძალებთან ერთად, იწყებს ბრძოლას საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების შესაცვლელად, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების გზაზე

გასაყვანად, მაგრამ ჯერ ლაშა-გიორგის ნაადრევმა, საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებამ და შემდეგ საერთაშორისო ვითარების შეცვლამ (ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევები) არსებითად შეცვლა ქვეყნის აღმავლობის ბუნებრივი გზა და რამდენიმე საუკუნით შეაყოვნა მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

2005 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998.
2. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება,II, თბ.,1959.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები,IV, თბ., 1971.
5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974.
6. ბ. დიასამიძე, რენესანსული აზროვნების ხელისუფალი. კრ. „საისტორიო მაცნე“, XI, ბათ., 2002.
7. პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, თბ., 1978
8. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ.,1959.
9. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
10. ჟამთაღმწერელი, ქცა_ , II, თბ.,1959.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ.,1979.
12. ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ.,1970.
13. ქართლის ცხოვრება, II, თბ.,1959.
14. ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი. თბ., 1981.

15. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. III, თბ.,1982.
16. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ.XII, თბ.,1998.
17. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ.,1966.
18. ან. ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, წგ. II, თბ., 2003.
19. ან. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, III, თბ.,1999.

ისევ ეგრისელთა ენის შესახებ

ქართველმა ხალხმა მშობლიურ ენას ძეგლი დაუდგა და მისი დღეც დააწესა (14 აპრილი). ეს საკუთარი ენისადმი არა მარტო განსაკუთრებული პატივისცემის გამოხატულებაა, არამედ იმის შეგნებაც, რომ საჭირო და აუცილებელია ამ უძველესი და უმდიდრესი ენის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მისი ფუნქციისა და როლის ღირსეულად წარმოჩენა და, ბოლოს, მისი უფლებებისა და სიწმინდის დაცვა.

ოდითგან, ჩვენი წინაპრები, ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ტრადიცია, ენას ჩვენი ერისა და სახელმწიფოებრიობის ბალავრად, ქართველი ხალხის ერთიანობის საფუძვლად თვლიდნენ. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამი: ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახვებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“, მკვლევართა აზრით, ფარნავაზისდროინდელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობას უნდა ასახავდეს და ენის იმ დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდეს, რასაც ჩვენი წინაპრები ქვეყნის ერთიანობაში ენას აკუთვნებდნენ.

ამ პატარა შესავლის შემდეგ, მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გაზიარებულ, ჩვენი აზრით არამართებულ დებულებაზე, რომლის მიხედვით „სანამ დასავლეთი საქართველო ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური, ეკლესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა“, რაც ახსნილია იმით, რომ ამ საუკუნეებში (IV-VIII) დასავლეთი საქართველო იმყოფებოდა ბიზანტიის დამოკიდებულების ქვეშ და ამ ტერიტორიაზე არაა აღმოჩენილი ქართული წერილობითი ძეგლები.

წარმოდგენილი დებულების უსაფუძვლობაზე არაერთი ნაშრომი დაიწერა, მაგრამ დღემდე სამეცნიერო და სახელმძღვანელო ისტორიულ ლიტერატურაში კვლავ ეს შეხედულებაა მიღებული.

ეს დებულება რომ ერთ რიგით, უმნიშვნელო საკითხს ეხებოდეს, იქნებ არც ღირდეს მასზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ აქ ლაპარაკია ენაზე, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სულიერ საყრდენს, მისი ცხოვრების შინაარს წარმოადგენს. თუ წარმოდგენილ დებულებას კვლავაც გავიზიარებთ, მაშინ ამ საუკუნეებში (IV-VIII) ეგრისი ამოვარდნილი ჩანს საერთო ქართული ეთნიკურ-კულტურული სივრციდან, რადგან ქართული ენა და ქართული ეროვნული ცნობიერებაა ის მთავარი საზრდო, რომელიც კრავს და ადუღაბებს ერისა და ქვეყნის ერთიანობას (რ. გორდეზიანი).

არადა, ეგრისელები, მთელი ამ საუკუნეების (IV-VIII) მანძილზე, ინარჩუნებდნენ ენას, ეროვნულ ცნობიერებასა და თავმოყვარეობას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, რამაც ისინი აქცია ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის ინიციატორებად და განმხორციელებლებად ტაო-კლარჯეთის ქართულ სამეფოსთან ერთად.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ უნდა გადაისინჯოს სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გაზიარებული ზემოთ ხსენებული დებულება და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ ბიზანტიელთა პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად, ადრეშუასაუკუნეების ეგრისში სახელმწიფო-საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენა იყო ქართული. შევეცდებით ქვემოთ დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება და მოთხოვნის სამართლიანობა.

ივ. ჯავახიშვილმა წარმართული კულტებისა და ქართველურ ტომთა წარმართული რწმენა-წარმოდგენების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ „ოდესღაც ქართველ ტომებს, სათავისთავო, სათემო ღვთაებათა გარდა, ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა... სვანები ახლაც წარმ-

ართული ღვთაების კვირიას საპატივცემულო ფერხულის „ადერ-კილა საქმისაის“ შესრულებისას სიტყვებს ქართულად ამბობენ. ასევე, ცნობილი მკვლევარი ს. მაკალათია მეგრელთა წარმართული ხანის დღესასწაულების შესწავლის საფუძველზე მიუთითებდა, რომ „ახალი წლის დღესასწაულის ჩვეულების თანახმად, მეგრელი მეკვლეც თავის წარმოსათქმელ სიტყვებს მეგრულად კი არა, ქართულად ამბობს ხოლმე.“ აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარ-მართობა არსებობდა, არამედ ამ წარმართობას საერთო ტერ-მინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია.“

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ანტიკური ხანის მწერლები საქართველოს ერთი ტერმინით– „კოლხეთით“მოიხსენიებენ და ქართველთა სახელმწიფო ერთ ერთეულად წამოუდგენიათ.

ყველა ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ უძველეს ქართველ ტომებს ოდითგანვე აკავშირებდა ერთი საერთო ენა, მას ინარ-ჩუნებდნენ საუკუნეების განმავლობაში და საერთო წინარე ქარ-თული ენის დიფერენციაციის შემდეგაც არ ივიწყებდნენ საერთო კოინე ენას, რომლის დაყოფა ქართის,სვანურ და ზანურ ენებად, ენათმეცნიერთა აზრით, (ქურდიანი, ფუტკარაძე), დაიწყო ძვ. წ-ის II საუკუნეში და მიმდინარეობდა ახ.წ-ის პირველი ათასწლეულის მანძილზე, თუმცა ყველა ქართული სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა მაინც სალიტერატურო ქართული იყო (არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, წინარე ქართულის დაყოფა იგულისხმება II-I ათასწლეულებში).

ამიტომ, IV საუკუნისათვის, ქრისტიანობის სახელმწიფო რელი-გიად გამოცხადების ხანისათვის, ეგრისი (დასავლეთ საქართველო) შეიძლება განვიხილოთ ქართული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, რომლის მოსახლეობას, ერთიანი კოინე ენის დიფერენციაციის მიუ-ხედავად, კარგად ესმის ქართული ენა და ცხოვრობს იმავე რწმენა-წარმოდგენებით, რითაც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

IVსაუკუნის ეგრისში მოქმედებდა ფაზისის რიტორიკული სკოლა, რომელშიც საბერძნეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც სწავლობდნენ ადგილობრივებთან ერთად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ამ „უმაღლეს სკოლაში, პირველ რიგში ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, როგორც განათლების ენა, მის გვერდით ბერძნულ ენას საპატიო ადგილი ექნებოდა დათმობილი (ყაუხჩიშვილი, 1964: 117). მისივე აზრით, ეს სკოლა VI საუკუნეშიც მოქმედებდა. იქ სწავლობდნენ, უთუოდ, „ის ლაზი დიდებულები, რომლებიც VI საუკუნის შუა წლებში, ჯერ საიდუმლო კრებაზე და შემდეგ სასამართლოში წარმოთქვამდნენ ბრწყინვალე სიტყვებს...არ არის დასაეჭვებელი, რომ მურმანიოსის (პეტრე იბერის-ბ.დ.) აღსაზრდელად დასავლეთ საქართველოდან გამოწვეული მითრიდატე (იოანე ლაზი- ბ.დ.) ამ სკოლასთან დაკავშირებული იქნებოდა. ის ან კოლხიდის სკოლის პროფესორი იყო, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ სკოლაში მიიღებდა განათლებას“ (ქცა).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პეტრე იბერის ბიოგრაფის ზაქარიას ცნობები, რომელიც მძევლად წაყვანილ თორმეტი წლის მურვანოსს თან გაჰყოლია იმპერატორ თეოდოსის კარზე. მისი თქმით, პატარა მურვანოსი საქართველოში სამი წლის ასაკიდან „მისცეს სამწიგნობრედ და დაისწავა მან ყოველივე სწავლა და გულისხმისყოფით აღმოიკითხვნ წმიდათა წერილითა და იწურთინ მარად დღე და ღამე“. მურვანოსი თორმეტი წლის ასაკში გაემგზავრა კონსტანტინოპოლს და იქ „დაისწავა ენაი ბერძნული და სწავლაი ასურებრივი.“ მაშინ, სამი წლის ასაკიდან თორმეტ წლამდე რომელ ენაზე სწავლობდა იგი? იგულისხმება, რომ პატარა მურვანოსი ცხრა წლის განმავლობაში იწვრთნებოდა „მარად დღე და ღამე“ ქართულ ენაზე (ან. ჯაფარიძე).

მურვანოსის მშობლებს შვილის აღმზრდელად მოუწვევიათ „ნეტარი იოანე საჭურისი...წარმოშობით ლაზიკის ქვეყნიდან“ (რუფუსი). ფაზისის სკოლიდან გამოსული მითრიდატე, არაა საეჭვო, რომ მურვანოსს ქართულად წვრთნიდა და ასწავლიდა წმინდა

წერილს, რაც იმდროის დასავლეთ საქართველოში ქართული მწიგნობრობის, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების არსებობას ადასტურებს. ამასვე ამტკიცებს იერუსალიმის უდაბნოში, ბეთლემში აღმოჩენილ ტაძარში მოპოვებული ქართული წარწერებიც, რადგან VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი მას ლაზთა მონას- ტრად მოიხსენიებს (გეორგიკა). ის მონასტერი რამენაირად მართლა ლაზების სახელთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული,- წერდა ს. ყაუხჩიშვილი,- პროკოპი არ უწოდებდა მას „ლაზთა მონასტერს“ (ქცა), და თუ ეს მონასტერი ლაზთა იყო, იგულისხმება, რომ მისი მესაკუთრე ხალხი იმ დამწერლობითა და ენით სარგებლობდა, რომ `ლითაც ეს წარწერებია შესრულებული. ასე, რომ „საქართველოს ის ტორიის ნარკვევების“ მეორე ტომიდან მოტანილი დებულების არგუმენტი იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორი აზე არაა აღმოჩენილი ქართული წერილობითი ძეგლები, უსაფუძვ ლოა. ამას ამ ბოლო ხანების გამოკვლევებიც ასაბუთებენ: კერძოდ, წებელდაში წმინდა გიორგის ხატზე და ანუხვის მღვიმეში აღმოჩე ნილი ქართული წარწერები. პირველი IV საუკუნის პირველი ნახევ რით თარიღდება, მეორე კი IV-VIII საუკუნეებით (ნარსიძე,).

წებელდის ბარელიეფზე აღმოჩენილი წარწერების შესახებ, მკვ ლევარი გ.ნარსიძე აღნიშნავს, რომ „წინამორბედ მკვლევარებს, რომ ლებმაც შეისწავლეს წებელდის ბარელიეფები, არ შეუმჩნევიათ ამ კომპოზიციაში ირანის შაჰი და ის წარწერები, რომლებიც თითქმის ყველა ხატზეა ამოკვეთილი. „წარწერების დაზიანება სხვადასხვა ხარისხისაა და უმეტესი მათგანის წაკითხვა, კვლევის თანამედროვე საშუალებების გარეშე, ძალზე ძნელია.“შემდეგ იგი აგრძელებს: „შედარებით კარგად შემონახული ცალკეული ასოების მიხედვით ირკვევა, რომ წარწერები შესრულებული იყო ოთხ ენაზე: ქართულად (ასომთავრული), ბერძნულად, არამეულად და ფალაურად“ (ნარსიძე).

სულ ახლახან გამოქვეყნდა საგაზეთო ინფორმაცია, ზუგდიდში, ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე ასომთავრული წარწერების აღმოჩენის შესახებ. წარწერაზე ასომთავრული ასოებით იკითხება: „წმინდაო გიორგი ეწერისაო“ და „წმინდაო გიორგი, შემიწყალე ბერთელისი.“წინასწარი ვარაუდით, წარწერები ჩვენი წელთაღრიცხვის IV–VI საუკუნეებით თარიღდება“ (ოდიშელი).

ასე, რომ IV–VIII საუკუნეების ეგრისში ქართული დამწერლობის გამოყენების დამადასტურებელი წერილობითი ძეგლები აღმოჩენილია საკუთრივ ეგრისშიც და მისგან შორს, მის კუთვნილ „ლაზთა მონასტერშიც.“

ეგრისში ადგილობრივი, ქართული დამწერლობის არსებობაზე არაპირდაპირ მიუთითებენ უცხოური წერილობითი წყაროებიც. II–III საუკუნის ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ხარაქს პერგამონელის მიხედვით „ოქროს საწმისი“ ნამდვილად არის ტყავზე ნაწერი ხერხი ოქროს მოპოვებისა, რომლის გამოც, ამბობენ, „არგოს ლაშქრობა“ მოეწყო (Латышев), ხოლო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.“ (როდოსელი).

უფრო მოგვიანებით, VI საუკუნეში სპარსეთის მეფე ხოსროს, მასთან ჩასული ეგრისელი ელჩები ასე მიმართავენ: „კოლხები, რომ ძველთაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან, ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს საგანძურებში ახლაც არის დაცული“ (გეორგიკა). ან ასეთი ცნობა, რომელსაც მენანდრე პროტიქტორი გვაწვდის: „სვანეთის მთავარი ემორჩილებოდა ლაზთა მეფეს და ჩაწერილი იყო სახარკო სიაში“ (გეორგიკა).

სწორედ ასეთ ცნობებზე დაყრდნობით წერდა ივ. ჯავახიშვილი, რომ ლაზიკაში მწერლობა არსებობდა და სახელმწიფო მართვა-

გამგეობა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ სახელმწიფოს მნიშვნელოვან საბუთებს ინახავდნენ თურმე.

ბერძნული ენა რომ სახელმწიფო-საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენად ყოფილიყო გამოყენებული, ეგრისის მოსახლეობა იძულებული იქნებოდა, ეს ენა ესწავლა იმდენად მაინც, რომ ნათქვამის გაგება შეძლებოდა. არადა, იმდროინდელი ბიზანტიური წყაროს მიხედვით, მოსახლეობამ არ იცის ბერძნული არა მარტო სალაპარაკოდ, არამედ ნათქვამის აზრის გაგებაც არ შეუძლია. VI საუკუნის მოღვაწე აგათია სქოლასტიკოსი, ამ დროის ეგრისში მიმდინარე მოვლენების თანამედროვე, გუბაზ II მკვლელთა გასამართლებას ასე აღწერს: „დედაქალაქიდან გამოგზავნილ მოსამართლე ათანასის, რომელიც თავისის ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე ქლამიდში გამოწყობილი, თან ახლდნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ის რაც სასამართლოზე ხდებოდა, სტენოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსაღოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულნი. მეორე მხარეზე დადგნენ ბრალმდებელნი, დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა.“ (გეორგიკა). აგათიას მიერ საგანგებოდ იმის აღნიშვნა, რომ ბრალმდებელ კოლხებს „კარგა ხანია შეესწავლათ ელლინთა ენა,“ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვეულებრივად კოლხებს ბერძნული ენა არ სცოდნიათ. აგათიას სწორედ ამიტომ დასჭირდა ამაზე ხაზგასმა. ეს რომ ასეა, კიდევ უფრო აშკარად ჩანს ისტორიკოსის შემდეგ მონათხრობში: „ბრალმდებლები რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო; მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის გამო იყო თითოეული მათგანი გამოთქმული და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა-მოხვრასაც იცვლიდნენ.

ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს, თუ სასოწარკვეთას“ (გეორგიკა).

ეგრისელთა მხრივ ბერძნულის უცოდინრობას VI საუკუნის შუა ხანებისათვის ადასტურებს პროკოპი კესარიელიც, როცა ქუთაისის შესახებ გვაწვდის ცნობებს. იგი წერს: „მაშინ ამ ციხეს კოტაიონს უწოდებდნენ ელლინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან. ბერძნული ენის უცოდინარობით მოსდით, რომ ამ სახელწოდების ნამდვილი სახე შერყვნეს“(გეორგიკა).

ასეთ პირობებში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გუბაზის მკვლელობით აღშფოთებული კოლხების წინაშე სიტყვებით გამოსული აიეტი და ფარტაძიც ხალხს ქართულად მიმართავდნენ.

ეგრისელთა მიერ ბერძნული ენის უცოდინრობა სულაც არაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკუთრივ ბიზანტიაში VII საუკუნემდე სახელმწიფოს ოფიციალურ ენას ლათინური წარმოადგენდა (ყაუხჩიშვილი, Васильев, ალასანია) და ბიზანტიის ხელისუფლებას საკუთარ ქვეყანაში არ გამოუცხადებია ბერძნული სახელმწიფო ენად.

ბიზანტიელთა გავლენა არ ჩანს ეგრისელთა ყოფა–ცხოვრებასა და სამართალშიც. როგორც ჩანს, ისინი ნაკლებად ერევიან საშინაო საქმეებში. ჯერ კიდევ V საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე თეოდორიტე კვირელი (393-457/8) გვაუწყებს, რომ „ბევრმა მიიღო მონობის ლაგამი, მაგრამ დამმონებელთა კანონების მიხედვით ცხოვრება არ შეუძლიათ...არც ლაზები, არც სანნები, არც აბაზგები, არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც კი რომაელთა ბატონობას ელოლავებიან, არ სდებენ ერთმანეთში ხელშეკრულებებს რომაელთა კანონების მიხედვით“(გეორგიკა, 1961:226-227). ასეთივე მდგომარეობაა ერთი საუკუნის შემდეგ, VI საუკუნის მეორე ნახევარშიც. ლაზები (ეგრისელები) თავიანთი წესითა და სამართლით ცხოვრობენ. ალბათ, ამიტომ დასჭირდა აგათია სქოლასტიკოს იმის განმარტება, თუ რატომ გაასამართლეს გუბაზ მეფის მკვლელები „ატიკური” სამართლით. იგი წერს: „მან (იუსტინიანემ ბ.დ.) იცოდა, რომ

თუ საიდუმლოდ, ბარბაროსთა წესით, ბრძანებდა რუსტიკეს და იოანეს მოკვლას, კოლხები საკმარისად არ ჩათვლიდნენ ამას და, მათი აზრით, მათი შეურაცხყოფა არ იქნებოდა გამოსყიდული და მკვლელებსაც საკადრისი სასჯელი არ ექნებოდათ მიზღვეული...აი, ამ მოსაზრებით იქნა მოწვეული, ჩემის აზრით, რომაული სასამართლო, – უკეთ რომ ვთქვა, ატიკური სასამართლო კავკასიონის ძირში“ (გეორგიკა, 1936:126-127). ამ აზრს კიდევ უფრო აზუსტებს აგათია შემდეგი სიტყვებით: იუსტინიანემ „გამოგზავნა ათანასი, ერთი პირველ კაცთაგანი დარბაზის შესაკრებლისა, რომელსაც დაავალა ზედმიწევნით გამოეკვლია მომხდარი ამბავი და რომაული კანონების მიხედვით გაერჩია საქმე“ (გეორგიკა, 1936:82). იმის ხაზგასმა, რომ იმპერატორის დავალებით, ათანასის რომაული კანონებით უნდა გაერჩია საქმე, იმასაც ნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში (ეგრისი), სადაც მიმდინარეობდა სასამართლო, მოქმედებდა ადგილობრივი კანონებიც.

ბიზანტიელთა ბატონობას, როგორც ჩანს, არც ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების წესების შეცვლა გამოუწვევია. აგათია წერს: „როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს.“ სხვა ადგილას, იგივე ავტორი ამავე საკითხზე ასეთ ცნობას გვაწოდებს: „ამრიგად, წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უკარნახებდა“(გეორგიკა, 1936:85).

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ბიზანტიელთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, ეგრისში არ ჩანს ბერძნული ენის გაბატონებისა და ეგრისელთა ცხოვრების წესის შეცვლის ფაქტები.

ვფიქრობთ, ამ ცნობების ობიექტურობაში არ შეიძლება დავეჭვდეთ, რადგან ავტორები, ჯერ ერთი, იმ ამბების თანამედროვენი არიან, და მეორე, ისეთ საკითხებზე გვაწვდიან ინფორმაციას, რომ არ შეიძლება მათი დამახინჯებით იყვნენ დაინტერესებულნი.ამ

ავტორების ობიექტურობას ადასტურებს ბიზანტიელი მოხელეების ეგრისში საქმიანობის შეულამაზებლად ასახვაც.

პროკოპი კესარიელის მიხედვით, ეგრისელი ელჩები, სპარსეთის მეფე ხოსროს, ასე აღუწერენ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას: „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს. მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება... უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა...არამედ დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ...საჭირო საგნებთან ერთად გვართმევენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს“ (გეორგიკა, 1965:77-78). როგორც ვხედავთ, ბიზანტიელების მიმართ წაყენებულ პრეტენზიებში ერთი სიტყვითაც არაა ნათქვამი ადგილობრივი ენის, ცხოვრების წესების უგულვებელყოფისა და ბერძნულ-ბიზანტიურის დანერგვის შესახებ. რაც შეეხება ეგრისელთა ეროვნულ თვითშეგნებას, კარგად ჩანს ბიზანტიელი ისტორიკოსიის შემდეგი სიტყვებიდან: „სპარსელებთან ბრძოლის წინ, ისინი (ლაზები ბ.დ.) აყენებდნენ დებულებას, რომ რომაელები ბრძოლაში წასვლით არც სამშობლოსათვის იგდებენ თავს საფრთხეში, არც ნათესავებისათვის. მათ კი საფრთხე მოელით შვილებისათვის, ცოლებისათვის და სამშობლო ქვეყნისათვის...იმათ ძალიან უნდოდათ, რომ პირველნი სძგერებოდნენ მარტონი მტერს, რათა საქმეში ხელი არ შეეშალათ რომაელებს, რომელნიც მათსავით არ იყვნენ აღფრთოვანებულნი სახიფათო ბრძოლაში“ (გეორგიკა, 1965:149). ასევე, მაღალი ეროვნულ-პატრიოტული გრძნობებითაა გაჟღენთილი გუბაზ II სიტყვა, რომლითაც მან მიმართა კოლხთა ლაშქარს სპარსელებთან ბრძოლის წინ.

„მე არ ვიცი ვაუკაცებო, – ამბობდა იგი, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი, თქვენ აღსაფრთოვანებლად. ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული... საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისათვის, შვი-

ლებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს...თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ, ან ხარკს დაგვადებენ, ან სხვა რამეს დაისაკუთრებენ...დე ნუ აღიგვება სახელი ლაზთა...ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით“(გეორგიკა, 1965: 148-149).

ამრიგად, ეგრისის ტერიტორიაზე და მის გარეთ აღმოჩენილი ქართული ეპირგაფიული ძეგლები და უცხოელ ავტორთა ცნობები უდაოს ხდიან იმას, რომ ადრეშუასაუკუნეების ეგრისი წარმოადგენდა ერთიანი ქართული ეთნიკური და კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილს, მისი მოსახლეობა მეტყველებდა და ლოცულობდა ქართულ ენაზე და საფუძველს მოკლებულია ამჟამად გაზიარებული დებულება – ადრეშუასაუკუნეების ეგრისში ბერძნულის სახელმწიფო-საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენად გამოყენების შესახებ. ასევე უსაფუძვლოა და მიუღებელი ეგრისელთა ე.წ. „ქართიზაციის“ანუ ეგრისელთა გაქართველების თეორია, რომელიც ფაქტობრივად ქართველ ტომთა საუკუნოებრივი ეთნიკურ-კულტურული და ენობრივი ერთიანობის უარყოფაა, რაც ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალობას.

საკითხის აქტუალობა იმედს გვაძლევს, რომ სპეციალისტები და პრობლემით დაინტერესებული მკითხველები გამოგვეხმაურებიან და თავიანთ წვლილს შეიტანენ ჭეშმარიტების დადგენაში.

2005 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გ.ალასანია, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა, თბ., 2000

2. აპოლონიოს როდისელი, არგონავტიკა, თარგმანი და შესავალი ნაწილი ა. გელოვანისა, თბ., 1975

3.გეორგიკა, I, თბ., 1961

4. გეორგიკა, II, თბ., 1965

5. გეორგიკა, III, თბ., 1936

6.რ.გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბ.,1993

7.ბ.დიასამიძე, ქრისტიანული ღვთისმსახურების ენა დასავლეთ საქართველოში.–წგ. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I–X სს.), ბათუმი,2001

8.ბ.დიასამიძე, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და ეგრისელთა ენის პრობლემა.– კრ. „საისტორიო მაცნე,“XII, ბათ., 2003

9.იოანე რუფუსი, წმინდა პეტრე იბერის, ნეტარი ეპისკოპოზის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება.– წგ. გეორგიკა, II, 1965

10.ს.მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, თბ., 1927

11. გ.ნარსიძე, წებელდის წმინდა გიორგის ხატი.–კრ. „ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია,“ თბ., 2002

12.ნ.ოდიშელი, ზუგდიდში ასომთავრული წარწერები აღმოაჩინეს.-გაზ. „ვერსია“, N 294, 4-6 მარტი,2005

13.საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სინ), ტ.II, თბ., 1973

14.მ.ფირჩხაძე, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოში (I–IV სს.), ავტორეფერატი, თბ., 2002

15.ტ.ფუტკარაძე, საქართველოში ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკისათვის (წინასწარი მოხსენება).– კრ. „ქუთაისური საუბრები“, ქუთაისი, 1999

16.ქართლის ცხოვრება, (ქცა_), ტ. I, თბ., 1955

17. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959

18.მ.ქურდიანი, საერთო ქართული ენა და მისი დიფერენციაციის პრობლემა, კრ. – „ქუთაისური საუბრები,“ ქუთაისი, 1996

19.ს.ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964

20.ს.ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1998

21.ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967

22.ივ.ჯავახიშვილი, თხზ. ტ. I, თბ., 1979

23.ან.ჯაფარიძე, ქართული საეკლესიო (სალიტერატურო) ენის ჩამოყალიბების საკითხისათვის (იოანე ლაზი), თბ., 2002

24.ან.ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1983-1988

25.Васильев А.А. История Византийской империи, СПб., 2000

26.Латышев В.В. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т.II, СПб,1904

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრობლემები

წაკითხულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა სამეცნიერო კონფერენციაზე. მასალები იხ. კრებულში „საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული," ბათ., 2005.

საქართველო მესამე ათასწლეულის დასაწყისს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით და ახალი პრობლემებით (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების დაკარგვა, ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები) შეხვდა. დადგა შენებისა და მოსახლეობის იმედების გამართლების ჟამი. „ვარდების რევოლუციის"შემოქმედი ხალხი ხელისუფლებისაგან ქვეყნის ფეხზე დაყენებასა და მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის ღირსეულ, თანასწორ წევრად და არა მუდმივად ხელგაწვდილ და მთხოვნელის როლში ყოფნას ითხოვს. ამიტომ ახლა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას, რაც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს მოწყობის ფორმის განსაზღვრას წარსულის გამოცდილების, დღეს შექმნილი ვითარებისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით.

ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აშკარად აჩვენებს, რომ საქართველოს სახელმწიფო მაშინ იყო ძლიერი, მოსახლეობა უზრუნველყოფილი და ქვეყანა საერთაშორისოდ აღიარებული, როცა აღწევდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას. ამიტომაა, რომ ჩვენს ისტორიაში განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ გამაერთიანებელ გვირგვინოსნებს: ფარნავაზსა და ვახტანგ გორ-

გასალს, ბაგრატ მესამესა და დავით IV აღმაშენებელს, თამარ მეფესა და გიორგი V ბრწყინვალეს.

შემთხვევითი არაა, რომ დღეს, როცა მსოფლიოს ყველა, დიდი თუ პატარა ქვეყანა გლობალიზაციის გავლენას განიცდის, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა-შენარჩუნების მთავარ გარანტად ქვეყნის ერთიანობასა და ეროვნული ცნობიერების დაცვა – განმტკიცებას მიიჩნევს.

საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ყველა დროში დიდი სახელმწიფოების: საბერძნეთისა და რომის, ბიზანტიისა და ირანის, არაბებისა და სხვა მრავალი დიდი და პატარა ქვეყნის ინტერესების სფეროში შედიოდა და ამდენად მსოფლიო გლობალური ცვლილებები და სხვა ხალხებთან ეკონომიკური თუ კულტურული ინტეგრირება მისთვის უცხო არ არის. როგორც ჩანს, ჩვენს ხალხს ამან გამოამუშავებინა საკუთარი ღირებულებების დაცვისა და შეცვლილ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ გარემოში ადაპტირებისა და გაძლების უნარი.

ახლა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე, რომელიც კავკასიის რეგიონსა და მის გარეთაც სერიოზულ როლს თამაშობს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრებაში და გაერთიანებულია მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობის სხვადასხვა ორგანიზაციებში, მთავარ პრობლემად რჩება სახელმწიფოს მოწყობის უახლოესი და უფრო ხანგრძლივ დროზე გათვლილი მისთვის მისაღები ფორმის არჩევა. თანამედროვე მსოფლიოში ტრადიციულ სახელმწიფო მოწყობის ფორმებად ითვლება: **მარტივი ანუ უნიტარული, რთული ანუ ფედერაციული და კონფედერაციული.** ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველები ვართ, ცხადია, მისაღები ფორმა ერთიანი, უნიტარული სახელმწიფოს შექმნა უნდა იყოს. ამას ისტორიული გამოცდილებაც გვკარნახობს. მაგრამ საქართველოში დღეს შექმნილი სიტუაცია, როცა აღსადგენია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა (აფხაზეთი და სამაჩაბლო) და ათეული წლების განმავლობაში ფუნქციო-

ნირებდა ავტონომიური ერთეულები (აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის) ამის განხორციელებას ართულებს. არადა, როგორც წარსულის გამოცდილება აჩვენებს, თავისთავად ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ფორმაც არაა გარანტია ქვეყანაში ეროვნულ ურთიერთობათა მოგვარების და ქვეყნის ერთიანობისა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკისა თუ ოლქის სტატუსი, მაგრამ ამან ვერ უზრუნველყო მათი საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. პირიქით, ეს ფორმა ადგილობრივი მმართველი ელიტისა და შინა თუ გარეშე დესტრუქციული ძალებისათვის მოხერხებულ მექანიზმად იქცა ქვეყნის მთლიანობის რღვევისა და მათის მხრივ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად გამოცხადებისათვის.

ერთი სიტყვით, დღეს საზოგადოებაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ორ ფორმას განიხილავენ: ***უნიტარულსა და ფედერაციულს.***

ფედერაციული სახელმწიფოს სახეებია: ***ტერიტორიულ-ადმინისტრაციული,*** როცა ფედერაციის სუბიექტები მნიშვნელოვნად შეზღუდული სუვერენიტეტით ხასიათდებიან. ფედერაციის კონსტიტუცია არ განიხილავს ან კრძალავს ფედერაციის სუბიექტის გასვლას ფედერაციიდან (ა.შ.შ., გერმანია, ბრაზილია). ***ეროვნულ-ტერიტორიული,*** როცა ფედერაციის სუბიექტები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სუვერენული უფლებებით. ფედერაციის სუბიექტებს აქვთ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება. ***შერეული,*** როცა ფედერაციული სახელმწიფო მოწყობილია ტერიტორიული და ეროვნული პრინციპებით. *ასიმეტრიული,* როცა ფედერაციის სუბიექტებს თანაბარი უფლება აქვთ. *ასიმეტრიული,* როცა ფედერაციის სუბიექტებს არათანაბარი უფლებები აქვთ. განსაკუთრებული სერიოზულობით განიხილება ***ქვეყნის ფედერაციული*** მოწყობის საკითხი, რადგან ჯერ ერთი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ არაერთხელ იმის განცხადებამ, რომ აფხაზეთს მიეცემა ავტონომიური რესპუბლიკის ყველაზე ფართო უფლებები, როგორიც კი მსოფლიო

პრაქტიკამ იცის, ისე იქნა გაგებული, რომ ქვეყნის ფედერაციული მოწყობა უალტერნატივოა, მეორე, ჩვენი ისტორიის გრძელ გზაზე, გარეშე თუ შინა მტრული ძალების ზემოქმედებით საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის გაჩენილი გაუცხოება, კუთხურობა მთლიანად ჯერაც არ დაძლეულა და მესამე, ყველას აფიქრებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემოერთების საკითხი და მისი გადაწყვეტა ამ ეტაპზე ქვეყნის ფედერალური მოწყობის გარეშე, მათზე ავტონომიური უფლებების მიცემის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ, რაც ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია, თუმცა როგორც გასული ათწლეულების გამოცდილება აჩვენებს, მხოლოდ ეს არ არის გამოსავალი, რადგან ვიმეორებთ, მათ ჰქონდათ ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის სტატუსი, მაგრამ მაინც ცდილობდნენ განდგომას და ქვეყნისათვის კრიტიკულ მომენტში განახორციელეს კიდეც.

ყურადღებას იმსახურებს ფედერალიზმის სხვადასხვანაირი გაგებაც. საერთოდ ქვეყნის ფედერალური მოწყობის იდეა ახალი არ არის. გასული საუკუნის დასაწყისში „სოციალისტ-ფედერალისტების“ აღიარებული მეთაური არჩილ ჯორჯაძე ემყარებოდა რა ილია ჭავჭავაძის მთელი ერის (ან წოდებათა) „ერთ კვალში ჩაყენებისა“ და „ერთიანი მოქმედების“ იდეას, რომელსაც შემდეგ „საერთო ნიადაგის“თეორია დაარქვეს, აცხადებდა რომ ქართველი ხალხის ყველა შეგნებულმა წევრმა შეთანხმებულად უნდა იმოქმედოს და მონაწილეობა მიიღოს „ჩვენი ერის ეკონომიკურ და სულიერ წარმატებაში.“ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრინდელ ფედერალისტთა გეგმებში არ შედიოდა ქვეყნის დაქუცმაცება პოლიტიკური სტატუსით აღჭურვილ ფედერალურ მხარეებად და ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობის შემოღება. ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე კი ქვეყნის ფედერალური მოწყობისას სასურველად მიიჩნევს „ამას საფუძვლად დაედოს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა – ქართლი, კახეთი, იმერეთი და ასე შემდეგ... დამოუკიდებელი, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ *რეამინირებული, ეთნიკურ* ქარგას მორგებული მმართველობა“ *(ა.გრიშიკაშვილი, თუ ერთად არ ვიქნებით, ლუკმად არ ვეყოფით არავის.- გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 27თებერვალი, 1993 წ.).* მსგავსივე მოდელი ქვეყნის მოწყობისა შემოგვთავაზა გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ წერილში (2004 წ. 30 ივნისი) ავტორთა ჯგუფმა, რომლებიც ქვეყნის დანაწევრების პროცესს“ორ ეტაპად განიხილავენ: ჯერ, ამჟამად დაყოფილი რეგიონების დაკანონებას ადმინისტრაციულ ერთეულებად, შემდეგ კი მათთვის ავტონომიური უფლებების მინიჭებას. ფედერალიზმის ასეთი გაგება, ბუნებრივია, შეშფოთებას იწვევს, რადგან აქ ჩანს, როგორც მიტროპოლიტი მეუფე ანანია ჯაფარიძე წერს, არა უბრალოდ ადმინისტრაციული მმართველობის საშუალებების ძიება, არამედ ალბათ არსებობს საქართველოს ფედერალიზაციის, ავტონო მიურ ტერიტორიებად დაყოფის სურვილი, რომლის პირველ საფეხურად ფედერაციული სახელმწიფოს გამოცხადება მოიაზრება, რომელსაც ალბათ კონ-ფედერაციის შექმნა, შემდეგ კი ქვეყნის უსისხლო დაშლა მოჰყვება *(მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას, თბ. 2002, გვ.9).*

ჩვენ არ გვინდა ასე მკაცრი ვიყოთ შეფასებებში, მაგრამ ერთს კი დავსძენთ, რომ სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა ნამდვილად ქმნის იმის პირობებს, რომ ქვეყნისთვის რთულ პერიოდში, ავტონო-მიურ ერთეულთა მმართველი ელიტა უფლებამოსილების გაზრდისა თუ დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ქვეყანას შეუქმნის პრობ-ლემებს. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თუ აჭარის ავტონომიური ერთეულების, თუნდაც ბოლო დროის ისტორიიდან. არაა გამორიცხული სირთულეების გაჩენა არაქართული ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშიც.

ბრძენკაცს (მონტანი) უთქვამს, ერისათვის სახელმწიფო მოწყო-ბის ის ფორმაა მისაღები, რომელიც მის ერთიანობას უზრუნველ-

ყოფსო. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს ქვეყნის ***უნიტარულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას.***

მარტივი ანუ უნიტარული სახელმწიფო გულისხმობს ერთიან ტერიტორიას, ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლებით; ერთიან საერთო სახელმწიფო კონსტიტუციას; ადმინისტრაციულ ერთეულებს არა აქვთ პოლიტიკური თვითმყოფადობა, არა აქვთ სახელმწიფოს ნიშნები; პარლამენტი ძირითადად ერთპალატიანია.

მარტივი ანუ უნიტარული სახელმწიფო სამი სახისაა: ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და შერეული; *ცენტრალიზებულ უნიტარულ* სახელმწიფოში ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება. ადგილობრივი ორგანოები მკაცრად ექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას.

დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ირჩევს მოსახლეობა. ადგლობრივი ორგანოები სარგებლობენ გარკვეული დამოუკიდებლობით. სხვადა-

სხვა ეროვნების ხალხს ენიჭებათ ეროვნული და საკანონმდებლო ავტონომია.

შერეული უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება როგორც ცენტრალიზებული, ასევე დეცენტრალიზებული სახელმწიფოს ნიშნებით. სახელმწიფოს უნიტარული მოდელის მომხრეები საჭიროდ თვლიან, ამ მოდელის არჩევისას ანგარიში გაეწიოს ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებასაც და მომავლის პერსპექტივებსაც. ქვეყანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლოს) მშვიდობიანი გზით დასაბრუნებლად ყველა ღონისძიება უნდა გაატაროს. იგულისხმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის სხვა მხარეებსაც იგივე უფლებები მიენიჭოთ. მით უმეტეს, რომ როგორც ჩანს, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელის შერჩევის პარალელურად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რათა საინტერესო, მიმზიდველი და სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად მისაღები ვიყოთ ყველასათვის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის,რომ სწრაფი ტემპით განვითარდეს ეკონომიკა, მისი ინფრასტრუქტურა, მოგვარდეს მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემები. ამასთან, ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ცალკეული რეგიონებისადმი უფრო მოქნილი, კანონსდაქვემდებარებული და გამჭვირვალე უნდა გახდეს საბიუჯეტო, ეკონომიკურ, თუ საკადრო საკითხებში, რომ ქვეყნის ყველა ნაწილში, როგორც დიდი ილია გვმოძღვრავდა, თითოეული ყველასათვის ფიქრობდეს და ყველა თითოეულისათვის, რომ „ჩვენ “ხშირი იყოს და „მე“იშვიათი, რომ გურულები, მეგრელები, კახელები, ქართლელები, აჭარლები თუ სვანები თავიანთი კუთხის შვილები იყვნენ, მაგრამ ყველანი ერთად – ქართველები და მისი ერთიანობისა და ძლიერებისათვის ზრუნავდნენ. მით უმეტეს, რომ ახლა ამისათვის შედარებით უკეთაა მომზადებული საფუძველი. გა-

სული საუკუნის ბოლო ათწლეულისა და „ვარდების რევოლუციის“მოვლენებმა აჩვენა ჩვენი ხალხის, ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში, ერთიანობის, თავგანწირვისა და მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნების უნარი. აჩვენა ისიც, რომ მას კარგად აქვს შეგნებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის ძალა და მნიშვნელობა.

ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ საქართველოს გაერთიანებას ყოველთვის წინ უძღოდა ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო გაძლიერება, საიმედო მოკავშირეებისა და პარტნიორების შეძენა, მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცება და მისი „ისტორიით შედუღაბებული ერთ-სულ და ერთ-ხორც კრებულად“ (ილია) გადაქცევა. ქვეყანაში ეს პროცესი დაწყებულია. ბოლო ორი წლის მანძილზე ქვეყნის ბიუჯეტი გადაჭარბებით სრულდება, შესამჩნევი ცვლილებებია ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული არმიის წვრთნასა და შეიარაღებას, რეფორმების განხორციელებას ცხოვრების ყველა სფეროში, არ გვაკლია საიმედო მოკავშირეებიც, რისი დადასტურებაცაა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში.

ახლა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება ქვეყნის მოსახლეობამ, ქართველი იქნება ის, თუ არაქართველი, გააცნობიეროს ეროვნული ერთიანობის აუცილებლობა, რადგან „ერი და ქვეყანა მხოლოდ მაშინ სდგას წარმატების გზაზე..., როცა საერთო საქვეყნო საქმეებში ყველა მისი მკვიდრი, ან უფრო მომეტებული წილი ქვეყნისა და ერისა მონაწილეობას იღებს ცნობიერად და გონიერად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“ ამის გათვალისწინება ახლა მით უფრო აუცილებელი ხდება, რადგან გლობალიზაციის პირობებში, ბევრ შემთხვევაში, უკანა პლანზე რჩება ეროვნული ღირებულებები და პრაგმატული მოსაზრებებით, მეტი გასაქანი ეძლევა ჩვენთვის უცხოსა და ზოგჯერ მიუღებელსაც. არადა, საჭიროა გლობალიზაცია გაგებულ იქნას, არა როგორც კულტურათა შერწყმა, არამედ რო-

გორც კულტურათა დიალოგი და ურთიერთ გამდიდრება. ყველასათვის სავალდებულოდ უნდა იქცეს ქვეყანაში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ცოდნა, რადგან ჯერ ერთი, ეს ამ ქვეყნის მოქალაქეობისა და მის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარებაა და მეორე, მხოლოდ მათი მეშვეობითაა შესაძლებელი ეროვნული ცნობიერების, სიამაყისა და თავმოყვარეობის ფორმირება – განმტკიცება. ამით მოეღება ბოლო ფეოდალურ – პროვინციალურ ცნობიერებას, მტკიცე საფუძველი შეექმნება ერთიან ქართულ აზროვნებასა და მოქმედებას. ბუნებრივია, ეს ყველაფერი საჭიროებს ერთიანი ეროვნული იდეოლოგიის შემუშავებას და ამ პროცესისადმი ყოველმხრივ ხელშეწყობას ქვეყნის მასშტაბით კარგად გათვლილი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული სტრატეგიის და ტაქტიკის გათვალისწინებით.

გვჯერა, შორს არაა ის დრო, როცა საქართველო ერთიანი და ძლიერი იქნება და სახელმწიფო მოწყობის ისეთ ფორმას აირჩევს (დეცენტრალიზებული უნიტარიზმი), რომელიც მას მისცემს საშუალებას, მართვის ეფექტურობისა და მოქნილობის მიზნით, არაეთნიკურ საფუძველზე ქვეყანა დაყოს მსხვილ რაიონებად თუ ოლქებად და საჭირო შემთხვევაში ზოგიერთს განსხვავებული ადმინისტრაციული უფლებები მიანიჭოს. ეს უნდა იყოს სახელმწიფო, სადაც კონსტიტუციით გარანტირებული იქნება, როგორც ქართველი, ისე ეროვნული უმცირესობებისა და განსხვავებულ კონფესიათა მქონე მოქალაქეების თავისუფალი განვითარება.

2005 წ.

P.S. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლებისდმი, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ:

საქართველო დეცენტრალიზებული
უნიტარული სახელმწიფო უნდა იყოს

2005 წლის 6 მაისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა (ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, იურისტები, ეკონომისტები) მონაწილეობით, ჩატარდა აჭარაში ვარდების რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "საქართველოს სახელმწიფო – უნიტარული თუ ფედერაციული."

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებსა და კამათში მონაწილეთა გამოსვლებში საფუძვლიანად გაანალიზდა სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ორივე ძირითადი ფორმის - ფედერალური, უნიტარულის შესაბამისობა დღევანდელი და მომავალი საქართველოსათვის.

კონფერენციის თითქმის ყველა მონაწილე თვლის, რომ თანამედროვე საქართველოსთვის მისაღებია დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპებზე დამყარებული დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება აფხაზეთისათვის ფართო ავტონომია, ეთნიკური უმცირესობებისათვის – კულტურული ავტონომია, ხოლო ქვენის მთელ ტერიტორიაზე - ადგილობრივი თვითმმართველობა.

ასეთი პრინციპით მოწყობილი ქვეყანა ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს საქართველოს ყველა მოქალაქის თავისუფალ განვითარებას, მიუხედავად ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილებისა.

კონფერენციის მონაწილენი ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება გაგებითა და ყურადღებით მოეკიდება ჩვენს მოსაზრებებსა და წინადადებებს ქვეყნისათვის ამ სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტისას.

კონფერენციის მონაწილეთა სახელით:

აკადემიკოსი დ. მუსხელიშვილი, პროფესორები: გ. გაბუნია, ბ. დიასამიძე, რ. თოფჩიშვილი, დ. შველიძე, გ. მჭედლიძე, თ. ფუტკარაძე, ფრ. სიხარულიძე, ა. კახიძე, ა. ცაფარიძე, ნ. ხაზარაძე, ნ. კახიძე, რ. სურმანიძე, ს. დუმბაძე, ნ. ბარამიძე, რ. კომახიძე, დოცენტები: ირ. მანველიძე, ლ. ცაყელი, ლ. ზაქარაძე, ი. ბარამიძე, მ. მეგრელიშვილი, მ. ნანეიშვილი, შ. ჭურკვეიძე, ნ. ხახუტაიშვილი, გ. შერვაშიძე, ა. ბათაძე, ჯ. კარალიძე, რ. უზუნაძე, ც. ქათამაძე, გ. აბუსელიძე.

კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

ხიმშიაშვილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

წაკითხულია სელიმ ხიმშიაშვილის დაბადებიდან 250 და გარდაცვალებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ინიციატივით 2005 წლის 22 ნოემბერს.

სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ ხიმშიაშვილთა გვარის სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებიც თითქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საქართველოს ძირძველი მხარის–აჭარის საზოგადოებრივ–პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ხიმშიაშვილების გვარს იმ პერიოდში მოუწია აჭარის გამგებლობა, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთმა ვითარცა „მფარველმა" საბოლოოდ გამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი მიზნები. აჭარის ხელისუფალთ, რომლებიც ოსმალეთს მორჩილებდნენ, ორმაგი თამაში უწევდათ იმ მამულიშვილური ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისათვის, რასაც „გამოხსნა-აღდგომას" უწოდებდნენ და რომლის საბოლოო მიზანი ერთიანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ამოცანას ამ გვარის წარმომადგენლებმა ღირსეულად გაართვეს თავი.

ხიმშიაშვილთა გვარის წარსულის შესახებ დიდხანს არაფერი იყო ცნობილი და მისი პოლიტიკური აქტიურობის ისტორიას XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყებდნენ, როცა აბდულ ბეგ (აღა) ხიმშიაშვილი 1784 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში

(გურია, აკეთი) მოკლეს. აბდულ ბეგის შესახებ დ. ბაქრაძე წერდა: „აჭარელ ხიმშიშვილთა პირველი ცნობილი წინაპარი, როგორც ამტკიცებენ, უბრალო მწყემსი აბდულა ბეგი ყოფილა, რომელიც თავისი ენერგიულობით დაწინაურებულაო".

ცნობილი ეთნოგრაფის თ.სახოკიას მიხედვით, რომელიც ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა, აჭარელი ხიმშიაშვილები არაგვისპირეთის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილთა მონათესავეა. XVII საუკუნეში კაცი შემოკვდომიათ და აჭარისათვის შეუფარებიათ თავი. იმასაც ამბობდნენ, მისი თქმით, ხიმშიაშვილები XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ხიმშიას შთამომავლები არიან და გვარიც ამ პიროვნებიდან მომდინარეობსო. მაგრამ ახლა, როცა აღმოჩენილია XV საუკუნის წყარო „ვაჰანის ქვაბთა განგების" მინაწერები, რომელთაგან ერთ-ერთში მოხსენიებულია დაყუდებული ვინმე მწერალი ხიმშიაშვილი, რომელიც ჩარიცხული ყოფილა ამ მონასტრის „მწირველთა თანა", ცხადი ხდება, რომ ხიმშიაშვილები იმ დროის მესხეთის ადგილობრივი ფეოდალები ყოფილან, რადგან როგორც პროფ. შ.ლომსაძე წერს, მონასტრის განგების თანახმად ასეთი პირი „დიდად საპატიო და ნამსახური" გვარის შვილი უნდა ყოფილიყო. ამ აზრს ამაგრებს 1917 წელს მოწყობილი ე. თაყაიშვილის ექსპედიციის დროს აღმოჩენილი კარნავაზის წარწერაში მოხსენიებული დიდი ფეოდალის მერაბ ხიმშიაშვილის შემორჩენილი სასახლე და არსენიაკი.

ასე, რომ ეჭვგარეშეა XV საუკუნიდან ხიმშიშვილთა ფეოდალური სახლის არსებობა მესხეთში, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, იძულებული გახდნენ გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის აჭარაშიც. აქ კი შესაძლებელია ლტოლვილი ხიმშიაშვილების იმ შთამომავლებმა მოიპოვეს აღიარება და ტიტულები, ვინაც მიიღო ოსმალთა ქვეშევრდომობა და მუსლიმანობა. ამათგან, როგორც ჩანს, პირველი აბდულ ბეგი ან მისი წინაპარი იყო. საინტერესოა მკვლევარ შოთა ლომსაძის

დაკვირვება, რომ 1770 წლის ცნობილ ასპინძის ბრძოლაში ახალ-ციხის საფაშოს მხარეზე აჭარის სანჯაყი არ მონაწილეობდა. „როგორც ჩანს, - ასკვნის მკვლევარი, აჭარამ ახალციხის ნომა ფაშას ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი უთხრა... რის გამოც 1774 წლის მაისში აფორიაქებულ აჭარაში თურქთა დამსჯელი კორპუსი შევიდა."

სელიმ ხიმშიაშვილის მემორიალი
ხულოს რაიონის სოფელ ბაკოში (სერიყანა)

აშკარაა, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართლ-კა-ხეთის ტახტზე ერეკლე II ასვლის შემდეგ, როცა ფართო გეგმა დაისახა ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომის," უპირველეს ამოცანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გამოხსნა იყო გათვალისწი-ნებული, რადგან ეს მხარე „საქართველოსა შინა არის და ქარ-თული ენა აქუს," როგორც მაშინდელ პროექტებში იყო მითი-თებული. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, გასაგები ხდება 1770 წელს აჭარის მმართველთა პოზიცია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს აქ ხელისუფალი აბდულ ბეგი უნდა ყოფილიყო.

1784 წლიდან, მამის დაღუპვის შემდეგ, აჭარის მმართველი გახდა სელიმ ხიმშიაშვილი, ამ გვარის ერთი ყველაზე გამორ-ჩეული პიროვნება, რომელმაც ოსმალეთის სამეფო კარის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს – სამთუღიანი ფაშის ტიტულს მიაღ-

წია, თუმცა არასდროს დავიწყებია თავისი მისია – ქვეყნის გამოხსნა და სიცოცხლეც ტრაგიკულად შემდეგი სიტყვებით დაუსრულებია: „თქვენ შეგიძლიათ ჩემი თავი ჩემს სხეულს მოაშოროთ, მაგრამ აჭარა მაინც გურჯისტანს დარჩება. ამას მე ჩემს შვილებს ანდერძად დავუტოვებ." რამდენადაც კონფერენციაზე სელიმ ხიმშიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ცალკე მოხსენება ეძღვნება, მეტს არაფერს ვიტყვი ამ უაღრესად საინტერესო და ტრაგიკული პიროვნების შესახებ, მაგრამ ერთს დავძენ, რომ მე პირადად დარწმუნებული ვარ ამ სიტყვების რეალობაში, რადგან მისი მემკვიდრეები ოსმალთა სამსახურში ყოფნის მიუხედავად, არასდროს ივიწყებდნენ ვისი გორისანი იყვნენ და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ემსახურებოდნენ სამშობლო ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომისა" და ერთიანობის საქმეს. ამ მხრივ საინტერესო და წინააღმდეგობრივია სელიმ ხიმშიაშვილის შვილის – ახმედ ბეგის მოღვაწეობა. იგი XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაბადებულა. ადრე ასაკშივე ჩართულა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მამის ფაშობისას ის აჭარის სანჯაყს განაგებდა. 1815 წლის ივნისში, როცა სელიმ ხიმშიშვილს თურქთა ლაშქარი შეესია ხიხანის ციხე-სიმაგრეში და სერიყანაში თავიც მოკვეთეს, ახმედი ძმა – აბდისთან ერთად ნიგაზეულის ციხე-სიმაგრეში იყო გამაგრებული, აქ მოუწიათ მათ შებმა ოსმალთა ჭარბ ძალებთან, რის შემდეგ გაქცეულებს გურიაში აბდის მეუღლის –კესარიას ძმასთან – მამია გურიელთან შეუფარებიათ თავი.

1816 წლის დასაწყისიდან ოსმალეთის ხელისუფლებამ ხიმშიაშვილების ოჯახი შეიწყნარა. ძმებს აჭარაში დაბრუნების და ოსმალთა მიმართ ანგარიშსწორების საშუალება მიეცათ. თურქი ისტორიკოსი ჯევდეთი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ ახმედ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით აჯანყება მთელ მხარეს მოედო.. ოსმალთა მიერ გამოგზავნილმა ჯარებმა ვერაფერი გააწყვეს და ისევ შერიგება არჩიეს, თუმცა 1818 წელს ახმედის სახლ-კარი ააოხრეს. ამის შემდეგ ახმედს საჭიროდ მიუჩნევია

ხელისუფლებასთან შერიგება, რითაც ჯერ აჭარის გამგეობა მიუდია (1820 წ), შემდეგ 1821 წელს ახალციხის მუსელიმად დაუნიშნავთ, 1826 წელს ახალციხის ფაშის ტიტული მიუდია, ხოლო 1828 წელს ახალციხის ფაშად დაუსვამთ.

ეს ის წლებია, როცა რუსეთი სულ უფრო მტკიცედ იკიდებდა ფეხს ამიერკავკასიაში, რისი მოთმენაც სულთნის ტახტს არ სურდა. ასე რომ, მზადდებოდა ამ ორ იმპერიას შორის საომარი შეჯახება. ასეთ პირობებში ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთი ავტორიტეტული და გავლენიანი პირის პოზიციას, როგორიც იყო ახმედ ხიმშიაშვილი. ახმედ ფაშას კარგად ესმოდა, რომ მისი და მამამისის მიზანი–სამხრეთი საქართველოს გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, მხოლოდ რუსეთის მეშვეობით, მისი დახმარებით შეიძლებოდა. ამიტომ მას ფარული მიმოწერა ჰქონდა რუსეთის ხელისუფლებასთან, კავკასიის სარდლობასთან. იგი აყენებდა პირობებს: რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობა, მისი ხელისუფლების შენარჩუნება და მემკვიდრეობით გადაცემა. ამასთან, მას უნდა მისცემოდა გენერლის ჩინი, ლენტი და სახელმწიფო ჯამაგირი, დამტკიცებოდა ფაშობა და რუსეთი უნდა ყოფილიყო საფაშოს მფარველი და გარეშე მტრებთან ბრძოლაში მოკავშირე და შემწე. მთავარმართებელ პასკევიჩისათვის ეს პირობები მისაღები აღმოჩნდა და დაიწყო მოლაპარაკება გენერალ ვასილ ბებუთოვის მეშვეობით. 1828 წლის ზაფხულში (ივლისი) რუსთა ჯარმა იერიში მიიტანა ახალციხეზე. მართალია, ახმედ ფაშამ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია რუსებს, მაგრამ „დამარცხდა" და გადარჩენილი ჯარის ნაწილებით აჭარაში გადავიდა. რუსეთის თანხმობა წაყენებული პირობების შესრულების თაობაზე არ ჩანდა. ამიტომ ახმედ ფაშამ თავი მოტყუებულად და შეურაცხყოფილად ჩათვალა. იანვრის სუსხიან ზამთარში ჯარით გადალახა თოვლიანი მთები და ახალციხეში გამაგრებული გენერალი ბებუთოვი ალყაში მოაქცია. მისი ულტიმატუმის ბოლო სიტყვები „მე გაგიყვანთ თქვენ მშვიდობიანად" როგორც ჩანს, იმას ნიშ-

ნავდა, რომ მისი მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, რუსთა ჯარს უვნებლად მისცემდა გზას, ამასთან, ამით იგი საკუთარი ძალების დემონსტრირებასაც ახდენდა, რომ დაეჩქარებინა რუსეთის მხრივ პირობების შესრულება. ბებუთოვს მაშველი ძალები მოუვიდა და ახმედ ფაშა აქაც დამარცხდა. რუსეთის ხელისუფლებამ ბებუთოვი სხვაგან – სომხეთში გადაიყვანა და მოლაპარაკების გაგრძელება ახლად დანიშნულ სარდალს ბარონ ოსტენ-საკენს დაავალა.

როგორც ჩანს, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის ფრონტებზე მოპოვებული წარმატებებისა და ახალციხის აღების შემდეგ, ახმედ ფაშა აღარ იყო ისე საინტერესო რუსეთისათვის, როგორც ომის დასაწყისში, როცა გაურკვეველი იყო სიტუაცია. ამიტომ აჭინაურებდა რუსეთის ხელისუფლება მოლაპარაკებას და თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა ოსტენ-საკენს აჭარაში, რომელმაც უმოწყალოდ გადაბუგა არაერთი სოფელი და ახმედ ფაშას სახლ-კარიც. კარგი დღე არც მის ჯარს დადგომია, აქაურთა რისხვას გადარჩენილი ძლივს გასულან სამშვიდობოს, ახალციხეში. ამ ამბების შემდეგ ახმედ ფაშამ საბოლოოდ დაკარგა რუსეთის იმედი და ოსმალთა ინტერესების გამტარებლად იქცა აჭარაში. მან პირველმა შემოიღო აქ სამხედრო სამსახური, ააგო პირველი მეჩეთი მედრესეთი, მან დაიწყო ოსმალთა ცხოვრების წესების დანერგვა, ის გაუსწორდა სასტიკად ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ ლაზებს. ამან აუმაღლა მას სულთნის კარზე ავტორიტეტი და იგი ჯერ დანიშნეს ყარსის სერასკირად, შემდეგ ერზრუმის გუბერნატორად, სადაც იგი საეჭვო ვითარებაში (მოწამლეს) გარდაიცვალა 1836 წელს და დასაფლავებულია ლალი-ფაშას სასაფლაოზე.

მართალია, ახმედ ხიმშიაშვილის მიერ ცხოვრების ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებები აშკარად ჩრდილს აყენებს მთელ მის ადრინდელ მოღვაწეობას, მაგრამ იგი ეპოქის ტრაგიკული შვილია, რომელმაც ყველაზემოთქმულის მიუხედავად, შვილს ასეთი ანდერძი დაუტოვა: *„გახსოვდეს, შვილო,*

ადრე თუ გვიან ჩვენი კუთხე რუსეთს შეუერთდება ისე, როგორც ახალციხე. იმეგობრე რუსეთთან, აჭარის მეზობლებთან, ჩვენი ბედნიერება დამოკიდებულია რუსეთზე. იცოდე, რომ ჩვენი გზა იქეთკენ მიდის და არა სტამბოლისაკენ".

ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მართალია, მემკვიდრედ შვილი შერიფი დარჩა, მაგრამ მცირეწლოვნობის გამო აჭარას დედამისი – დუდი ხანუმ ბეჟანიძე მართავდა. დუდი ხანუმმა გონიერი დიპლომატისა და მზრუნველი ხელისუფალის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დუდი ხანუმის მაზლის, ახმედ ფაშას ძმის – ქორ-ხუსეინის მოღვაწეობაზე, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლით 40-იან წლებში, „თანზიმათის" გამოცხადების შემდეგ. „თანზიმათის" მთავარი დევიზი იყო: *„იმპერიის ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს."* ეს იყო იმის საფუძველი, რომ „თანზიმათის" წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დადგა ყველა: გლეხიც, ბეგიც, მუსლიმანიც და არამუსლიმანიც. აჭარაში განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია „სალიანის" გადასახადმა და სამხედრო ბეგარამ, ადგილობრივთა რეკრუტში გაწვევამ. თითქმის ყველა სოფელი ფეხზე დადგა. ზემო აჭარის უკმაყოფილო მოსახლეობას ქორ-ხუსეინი ჩადგომია სათავეში. აჯანყებულა ქვემო აჭარაც. მართალია, ხელისუფლებას ჯარები ჩაუყენებია, მაგრამ თითქმის მთელი წელი გაგრძელებულა აჯანყება. ქორ-ხუსეინს არაერთი წარმატება მოუპოვებია, დიდი ავტორიტეტი და უშიშარი მეთაურის სახელიც მოუხვეჭია, მაგრამ ბოლოს შეუპყრიათ, სტამბოლში ჩაუყვანიათ და იქვე გარდაცვლილა. სულთნის რისხვისაგან აჭარა ისევ დუდი–ხანუმის გონიერებას, სულთნისაგან პატიების თხოვნას უხსნია ისე, რომ გადასახადიც შეუმცირებიათ და სამხედრო ბეგარისაგანაც გაუთავისუფლებიათ აქაური მოსახლეობა.

აჭარის პარალელურად, „თანზიმათს" უკმაყოფილება გამოუწვევია შავშეთში, ლივანასა და ფოცხოვშიც. აქაც მოძრაობას სათავეში ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელი ახმედ ფაშას ძმისშვილი, აბდი ბეგის შვილი სელიმი ჩადგომია, რომელიც მაშინ სულ 15 წლისა ყოფილა. მართალია, აჯანყება აქაც დამარცხებულა, მაგრამ ხელისუფლება რიგ დათმობებზე წასულა.

განსაკუთრებულია მე-19 საუკუნის ბოლო მესამედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შერიფ ხიმშიაშვილის როლი და დამსახურება. ახმედ ხიმშიაშვილისა და დუდი-ხანუმ ბეჟანიძის სახელოვანი შვილის მსოფლმხედველობა და სამშობლო მხარის მომავლისადმი დამოკიდებულება არსებითად განსხვავებული იყო მისი წინაპრებისაგან. თუ ბაბუა სელიმი და მამამისი ახმედი ოცნებობდნენ ათაბაგობის დროინდელი სამხრეთ-საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე, შერიფ ხიმშიაშვილი ერთიან საქართველოზე ოცნებობდა. აჭარის თავისუფლება საქართველოს გარეშე ვერ წარმოედგინა. 1870 წელს მასთან ფარულად სტუმრად მყოფ ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორს ივანე კერესელიძეს ეუბნება: *„მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შეუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს."* ამ სიტყვებში ეჭვის შეტანა ძნელია, რადგან შერიფმა იცოდა დიდი ბაბუას ტრაგიკული ბედი, მას ახსოვდა რუსთა დამოკიდებულება მამამისისადმიც, ამიტომ მას კარგად ესმოდა, რომ აჭარა თავისუფლებას მხოლოდ საქართველოსთან ერთად თუ მოიპოვებდა.

შერიფ ხიმშიაშვილის მოღვაწეობის წლები დაემთხვა საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის, თერგდალეულთა მოღვაწეობის გააქტიურებას, რუსეთის საქართველოში საბოლოოდ განმტკიცებას და მისწრაფებას გაბატონებულიყო შავ ზღვაზე, შემოეერთებინა თურქეთის მიერ ამიერკავკასიაში ადრე მიტაცებული ტერიტორიები. ეს უკანასკნელი მისწრაფება რუსეთისა, ემთხვეოდა ქართველ პატრიოტთა მისწრაფებებს.

ამიტომ რუსეთის ხელისუფლების მიერ აჭარაში შემოგზავნილი ივ. კერესელიძის (1870 წ.), დიმიტრი ბაქრაძის (1873 წ.), გიორგი ყაზბეგის და სხვათა საქმიანობა ერთი მხრივ რუსეთის ხელისუფლების, და მეორე მხრივ, საქართველოს მომავლის ინტერესებს ემსახურებოდა, რადგან ამზადებდა პირობებს ამ მხარის დედა-სამშობლოსთან დასაბრუნებლად. ამ საქმეში უდიდესი როლი სწორედ შერიფ ხიმშიაშვილმა შეასრულა. შერიფ ხიმშიაშვილის, როგორც პიროვნების, მმართველის, მეურნისა და მოღვაწის შესახებ საინტერესო ცნობებს ცნობილი მოღვაწეები (ივ.კერესელიძე, დ.ბაქრაძე, გ.ყაზბეგი, თ.სახოკია) გვაწვდიან. ეს ცნობები სხვა საინტერესო გამოკვლევებთან ერთად შესულია ი.ხიმშიაშვილის მიერ გამოცემულ ვრცელ კრებულში „ხიმშიაშვილები" (ბათ., 2003) და პროფ თ. კომახიძის წიგნში „დუდი ხანუმ ბეჯანიძე და მისი ძე–შერიფ ხიმშიაშვილი," ამიტომ ჩვენ მკითხველის ყურადღებას უფრო შერიფ ხიმშიაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე შევაჩერებთ.

შერიფ ხიმშიაშვილი თურქეთის ხელისუფლების მოხელე და სამხედრო ჩინის მქონე პიროვნება იყო და ბუნებრივია, ომის (1877-1878 წწ) მოახლოებისთანავე თურქეთის ხელისუფლება მას გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებდა, პირველ რიგში, მას უნდა გაემაგრებინა მისი საგამგეო მხარის საზღვრები, არ შემოეშვა რუსთა ჯარი და საჭირო შემთხვევაში მიეშველებინა ძალები ოსმალებისათვის. 1877 წლის აპრილიდან, ომის დაწყების შემდეგ, როცა საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთითაც, შერიფ ხიმშიაშვილს, როგორც აჭარის მმართველსა და ოსმალეთის არმიის ოფიცერს, უბრძანეს მოხალისეების შეგროვება, რომ 1000 კაცი არტაანს გაეგზავნა და ორი ათასი კაცით ციხისძირის გარნიზონს დახმარებოდა. შერიფმა მაშინ ავადმყოფობა და ახალციხიდან რუსთა შემოჭრის საშიშროება მოიმიზეზა. ამასთან, რუსთა ჯარის სარდლობას შეპირდა გზის მიცემა და უშიშროება ზემო აჭარის გზით წასვლის შემთხვევაში. იგი ურჩევდა მათ, ბათუმზე შეტევის აქედან გან-

ხორციელებას, რადგან საზღვაო ძალების გარეშე ქობულეთ-ციხისძირიდან ამ ამოცანის განხორციელება ძნელი იქნებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლება შერიფ ხიმშიაშვილს აქტიურ მოქმედებას თხოვდა. მოგვიანებით იგი იგონებდა, რომ დევრიშ ფაშა „ყოველ კვირაზე მწერდა, *„გეიწი, გეიწი ახალციხისკენო, რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასო.”* ოსმალეთის ხელისუფლება შერიფს ისეც კარგა ხანია ეჭვით უყურებდა, ახლა მის მოქმედებას გამართლება უნდა მისცემოდა იმით, რომ ზემო აჭარაში რუსთა ჯარის ნაწილები უნდა შემოსულიყვნენ. ამ მიზნით, 1878 წლის მარტში პოლკოვნიკ ტრეიტერის რაზმი შემოვიდა „ძალის ენერგიული დემონსტრირების” მიზნით, მაგრამ მალე გაფორმდა სან-სტეფანოს ზავი და საომარი მოქმედებაც შეწყდა.

შერიფ ხიმშიაშვილი

შერიფ ხიმშიაშვილმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ურყევი ნება მაშინ, როცა ბერლინის კონგრესის წინ ოსმალეთის

ხელისუფლებამ მოინდომა აჭარაში მღელვარების პროვიცირება იმის საბაბით, რომ თითქოს მოსახლეობას არ სურდა რუსეთთან (საქართველოსთან) შეერთება. შერიფი აშკარად დაუპირისპირდა ამ ღონისძიებას, რითაც საბოლოოდ დაკარგა ოსმალთა ნდობა. დევრიშ ფაშამ ბათუმიდან გაგზავნა ძალები მის შესაპყრობად, მაგრამ შერიფი ახალციხეში გადავიდა. ოსმალებმა მას ოჯახი დაურბიეს და სახლ-კარი დაუწვეს.

ბერლინის კონგრესმა აჭარა ბათუმითურთ რუსეთს მიაკუთვნა. შერიფ ხიმშიაშვილი რუსთა ჯართან ერთად ბათუმში ჩამოვიდა. აქაც და თბილისში სტუმრობისას შერიფის საფიქრალსაზრუნავი აჭარის მოსახლეობა იყო. „განათლება ეჭირვებათ ბატონებო იმათ... *წადით, გაიცანით, ზოგიც აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ"* – მოუწოდებდა სრულიად საქართველოს. იგი ყველაფერში პირველი და სამაგალითო იყო. 1880 წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ს მიწვევით პეტერბურგში ჩასული შერიფი და მისი ორი ვაჟი მართლმადიდებელ ქრისტიანებად მოინათლენ. აქვე იქორწინა მან მეოთხედ გერმანელ ქრისტიან ქალზე, რომელიც სხალთაშია დაკრძალული.

შერიფ ხიმშიაშვილი პეტერბურგს ყოფნისას, 1892 წ. გარდაიცვალა, ანდერძისამებრ სამშობლოში გადმოუსვენებიათ და საზაფხულო რეზიდენციაში – ქოჩახში დაუსაფლავებიათ. მის მრავალრიცხოვან შვილთაგან (ოცს ასახელებენ), საზოგადოებისათვის უფრო ცნობილნი არიან მურთაზი, ჯემალი, და თემური. მურთაზი 1876 წელს, 27 წლის ასაკში, გაურკვეველ სიტუაციაში დაიღუპა და მამასაც დასდეს ამაში ბრალი (ვფიქრობთ, უსამართლოდ). ჯემალსა და თემურს ოსმალეთის ხელისუფლებამ ფაშის და შესაბამისად გენერლის წოდებები უბოძა. თემურმა თავისი ცხოვრება თურქეთში გაატარა, ჯემალი კი ყველა იმ კატაკლიზმების მონაწილე იყო, რაც მისმა სამშობლო მხარემ გამოიარა გასული საუკუნის პირველ ათწლეულებში. მართალია, ჯემალ ბეგის მოღვაწეობას მკვლევარები არაერთგვაროვნად აფასებენ, მაგრამ ყველაზე მძიმე, თურქთა თუ ინგლისელთა ოკუ-

პაციის წლებში ჯემალ ხიმშიაშვილს ღირსეულად ეჭირა თავი, ასრულებდა სამშობლოს დავალებებს ახალციხეში და იცავდა ქვეყნის ინტერესებს. იგი გაზეთ „ერთობაში" გაგზავნილ დეპეშაში წერდა: *„ეუკ-ეოლისი (ინგლისელი გენერალი) აშინებს ხალხს და ჰკრებს ხმებს, რომ აჭარა არ შეუერთდეს საქართველოს. მე ვამტკიცებ, რომ აქაურ მცხოვრებლებს სულით და გულით სურთ საქართველოს ჯარების შემოსვლა."* მკითხველი აშკარად მიხვდება, რომ ეს სიტყვები არ შეიძლება ოსმალთა ერთგულ გენერალს ეკუთვნოდეს, რომ ამ სიტყვების ავტორი პატრიოტია. ჯემალ ბეგი 1924 წელს გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ქ. არტაანში. ხიმშიაშვილთა გვარის არაერთმა წარმომადგენელმა შემდეგაც გამოიჩინა თავი და დღესაც ერთგულად ემსახურებიან სამშობლო ქვეყნის ინტერესებს, ამიტომ საზოგადოებრიობა დამსახურებულ პატივს მიაგებს ამ გვარის ღირსეულ წარმომადგენლებს.

2005

საქართველოს გეოპოლიტიკური სიტუაცია XIII საუკუნის 20-30 წლებში. საქართველო და „აღმოსავლური ტაიფუნი"

XIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში არსებითად შეიცვალა საქართველოს ირგვლივ გეოპოლიტიკური სიტუაცია, თუ აქამდე საქართველო თავისი სამხედრო ძალებით აკონტროლებდა ქვეყანასა და მის მეზობელ სახელმწიფოებში მოვლენების მსვლელობა-განვითარებას და ხშირ შემთხვევაში მათ მართავდა კიდეც, ახალ პირობებში ვითარება შეიცვალა, რადგან შეიცვალნენ ამ დროის ისტორიის მთავარი მოქმედი პირებიც. საქართველოს ახლა შეხვედრა და ძალების გამოცდა უწევდა არა მასსავით ფეოდალური განვითარების დონეზე მყოფი ხალხის სამხედრო ძალასთან, არამედ სრულიად უცხო, მისთვის უჩვეულო, მტკიცედ ორგანიზებულ სამხედრო ძალასთან. ბიზანტიელებთან და თურქ-სელჩუკებთან ბრძოლის ორგანიზაცია და ხერხები ახლად გამოჩენილ მონღოლებთან ბრძოლაში აღარ გამოდგა საკმარისი და ეფექტური. ამას თავისი მიზეზები გააჩნდა, რომლებიც თამარის გამეფების პირველივე წლებიდან იღებდა სათავეს.

XII საუკუნის ბოლო ათწლეულებში საქართველო განვითარების იმ საფეხურზე იმყოფებოდა, როცა ფეოდალთა გაბატონებული კლასი კონსერვატიულ ძალად იყო ქცეული, ხოლო პროგრესული ძალა (მესამე წოდება) ჯერ კიდევ სუსტი იყო და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელის მისიის შესრულებისათვის არ იყო მომზადებული. საქართველო ფეოდალური განვითარების კრიზისულ ხანაში იმყოფებოდა, რაც ვლინდებოდა მის პოლიტიკურ თუ სამხედრო წესწყობილებაშიც ***(ბერძენიშვილი, 1973:93).*** ამ დროის საქართველო შედგებოდა საკუთრივ საქართველოსა ("ყოველი საქართველო") და ყმადნაფიცი, ვასალური სამფლობელოებისაგან. ამ უკანასკნელთა ვასალობა ძალაზე იყო დამყარე-

ბული. ამიტომ ყმადნაფიცობა საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების მოწმობა იყო და არა მისი ძლიერების წყარო ***(ბერძენიშვილი, 1973:94)***. მართლაც, XIIIს. დასაწყისში, გარეგნული ბრწყინვალების მიუხედავად, საქართველოს აშკარად ეტყობოდა შინაგანი ტკივილები და წინააღმდეგობანი. თამარის მოღვაწეობის პირველი ათწლეული და მეტიც მსხვილ ფეოდალურ დაჯგუფებებთან ბრძოლას მოხმარდა. მართალია, მეფემ თითქოს გაიმარჯვა, ყველა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მაგრამ "კარვისელთა" ბრძოლის შედეგმა – თანადგომა-ერთნებობის წესის დანერგვამ აშკარად გააქტიურა დიდებულები. გაძლიერდა სამამულოდ შეწყალების, სამოხელეო თანამდებობათა და სახელო ქვეყნების საშვილიშვილოდ გადაცემის, მონაპირეებისადმი თურქთაგან გათავისუფლებული მიწების ბოძების ტენდენციები. ასე თანდათან წარმოიშვნენ მსხვილი მამულების მქონე ერისთავ-თერისთავნი, რომლებიც გახელმწიფება – გამთავრებისა და შეუვალობის უფლების მოპოვებისათვის იბრძოდნენ. გაჩნდა სახელმწიფოში „სახელმწიფოების" წარმოშობის ტენდენცია, რომელიც ღრღნიდა და ასუსტებდა ქვეყანას. თუ იგი ჯერ კიდევ ერთიანობას ინარჩუნებდა, მხოლოდ იმით, რომ თითოეულ იმ ე.წ. "სამეფოებში" იყვნენ ძალები (ქალაქები, საშუალო და წვრილი აზნაურობა, ეკლესია...) რომელთაც არ აწყობდათ ამ ერისთავთა გახელმწიფება. დიდმოხელეებისაგან შემდგარი სახელმწიფო დარბაზი არასდროს გადადგამდა ნაბიჯს ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად, დაპყრობილი მიწებით მისი გავლენის გასაფართოებლად. ისინი მეფეს ყოველთვის "ურჩევდნენ" დამორჩილებული ქვეყნების ყმადნაფიცობის პირობით შემოერთებას და არა "დაპყრობას" და უშუალოდ შემომტკიცებას. ასეთ პირობებში, მეფე, ყმადნაფიცების გამრავლებით, სახელმწიფო საზღვრების უშიშროებას უზრუნველყოფდა და მონაპირე-მთავართა ძლიერებასაც ზღვარს უდებდა მხოლოდ. ამგვარად მოწყობილი ქვეყნის სამხედრო ძალებიც არ იყო ერთიანი და მტკიცე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის საქართველოს ჯარს უძ-

ლეველობის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მას ახასიათებდა ყველა ის სუსტი მხარე, რაც ჩვეულებრივი ფეოდალური ქვეყნის ჯარს. საქართველოს ლაშქარი თითოეული მხარის დროშის მქონებელი საერისთაოების მიხედვით იქმნებოდა და მას ერისთავი ედგა სათავეში. ისინი ხშირად არათუ მეფეს ორგულობდნენ, ერთი მეორესაც კი ებრძოდნენ. ერთმანეთისადმი დაპირისპირებულობა, ქიშპი, ღალატი, დისციპლინის სისუსტე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამიტომ ფეოდალური ლაშქარი მანამ იყო ძლიერი, სანამ ებრძოდა მისივე თვისებების მქონე ფეოდალურ ლაშქარს. ასეთ დროს გამარჯვება შეიძლება დამოკიდებული ყოფილიყო გარკვეულ სუბიექტურ თუ ობიექტურ პირობებზე.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოს სახელმწიფო წყობილებასა და მის ლაშქარს სულ სხვა სიტუაციაში მოუწია საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება-გამოცდა, რამაც ქვეყანას საბედისწერო შედეგები მოუტანა.

1220 წელს საქართველოს საზღვრებს მონღოლები მოადგნენ. ისინი აქ ხვარაზმელებთან გამარჯვების შემდეგ გამოჩნდნენ, როცა ხვარაზმშაჰ მუჰამედის შეპყრობის მიზნით ჩინგის ხანმა მის გამორჩეულ სარდლებს ჯებესა და საბუდაის 20 ათასიანი არმია გამოატანა და დაავალა მათ დაეზვერათ აგრეთვე ამიერკავკასიის კულტურული ქვეყნები. სწორედ ამ წელს მოუწიათ ქართველებს (გიორგი-ლაშა) შებრძოლება მონღოლებთან. მეორე ბრძოლაში იმდენად ორგანიზებულობა გამოუჩენიათ ქართველებს, რომ მონღოლები გასცლიათ მათ და ჩრდილოეთ კავკასიაში – ყივჩაყთა ქვეყანაში გადასულან. 1222 წელს გიორგი-ლაშა, როგორც ფიქრობენ, ყივჩაყებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა და საქართველოს მესაჭეობა კვლავ ქალს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, არა თამარისებრ ბრძენსა და ძლიერი ნებისყოფის პატრონს და დედის თანამოსაყდრეობით გამობრძმედილს, არამედ სახელმწიფო საქმეებში სრულებით გამოუცდელსა და პასუხსაგები მოვალეობისათვის შეუფერებელს, განებივრებულ არსებას (ჯავახი-

შვილი, 1982:8-9). მართლაც, პირველივე განსაცდელის ჟამს საქართველოს ხელისუფლებამ და მისი ჯარის მთავარსარდლობამ სრული უუნარობა, გაუბედავობა და დაბნეულობა გამოამჟღავნა. შური და ღალატი, რაც ხვარაზმელებთან ბრძოლაში (გარნისი) გამოჩნდა, ქვეყანას აშკარა კატასტროფას უქადდა ***(ქცა., 1959:170; შაიშმელაშვილი, 1981:39; ბ. დიასამიძე, 2005:22).***

ძალთა დაქსასულობა, დაბნეულობა და ერთიანი ხელმძღვანელობის უყოლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო 1235 წლიდან, როცა მონღოლები მოადგნენ საქართველოს. მენაპირე ერისთავებს დაავიწყდათ თავიანთი მოვალეობა და მტერზე დახვედრის ნაცვლად, მოსახლეობა უწინამძღოლოდ დატოვეს. ასე მოიქცა ვარამ გაგელი და შანშე მანდატურთუხუცესი. მეფემ თბილისის დაცვა ციხისთავს ანდო და თვითონ ისევ ქუთაისს გაიხიზნა. ავაგ მხარგრძელი, ივანე ათაბაგის შვილი რომელიც ახლა საქართველოს ჯარის მთავრსარდალი იყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზების ნაცვლად კაენის ციხეში ჩაიკეტა. შემდეგ კი ყველა ესენი მონღოლებს ეახლენ პატიების და საგამგეო მიწების შენარჩუნების თხოვნით. ასე, რომ ქვეყანა სრულმა დაქსასულობამ მოიცვა, მტერს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა, ეს კი იმით დამთავრდა, რომ 1242 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მონღოლებისადმი მორჩილება აღიარა და შესაბამისი ზავიც გააფორმა.

მაინც, რა გახდა მიზეზი ახლო აღმოსავლეთის ამ უძლიერესი სახელმწიფოს ასე უსახელოდ მარცხისა და კატასტროფის და რა შედეგები მოუტანა ამან საქართველოს, გეოსტრატეგიული ვითარების შეცვლისა, თუ სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით.

XIII საუკუნის დასაწყისში თამარისა და გიორგი-ლაშას დროის საქართველომ განვითარების იმ საფეხურს მიაღწია, როცა ეკონომიკური განვითარების ტენდენციებსა და მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას აშკარად აღარ შეესაბამებოდა სახელმწიფოს მმართველობის სისტემა. ამას დაემატა სუბიექტური

ფაქტორი (უნიათო ხელისუფლება-რუსუდანის მეფობა), რამაც განსაკუთრებით გაამძაფრა წინააღმდეგობა ქვეყანაში და შეასუსტა მისი სამხედრო ძლიერება. ამას დაერთო აღმოსავლეთიდან ისეთი ძალის გამოჩენა მონღოლ-თათრების სახით, რომელთა სახელმწიფოებრივი და სამხედრო წყობა და აგებულება აშკარად განსხვავებული იყო. დრომოჭმულსა და ძველს უპირისპირდებოდა ახალი მზარდი და ორგანიზებული ძალა. ახლადშექმნილმა მონღოლთა სამხედრო-არისტოკრატიულმა სახელმწიფომ შესაბამისი მტკიცედ ორგანიზებული სამხედრო ძალა შექმნა, რომელიც უმკაცრეს დისციპლინას ემყარებოდა (ჯავახიშვილი, 1982,:33-36). იგი შეიარაღებითაც არ ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგეებს ამავე ქვეყნების ვაჭრების წყალობით. ორგანიზებული იყო ეს ჯარი სურსათით მომარაგების მხრივაც, რადგან თან ახლდა თითოეულ დანაყოფს (ათეული, ასეული, ათასეული, ათიათასეული) ცხენების ჯოგები-მათი მთავარი საკვები. მეომართა დანაკლისის შევსება კი იმ "მოსახლეობიდან" ხდებოდა, რომელიც შორიახლო მიყვებოდა მას "დედაწულიანად," ამიტომ ასეთ ჯარს ხანგრძლივი მანევრირება შეეძლო და განსაკუთრებული თავგანწირვა ახასიათებდა. სხვა მხრივაც ხელშემწყობი პირობები დახვდათ მონღოლებს საქართველოსა და სხვა ფეოდალურ ქვეყნებში. დასაპყრობად მოსულ მონღოლებს მრავლად მიუდიოდნენ დახმარებისა და შველის თხოვნით კლასობრივ, თუ შინაკლასობრივ ბრძოლაში დაჩაგრულები, დიდების მაძიებელი აზნაურები და დიდებულები, ფეოდალების ძალმომრეობით თავმობეზრებული ვაჭრები ***(ბერძენიშვილი, 1973:102).*** მონღოლებს დიდ სამსახურს უწევდა ეკლესიაც, რადგან დამპყრობლებს სახავდა, როგორც ზეციურ ხელს, რომლითაც ღმერთი ცოდვილ ქვეყანას სჯიდა ***(ბერძენიშვილი, 1973:103).*** ეკლესიის მხარდაჭერა მონღოლებმა იმით მოიპოვეს, რომ ისინი სარწმუნოებისათვის არავის ავიწროებდნენ და კულტის მსახურები ყველგან პატივში ჰყავდათ.

ყველა ზემოთქმულის შედეგი იყო ის, რომ ზედიზედ მარცხდებოდნენ ოდესღაც ძლიერი ფეოდალური ქვეყნები მონღოლებთან ბრძოლაში. იგივე ძალამ დააჩოქა და დასცა ფეოდალური საქართველოს ძლიერება და სახელი, რისი აღდგენაც იმავე ხარისხში ფაქტობრივად ვეღარ მოხერხდა მომდევნო საუკუნეებში, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის არსებითად შეცვლის გამო. ამიერიდან იგი აღმოჩნდა მტრულად განწყობილი მუსლიმანური სახელმწიფოების (ირანი, ოსმალეთი, ჩრდლოკავკასიური მუსლიმანური სახანოები) გარემოცვაში.

2005 წ.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973
2. დიასამიძე ბ., ამაღლება – დაცემის ათწლეულები („დიდი ღამის" დასაწყისი), კრ. „საისტორიო მაცნე", ტ. XIV, ბათ., 2005.
3. ქართლის ცხოვრება, (ქცა), ტ. II, თბ., 1959
4. შაიშმელაშვილი ი., შამქორი, ბასიანი, თბ., 1981
5. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966
6. ჯავახიშვილი ი., თხზ., ტ. III, თბ., 1982

აფხაზები ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში

წაკითხულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველი ხალხის სოციო-კულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტური კვლევის საერთაშორისო კვლევის ცენტრის ინიციატივით ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე 2006 წლის 24 სექტემბერს.

აფხაზთა წარსულის, ეთნიკური წარმომავლობის, პირველ ადგილსაცხოვრისის, მათი ქართველ ტომებთან ურთიერთობის საკითხი აქტუალური იყო ყველა დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ განსაკუთრებულია ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება ახლა. ამ საკითხისადმი თავიანთი თვალსაზრისი აქვთ გამოთქმული აკადემიკოსებს ივ.ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს, მ.ლორთქიფანიძეს, დ.მუსხელიშვილს, ცნობილ მკვლევარს პ.ინგოროყვას, პროფესორებს, მ.ინაძეს, ნ.ლომოურს, ე.ხოშტარია–ბროსეს, გ. გასვიანს, თ. ვანცელაძეს, დ.ლეთოდიანს, ჯ.გამახარიას და ბ. გოგიას, გ.წულაიას, ტ.მიბჩუანს და ბევრ სხვას, რომლებიც ადრეფეოდალური ხანის აფხაზებს აფხაზეთის აბორიგენ მოსახლეობად და აქ მცხოვრებ ქართველ ტომთა მონათესავედ თუ ქართველური წარმოშობის ტომებად თვლიან. მაგრამ აფხაზი და, განსაკუთრებით, რუსი ისტორიკოსების დიდი ნაწილი აფხაზებს განიხილავენ ქართველებისაგან სრულიად უცხო, განსხვავებულ ხალხად, რომლებსაც ქართველებმა წაართვეს მიწაწყალი და წარსულიც. სწორედ ეს იდეოლოგია კვებავს დღევანდელ აფხაზ ექსტრემისტებსაც (ი. ვორონოვი, პ. ფლორენსკი, ა. ლოზინსკი, ვ. არძინბა, შ. ინა-ლიფა, ლაკობა და სხვა). ამიტომ საჭიროა ამ პრობლემის ირგვლივ მსჯელობა და კამათი.

მიგვაჩნია, რომ აფხაზებზე და აფხაზეთის საკითხზე მსჯელობისას უნდა გაირკვეს, რომელ აფხაზებზე ვსაუბრობთ: ადრეშუასაუკუნეების აფხაზ-აბაზგებზე, რომლებიც ისტორიული წყაროებით სხვა ქართულ ტომებთან ერთად ჩვ.წ.-ის I-II საუკუნეებიდან ჩანან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ XVI–XVII საუკუნეების შემდგომ აფხაზებზე, ანუ ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ აფსუა-აბაზებზე, რომლებიც შეერივნენ რა ადგილობრივ აბორიგენ აფხაზებს, მოირგეს მათი სახელი და ახლა გაჰყვირიან არაფერი გვაკავშირებს ქართველებთანო.

დღევანდელი ჩვენი მსჯელობა წარიმართება ადრეშუასაუკუნეების აფხაზებზე, მათ ურთიერთობასა და თანაცხოვრებაზე ქართველ ტომებთან, რაც უდავოს ხდის იმას, რომ აფხაზეთი ქართველებისა და აფხაზების საერთო სამშობლოა, აფხაზებიც ისეთივე ადგილობრივი ქართული წარმოშობის ან მონათესავე ტომები იყვნენ, როგორც სვანები, სანიგები, ლაზები, მისიმიელები და სხვა.

ახ. წ-ის დასაწყისამდე, ძველი მსოფლიო, დასავლეთ საქართველოს და აქ მცხოვრებ ხალხს, ერთი სახელწოდების ქვეშ (კოლხეთი-კოლხები) იცნობდა, თუმცა როგორც იმ დროის უცხოელი ავტორების ცნობები ცხადყოფენ, აქაური მოსახლეობა არ ყოფილა ერთგვაროვანი, (ასახელებენ აქაელებს, ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს და ა.შ.), ამიტომ ძველ წყაროებში ცნება „კოლხები" და „კოლხიდა" წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და კოლხეთის სახელმწიფოს აღნიშნავს.

II საუკუნეში ჩნდება ცნობები აქ ოთხი სამეფოს (ლაზების, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების) არსებობის შესახებ *(ფლავიუს არიანე, 1961:42-43).*

ფლავიუს არიანეს მიხედვით, აბაზგები აფსილებსა და სანიგებს შორის ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ კონკრეტულად სად, მითითებული არაა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული აზრია მათი საც-

ხოვრისის შესახებ. ერთნი აბაზგთა საცხოვრებელ ადგილს ზღვისპირას ვარაუდობენ, მეორენი კი უფრო ჩრდილოეთით-აფხაზეთის მთიანეთში. ამ უკანასკნელ მოსაზრებას სარწმუნოს ხდის ისიც, რომ პროკოპი კესარიელის მიხედვით, აბაზგები გაცილებით გვიან გაქრისტიანებულან, ვიდრე ლაზები, აფსილები და სანიგები. აბაზგები რომ არიანეს დროიდან ზღვისპირეთში ყოფილიყვნენ დასახლებული, მაშინ ისინიც ლაზებთან, აფსილებთან და სანიგებთან ერთად, ადრიდანვე ეზიარებოდნენ ქრისტიანობას, რადგან უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები ამ მხარეში I საუკუნიდან ქრისტეს პირველმოციქულთა მისიონერულ საქმიანობას ადასტურებენ ***(ბ. დიასამიძე, 2000:85-86).***

VI საუკუნის დასაწყისიდან აბაზგები თანამედროვე აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში ჩანან. უნდა ვივარაუდოთ, რომ V საუკუნის შუა ხანებიდან, როცა გუბაზ პირველის მეფობისას გამწვავდა ურთიერთობა ბიზანტია-ეგრისს შორის, ბიზანტიამ დასაყრდენ ძალად ეგრისში აბაზგები აირჩია და ხელი შეუწყო მათ გადმონაცვლებას სამხრეთით, ზღვის სანაპირო ზოლისაკენ აფსილებისა და სანიგების მიწების ხარჯზე ***(ფლავიუს არიანე, 1961:104; ლეთოდიანი, 1991:136).*** სწორედ ამ დროიდან უნდა ზიარებოდნენ ქრისტიანულ იდეებს აბაზგები, რადგან ამ მხარეში IV საუკუნიდან უკვე ფუნქციონირებდა ბიჭვინთის ცნობილი საეპისკოპოსო.

თუ ყველა ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, აშკრად ჩანს აბაზგთა იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ არეალში თანაცხოვრება, რომელშიც იმყოფებოდნენ მისი მეზობელი სანიგები, აფსილები და ლაზები.

პროკოპი კესარიელი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ აბაზგები VI საუკუნეში, იუსტინიანეს მმართველობის ხანაში გაქრისტიანდნენ. იგი წერს: „აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი, ამათგან ერთი დაწესებული იყო დასავლეთის ნაწილში,

ხოლო მეორე აღმოსავლეთისაში. ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს, ხეები ბარბაროზს რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია... იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. მათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა... იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები *(გეორგიკა, II, 1965:133-135).*

აქ აბაზგები დაუახლოვდნენ ქართველ ქრისტიან ტომებს, მათგან შეითვისეს ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი და ტერმინოლოგიაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მკვლევარ თ.გვანცელაძის დაკვირვება. იგი წერს, რომ თუ აფხაზთა წინაპრებმა უშუალოდ ბერძნებისაგან შეითვისეს ქრისტიანობა და ეს რჯული მათში მასობრივად იყო გავრცელებული, მაშინ აფხაზურ ენაში შემორჩენილი უნდა იყოს ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ტერმინოლოგიის კვალი. კვლევით კი აღმოჩნდა, რომ ბერძნული წარმოშობის ქრისტიანული ტერმინები აფხაზურ ენას ნასესხები აქვს არა უშუალოდ ბერძნული ენიდან, არამედ მთლიანად არის შეთვისებული ან ქართულისაგან, ან კიდევ კოლხური ენის მეგრული დიალექტისაგან... მოსალოდნელი იყო სვანური ქრისტიანული ტერმინოლოგიის არსებობაც აფხაზურში, მაგრამ თანამედროვე აფხაზურ ენაში იგი აღარ შეინიშნება. ჩანს, სვანური ლექსიკა იმდენად დიდი ხნის წინ არის ნასესხები, რომ მომდევნო პერიოდში მეგრულის ძლიერმა ზეგავლენამ იგი უკანა პლანზე გადასწია *(გვანცელაძე, 1996:76).*

არსებით განსხვავებას აფიქსირებს, იგივე მკვლევარი ჩვენს კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში, ძველი, XVI საუკუნემდელი აფხაზებისა და ახალი აფხაზების (XVI ს. შემდეგი) გვარსახელების სტრუქტურულ გაფორმებაშიც, რაც ძველ აფხაზთა ქართველებთან ეთნიკურ ერთიანობაზე ან ნათესაობაზე მიუთითებს.

ამავე მოსაზრების ჭეშმარიტებაზე მიგვითითებენ აქ გავრცელებული ტოპონიმებიც. „ამა თუ იმ ტერიტორიის უძველესი ტოპონიმიკა... –წერს მკვლევარი დ.გოგოლაძე, ეს არის არქაულ ეპოქაში აქ მცხოვრები ეთნოსის ენობრივი ანაბეჭდები... დღევანდელ აფხაზეთში არსებული უძველესი ტოპონიმები: ცხუმი, ბიჭვინთა, მოქვი, ფუსტა, ჯიხა-ხორა, წებელდა, დარენი და კიდევ სხვა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ (ქართულ-მეგრულ-სვანურ) ენობრივ სამყაროს განეკუთვნება.. ეს იმას მოწმობს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი მკვიდრი-აბორიგენი მოსახლეობა მხოლოდ ქართულ-კოლხური ტომები იყო *(გოგოლაძე, 1995:29-31).*

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, აფსილების, აბაზგებისა და სანიგების დამეზობლება ზღვისპირა ზოლში სავარაუდებელია შედარებით გვიან V საუკუნის II ნახევრიდან, ბიზანტია-ლაზიკას შორის ურთიერთობის დაძაბვის დროიდან (გუბაზ I ხანა). პროკოპი კესარიელის ნაშრომის შექმნის დროისათვის, (VI ს. შუა ხანები) უკვე 80 წელზე მეტია გასული. ამ ხნის მანძილზე ადგილობრივ ქრისტიან ქართველ ტომებთან თანაცხოვრება აბაზგებზე გავლენას მოახდენდა და იუსტინიანეს დროისათვის რთული აღარ იქნებოდა მათში ქრისტიანული რწმენის განმტკიცება. პროკოპი კესარიელის აზრს აბაზგთა გვიან გაქრისტიანების შესახებ ადასტურებს მისი თანამედროვე ბიზანტიელი მწერალი ევაგრი სქოლასტიკოსი *(გეორგიკა, III, 1936:297),* ასეთივე შინაარსის ცნობას იძლევა XI–XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე იოანე ზონარა *(გეორგიკა, VI, 1966:230).* ამ ცნობებს ეყრდნობა ეფრემ მცირე *(ჟორდანია, 1897:53)* და „ქართლის ცხოვრების" დამატებაც *(ქცა_,1955:215).* თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აბაზგთა გაქრისტიანების დრო კიდევ უფრო დაზუსტებულია სხვადასხვა ფაქტის გათვალისწინებით და თავსდება 535-548 წლებს შორის *(ლეთოდიანი, 1991:100).*

ასე, რომ აბაზგი (აფხაზი) ტომების მთიდან ბარში ჩამოსახლებისა და ქრისტიანობის მიღების შემდეგ (V–VIსს.) ერთიან

ქართულ სივრცეში მოექცნენ, თუმცა იქაც, მთიანეთშიც სვანებთან მეზობლობდნენ. ამ დროს ლაზიკის (ეგრისის) სამეფოშია გაერთიანებული მთელი დასავლეთი საქართველო ერთიანი ეკლესიით, რომლის ცენტრი, ჩვენი აზრით, ფაზისის სამიტროპოლიტო უნდა ყოფილიყო, რადგან 542 წელს თვით ბიზანტიელების მიერ დანგრეული პიტიუნტის (ბიჭვინთის) აღდგენისათვის აღარავის უზრუნია. უფრო სებასტოპოლისის აღმშენებლობა–დაწინაურებას უწყობდნენ ხელს ბიზანტიელები, შემდგომში თავიანთი მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ალბათ, ამით იყო განპირობებული აქ ჯერ (VI ს.) საეპისკოპოსოს, შემდეგ კი (VIIს.) საარქიეპისკოპოსოს შექმნაც. ამიერიდან ჩაეყარა საფუძველი ეგრისისა და აფხაზეთის სამთავროებს თავიანთი საეკლესიო ეპარქიებით (ფაზისის სამიტროპოლიტო, სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო), თუმცა ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ და მათ ერთ სამეფოდ – ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ გაერთიანებას არ დაჭირვებია ძალის გამოყენება.

ამ დროის აფხაზები ისე, როგორც სხვა ქართველი ტომები, ეგრისში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მონაწილენი და შემოქმედნი არიან. ქმნიან ერთიან დასავლურ ქართულ კულტურას, რომელიც დაედო საფუძვლად ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფოს შექმნას. აფხაზები ქართველ ტომებთან (ლაზები, სანიგები, სვანები, აფსილები...) ერთად ებრძოდნენ ბიზანტიელებსა და ირანელებს, შემდეგ ერთად დაღვარეს სისხლი ანაკოფიასთან არაბებთან ბრძოლაშიც. ამდენად, აფხაზებისა და სხვა ქართველი ტომების მონაპოვარია ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა დაფიქსირებული (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, წებელდა, მოქვი, დრანდა ანაკოფია...).

აფხაზები, როგორც ეგრისის სამეფოს მცხოვრებნი, იმავე ენითა და დამწერლობით სარგებლობდნენ, რითაც ამ სამეფოში გაერთიანებული სხვა ქართველი ტომები. ეს ენა, სახელმწი-

ფო–საკანცელარიო და ღვთისმსახურების ენა, იყო ქართული, და არა ბერძნული, როგორც თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული (სინ, 1973:428), რადგან საკუთრივ ბიზანტიაშიც კი VII საუკუნემდე სახელმწიფო ენად ლათინური გამოიყენებოდა და არა ბერძნული *(ყაუხჩიშვილი, 1948:97; Васильев, 2000:158-159, ალასანია, 200:7),* ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ბიზანტიაზე ნომინალურად დამოკიდებული ეგრისის ხელისუფალნი არ დაუშვებდნენ აქ ბერძნული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას *(დიასამიძე, 2002:80).* ამას ისიც ადასტურებს, რომ VI საუკუნის შუა ხანებისათვის ეგრისის მოსახლეობამ არ იცის ბერძნული ენა არა თუ სალაპარაკოდ, ნათქვამის გაგებაც არ შეუძლია *(გეორგიკა, 1936:125-127).* ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ მხოლოდ ერთ ამონარიდს VI საუკუნის მოღვაწის აგათია სქოლასტიკოსის მიერ მოწოდებული გუბაზ მეფის მკვლელთა (554წ.) გასამართლების სცენიდან: „ბრალმდებლები, რომ ასეთ ბრალდებებს აყენებდნენ, კოლხთა ლაშქარს, რომელიც იქვე იყო თავმოყრილი, არც ნათქვამი სიტყვები ესმოდა და არც აზრების მნიშვნელობის გაგება შეეძლო; მაგრამ იმას კი ხვდებოდნენ ისინი, თუ რის გამო იყო თითოეული მათგანი გამოთქმული და მათი კამათის დროს თავიანთ გულისნადებსაც ურთავდნენ და მათთან ერთად მიხვრა–მოხვრასაც იცვლიდნენ. ისინი იცვლიდნენ გუნებას იმისდა მიხედვით, იმედს ამჩნევდნენ ბრალმდებლებს, თუ სასოწარკვეთას" (გეორგიკა III). ამ დროს ეგრისელები, მათ შორის აფხაზებიც, სარგებლობდნენ ქართული დამწერლობით. თუ აქამდე ამის თქმა ძნელი იყო იმდროის ეპიგრაფიკული ძეგლების არარსებობის გამო, ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენები ამის თქმის საფუძველს იძლევიან. მკვლევარ გ. ნარსიძის მტკიცებით, წებელდის ცნობილ ბარელიეფზე ქართული ასომთავრული წარწერაა, რომელიც IV საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება. იგი წერს: „შედარებით კარგად შემონახული ცალკეული ასოების მიხედვით ირკვევა, რომ წარწერები შესრულებული იყო ოთხ ენაზე: ქართულად (ასომთავ-

რული), ბერძნულად, არამეულად და ფალაურად" *(ნარსიძე, 2000:14).* ამ თვალსაზრისით საინტერესოა ანუხვის მღვიმის ქართული წარწერებიც, რომლებსაც მკვლევარი ლ.მარუაშვილი V–VIII საუკუნეებით ათარიღებს *(ფირჩხაძე, 2002:24),* ასევე საინტერესოა ინფორმაცია, ზუგდიდში ენგურქაღალდკომბინატის ტერეიტორიაზე ასომთავრული წარწერების აღმოჩენის შესახებ, რომელიც IV–VI საუკუნეებით თარიღდება (ოდიშელი,2005). ამ ფონზე კიდევ უფრო მეტ დატვირთვას და მნიშვნელობას იძენს იერუსალიმის უდაბნოში, ბეთლემში აღმოჩენილ „ლაზთა მონასტერში" ქართული წარწერები, რადგან, როგორც აკად. ს.ყაუხჩიშვილი მიუთითებდა, „ის მონასტერი რამენაირად მართლა ლაზების სახელთან რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული, პროკოპი არ უწოდებდა მას „ლაზთა მონასტერს" *(ქცა_,1959:62).* მართლაც, როგორც ჩანს, მონასტრის ქართული წარწერების ავტორმა იცოდა, თუ რომელი ენით სარგებლობდა ლაზიკის მოსახლეობა და ამიტომაც გააკეთა წარწერა ქართულად.

ყველა ზემოთქმულის შემოქმედი, პატრონი და მომვლელი იყო ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობა, მათ შორის აფხაზებიც და თუ ასწლეულების შემდეგ აფხაზების ენასა და დამწერლობაზე, მათ გენეზისზე გვჭირდება მსჯელობა და ფიქრი, მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზთა სახელი კარგად მოირგეს და გამოიყენეს XVI–XVII საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულმა აფსუა-აბაზებმა *(Гасвиаии,2000:157; ჩვენო საქართველო, 2002:16),* რომლებსაც ევალებათ, თუ ადრინდელი აფხაზების მემკვიდრეებად თვლიან თავს, აღიარონ აფხაზთა ძველი ისტორიის რეალობა, პატივი სცენ ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ თანაძმობასა და მეგობრობას და შეეცადონ, რომ თანამედროვე საზოგადოებრიობას აჩვენონ ქართველებთან თანაცხოვრების შესაძლებლობა.

სექტემბერი, 2006 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გ. ალასანია, ვ. გოილაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორიის პირველი სრული გამოკვლევა, თბ., 2000.
2. არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ.კეჭედმაძისა, თბ., 1961.
3. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965.
4. გეორგიკა, III, თბ.,1936.
5. გეორგიკა, VI, თბ., 1966.
6. გვანცელაძე თ., ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. –კრ. ქართველური მემკვიდრეობა, I, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1996.
7. გოგოლაძე დ., „აფხაზთა საკითხისათვის, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995.
8. დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I–X სს. ბათუმი, 2002.
9. დიასამიძე ბ., უძველესი საეკლესიო ცენტრები დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 2000.
10. ლეთოდიანი დ. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგების პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV–VIII სს. თბ., 1991.
11. ნარსიძე გ., წებელდის წმინდა გიორგის ხატი, კრ. ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია, თბ., 2000.
12. ოდიშელი ნ., ზუგდიდში ასომთავრული წარწერები აღმოაჩინეს, გაზ. „ვერსია", N294 4-6 მარტი, 2005.
13. ჟორდანია თ., ქრონიკები, II, თფ.1897.
14. ფირჩხაძე მ., ქრისტიანობის გავრცელების ისტორია დასავლეთ საქართველოში (I–IV სს), ავტორეფერატი, თბ., 2002.
15. ქართლის ცხოვრება, ტ.I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
16. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
17. ყაუხჩიშვილი ს., ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948.
18. ჩვენო საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ, ავტორ–შემდგენელი ნ.ფოფხაძე, თბ., 2002.
19. Васильев А.А. История Византийской империи, СПб., 2000
20. Гасвиани Г., Афхазия. Древние и новые Афхазы, Тб., 2000

უფლის ტაძარი დიდაჭარაში

წაკითხულია რესპუბლიკურ კონფერენციაზე ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარაში, 2007 წლის 28 აპრილს

130 წლის წინათ ჩვენს მხარეში საგანგებო დავალებით ჩამოსული ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი და მრავალმხრივ განათლებული მკვლევარი გიორგი ყაზბეგი თავის წიგნში „სამი თვე თურქეთის საქართველოში," წერდა: „უკანასკნელი ტერასიდან სოფელ ღორჯომში ჩასვლისას მსხვილი რქოსანი საქონლის დიდი ჯგუფი დავინახეთ; მწყემსად პატარა ბიჭები ედგათ, ჩვენამდე ამოდიოდა მათი ჟივილ–ხივილი. ძალიან დავინტერესდი ... პირველად ვხედავდი აჭარლებს და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ნუთუ ერთმანეთს თურქულად ელაპარაკებიან-მეთქი! ნუთუ აჭარაში საქართველო გაქრა? ბოლოს ახლოს მივედით და...აღტაცებული დავრჩით – ბიჭები ქართულად ილანძღებოდნენ!... რა სახეებია! ძონძები რომ გახადოთ, გეგონებათ დიდკაცის დარბაზებში გაზრდილანო, ისეთი ლოყაწითელი და ლამაზები არიან (ყაზბეგი, 1995:59).

იმავე 1874 წელს, აჭარაში ხანგრძლივი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს რელიგიის საკითხებთან დაკავშირებით, ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე შემდეგნაირად გადმოგვცემს: „აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრიეს, მაგრამ მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათ გარშემო კორომები ხელშეუხლებლად მიაჩნია... აჭარლები გამგები და საზრიანები არიან, ადვილად, ძალდაუტანებლად ემორჩილებიან კეთილ გავლენას (ბაქრაძე, 1987:72-74), ხოლო გიორგი ყაზბეგი იმავე საკითხზე მიუთითებდა: „აჭარელთა თქმულებანი წარსულ საუკუნეს არ სცილდება, ისე კი ყველგან და ყველასთან გაიგონებთ თამარ მეფის სახელს, ან მოისმენთ იმ ამბავს, რომ

ოდესღაც მთელი აჭარა ქრისტიანული ქვეყანა იყო, რომ მთებს იქით ცხოვრებენ მათი ძმები და ნათესავები–ქართველები" (ყაზბეგი, 1985:65).

სწორედ ამ გამორჩეულმა თვისებებმა, ღრმა ისტორიულმა მახსოვრობამ მამა-პაპური ტრადიციებისადმი, ქართული ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულებამ, გახადა შესაძლებელი ძალით წართმეული რწმენის დაბრუნება და საქართველოს, და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ევროპის უძველეს ქრისტიანულ ადგილას–დიდაჭარაში უფლის ტაძრის აღდგენა–მშენებლობის სურვილის გაჩენა.

ორათასამდე წელია გასული, რაც საქართველოს მიწაზე, ისტორიულ ქართლსა და კოლხეთში იქადაგეს ქრისტეს მოძღვრება წმინდა მოციქულებმა, უფალი იესოს მოწაფეებმა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. რამდენადაც ამის დამადასტურებელი ქართული წყარო მოგვიანო ხანისაა (X ს.) და ზოგიერთი მკვლევარი ნაკლებად სარწმუნოდ თვლის იქ მოცემულ ინფორმაციას, პირველ რიგში საჭირო იქნება იმ ცნობების მოტანა, რომელსაც გვაწვდიან ამ საკითხთან დაკავშირებით ბერძენი და რომაელი ავტორები. მეორე საუკუნის მოღვაწე წმინდა ირინეოს ლიონელი ქრისტიანული ეკლესიის ერთიანობაზე ქადაგებისას ამბობდა: „თუმცა ერები მსოფლიოში სხვადასხვაა, მათი გადმოცემის ძალა ერთი და იგივეა. არც ეკლესიებს, დაფუძნებულთ გერმანულ ქვეყნებში, არც ივერიის ეკლესიებს, არც კელტებს, არც აღმოსავლეთში, არც ეგვიპტეში, არც ლიბიაში განსაკუთრებულად არ სწამთ („ჯვარი ვაზისა," 1982:5). ამ ამონარიდში ისაა საინტერესო, რომ უკვე II საუკუნეში ჩვენთან ივერიაში ეკლესიები ყოფილა. მოგვიანო ხანის ავტორები უფრო კონკრეტულად ასახელებენ ქრისტეს პირველმოციქულებსაც და იმ ადგილებსაც, სადაც მათ უქადაგიათ.

III–IV საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე ევსევი კესარიელი ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო ადგილად სკვითიას ასახელებს (გეორგიკა, 1961:29-30), დოროთეოს ტვირელი და ეპი-

ფანე კვიპრელი=დიდ სებასტოპოლისს, აფსარის ციხეს და მდინარე ფაზისს (ინგოროყვა, 1954:223); თეოდორიტე კვირელი–ავაზგიას (აფხაზეთს), ქართლს, დიდ სებასტოპოლისს, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი (ინგოროყვა, 1954: 214), VIII საუკუნის დასასრულის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლელი ჩამოთვლის რა ადგილებს: სკვითიას, დიდ სებასტოპოლისს, აფსარის ციხეს, ჰისოს ნავსადგურს, მდინარე ფაზისს, ასახელებს იქ მცხოვრებთაც: იბერიელებს, სუსებს, ფუსტებს და ალანებს (გეორგიკა, 1941:57-58).

IV საუკუნის მოღვაწეს სოფრონის მიეწერება ცნობა, რომლის მიხედვით, „ანდრიამ იქადაგა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და მდინარე ფაზისი. იქვე ანდრია პირველმოწოდებულის თანამოღვაწის–მატათას შესახებ ნათქვამია, რომ „მატათამ...იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე და ჰისის ნავსადგური! იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე" (ინგოროყვა, 1954:223-224). „საეკლესიო ანალებში" (VII ს.) ნათქვამია: იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხეთად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი პაპის წმინდა კლემენტის შემწეობით მიიღო. ეს უკანასკნელი იმ მხარეში გადასახლებული იყო (ტაბაღუა, 1984:65). იმპერატორი ტრაიანე 98–117 წლებში მმართველობდა, ხოლო წმინდა კლიმენტის პაპობის წლებია 88-97. თუ გავითვალისწინებთ IV საუკუნის ფილოსოფოსის– ლიბანიოსის მითითებას, რომ „სკვითიაში" შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორია იგულისხმება (გეორგიკა, 1961:68), მაშინ ყველა ზემოთჩამოთვლილი ადგილები საქართველოს საზღვრებში თავსდება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, პალესტინა–იუდას მსგავსად, საქართველოც რომაელთა ბატონობას განიცდიდა, მნიშვნელოვან ციხეებში მცირე აზიელებით დაკომპლექტებული რომაული

გარნიზონები იყო ჩაყენებული, რომელთა შორის არაერთი ქრისტიანულ იდეებს იქნებოდა ნაზიარები. ამას ემატებოდა ადგილობრივ ქურუმთა და ხელისუფალთა ბატონობის სიმძიმე, მთიელთა სისტემატური ჩამოხდომები. ყველაფერი ეს მოსახლეობას უმძიმეს პირობებში აყენებდა და ამზადებდა საფუძველს აქ ქრისტიანული იდეების გასავრცელებლად.

ამ პროცესს ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოში ებრაელთა მასობრივი მიგრაცია ახ. წ-ის I საუკუნის 70-ნ წლებში. ვფიქრობთ, ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, აგრეთვე ზეპირსიტყვიერი, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური და არქეოლოგიური მასალების ანალიზით, დამაჯერებელი ჩანს სწავლულ კაცთა კომისიის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი X ს-ით დათარიღებული ცნობები საქართველოში ქრისტეს პირველმოციქულთა სამისიონერო საქმიანობის შესახებ. მით უმეტეს, რომ არაპირდაპირ ამ ინფორმაციას ადასტურებს VIII საუკუნის ავტორი იოანე საბანისძე თავის „აბოს წამებაში." იგი თხზულების დასაწყისში აჩვენებს რა არაბთა ბატონობისას ქართლში შექმნილ მძიმე რელიგიურ ვითარებას, წერს: „მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტეს სახარებისსა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარესღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა" (ქართული პროზა, I, 1981:119).

თუ ქართველებმა სახარება VIII საუკუნიდან „ხუთასის წლის უწინარესღა" იცოდნენ, ეს იმასვე ამტკიცებს, რაც „ქართლის ცხოვრების" ჩანართშია ნათქვამი. „ქართლის ცხოვრება" კი გვაუწყებს, რომ იესო ქრისტესა და მისი მოძღვრების შესახებ პირველი ცნობა საქართველოში, კერძოდ ქართლში, პირველი საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოვიდა, როცა იესომ თავი ღვთის ძედ გამოაცხადა და იერუსალიმელმა ებრაელებმა მიიწვიეს ყველა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც „მეც-

ნიერნი სჯულისანი," რათა „განებჭოთ და განეკითხათ" ეს საკითხი.

მცხეთიდან გამგზავრებული ელიოზისა და ლონგინოზ კარსნელის იერუსალიმში ჩასვლამდე მაცხოვარი ჯვარს აცვეს და წილისყრით უფლის კვართი მცხეთელ ებრაელებს ერგოთ. უკან დაბრუნებული ელიოზის დამ „უსასურვილესი იგი ყოველთა სასურველთა კუართი მხსნელისა ჩუენისა... სიყუარულით შეტკბო მკერდსა თვსსა და მეყსეულად სულნი წარხდეს ნეტარსა მას დედაკაცსა (ქცა_, 1955 :37).

ილიოზის დის ასეთი უცნაური სიკვდილის ამბავი „განისმა ყოველსა მას ქალაქსა მცხეთას" და გააკვირვა ყველა. ასე, რომ ქრისტეს მოწამებრივი აღსასრულის შესახებ საქართველოში, ადრევე გაიგეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან გაჩნდა ინტერესი მის სახელთან დაკავშირებული მოძღვრებისადმიც (დიასამიძე, 2001:31).

„ქართლის ცხოვრების" ჩანართშივე ნათქვამია, რომ მაცხოვრის ცად ამაღლების შემდეგ, მისმა მოწაფეებმა სამოციქულოდ გაინაწილეს ქვეყნები. საქართველო ღვთისმშობელ მარიამს ერგო, მაგრამ მას გამოეცხადა უფალი და ურჩია „ჰოი, დედაო ჩემო... წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა და თანა–წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს, და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს, მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა" (ქცა,_1955:38).

საქართველოში მოვლინებული ანდრია „მოვიდა... ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა." საფიქრებელია და უცხოელ ავტორთა ცნობებიც ადასტურებენ, რომ ტრაპიზონიდან მოციქულები ჯერ გონიო-აფსაროსში შემოვიდნენ და შემდეგ, როგორც პროფ. ი.სიხარულიძე ვარაუდობს, ახლანდელი ახალსოფელი-თხილნარი-მახო-სიმონეთი-მირვეთის გზით უნდა გადასულიყვნენ აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს და სოფელ კიბეზე გავლით აყოლოდნენ აჭარისწყლის ხეობას (სიხარულიძე,

1991). წყაროც ხომ იმას გვაუწყებს, რომ მოციქული „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა... და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად (ქცა_, 1955:39). იქ, სადაც ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს, „აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი," მოციქულმა „დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი... აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთიმშობლისასა." როცა მოციქულმა წასვლა ინება, მოსახლეობამ თხოვა „უკეთუ შენ წახვალ, ხატი ეგე ყოვლად–წმიდისა ღვთისმშობლისა აქა დაგვისვენე, სასოდ და მცველად ჩვენდა."

„ქართლის ცხოვრებიდან" მოტანილი ამონარიდები კარგად აჩვენებს იმ განწყობილებას, რასაც მოციქულთა ქადაგება და საქმიანობა იწვევდა მოსახლეობაში.

ორ ათას წლამდეა გასული დიდაჭარაში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლიდან, უფლის ზეციური მადლის მოფენიდან. დრომ და ისტორიულმა ქარტეხილებმა ბევრი რამ მეხსიერებიდან და მიწის ზედაპირიდან წაშლა, აღარ ჩანს იმ პირველი ეკლესიის ნანგრევებიც, მაგრამ დარჩა მძლავრი ბალავარი ქართველობისა და წყარო ჩვენი რწმენისა, რომელიც უწყვეტლად მოედინებოდა და მოედინება საზრდოდ ქართული ეროვნული ცნობიერებისა, რომელმაც უფლის ახალი ტაძარი უნდა ააშენოს დიდაჭარას, როგორც ძეგლი და სალოცავი ჩვენი წარსულისა და მომავლის.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987

2. დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I–X სს., ბათუმი, 2001.

3. ევსევი კესარიელი, გეორგიკა, I, თბ., 1961.

4. ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, გეორგიკა, IV, ნაკ. I, თბ., 1941.

5. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

6. სიხარულიძე ი., ანდრია პირველწოდებული დიდაჭარას, გაზ. „აჭარა," 5-10, 1991.

7. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ს სააღდგომო ეპისტოლე, „ჯვარი ვაზისა," N1, 1982.

8. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1984

9. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

10. ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.

11. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათუმი, 1995.

ერის ღირსებისა და ისტორიის დიდი ქომაგი

წაკითხულია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2007 წლის 7 დეკემბერს.

1907 წლის 9 სექტემბერს, ილიას ნეშტთან გამოთხოვებისას, ავადმყოფმა აკაკი წერეთელმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები... ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე" – (ა. წერეთელი 1990.:411).

ასი წელია გასული დიდი მგოსნის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმიდან; ასი წელია, რაც საქართველოს აღარ ჰყავს თავისი უგვირგვინო მეფე, მუდამ მის ბედზე, ღირსებასა და ისტორიაზე მზრუნველი ქომაგი. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ კვლავ დარჩა ის პრობლემები, რომლებიც მუდმივ საფიქრალად იყო ქცეული დიდი მწერლისა და მოღვაწისათვის. ისევ გვედავებიან ქართულ მიწებსა და სალოცავებს, საფრთხე ემუქრება ჩვენს ენასა და ისტორიას, ვერ მოგვიხერხებია „ერთ-სულ, ერთ-ხორც" გაერთიანება, და იმ ოცნების ჭეშმარიტად და სრულად განხორციელება, რასაც ლელთ ღუნია ოცნებობდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო!"

ამიტომ ილიას ნაფიქრალ-ნააზრევი ამ პრობლემებზე ისევე აქტუალურია დღეს, როგორც 100-140 წლის წინათ, როცა უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში მიმავალი ახალგაზრდა პოეტი აყალიბებდა თავისი მომავლის პროგრამასა და სამოქ-

მედო გეგმას. ლექსში „ქართველის დედას" იგი აცხადებდა, რომ სწორედ მის თაობას ევალება ახალი ცხოვრებისა და მომავლის აშენება:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი ...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს... "

(ჭავჭავაძე, 1957:18).

მაგრამ როგორ, რა საშუალებებით უნდა გაკეთდეს ეს, აფიქრებდა და მოსვენებას არ აძლევდა მწერალს. „მე შევძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო" – სვამს კითხვებს თავის „მგზავრის წერილებში" და იქვე პასუხობს, რომ მხოლოდ ბრძოლითა და მოძრაობით გახდება ეს შესაძლებელი: „დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მდვრიე თერგი! თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მდვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ–ტუტა... ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი" (ჭავჭავაძე, 1957:181).

მაინც რა არის მთავარი სატკივარი, რაც ილიას და მთელ ქვეყანას აწუხებს? მწერალმა იგი ოთხი სიტყვით ჩამოაყალიბა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" და ისიც მოხევე ლელთ ღუნიას ათქმევინა: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის"... (ჭავჭავაძე, 1957:175).

მთავარი სატკივარი და საფიქრალი მწერლისათვის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაა, მისი ტრადიციების, ცხოვრების

წესის, ენისა და ისტორიის დაცვაა, რადგან ახალ პირობებში, რუსეთის ცარიზმის ბატონობის პირობებში, ყველაფერ ამას საფრთხე დაემუქრა. ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება კი ვერ განხორციელდება თვინიერ პიროვნების ხსნისა (ბაქრაძე, 1984:113), ამიტომ ილია არანაკლებ ყურადღებას უთმობდა თავის თხზულებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში პიროვნების თავისუფლებისა და მისი ფუნქციების განსაზღვრას საზოგადოებაში („განდეგილი", „აჩრდილი," „სარჩობელაზედ"...).

* * *

ილია და მისი თანამოაზრენი, სამოციანელები აშკარად ხედავდნენ, რომ დიდი იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული ქვეყნის თავისთავადობის შენარჩუნების მთავარი საშუალება ეროვნული ცნობიერების განმტკიცება იყო, რაც ქართული ენის, წარსულის გმირული ისტორიის და ერის ღირსებისა და უფლებების დაცვაში უნდა გამოხატულიყო, რადგან რუსეთის იმპერიულ მანქანას ყველაზე მეტად სწორედ ამ ღირებულებებზე მიჰქონდა იერიში. რაც მეტად საშიში იყო, ამ მზაკვრული გეგმის შესრულებაში ხშირად ქართველებიც მონაწილეობდნენ.

1860 წელს გამოქვეყნდა ილიას წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილი"-ს თარგმანზედა," რომელშიც მკაცრადაა დაგმობილი მშობლიური ენისადმი უდიერი, უპატივცემულო მოპყრობა. ავტორი სამართლიანად აღშფოთებულია, რომ რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეზიის მქონე ქვეყნის შვილმა თარგმნა ერთი უსახური პოემა ისე ცუდად, რომ უკვირს "კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!" (ჭავჭავაძე, 1986: 15) ამ სტატიაშია ნათქვამი ილიას ის სიტყვები, რომელიც დღესაც საყოველთაო მოწოდებად ჩანს: "სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატ-

რონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?" (ჭავჭავაძე, 1986: 25).

ილია თვლის, რომ ენას გაფთხილება და მოვლა სჭირდება, ამიტომ მისი სიწმინდის დაცვა ყველას ვალია. ლექსში „პასუხის პასუხი" მამების თაობას იგი შემდეგნაირად მიმართავს: "მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის, მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა, მაგრამა გმობა ენისა მტრობა, ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?" (ჭავჭავაძე, 1957: 66).

XIX სს. 60-იან წლებში ენის საკითხზე გაჩაღებული კამათი და ბრძოლა „მამებსა" და „შვილებს" შორის იყო ბრძოლა რუსეთის დამოკიდებულების ქვეშ მოქცეული ქვეყნის ცხოვრებაში მშობლიური, ეროვნული ენის კანონიერი ადგილის დაკავებისათვის. ამასთან, „ეს იყო ბრძოლა არა ახალი ენის შექმნისათვის, არამედ შექმნილისა და უკვე არსებულის გამოყენებისათვის ლიტერატურაში; ეს იყო ბრძოლა ახალი ქართულის უფლებისათვის ისტორიულს ასპექტში – ბრძოლა (სამი სტილის თეორიის წყალობით) დაკარგული უფლებების აღდგენისათვის" (ჩიქობავა, 1938:7).

ახალმა თაობამ, სამოციანელებმა ფაქტობრივად გააკეთეს განაცხადი, რომ არავის აპატიებდნენ მშობლიური ენისადმი უპატივცემულობას და, მით უმეტეს, მისი უფლებების შეზღუდვა–შევიწროვებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ილიას მიერ 1877 წელს გამოქვეყნებული წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ." მისი დაწერის საბაბი გახდა გორის საოსტატო სემინარიის ხელმძღვანელობის მიერ სასწავლო საგნებიდან ქართული ენის ამოგდება. ეს რომ მათ გაემართლებინათ, ქართველების რაოდენობა უნდა შეემცირებინათ მოწაფეთა შორის. ამიტომ ცალკ–ცალკე იანგარიშეს, ქართველები, იმერლები, გურულნი, ფშავნი და სხვა, ილია ირონიულად წერს: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვთქვა, რომ ქართველი

ქართველი არ არისო". ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?–კითხულობს ავტორი და აგრძელებს: ამავე სემინარიის მოსამზადებელ კლასს, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ, განყოფილებები გააჩნდა, რომელთაგან მეორეში ქართულს სულ არ ასწავლიან, ხოლო პირველ ჯგუფში, სადაც მასწავლებელი ვინმე ნათიევია, ქართულის პარალელურად რუსულსაც ასწავლის და რომ ქართული სიტყვების რუსულად ჩაწერა შეძლონ თვითონ მას შემოუღია ისეთი ნიშნები (ასოები) რომელიც „რუსულს ანბანს აკლია... ჩვენის ხმების გამოსახატავადა." ყველაფერ ამაზე, ილია ირონიულად მიმართავს ბავშვებს: „ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო, არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური" ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ არ გამოჩენილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?– სვამს კითხვას ავტორი და იქვე ამატებს: მეცხრამეტე საუკუნეში, ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე?"

ამავე პრობლემას ეხება ილიას პოლემიკური ხასიათის სტატია „**ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო**", რომელიც, 1881 წელს დაიბეჭდა. კირილ იანოვსკი რუსეთის მთავრობამ კავკასიაში 1878 წელს გამოგზავნა. იგი პეტერბურგში განათლებულ და ობიექტურ კაცად იყო მიჩნეული და საქართველოში მისი ჩამოსვლა დადებით მოვლენად ჩაითვალა. გაზეთი "დროება" შემდეგნაირად ესალმებოდა მას:"თქვენგან მოელის ქვეყანა ყველა გარეშე მიზეზთა და გარემოებათა მიტოვებას და ნამდვილ პედადაგოგიურ გზაზე დაყენებას ჩვენის ხალხის განათლებისას... თქვენგან მოელის ეს მდიდარი, ეს ჩინებული ქვეყანა ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ყოველი ხალხისათვის წარმატების გზაზე დამყენებელი საქმეა, რომლისთვისაც თვითონ ეს ხალხი არაფერს არ ზოგავს" (ბაქრაძე, 1984:53). ქართველები შეცდნენ, იანოვსკი სხვებზე მეტად დევნიდა ქართულ ენას, მზაკვრულ ხერხებს იყენებდა ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ. ილიას ამ წერილის დაწერა გამოიწვია გაზეთ „კავკაზში" დაბეჭდილმა

იანოვსკის წერილმა, რომელშიც ავტორი სამწლიან საერო სკოლებში რუსული ენის სწავლების შემოღების პროექტს იძლეოდა. ეს, ილიას აზრით, ქართულის საფუძვლიანად შესწავლას ხელს შეუშლიდა და რუსულსაც ვერ შეასწავლიდა ყმაწვილებს. იგი წერილში ასაბუთებს საერო სკოლის მიზანდასახულობას (მშობლიური ენისა და სამშობლო ქვეყნის ისტორიის შესწავლა) და ცნობილი ევროპელი და რუსი პედაგოგების დამოწმებით ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს ბატონ იანოვსკის პროექტის უსაფუძვლობაში. იგი წერს: "საერო სკოლა, როგორც პირველ დაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს-რა, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელ სკოლისა... ნურავის ნუ ჰგონია, საერო სკოლის საკუთარი ტვირთი, ისე მსუბუქი იყოს, რომ განიზრახოს სხვა საპალნეც აჰკიდოს რამე" (ჭავჭავაძე, 1987:197). იგი თვლის, რომ რუსული ენის ცოდნა საჭირო და სასარგებლოა "ვითარცა სახელმწიფო ენა," ამასთან "მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს"... მაგრამ " რუსულის ენის ცოდნა ნამდვილი და მართალი ცოდნა უნდა იყოს, იმოდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისთვის გამოიყენოს" (ჭავჭავაძე, 1987:204). ამას კი ექვსი წელი მაინც დასჭირდება (იქვე). სხვა შემღხვევაში, ილიას აზრით, "საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს".

ქართული ენისა და ერის ღირსების დაცვა გახდა მიზეზი 1886 წლის 24 მაისს იოსებ ლაღიაშვილის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის პავლე ჩუდეცკის მკვლელობისა, რომლის დასაფლავებაზე ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა და შეაჩვენა ი. ლაღიაშვილიც და მისი მშობელი ერიც. ამის გამო ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა (მარშალმა) დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოს პავლეს წერილი მისწერა, რომელშიც მოითხოვდა მის მიერ

დაწყევლილი ერის წინაშე ბოდიშის მოხდას და ქვეყნის დატოვებას.

ხელისუფლებამ დიმიტრი ყიფიანს არ აპატია ეს. იგი ჯერ სტავროპოლში გადაასახლა, შემდეგ კი ქურდულად მოაკვლევინა. ამიტომ დიმიტრი ყიფიანის დასაფლავება საყოველთაო პროტესტის გამომხატველ დემონსტრაციად იქცა. დემონსტრანტებს წინ მიუძღოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი და იმ დროის სხვა ცნობილი მოღვაწეები, რომელთაგან ზოგიერთს სულ მალე დიმიტრი ყიფიანის ბედი ელოდა.

* * *

საუკუნეების მანძილზე და ილიას მოღვაწეობის ხანაშიც, საზოგადოების ერთ ნაწილში ქართველი ხალხის მომავალისადმი უიმედობა და ნიჰილიზმი შეიმჩნეოდა. გაჩნდნენ იმის მქადაგებელნიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლად, დამხმარე ძალის, მფარველის გარეშე არსებობა არ შეეძლო. ეს განწყობილება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა 1872 წელს გაზეთ "კავკაზში" გამოქვეყნდა გიორგი მუხრან ბატონის ნარკვევი ამ პრობლემაზე და შემდეგ, მოგვიანებით 1889 წელს დაიბეჭდა ივანე ჯაბადარის ორი წერილი „სევერნი ვესტნიკში," სადაც ეჭვქვეშ იყო დაყენებული საქართველოს მდიდარი წარსული, მისი ისტორიის საკვანძო საკითხები და ქართველი ხალხის მომავალი განვითარების პერსპექტივები. ივანე ჯაბადარი სვამდა კითხვას „დაიცალა ქართველი ერი ღონისაგან (ენერგიისაგან) თუ ჯერ კიდევ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ–ღონე მერმისისათვისაო" (ჭავჭავაძე 1987: 15). სხვანაირად, რომ თქვათ, ი. ჯაბადარი აყენებდა საკითხს, რომ რადგან ქართველი ერი დაბერდა, რასაც უეჭველი სიკვდილი მოსდევს, თუ მას უნდა სიცოცხლე შეინარჩუნოს, ძლიერი მფარველის

ფრთების ქვეშ უნდა იყოს ისე, როგორც ადრე საუკუნეების განმავლობაშიო.

გიორგი მუხრან-ბატონი და ივანე ჯაბადარი მსოფლმხედველობრივად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული შეხედულებებისანი იყვნენ: პირველი მონარქისტი-კონსერვატორი იყო, ხოლო მეორე–ხალხოსანი-რევოლუციონერი, მაგრამ ქვეყნის მომავლისადმი ერთნაირი–ნიჰილისტური დამოკიდებულება მათ სასოწარკვეთამ, უიმედობამ ჩამოუყალიბა და ხსნას მარადიულ ქვეშევრდომობაში ხედავდნენ, ქართველი ხალხის საუკუნოვან მიღწევებსაც დამპყრობელთა კეთილისმყოფელ გავლენად მიიჩნევდნენ.

როგორც ადრე ხდებოდა, ახლაც საჭირო იყო ვინმეს გაეცა ავტორიტეტული, მკაცრი და დასაბუთებული პასუხი. და ეს ითავა ილიამ. ჯერ კიდევ ადრე, "მგზავრის წერილებში"ლელთ ღუნიას მიერ ნათქვამი სიტყვები: "რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის... ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის" (ჭავჭავაძე, 1957:186) იმას ნიშნავდა, რომ ილია ქვეყნის დამოუკიდებლად განვითარების, თავისუფლებისათვის ბრძოლის მომხრე იყო. მან ივ.ჯაბადარის წერილებისა და ქვეყნის ისტორიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების კრიტიკას მიუძღვნა წერილების სერია სათაურით „აი ისტორია." იგი დაუნდობლად, მეცნიერული არგუმენტაციითა და ოპტიმისტური განწყობით ასაბუთებს ი.ჯაბადარის დებულებების: ქართველი ერის დაბერების, ქართული ენის ლექსიკისა და მისი ლიტერატურის სიღარიბის უსუსურობას და უსაფუძვლობას. ასევე, ფაქტოლოგიური მასალითა და ცნობილ მეცნიერთა შრომების დამოწმებით ასაბუთებს ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას სამი ათასი წლის მანძილზე და ქართველ ტომთა ცხოვრებას ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიაზე. მეექვსე წერილში, რომელიც ეძღვნება ი.ჯაბადარის შეხედულებების კრიტიკას საქართველოს ისტორიის

საკითხებზე, ავტორი წერს: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა, ერთობას ერისას მოასწავებდა (ჭავჭავაძე, 1987:56). ამ სიტყვებით პასუხია გაცემული ი.ჯაბადარის იმ ბრალდებაზე, რომ ქართველი მეფენი, განსაკუთრებით თამარი, უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა სასახლის მორთულობაზე, მონასტრებისა და ტაძრების აშენებაზეო. ამასთან, ნათქვამია ისიც, რომ მიუხედავად საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დამპყრობელთან ბრძოლისა და სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულობისა, ქართველი ერი მუდამ ინარჩუნებდა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ერთიანობას, რაც მის სიცოცხლისუნარიანობასა და მომავლისადმი რწმენას უზრუნველყოფდა.

ილია განსაკუთრებით დაუნდობელი იყო იმათ მიმართ, ვინც ქართველი ხალხის ღირსების შელახვას შეეცდებოდა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია 1882 წელს დაწერილი წერილი "კატკოვის პასუხად," რომლის გამოქვეყნება გამოიწვია გაზეთ "მოსკოვსკი ვედომოსტში" დაბეჭდილმა ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელმა კორესპოდენციამ. გაზეთის რედაქტორი ცნობილი რეაქციონერი კატკოვი იყო, რომელსაც არა ერთხელ გამოუქვეყნებია მსგავსი შინაარსის წერილები. ილია თავის წერილში, პირველ რიგში, გმობს მაბეზღრობას, განსაკუთრებით ისეთს, „რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად ისეთი ერი, რომელიც "შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა" ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს" (ჭავჭავაძე, 1987:8). იგი ამ სენს განსაკუთრებით საშიშად თვლის, რადგანაც "ბეზღობის ასეთი პატივით ყოფნა საზოგადოებაში უტყუარი ნიშანია თვით საზოგადოების სისუსტისა, დაუძლურებისა და დარღვევისა".

ამგვარი დამქაშების შემწეობით, – წერს ილია, ბატონ კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში. ამიტომაც არ დარჩენია არც ერთი რუსეთის ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და გადადგომის სურვილი არ შეეწამებინოს (იქვე, გვ.9). ამ წერილშიც, მიუთითებს ილია, დამქაში პირდაპირ ამბობს, რომ ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა, გადადგომის სურვილი მოქმედებსო. ამის საბუთად კი ის მოაქვს, რომ " ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო, და როცა რუსები არდგენენ, მაშინ-კი არაო. ქართულ და ნამეტნავად სომხურ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში-კი არაო. ქართველებმა "სამშობლოს" გადმომკეთებელი ავტორი დიდის ყოფით მიაცილეს შინამდინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აქტრისასა „გრაჩიასაო" (ჭავჭავაძე, 1987:10). ილია ასეთ უსუსურ ბრალდებებს არაორაზროვნად და პირდაპირ პასუხობს: "რასაკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მეამაყებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე, გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო... ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან ჰქონია . რუსულს თეატრს-კი ამავე ხანებში ხუთი ათას თუმნამდე ფული მიაშველა მთავრობამ, მაგრამ მაინც-კი თავი ვერ დაიჭირაო. იმიტომ, რომ აქაური რუსები რუსულს თეატრში არ დაიარებოდნენ. მე რომ კორესპოდენტის ადგილას ვყოფილიყავ, ირონიულად შენიშნავს ილია, აქაურს რუსებს ორგულობას შევწამებდი " (ჭავჭავაძე,1987: 11).

წერილის დასასრულს ილია წერს: „ჩვენ ამ მასხარაობას, მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო, ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინოს, უპატიურობა არ მიეყენებინოს მთელ ქართველებისათვის და მის ეროვნობის ღირსებისათვის. იმ წერილში ნათქვამია, რომ „სამშობლოს" წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართ-

ველებსო, და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზამენო” (ჭავჭავაძე,1987:12).

ერის სიმბოლოს შეურაცხყოფით აღშფოთებული ილია აგრძელებს: „აცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას... იმის ეგრედ უკადრისად ხსენებას არ ვიცით რა სახელი დავარქვათ და მის ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ...” შემდეგ ილია წერს:

“ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა–ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად ... თვით ბარბაროსიც-კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელი ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც-კი ითაკილებდა.” – ამთავრებს თავის წერილს ილია.

ასეთივე მძაფრი ტონი და მკაცრი კრიტიკაა მოცემული 1899 წელს დაწერილ წერილში „ქვათა ღაღადი,” რომელიც მიეძღვნა ქართველთა წარსულის გამყალბებლებისა და ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის გამწვავების მოსურნეთა კრიტიკას.

ავტორი დასაბუთებულ და მკაცრ პასუხებს სცემს სომეხ და მათ მიმდევარ სხვა მეცნიერებს (ხუდაბაშოვი, ეზოვი, პატკანოვი, არწრუნი, სენკოვსკი, კუტული, გოლმსტრემი...), რომელთა ნაშრომებში ქართველებისა და მათი წარსულის შეურაცხყოფა და დამცირებაა განზრახული. ილია წერილის დასაწყისშივე განმარტავს, რომ „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს,

თავისი საკუთარი გულთა თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა" (ჭავჭავაძე, 1987:23). არც ილია აპირებს პატიებას და ამიტომ განმარტავს, რომ სომეხ ვაიმეცნიერთა განაზრახი–შეურაცხყონ ქართველები, მთელი სომეხი ერის განაზრახად არ უნდა ჩაითვალოს. „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია–ვაჭრობაა თუ ხვნა–თესვა–და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩრობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა" (იქვე, გვ.24). აქ, ილიას აზრით, ორ მეზობელს შორის მტრობის ჩამოგდების სურვილი ჩანს, რადგან ქართველთა დამცირება და სომეხთა განდიდება სამოცი წლის წინ რუსი მწერლით – სენკოვსკით დაიწყო, როცა იგი 1838 წელს წერდა, რომ ქართველებს ვახტანგ VI-მდე არ ჰქონიათ მატიანეო, თვითონ ქართველები არც კი არსებობდნენ XII საუკუნემდე და იბერთა სახელით ცნობილი იყვნენ სხვადასხვა თესლის მთიულნიო (იქვე. გვ.29). სადაც ახლა ქართველები ცხოვრობენ, მუდამ და ყოველთვის ეკუთვნოდა სომხეთს და აქ მოსახლეობდნენ სომეხნი, მიდიელნი, მასაგეთნი, ანუ ოსმალნი და რამდენიმე შტო ალბანელებისაო (იქვე,გვ.29). ილიას აზრით, სენკოვსკი – აღმოსავლეთის ენების ეს პროფესორი თვალთმაქცობს, მან ძალიან კარგად იცის, რომელი ქვეყანა შეიერთა რუსეთმა, მაგრამ იგი იმის ფონს ქმნის, რის, მტკიცებასაც სომეხი მწერლები ცდილობენ. კერძოდ, მთელ ჭოროხის ხეობას უწინდელს დროში სომხეთს აკუთვნებენ. მაგრამ როგორ ხსნიან, –კითხულობს ილია, მთელ ამ მხარეში ქართულ სახელებს (კლარჯეთი, ლიგანის ხევი, ტაოს კარი, შავშეთი, აჭარა, კოლა, არტაანი, ერუშეთი...), ან ქართული ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობას მეშვიდე თუ მერვე საუკუნიდან. აქ წერილის ავტორი იმოწმებს

ცნობილი მეცნიერის სენ-მარტენის აზრს ქართული წარწერების შესახებ ამ შენობებზე, რომელთა ამოფხეკასაც სომხები არ ერიდებიანო. ილია მწარე ირონიით პასუხობს პროფესორ პატკანოვსაც, რომელიც ათეული წლების შემდეგ იმეორებს სენკოვსკის აზრს–ქართველებს ვახტანგ VI-მდე ისტორია არ ჰქონიათ და მათი ძველი ისტორია „სომხური ქრონიკებიდან" არის გადმოღებულიო. აქ ილიას სტრაბონის ცნობები მოაქვს ქართველების შესახებ და ასკვნის, რომ იმდენად ცნობილ ამბებზეა მსჯელობა, რომ ლახტი, რომელიც პატკანოვმა შემოგვიქნია, ერთი რომ ჩვენ მოგვახვედრა, ათი თვითონ იკრაო (ჭავჭავაძე 1987:38).

ილია ასევე მკაცრ პასუხს სცემს იმათ, ვინც ჭოროხის ხეობასა და ტაოსკარის მიწებს სომხების საკუთრებად თვლიდა. იგი მათ შეახსენებდა –ნახონ იქ ქართული ეკლესია-მონასტრები და მათზე ქართული წარწერები, წაიკითხონ უცხოელ ავტორთა შეხედულებანი ამ საკითხზეო. იგი ლენორმანის ნაშრომებზე დაყრდნობით შეახსენებს მათ, რომ პირველ ტიგრანამდე სომხები კავკასიაში არ ჩანან. პატკანოვის ნამოწაფარს – ნიკო მარს კი არ პატიობს იმას, რომ იგი წერდა, "თუ რამ კულტურის ნასახი გააჩნდათ ქართველებს, სულ სომხების წყალობითო" (ჭავჭავაძე, 1987:43).

ილია ირონიითა და მისთვის ჩვეული პირდაპირობით აკრიტიკებს არწრუნისა და მისი ფრანგი სტუმრის კუტულის შეხედულებებსა და მტკიცებებს. სასაცილოდ მიაჩნია კუტულის წინასწარმეტყველება: „თუმცა სომხების რიცხვი ეხლა ქართველებზე ნაკლებია, სულ 600 000, მაგრამ ამ საუკუნის ბოლომდე სომხები გამრავლდებიან და ქართველებზე მეტი შეიქმნებიანო", ანდა: მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნით და მისს მეზობლებს – ქართველებსა და თათრებს –სხვა არა დარჩენიათ-რა, რომ უნდა გასომხდნენო." ილია განსაკუთრებით აღშფოთებულია კუტულის მიერ ქართველი ერის შეფასებით: „ქართველები შეადგენენო ღენერლების, მეურმეების და ჩალავდრების ნაციასაო." როგორ მოგწონთ, – წერს ილია, ეს ჩვენი ღენერლების ჩაყენება

მეურმეებისა და ჩალავდრების მწკრივში! იგი შეახსენებს მახსოვრობადაკარგულ კუტულისა და მის მოკარნახეებს იმ საბრძოლო ადგილებს, სადაც ქართველმა გენერლებმა უკვდავების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელები: ბაშკადიკლარი და კურუკ-დარა, ყარსი და დევაბოინე, ავლიარი და არტაანი, ახალციხე და ჩოლოქი... „მთელი დადისტანი და ერთობ მთელი კავკასია ჰდადებენ მათთა სახელოვანთა საქმეთა და ამ ხმამაღალს-ღადადს ვერ დააჩუმებს ხრიწიანი წრიპინი და ჩხავილი სომეხთა გულნამცეცა მეცნიერებისა" – წერს წერილის ავტორი.

კუტულის „სიბრძნეთა" კრიტიკის შემდეგ, კითხულობს ილია, ერთი გვიბრძანეთ, –ვინ გაასულელებდა საცოდავს კუტულს, თუ არ სომეხთა ძალიან განვითარებულნი ფილოსოფოსნი, დელინგერები გიაცინტები და პროფესორებიო.

ილია შეახსენებს ოპონენტებს სომხურ ანდაზებს – "სადაცა ნახო პური, იქ დაბინავდიო," ან –"რად ჰკითხულობ, ვისი გამომცხვარია ეს პური? გინდ ურიისა იყოს, თუ გემრიელია სჭამეო", მაგრამ იქვე მოაქვს სხვა შეგონებაც: "ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითა" და ანდაზებს ამთავრებს კომენტარით: "სხვისა ნურა გინდა შენი იკმარე, -ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, –ეს არის დედაბოძი ზნეობის." ქართული ანდაზის "რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია" გახსენებისას, ილია მიუთითებს, რომ ამას ახლა ქართველთა ბედოვლათობად ჩათვლიან, მაგრამ ღმერთმა იცის, კაცურ კაცობისთვის, რა უფრო სანატრელია, სხვისი პურის ჭამა, თუ თავისისა გაცემა.

ილია განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და მეცნიერული არგუმენტების მოტანით სცემს პასუხს რუს მწერალს გოლმსტრემს, რომელმაც "პეტერბურგსკიე ვედომოსტში" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქვებიც ღაღადებენ სომეხთა უძველეს წარსულზე, რომ სომხები ურარტუელების შთამომავლები არიან და მაშასადამე ურარტული ლურსმული წარწერები სომხების ძველ, გმირულ წარსულზე

მოგვითხრობენო. ილია ცნობილი მეცნიერების: ლენორმანის, რუსი ილია სერებრიაკოვის და ნიკოლსკის, ინგლისელი მეცნიერის ანდერსონის გამოკვლევებზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ურარტულ წარწერებს არავითარი კავშირი არ აქვს სომხურ ენასა და ისტორიასთან. "არმენიის ლურსმულ წარწერათა ენა არარიგად, არაფრით დაშორებითაც არ ჰგავს ჰაოსიანთა ენასაო, –ამბობს ლენორმანი. იქვე აგრძელებს: –იმ ხალხს, რომელთაც გამოუჭრია ეს წარწერანი და ქრისტეს წინ მეექვსე საუკუნემდე უფლობნია არმენიაში, არა ჰქონია არარიგი ნათესაობა სომხებთან, ჰაოსიანთან, როგორც თავისი შთამომავლობით, ისეც ენით "ჭავჭავაძე,1987:89).

ილიას მასპეროს წიგნიდან "ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა" მოაქვს ამონარიდი,რომელშიც ნათქვამია: "მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ეფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთი მოდგმის ერითა, რომელიც მთლად განსხვავებულია ეხლანდელ სომეხთაგან და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა" (ჭავჭავაძე,1987:91).

ილია თავისი წერილის დასკვნით ნაწილში წერს: "აბა სენკოვსკიდამ დაწყებული ბ-ნ გოლმსტრემამდე, ამ სამოცი წლის მანძილზე, ლარი გააბით და გახედეთ, თუ ყველა სომეხთა მეცნიერს ამ ლარზე ხელი არ ეკიდოს, ერთსა და იმავე პროგრამას არ ემსახურებოდეს საოცარის ერთგულებით და ეროვნულობით, ებღაუჭებიან ამ პროგრამას კბილით, ხელით, ფეხით და მთელითა ცხოვრებითა მათითა. განა აშკარა არ არის, უნდათ ქვეყანას დაანახონ, რომ სომეხზე უკეთესი, გამძლე ერი, ყოვლის ნიჭითა და უნარით შემკობილი სხვა არავინ არის მცირე აზიაში და ნამეტნავად ამიერკავკასიაში" (ჭავჭავაძე, 1987:109). შემდეგ ილია აგრძელებს, რომ ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არ გვშურს...ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში

შემოსასევად. თუმცა სომხეთის დაცემის შემდეგ მთელი თითქ-მის შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერს მტრებსა... ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით,–ურჩევს წერილის ავტორი მოძმე ხალხის წარმომადგენლებს.

* * *

ილიამ კარგად იცოდა, რომ ქვეყნის ინტერესების დაცვა, მისი ძლიერება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მოხერხდება საზოგადოების ყველა ფენის შესაძლებლობათა გაერთიანება. „ერის წარმატება ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხო-ლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატა-რაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად, ერთიანის მეცადი-ნეობითა და გარჯით ჰცდილობს –ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად, საყოველთაოდ" (ჭავჭავაძე, 1987:19). იგი თანამემამუ-ლეებს აფრთხილებს, რომ თუ „ხმლით მოსეულმა ვერა დაგ-ვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს... შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ" (ჭავჭავაძე, 1987:176). იგი შეახსენებს მკითხველს, რომ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის საიდუმლო „ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს.. ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქედამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესა-ნიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად" (ჭავჭავაძე, 1987:151). ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი თვლის, რომ ილიას ერთ-ერთი დამსახურება ისიცაა, რომ „მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკუ-

რი საფუძვლის გამოკვლევის აუცილებლობა აღიარა” (ჯავახიშვილი, 1938:8-9).

ილია თვლიდა, რომ ერთმანეთის გვერდში დგომა და მხარდაჭერა აჩვენებს ერის ზნეობრივ სახეს, მის შინაგან სიმტკიცეს. ამიტომ იყო, რომ როცა 1877–1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედა-საქართველოსთან დაბრუნებული აჭარიდან მოსახლეობის მასობრივი გადასახლება –მუჰაჯირობა დაიწყო მძიმე ეკონომიკური, თუ სხვა მიზეზების გამო, საერთო მოწოდებად გაისმა მისი ხმა: „აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენ ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!... ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხ და ჰფიქრობ!...” ამასთან, ილია სახელმწიფო ხელისუფლებას არაორაზროვნად ურჩევდა დაეცვა თავისი მოსახლეობა, რადგან „სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში... მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, ის სახელმწიფო ფუღურაა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია” (ჭავჭავაძე, 1987:171). ილია, რომლის სამუშაო ოთახს მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე გარიბალდის პორტრეტი ამშვენებდა განმათავისუფლებელი ბრძოლებისადმი თანაგრძნობის ნიშნად, 1897 წელს, პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი სტუდენტების თხოვნაზე, ერჩია მათთვის გაეგზავნათ თუ არა ბერძენი სტუდენტებისათვის სოლიდარობის წერილი, რომლებიც კუნძული კრეტის ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ, ილია წერდა: იგი მიესალმება სტუდენტთა „გულთა-ძვრას,” რომ გვერდში დაუდგნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძენ ხალხს, მაგრამ შეახსე-

ნებს, რომ „ჩვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია... მთელი სასოება ჩვენი ქვეყნისა თქვენზეა დამყარებული... ყოველივე ჩვენი კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ... რაც თქვენს პატიოსან გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაითუ გეზიანოთ რამე... ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს...” ბოლოს ილია სტუდენტებს მოუწოდებს: „გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი” (ჭავჭავაძე, 1962:319-320). ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ილიას პირველ რიგში აფიქრებს ქართველ სტუდენტთა ბედი, იგი თვლიდა, რომ განათლებული ახალგაზრდები უპირველესად საქართველოს სჭირდება, რადგან “სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის” (ჭავჭავაძე, 1987:160) და როცა მას რწმენა და სიბრძნე ემატება დაუძლეველ ძალად იქცევა. სიბრძნედ კი ილია გამეცნიერებულ სარწმუნოებას და გასარწმუნოებულ მეცნიერებას მიიჩნევდა (ჭავჭავაძე, 1987:421), რითაც წინ უსწრებდა თავისი დროის მოთხოვნებს. დღეს მარტო იმაზე კი არ არის საუბარი, რომ სარწმუნოებისა და მეცნიერების შერიგება შესაძლებელია, არამედ მიმდინარეობს ბიბლიისა და ახალი აღთქმის მეცნიერული შესწავლა და დასაბუთება.. დაფუძნდა მეცნიერების რიგი დარგები, რომლებიც იკვლევენ რელიგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს (მჭედლიძე, 2003:45).

ილია ეროვნული ცნობიერებისა და ღირსების დაცვაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის წარსულის, მისი გმირული ისტორიის ცოდნასა და მისი გამყალბებლების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას. ამის თვალსაჩინო მაგალითია მისი „ქვათა ღაღადი,” და „აი ისტორია,” მაგრამ მის სხვა ისტორიული ხასიათის წერილებში, თხზულებებსა და მიმოხილვებში ნათლადაა ნაჩვენები, თუ რა ზემოქმედების ძალა გააჩნია

წარსულის გმირულ მაგალითებს ადამიანზე და საერთოდ საზოგადოებაზე. დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილ წერილში „დავით აღმაშენებელი," 1888 წელს იგი წერდა: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის ღონეს და შესაძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს", ხოლო წერილში „ოსმალოს საქართველო" მიუთითებდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა" (ჭავჭავაძე, 1987:7). ერის ისტორიის უდიდესი მნიშვნელობა კიდევ უფრო შთამბეჭდავადაა გადმოცემული ილიას შემდეგ სიტყვებში „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქედამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა... მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსულიმკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა" (ჭავჭავაძე, 1987:165).

ილიას წერილებიდან ამ ამონარიდების მოტანა იმიტომაც გახდა საჭირო, რომ თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში, როცა ისედაც საფრთხე ემუქრება ეროვნულ ღირებულებებს, ცხოვრებისეულ ტრადიციებსა და წესებს, ჩვენი თანამემამულეების ერთ ნაწილში, აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება ყოველგვარი ეროვნულისადმი, საკუთარი ენისა და ისტორიისადმი. ასეთ პირობებში ილია ჭავჭავაძე კვლავ რჩება ჩვენს წინამძღოლად, როგორც ქართველი ერის ღირსებისა და ისტორიის დიდი ქომაგი. იგი კვლავ ჩვენთანაა, რადგან როგორც ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში მ.ჯავახიშვილი წერდა: "მოკვდა

პოეტი, მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძგერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს მისი ენა, ილიასგან გაფაქიზებული და ქართული კალამი და წიგნი, ილიასგანვე განმტკიცებული და გასუფთავებული" (მ. ჯავახიშვილი 1964.:237).

ლიტერატურა

1. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1984
2. გ. მჭედლიძე, „საერთო ნიადაგის" თეორიის საკითხები ილია ჭავჭავაძის ნააზრევში, ქუთაისი, 2003
3. ა. წერეთელი, რჩეული თხზ. 5 ტომად, ტ.V, თბ. 1964
4. ა. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, თბ., 1938
5. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, პ.ინგოროყვას შესავალი წერილით, თბ., 1957
6. ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ, III, თბ., 1986
7. ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ, IV, თბ., 1987
8. ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ, V, თბ., 1962
9. ი. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938
10. მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზ. ექვს ტომად, ტ. VI. თბ. 1964

ჩვენი ქრისტიანული წარსულის მოწმენი

წაკითხულია სხალთის ეპარქიის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაზე 2008 წლის 5 მაისს.

აჭარისწყლის ხეობა, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ქრისტეს პირველმოციქულთა ხანაში ეზიარა ქრისტიანულ მოძღვრებას და წმ. ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარაში აღაშენა პირველი ეკლესია „შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა (ქცა,1955:39), მაგრამ IX საუკუნეზე ადრინდელი საკულტო ნაგებობების ნაშთები აქ, ჯერჯერობით, არაა გამოვლენილი. მომდევნო ხანის ეკლესია-მონასტერთაგან მეტ-ნაკლები დაზიანებებით, მაგრამ სრული სახით, მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია ჩვენამდე.

სხალთის ეკლესია (XIII ს.)

აჭარისწყლის ხეობის ისტორიის სპეციფიკურობის გამო, ქართულ საზოგადოებრიობას ყოველთვის აინტერესებდა ამ

მხარის მოსახლეობის ცხოვრებისა და სულიერების მდგომარეობა ოსმალთა სამასწლიანი ბატონობისა და მომდევნო ხანებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი მოღვაწეების: გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას და სხვათა აჭარისწყლის ხეობაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, ჩანაწერები და შეფასებები, რომლებიც შემდეგ წიგნებად გამოიცა (დ.ბაქრაძე, 1987; გ.ყაზბეგი, 1995; ზ.ჭიჭინაძე, 1913; თ.სახოკია, 1985). შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ყველა მკვლევარი იზიარებს გიორგი ყაზბეგის შეფასებას: „აჭარელის საშინაო ყოფა ისეთივეა, როგორც კავკასიელი მთიელი ხალხებისა: პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, დოგმად ქცეული სტუმარ-მასპინძლობა, თავშეკავებულობა, დიდი ცნობისმოყვარეობა და – რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება – შრომისმოყვარეობა” (გ.ყაზბეგი, 1995:61).

წარმოდგენილი შრომის მიზანია, დასახლებულ მკვლევართა მონაცემებზე დაყრდნობით, აჩვენოს სხალთის ეპარქიის ტერიტორიაზე (ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები) არსებულ ქრისტიანულ სალოცავთა სიმრავლე, წარსულში აქაური მოსახლეობის ღვთისმოსაობა და რელიგიურობა და იმის აუცილებლობა, რომ მოკლე ხანშია საჭირო ამ საკულტო ნაგებობათა გამოკვლევა მხარის ქრისტიანული წარსულის რეალური სურათის აღდგენისა და საქართველოს ისტორიის ამ კიდევ ერთი საინტერესო პრობლემის შესასწავლად.

თუ ეპარქიის ტერიტორიაზე ამჟამად ექვსი მოქმედი ეკლესიაა და ამდენიც მშენებლობის პროცესშია, XIX საუკუნის ბოლოს, აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების უახლოეს წლებში, ახლანდელი სამი რაიონის ტერიტორიაზე აღრიცხულია 150–ზე მეტი სოფელი, რომელთაგან 90-ზე მეტში მკვლევარები ეკლესიის ნანგრევთა არსებობაზე მიუთითებენ. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიაც ყოფილა (ორთახოხნა, საღორეთი, დარჩიძეები), მარტო დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-მდე ეკლესიაა დაფიქსირებული, რომელთაგან, ზოგიერთში

XIX საუკუნის შუა ხანებამდე ადგილობრივები მოსალოცად და შეწირულობების მისართმევად დადიოდნენ და ქრისტიანულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ (დ.ბაქრაძე, 1987:49). მოსახლეობა შიშით, რითიდა და პატივისცემით ეპყრობოდა ამ სალოცავებსა და მათ გარშემო არსებულ ბზის კორომებს, რის წყალობითაც მოაღწიეს მათ ჩვენამდე.

შუახევის რაიონის მარტო ერთ – მარეთის ხეობაში, სადაც ამჟამად მხოლოდ ერთი მოქმედი ეკლესიაა (გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის), მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში 20-მდე სალოცავია დაფიქსირებული და რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, აქ ამჟამად მოქმედ სასოფლო მუზეუმებში (ოლადაურის, კვიახიძეების) დაცულია არაერთი ექსპონატი, რომლებიც ჩვენი ქრისტიანული წარსულის შესახებ მიგვანიშნებენ.

ხიხანის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები

ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების შესწავლის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, რუსეთის საიმპერიო არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით აჭარა-შავშეთში მოგზაურობისას, მცირე არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია და საინტერესო მასალა მოუპოვებია გრაფინია პრასკოვია უვაროვას ხულოს რაიონის სოფელ ვანაძეების (აგარის) ეკლესიის ნანგრევებზე (Уварова П. 189). ამ მხარის სიძველეთა სერიოზული, გეგმაზომიერი კვლევა დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში, როცა სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიციები მიავლინა ამ ხეობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. გაითხარა სხალთის დიდი და მცირე ეკლესიები, თხილვანის ეკლესია, ვერნების ეკლესია, თიკანაურის ეკლესია, კალოთა, საციხურის (ჯვართვნის) ეკლესია, ვანაძეების (აგარის) ეკლესია (ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. შ.მამულაძე), გამოქვეყნდა საინტერესო გამოკვლევები (შ.მამულაძე, 1993; 1998). გათხრები ჩატარდა დიდაჭარაშიც (არქეოლოგი ტ.ებრალიძე), მაგრამ ათობით საკულტო ნაგებობა შესწავლას ელის. ეს მით უფრო საშური საქმეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იკარგება და დავიწყებას ეძლევა ძველი გადმოცემები და ის ნივთიერი მასალა (ორნამენტიანი თუ წარწერიანი ქვები), რომლებიც შემორჩენილია, ჯერ კიდევ, კერძო შენობებისა თუ ჯამეების (მეჩეთი) შესამკობად და საძირკვლების და სარდაფების გასამაგრებლად.

ქრისტიანული სალოცავების დღემდე შემორჩენილი ნანგრევების მეცნიერული შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენას აჭარისწყლის ხეობის მდიდარი ქრისტიანული წარსულის შესახებ.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიას და აჭარაში, თარგმნა ა.ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987.

2. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

3. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების სამაროვნები, ბათუმი, 1998.

4. სახოკია თ., მოგზაურობანი , ბათუმი, 1985.

5. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

6. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ.სურმანიძემ და მ.ხარაზმა, ბათუმი, 1995.

7. ჭიჭინაძე ზ., მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები, ტფ., 1913.

8. Уварова П. Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия, Поцховский участок, М., 1891

აჭარისწყლის ხეობა XIII საუკუნის 30-იან და XVI საუკუნის 70-იან წლებში

წაკითხულია სხალთის ეპარქიის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაზე 2008 წლის ნოემბერში

XIII–XVI საუკუნეები უმნიშვნელოვანესი ხანაა საქართველოს და კერძოდ, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული მხარეების ისტორიაში.

მართალია, XIII საუკუნის აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ წერილობითი წყაროები მცირეა და ისიც ქვეყნის მასშტაბით განვითარებული მოვლენების კონტექსტშია წარმოდგენილი (ქცა,1959), მაგრამ ჩვენამდე მრავლად მოაღწია მატერიალური კულტურის ძეგლებმა (სრულად თუ ნანგრევების სახით), რომლებიც ხეობის მაღალი ეკონომიკური, სულიერი და კულტურული დონის მაჩვენებელია. ამასთან, XIII საუკუნის 30–იანი წლების აჭარისწყლის ხეობის, კერძოდ, „ხიხათა" მხარის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თავის თხზულებებში აჭარის ერისთავთ-ერისთავთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი, მწერალი და მეცნიერი ტბელი აბუსერისძე.

აგრეთვე, ბოლო წლებში მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის არქივებში გამოვლენილი დოკუმენტები და აღწერათა დავთრები, სრულ წარმოდგენას გვიქმნიან აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე აქ ოსმალთა გაბატონების პირველ ათწლეულში, XVI საუკუნის 70-იან წლებში.

ასე, რომ თითქმის სამი საუკუნით დაშორებულ წერილობით დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის შეჯერებით, საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ ის შედეგი, რაც ამ ხეობას მოუტანა

მონღოლთა ასწლიანმა ბატონობამ, თემურ-ლენგის ლაშქრობებმა, ირან-ოსმალეთის ქიშპობამ საქართველოს გადანაწილებისა და სამხრეთ–დასავლეთი საქართველოს ხელში ჩაგდებისათვის.

რთული და მძიმე გამოდგა საქართველოსათვის XIII საუკუნის 30–40-იანი წლები. ჯერ, მონღოლ მარბიელ მოლაშქრებთან მარცხმა და ლაშა-გიორგის მოულოდნელმა სიკვდილმა, შემდეგ, ხვარაზმელთა ამაოხრებელმა ლაშქრობებმა, რთული საზოგადოებრივ–პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია შექმნა. იმ დროს აჭარის ერისთავთ-ერისთავი იყო ტბელის უფროსი ძმა აბუსერი, რომელსაც მისი დროის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არსენ ბულმასაიმისძე ასე ახასიათებს: „ჰოი, ღვთისმოყვარულო მთავარო დიდგვაროვანო და სახელმართალო აბუსერი, ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფ შეწირულო მომცევლისა, რამეთუ არარაი არს კეთილთაგანი, რომელიც არა მისი იყო" (რ.ხალვაში, 2006,6). ტბელის თხზულებაში აშკარად იგრძნობა აგრეთვე ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება. „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოსაჲ ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაჲსა... და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოჲსათა" (აბუსერისძე ტბელი, 1998,66), მაგრამ ისიც ჩანს, რომ ცხოვრება გრძელდება. აჭარისწყლის ხეობაში შენდება ეკლესიები და მონასტრები, თაღიანი ხიდები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი (შ.მამულაძე,1993,4-5). იქმნება საეკლესიო საგალობლები, მხატვრული ნაწარმოებები, მეცნიერული ნაშრომები (ლ. მუსხელიშვილი,1944; ი.სიხარულიძე, 1981; აბუსერისძე ტბელი,1998; რ.ხალვაში, 2006). ყველაფერი ეს კარგად ჩანს ტბელ აბუსერისძის შემოქმედებაშიც.

ტბელი, ძმების–აბუსერისა და ვარდანის დავალებით, იწყებს ეკლესიის შენებას, მაგრამ გარდა ძმების თხოვნისა, ეკლესიის მშენებლობის დაწყება, მისი თქმით, გამოიწვია „ეკლესიათა მცირეობითა ერისა ვერ დატევამან და ჯავრისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამ."

როგორც ჩანს, ეკლესიაში მლოცველთა სიმრავლისა და „მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჭიდროებისა მათისა ნუგეშინის–საცემლად” გადაიდგა ეს ნაბიჯი. ჩვენთვის საინტერესოა იმის დანახვა, რომ მოსახლეობა ამ დროს მრავლადაა. „ბაკოელთა მეტის–მეტად დიდი მოიჭირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუეწითა ხელ-ვყავ ეკლესიისა მრავლითა აშენებაჲ,”–წერს ტბელი. ბაკო ყველაზე ახლო და ხალხმრავალი სოფელი ყოფილა ხიხანის ციხისა. როგორც ჩანს, იმ დროს ხალხმრავალი იყო ამ ხეობის სხვა სოფლებიც. ერისთავთ-ერისთავთა საგვარეულო, ქვეყნისათვის ასე მძიმე ჟამსაც, ზრუნავს ციხეების, ეკლესია-მონასტრების აშენებისა და მათი შემკობისათვის. ტბელის დამ ვანენმა „ეკლესიაჲ აღაშენა წმიდისა იოანე მახარობლისაჲ და ღმრთის მეტყველისაჲ... და აღავსო საწყაული კეთილი; ძმამ – აბუსერმა, ერისთავთ-ერისთავმა „მრავალნი კარგნი ხატნი დაასუენა დიდრუანნი” (აბუსერისძე ტბელი, 1998,68-69); მოსახლეობა, მიუხედავად მრავალმხრივი საშიშროებისა, ხეობიდან შორს დადის საშოვარზე. ერთი სიტყვით, მტერთაგან მიყენებული ჭრილობების მიუხედავად, ქვეყანაში, მის ერთ ხეობაში– აჭარისწყლის ხეობაში ცხოვრება გრძელდება. ტბელის თხზულებაში ნაჩვენები მოსახლეობის სიმრავლე და აქტიური ცხოვრება დამაჯერებელი ჩანს იმიტომაც, რომ XIII საუკუნის შუა ხანებში მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერის შედეგებით, ქვეყნის მოსახლეობა ხუთ მილიონზე მეტი ჩანს (სინ,1979, 566). მოსახლეობა იხდის მრავალი სახის გადასახადს, მონაწილეობს მონღოლურ ლაშქრობებში. თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი”, მართალია, აჭარისწყლის ხეობის ორი დასახლებული პუნქტია მოხენიებული (ბაკო, ცხმორისი), მაგრამ ხიხანის ციხისა და ბაკოს მეზობლად დღეს არსებული სოფლების (თხილვანა, ხიხაძირი, კალოთა, ვერნები და სხვა) იმ დროს არსებობა ეჭვს არ იწვევს, რადგანაც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილია იმ დროის საკულტო ნაგებობებისა და სამეურნეო-კულტურული ცხოვრების დამადასტურებელი მა-

სალები (შ. მამულაძე, 1993). ქვემო თხილვანაში აბუსერიძეებს საგვარეულო საძვალე ჰქონდათ–წმიდა იოვანე მახარობლის ეკლესიაში, ხოლო ზემო თხილვანაში–სასახლე (ი.სიხარულიძე, 1981,გვ.50). აღარაფერს ვამბობთ სხვა ათობით დასახლებულ პუნქტზე, სადაც ვხვდებით საკულტო, საფორტიფიკაციო თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებს. იმ დროის აქაური სოფლების სახელწოდებანი დაფიქსირებულია მოგვიანო ოსმალურ წყაროში „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი", რომელიც მისი გამომცემლის ბატონ ზ.შაშიკაძის აზრით, სულთან სელიმ მეორის მმართველობის წლებში (1566–1574) უნდა იყოს შედგენილი (ზ. შაშიკაძე, 2006,1). ეს არის აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ აღწერის პირველი დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ეს ხეობა იყოფა ორ ნაჰიედ (რაიონად): ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიები.

ზემო აჭარის ნაჰიეში აღრიცხულია 60 სოფელი, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში 34 სოფელი. სულ აჭარისწყლის ხეობაში XVI საუკუნის 70-იან წლებში, ამ დოკუმენტის მიხედვით, 94 სოფელია, რომელთაგან 35-ს მიწერილი აქვს სიტყვა „დაცლილია", ხოლო თითქმის ნახევარში 2-5 კომლი ცხოვრობს. სულ ხეობაში 542 კომლია აღრიცხული. ყველაზე ხალხმრავალ სოფლებად ჩანან: ხულა–37 კომლი, ღორჯომო–32, ჭვანა–20, მერისი–26, ორცვა–26, საღორეთის ციხის რაბათი–24, ალმესა და ნიგაზეულში 15-15 კომლია (ზ.შაშიკაძე, 2006,3-10).

დავთარში არ არის აღრიცხული სოფელი ბაკო, რომელიც ტბელის თხზულების მიხედვით, XIII საუკუნეში ხალხმრავალი სოფელია, სამაგიეროდ ჩანს ბაკოს მეზობელი დასახლებები: თხილვანა (2 კომლი), კალოთა–დაცლილია, ასევეა დაცლილი რაგთა (ალბათ რაგვთა), ქოჩაკი (ქოჩახი), ხიხაძირის ციხის რაბათი და სხვა. როგორც ზემოთ ითქვა, დოკუმენტის მიხედვით, აჭარისწყლის ხეობაში დაცლილია 35 სოფელი. ისინი აღწერის ახლო წლებში უნდა გავერანებულიყო, სხვა შემთხვევაში, აღწერის მასალებში ისინი არ დაფიქსირდებოდა. რა შეიძლე-

ბოდა ყოფილიყო ამდენი სოფლის დაცლისა და მოსახლეობის შემცირების მიზეზი? იმ პერიოდში მასობრივი შავი ჭირის შესახებ არაფერია ცნობილი (მხოლოდ XIV საუკუნის შუა ხანების „შავი სიკვდილის" სახელით მსოფლიოში გავრცელებული ჭირის შესახებ ვიცით). როგორც ჩანს, მოსახლეობისაგან სოფლების დაცლის მიზეზი ხშირი ომიანობა და ოსმალთა გაბატონება უნდა იყოს, მაგრამ საბოლოო პასუხი მაინც არქეოლოგიურმა გათხრებმა და საქართველოს სხვა მხარეებში არსებული „აჭარული დასახლებების" (ზესტაფონის რაიონის სოფელი „აჭარა", ლეჩხუმის „აჭარა" და სხვა) ეთნოლინგვისტურმა შესწავლამ უნდა მოგვცეს.

XIII და XVI საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების შეჯერებით აშკარა ხდება, რომ ისე როგორც მთლიანად საქართველომ, ასევე აჭარისწყლის ხეობამაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო უცხო დამპყრობლებთან ბრძოლაში. XVI საუკუნისათვის იგი გამოიხატა ხეობის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით, ნასოფლარებითა და ნაეკლესიარებით, რამაც ასახვა ჰპოვა ხსენებულ ოსმალურ დოკუმენტში.

ლიტერატურა

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
2. რ. ხალვაში, წმ. ტბელ აბუსერისძის ღვაწლი, ბათუმი, 2006.
3. ლ. მუსხელიშვილი, ბოლოკ–ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე.
4. ი. სიხარულიძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ბათუმი,1981
5. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998.

6. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბ., 1973.

8. ზ.შაშიკაძე, აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. – ჟურ. „ჩვენებური", **www.chveneburi. net.2006.**

ბათუმის საკითხი XVIII-XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში

წაკითხულია აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა აჭარის საარქივო გაერთიანებაში 2008 წლის სექტემბერში

1878 წლის გვიანი ზაფხულის – 25 აგვისტოს ზეიმს ბათუმსა და მთელ საქართველოში, წინ უძღოდა ექვსი რუსეთ-თურქეთის ომი, რომლებშიც აქტუალურ პრობლემად იდგა ბათუმისა და მთლიანად აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების საკითხი.

ბათუმი – აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ეს ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ნავმისადგომი და სტრატეგიულად ხელსაყრელი ქალაქი, ყველა დროში იქცევდა დიდი სახელმწიფოების ყურადღებას. განსაკუთრებული ინტენსივობით მოუწია ქალაქს თავდაცვა XV საუკუნის დასაწყისიდან, როცა ოსმალებმა 1461 წლიდან, ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ, დაიკავეს ჭოროხის მარცხენა სანაპიროს ტერიტორია გონიო-აფსაროსით და უშუალოდ დაუმეზობლდნენ ქალაქს. მე-16 საუკუნის მანძილზე მათ რამდენჯერმე აიღეს ქალაქი, მაგრამ აქ ხანგრძლივი დროით დამკვიდრებული ჩანან ისინი XVI საუკუნის ბოლოდან. ამ დროს მთელი აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობები, სამხრეთი საქართველო ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული.

სამეფო-სამთავროებად დაყოფის მიუხედავად, საქართველოს მეფე-მთავრები არასდროს შეირიგებიან ქართული მიწების დაკარგვას და ხელსაყრელი ვითარებისას, ყოველნაირად ცდილობდნენ მათ გათავისუფლებას ოსმალთაგან. 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, სოლომონ I-ის მიერ ტოტლებენის რუსულ ძალებთან ერთად ოსმალთაგან შორაპნისა

და ბაღდადის, აგრეთვე 1770 წლის აგვისტოში ქუთაისის გათავისუფლების შემდეგ, გათვალისწინებული იყო ბათუმზე ლაშქრობაც, მაგრამ ტოტლებენთან ვერც სოლომონმა ნახა, საერთო ენა ერეკლე მეორეს მსგავსად, და ლაშქრობა ჩაიშალა (შ.მეგრელიძე,1963,14). არადა, საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია ბათუმსა და აჭარისწყლის ხეობაში შექმნილი იყო. ტოტლებენის საქმეთა შესასწავლად რუსეთიდან გამოგზავნილი კაპიტანი იაზიკოვი ცენტრს ატყობინებდა: „აჭარლები, რომლებადაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან გურასა და თურქეთს შორის მთებში დასახლებული ხალხი იწოდება, ოსმალთა ქვეშევრდომობას მთლიანად განუდგა; როდესაც ახალციხის ფაშა, მათ დასაწყნარებლად თურქთა ჯარით აჭარაში შევიდა, ამ ხალხმა ფაშა დაამარცხა და აჭარიდან განდევნა (შ.მეგრელიძე,1963,15).

მეფე ერეკლე მეორეს მოთხოვნით, 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლით, რუსეთს ევალებოდა ეზრუნა საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ამ მოთხოვნას კანონიერებას ანიჭებდა ისიც, რომ ხელშეკრულების ტექსტში ერეკლე II იწოდება „მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი (საერთაშორისო სამართლის.., 1949,32)

1788 წელს, რუსეთ-თურქეთის (1787-1791) ომის მსვლელობისას, ერეკლე მეორე ეკატერინე II-ს სთხოვდა, რომ „საქართველოს შეერთებოდა ახალციხის პროვინცია, ხოლო აჭარა კი იმერეთს, როგორც ძველთაგან მისი კუთვნილი."

1801 წლიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გაუქმდა და რუსული მმართველობა დამყარდა, კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთის ინტერესები საქართველოს შავიზღვისპირეთში. 1804 წ. გენერალი პავლე ციციანოვი საგარეო საქმეთა მინისტრს (ჩორტოროცკი) წერდა: ბათუმი და ანაკლია „ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უნდა გვეკუთვნოდეს ჩვენ და იგი ჩვენს ხელში უნდა იყოსო" (შ.მეგრელიძე,1956,22). ასე, რომ ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში

იდგა 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებშიც. ამ მიზნის განხორციელებისათვის ჩატარდა საზღვაო ფლოტის ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის არმიის მიერ ჩოლოქიდან ტრაპიზონამდე ტერიტორიის დაკავებას, მაგრამ 30 ოქტომბერს ფლოტი უშედეგოდ დაბრუნდა სევასტოპოლში.

რუსეთი სხვა გზითაც ცდილობდა ბათუმის ხელში ჩაგდებას. კერძოდ, 1810 წელს გარდაიცვალა ბათუმის მმართველი ქუჩუკ ბეი შარვაშიძე (აფხაზური შტოს წარმომადგენელი). შემცლელად მოიაზრებოდა აფხაზეთის მმართველის სეფერ ალი ბეის უმცროსი ძმა სოსლან ბეი შარვაშიძე, ოღონდ ქუჩუკბეის ქვრივზე დაქორწინებით. რუსებს სოსლან ბეი შეუთანხმდა ბათუმის ჩაბარებაზე, თუ რუსეთის ფლოტი შევიდოდა ბათუმის ყურეში (შ.მეგრელიძე, 1956, 23), მაგრამ ვიდრე სარდლობა ამას განახორციელებდა, ზავი ბუქარესტში დაიდო ძველ საზღვრებში. რუსების მიერ დაკავებული ფოთი და ახალქალაქიც კი დაუბრუნდა თურქებს.

ასე, რომ საზავო მოლაპარაკებისას ბათუმის საკითხი საერთოდ არც დასმულა.

პრაქტიკული ნაბიჯები ბათუმის ოსმალთაგან გასათავისუფლებლად 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებში გადაიდგა. ომის დაწყებამდე მოისინჯა ახალციხის ფაშისა და აჭარის მმართველის –ახმედ ფაშა ხიმშიაშვილის პოზიციაც, რომელიც მზად იყო სამხრეთ საქართველოს ცალკე გამოყოფისათვის რუსეთთან ეთანამშრომლა, თუ შემდეგ რუსეთი მას დაამტკიცებდა გუბერნატორად, სამემკვიდრეოდ აქცევდა ამ თანამდებობას, მისცემდა მას გენერლის ჩინს და არ შეეხებოდა აქაურთა რელიგიას. რუსეთისათვის ეს პირობები ომის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაცია იყო, მისაღები ჩანდა და გენერალი ბებუთოვი აგრძელებდა მოლაპარაკებას ხიმშიაშვილთან, მაგრამ შემდეგ, ამ უკანასკნელის (ახმედ ფაშა) მერყევმა პოზიციამ, ომში რუსეთის წარმატებებმა და ბებუთოვის ადგილზე დანიშნული გენერლის ოსტენ-საკენის პროვოკაციულ-

მა ლაშქრობამ აჭარაში (1929 წ. აგვისტო) და მოსახლეობის აკლებამ, ახმედ ფაშას საბოლოოდ აბრუნებინა პირი ოსმალებისაკენ. ვერც ციხისძირის მიმართულებით რუსეთის ჯარით მოქმედმა გენერალმა გესემ გამოიჩინა თავი. აგვისტოს პირველ ნახევარში, როცა ოსმალები დამარცხდნენ, ციხისძირის პოზიციები მიატოვეს და ბათუმისაკენ გზა თავისუფალი იყო, შეტევა კი არ გააგრძელა, არამედ ბეგებთან მოლაპარაკება დაიწყო, რითაც დრო დაკარგა. ამას დაემთხვა ოსტენ-საკენის პროვოკაცია აჭარაში და ოსმალთა მიერ ციხისძირის გამაგრება. ამიტომ 17 აგვისტოს დაწყებული შეტევა ციხისძირზე მარცხით დამთავრდა, რასაც ადრიანოპოლის ზავმა (1829წ. 2სექტემბერი) მოუსწრო. საზავო მოლაპარაკებისას ბათუმზე საერთოდ არაფერი თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს კავკასიის კორპუსის უფროსი პასკევიჩი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა, რომ „იხმარეთ თქვენი გავლენა, რომ საზაო ხელშეკრულების დადებისას, თუნდაც ახალციხის ერთი საფაშო თავის საზღვრებში და თურქეთის საქართველოს ერთი ნაწილი ქალაქ ბათუმით შემოუერთდეს რუსეთსო," ხოლო ნიკოლოზ პირველის წინადადება ყოფილა, რომ თურქეთის მიერ გადასახადი კონტრიბუციის ნაწილი შეეცვალათ ტერიტორიული დათმობით აზიაში. „ბათუმი და ყარსი, – უთქვამს მეფეს, ღირს იმად, რომ მათთვის გავწიროთ რამდენიმე მილიონი" (Потто, 1908, ст.43).

ასეა, თუ ისე, მართალია, 1828-29 წლების ომში ბათუმის საკითხი სერიოზულად იდგა დღის წესრიგში, მაგრამ მისი შესრულება არ მოხერხდა, რუსეთმა ომში გამარჯვების მიუხედავად, ის ვერ მიიღო, რასაც იმსახურებდა. ადრიანიპოლის ზავით (1829 წ. 2 სექტემბერი), მართალია, კავკასიაში მას მიეცა ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი მიმდებარე ტერიტორიებით, რაც 10 სანჯაყს მოიცავდა, მაგრამ სამაგიეროდ დათმო მის მიერ დაკავებული ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი, რომელთა ტერიტორიები 14 სანჯაყს შეადგენდა (შ.მეგრელიძე, 1963,71).

აჭარისა და ბათუმის გათავისუფლების საკითხი აქტიურად იყო დასმული 1853-1856 წლების ყირიმის ომის დროსაც. ითვალისწინებდა რა ბათუმის გეოგრაფიულ მდებარეობას, მეფისნაცვალი კავკასიაში ვორონცოვი თვლიდა, რომ ბათუმის ასაღებად საჭირო იყო შეტევა ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდროულად. ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციის შესახებ კი წერდა, რომ „აჭარლები და უმეტესი ნაწილი ზღვისპირის მოსახლე მცხოვრებლებისა, ომის შემთხვევაში, ჩვენ გვეყოლება წინამძღოლებად და გვთავაზობენ ჩვენს ავანგარდში სამსახურსო" (შ.მეგრელიძე, 1963,95).

მართალია, ომი 1853 წლის 14 ივლისს დაიწყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. მაგრამ აქტიური მოქმედებები გვიან განხორციელდა და პირველი შეტაკებაც მტერთან არა ბალკანეთში, არამედ სოფელ შეკვეთილთან მოხდა 1853 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში. აქ რუსთა ორი არასრული ასეული და გურიის მილიციის 345 კაციანი რაზმი იდგა. რუს-ქართველთა მამაცობის მიუხედავად, ოსმალთა სიმრავლემ თავისი გაიტანა. გამთენიისას ოზურგეთიდან მოსულმა ძალებმა, ოსმალებს სოფელი დაატოვებინეს, მაგრამ მტრის სიჭარბის გამო, რუსებმა ოზურგეთი დატოვეს და აკეთის სიმაღლეები დაიკავეს. სამაგიეროდ, 14 ნოემბერს გენერალმა ადრონიკოვმა თურქების დიდი ჯარი გაანადგურა ახალციხესთან, ხოლო 19 ნოემბერს გენ. ბებუთოვმა თურქთა 35 ათასიანი კორპუსი დაამარცხა ბაშკიდიკლართან. ერთი დღით ადრე, სინოპთან ადმირალმა ნახამოვმა სასტიკად გაანადგურა თურქთა ფლოტი. ასე, რომ 1853 წლის შემოდგომა წარმატებული გამოდგა რუსეთისათვის. ნიკოლოზ I საჭიროდ თვლიდა ბათუმის, ყარსისა, ერზრუმის და არტაანის მიმართულებით შეტევას, მაგრამ მეფისნაცვალი ვორონცოვი საამისო ძალებს არ ფლობდა და საბრძოლო მოქმედების 1854 წლის ზაფხულისათვის გადატანა მოითხოვა.

ზამთრის განმავლობაში თურქებმა საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარეს თავი ბათუმში. ქობულეთში თურქთა ჯარით მდგარი

ჰასან ფაშა გეგმავდა ნიგოითზე გავლით, ჩოხატაურისთვის გვერდი აევლო და ქუთაისს დაპატრონებოდა. მას სურდა „კოფე დაელია სოფელ მარანში და კარგად ევახშმა ქუთაისში" (შ.მეგრელიძე, 1956,42), მაგრამ თავად ერისთავის მცირერეიცხოვანმა რაზმმა და ადგილობრივი მოსახლეობის გმირობამ, მტერს პოზიციები დაატოვებინა დიდი დანაკლისით. გენერალმა ადრონიკოვმა 2 ივნისს აიღო ოზურგეთი. ამის შემდეგ შეტევა განვითარდა ჩოლოქის მიმართულებით და 34 ათასიანი თურქთა ჯარი ლეღვასაკენ გაიქცა.

რუსეთის სარდლობამ კვლავ გაიმეორა 25 წლის წინანდელი შეცდომა: როცა გენერალი ოსტენ-საკენი გაგზავნა მთიან აჭარაში იქაური მოსახლეობის დასასჯელად. ამჯერადაც, რუსეთის სარდლობამ დააბრალა რა აჭარის მოსახლეობას 1853-54 წლების ზამთარში თურქთა მიერ აჭარის მხრიდან ცალკეული თავდასხმების ორგანიზაცია და მასში მონაწილეობა, გენერალ-ლეიტენანტ კოვალევსკის დაავალა მათი დასჯა. 30 მაისს, შტაბის უფროსმა ციმერმანმა გადაწვა ზედა და ქვედა თხილვანა, პოლკოვნიკმა დავიდოვმა სოფ. მუმსუ (მთისუბანი), კოვალევსკიმ–სოფ. ბაკო. ასევე გადაწვეს ფოცხოვის სასაზღვრო სოფლებიც. ამან, რათქმა უნდა, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. 1855 წლის ზაფხულში რუსეთის არმიისათვის მთავარი ყარსის აღება იყო, წარმატებულად მოქმედებდა გურიის რაზმიც. მან 24 მაისს ქობულეთი დაიკავა. 1855 წ. ნოემბერში ყარსის ოსმალმა დამცველებმა იარაღი დაყარეს. ახლა შეიძლებოდა შეტევის განხორციელება ბათუმის მიმართულებით, მაგრამ მალე ზავი დაიდო. მართალია, ეს ომი რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მიღწეულმა გამარჯვებებმა, ხელი შეუწყო რუსეთს პარიზის საზავო მოლაპარაკებისას, რომ აქ საზღვრები უცვლელი დარჩენილიყო. თურქებს დაუბრუნდათ რუსთა მიერ დაკავებული ტერიტორიები, მათ შორის ქობულეთის სანჯაყიც. პარიზის საზავო ხელშეკრულების 30-ე მუხლით დადგინდა რუსეთ-თურქეთის საზღვარიც–მდ. ჩოლოქზე.

ასე, რომ მიუხედავად დიდი სურვილისა, ყირიმის ომშიც ვერ გადაწყდა ბათუმის გათავისუფლება-დაბრუნების საკითხი.

ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ აშკარა გახადა ახალი ომისათვის მზადების აუცილებლობა. საამისოდ ორივე მხარე თადარიგს იჭერდა, როგორც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. რუსეთის მხრივ, ამ მიზანს ისახავდა „ოსმალოს საქართველოში" ცნობილი ქართველი მოღვაწეების მოგზაურობა 1877-78 წლების ომის წინ (ივ. კერესელიძე, დ. ბაქრაზე, გ. ყაზბეგი...) მზადდებოდა საზოგადოებრივი აზრი თანამემამულეთა ოსმალთაგან გათავისუფლებაში აქტიური მონაწილეობისათვის მისაღებად. ეს პროცესი 1876 წელს დაიწყო და ომის დაწყებისას შექმნილი იყო 12 სამხედრო შენაერთი 10000 კაცის რაოდენობით (მილიციის ჯარის სახით). სულ ომში მონაწილეთა რაოდენობა 30 000-ს აჭარბებდა (შ. მეგრელიძე, 1956,51).

ომი დაიწყო 1877 წლის 22 აპრილს და იგი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა: ბალკანეთსა და კავკასიაში. კავკასიის ფრონტს, რომელსაც რუსეთის სარდლობა მეორე ხარისხოვან როლს აკისრებდა, აჭარა – გურიის მთები ბრძოლის ორ ასპარეზად ჰყოფდა: სამხრეთის, სადაც ლორის მელიქოვის კორპუსი (50 000 კაცი) იბრძოდა და რიონისპირეთ–ოზურგეთის, სადაც ოკლობჟიოს - 25 000 კაციანი ჯარი ახორციელებდა შეტევას (შემდეგ ქობულეთის რაზმი). რუსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად იბრძოდნენ ქართველ მილიციელთა ნაწილებიც (სახალხო ლაშქარი).

12 აპრილს, ომის დაწყების პირველ დღესვე, ქობულეთის რაზმმა გადალახა მაშინდელი თურქეთის საზღვარი ჩოლოქთან და ორი მიმართულებით შეუტია მტერს: ზღვის სანაპირო დაბლობებით (გენ. შერემეტიევი) და მთიანი ადგილების გავლით (გენ. დენიბეკოვი). ორივე ნაწილის შეერთება ნავარაუდევი იყო ციხისძირთან. მთავარი მიზანი–ბათუმის გათვალისუფლება იყო.

რამდენადაც კონფერენციაზე გათვალისწინებულ არაერთ მოხსენებაში იქნება საუბარი აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებსა და რუს და ქართველ მეომართა მხედრულ მამაცობაზე, დავჯერდებით მხოლოდ იმის თქმით, რომ რუსეთის არმიის წარმატებებმა ბალკანეთში და კავკასიის სამხრეთ ასპარეზზე (ყარსი, არტაანი, არზრუმი), ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერამ და შერიფ ხიმშიაშვილის (ზემო აჭარის მმართველი) ეროვნულმა პოზიციამ, ბევრად განსაზღვრა აჭარისა და ქ. ბათუმის ბედი, რადგან ომის დამთავრების დროსაც ქობულეთის რაზმის ჯარები კვლავ ციხისძირთან იდგნენ, ბათუმის გათავისუფლება იარაღით არ მოხერხდა. ამიტომ, იყო რომ მიუხედავად სან-სტეფანოს 1878 წლის 3 მარტის ხელშეკრულებით რუსეთზე სამხრეთ-საქართველოს და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების (ქალაქები – არტაანი, ყარსი, ბათუმი) მიკუთვნებისა, თურქეთი, ევროპის კონგრესის გადაწყვეტილების მიღებამდე, არ ათავისუფლებდა ბათუმს.

საქმე იმაშია, რომ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, გერმანია) შეაშფოთა რუსეთის წარმატებებმა ომში და მიაღწიეს იმას, რომ ზავის პირობები ძალაში შესულიყო ევროპის კონგრესზე განხილვის შემდეგ. ინგლისის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ნათქვამი, „ინგლისს არ შეუძლია დაუშვას ცალმხრივი ხელშეკრულების დადება რუსეთსა და ოსმალეთს შორის", მიღწეულ იქნა. აშკარა იყო, რომ რუსეთი ან დათმობებზე უნდა წასულიყო, ან ჩაბმულიყო ახალ ომში კოალიციურ ძალებთან. საამისოდ მზადება უკვე გაჩაღებული იყო: ახალი სამხედრო ძალების, სპეციალისტების (ინგლისელი, ფრანგი) და იარაღის თავმოყრა ბათუმის მიმართულებით, მოსახლეობაში მუშაობის გაშლა რუსეთის საწინაარმდეგოდ; საჭირო ზომებს იღებდა რუსეთიც. იგი მზად იყო რიგ დათმობებზე წასულიყო ახალი ომის თავიდან ასაცილებლად (1878 წ. მაისში ინგლის-რუსეთის საიდუმლო მოლაპარაკება).

ასეთ პირობებში 1878 წლის ივნისში ბერლინში შეიკრიბა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი.

კონგრესზე გამოიკვეთა ბათუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ომში. სოლსბერი (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი) აცხადებდა: „ინგლისი უკანასკნელ პირობად რუსეთს განუცხადებს, რომ მან უარი სთქვას ბათუმზეო" (Батумъ и его окрестности...,1906,92). რუსეთის წრმომადგენელს დავალებული ჰქონდა, თუ ოსმალები უარს იტყოდნენ ბათუმის ნებაყოფილებით დაცლაზე, განეცხადებინა: „კონგრესის ყველა დადგენილებას რუსეთი სისრულეში მაშინ მოიყვანდა, როდესაც სულთანი ბათუმს რუსეთს გადასცემდა (შ. მეგრელიძე, 1963,158).

მართლაც, ბათუმის საკითხმა კონგრესზე მწვავე დისკუსია და შეხლა-შემოხლა გამოიწვია და იგი დასრულდა იმით, რომ ინგლისის მთავრობის მეთაურის ბიკონსფილდის მოთხოვნით, ბათუმი გადაეცა რუსეთს პორტო-ფრანკოს ანუ საერთაშორისო ვაჭრობის ქალაქის სტატუსით, ხოლო ოსმალეთს დაუბრუნდა ვალაშკერტი და ბაიაზეთი.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით თურქეთმა დაიბრუნა ომის დროს რუსეთის მიერ დაკავებული ქართველებითა და სომხებით დასახლებული ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მეტი. მართალია, კონგრესის გადაწყვეტილებით 3 წლის განმავლობაში ნება ეძლეოდათ მცხოვრებლებს (ქრისტიანებს, მუსლიმანებს) სურვილისამებრ აერჩიათ სად სურდათ ცხოვრება: ოსმალეთის, თუ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ სინამდვილეში ოსმალეთი ამის საშუალებას არ აძლევდა ქართველებს...

კონგრესის შემდეგ კარგა ხანს გაჭიანურდა გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულება. რუს–ქართველთა ჯარი ბათუმში მხოლოდ 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდა.

ლიტერატურა

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.

2. ო. გოგოლიშვილი, ბერლინის კონგრესი, „საისტორიო მაცნე," XIV, 2005.

3. მ. დუმბაძე, დასავლეთი საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

4. ნ. ზოიძე, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი და საქართველო, „საისტორიო მაცნე," XII, 2008.

5. შ. მეგრელიძე, აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956.

6. შ. მეგრელიძე, სამხეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1963.

7. შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974.

8. საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი, 1949.

9. Батумъ и его окрестности, к 25-летию присоединения гор.Батуми к Россиской империи. Батуми, 1906.

10. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, т.IV, часть II, тифлис,1908.

აბუსერისძეები XI-XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

აბუსერისძეთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს ისტორია ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი. მართალია, მისი სახელოვანი წარმომადგენლის, XIII საუკუნის მოღვაწის, მწერლისა და მეცნიერის – ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი გამოკვლევა შეიქმნა (ლ.მუსხელიშვილი, ი.სიხარულიძე, ნ.გოგუაძე, მ.ქავთარია, რ.ჩაგუნავა, რ.ხალვაში, გ.აბუსელიძე...), სადაც ამ გვარის სხვა ცნობილ მოღვაწეთა შესახებაცაა საუბარი, მაგრამ, ტბელის წინაპრებისა თუ მომდევნო თაობათა შესახებ ისტორიული წყაროები იმდენად მცირეა, რომ მათ შესახებ სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, თუმცა არსებულ წყაროთა ანალიზით, მაინც შესაძლებელი ხდება ისტორიულ მოვლენათა კონტექსტში გავიაზროთ ამ გვარის წარმომადგენელთა ადგილი და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჯერად, წარმოდგენილ ნაშრომში მიზნად დავისახეთ აბუსერისძეთა გვარის იმ წარმომადგენლებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს მათი საგამგეო მხარისა და მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1. აბუსერისძეები – XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ქართულ ისტორიულ წყაროებში აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები XI ს-ის დასაწყისიდან ჩანან. 20-იანი წლების ბოლოს ისინი არტანუჯსაც ფლობდნენ. სწორედ ამ წლებზე მოდის „მატიანე ქართლისა“-ში ნათქვამი: „ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ (ქცა, 1958, 29).. აქ ორი საკითხია გასარკვევი: პირველი - როგორ გავიგოთ ერის-

თავის დასახელება - „იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ და მეორე, როდის მიიღეს აბუსერისძეებმა არტანუჯის ციხე.

მკვლევარი ლ.მუსხელიშვილი „აბუსერსა“ საკუთარ სახელად მიიჩნევდა და ტექსტის გასწორების ვარიანტსაც იძლეოდა: იოვანეს ერისთავსა აბუსერისძესა (ლ. მუსხელისვილი, 1941.17); ხოლო პროფ. ი.სიხარულიძე თვლის, რომ „აბუსერი “ არაბული „აბუსარის” ოდნავ სახეცვლილი ფორმაა (აბუ-მამა, სარ-დიდსულოვანი, მამაცი), რაც იოვანეს თვისებათა ეპითეტადაა გამოყენებული და შემდეგ ის ამ ერისთავთა გვარად იქცაო (ი.სიხარულიძე, 1979,8)

ჩვენ უფრო მისაღებ განმარტებად მიგვაჩნია ი.სიხარულიძის მოსაზრება, რადგან შემდეგ ამ საგვარეულოში ხშირად ჩანს გამოყენებული ეს ეპითეტი ადამიანთა სახელადაც და გვარადაც.

რაც შეეხება მეორე საკითხს, არტანუჯი 1011 წლამდე „კლარჯთა მეფეთა“ ხელში იყო. ამის გამო მათ არტანუჯელებსაც უწოდებდნენ. სწორედ ამ წელს შეიპყრო ბაგრატ III-მ სუმბატ და გურგენ არტანუჯელები მათი საგამგეო მიწების შემოსაერთებლად და ამდენად, მაშინ შეიძლებოდა რომ მეფეს ეს მხარე აბუსერისძეთათვის გადაეცა, მაგრამ მკვლევარები თვლიან, რომ რადგან არტანუჯსა და აჭარას შორის შავშეთია, ამ უკანასკნელის შემოერთებამდე ეს არ მოხდებოდა. შავშეთს 1028 წლამდე ჩანჩახ ფალელი ფლობდა, ვიდრე იგი ბერძნების მხარეს არ გადავიდა და მეფემ, როგორც მოღალატეს, შავშეთი არ წაართვა. ვარაუდობენ, რომ აჭარის ერისთავს სწორედ ამ დროს უნდა მიეღო შავშეთიც და არტანუჯიც, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მეფეს ადრე გადაეცა არტანუჯი, როგორც მისი საგამგეო ქვეყნის ერთი პროვინცია.

აშკარად ჩანს, რომ როგორც გიორგი I-ის, ისე ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში, აბუსერისძეთა გვარი ერთგულია ცენტრალური ხელისუფლების, აქტიურად მონაწილეობს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და შესაბამისად ჯილდოვდება კიდეც. ამას ადასტურებს 1046-1047 წლებისათვის ციხისჯვარისა

და აწყურის ციხის მათი გამგებლობის ქვეშ მოხსენიებაც. ცოტა ადრე, აბუსერისძეთა გამგებლობაში ყოფილა ახლად შემოერთებული ანისიც. მემატიანე გვამცნობს, რომ 1045 წელს „მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატ დედასა, რამეთუ მამულ ეყოდეს სომეხნი, სენაქერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“ (ქცა, 1955,197). დედოფალს ანისში ერისთავი აბუსერი დაუდგენია გამგედ(ივ. ჯავახიშვილი,1983,143). თუმცა ანისი მცირე ხნით დარჩენილა მის ხელში. კერძოდ, ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავს შორის დაპირისპირებისას, როცა იგი ანისში იყო დედოფალთან ერთად, ლიპარიტმა „გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერის ციხის პატრონი“ (ქცა, 1955,300). მალე ლიპარიტ ერისთავმა გაათავისუფლა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი ტყვეობიდან, მეფის ტყვეობაში მყოფი თავისი შვილის იოვანეს გათავისუფლების სანაცვლოდ. ასე რომ, აბუსერი საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის პატრონია და კვლავ მონაწილეობს იმ რთულ შინაპოლიტიკურ დაპირისპირებებში, რომელიც გრძელდება მეფესა და ერისთავ ლიპარიტს შორის. აბუსერის თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან სასირეთის ბრძოლაში იგი სხვა დიდებულებთან ერთად კვლავ ლიპარიტ ერისთავს ჩაუვარდა ტყვედ (ქცა,1955,301).

ამის შემდეგ ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა გვარში აბუსერის შვილი გრიგოლი ჩანს, „ერისთავი არტანუჯისა“. ისიც მამის მსგავსად მონაწილეობდა მეფის მხარეზე ლიპარიტის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგანაც უკანასკნელმა არაერთხელ გამოავლინა არტანუჯის წართმევის სურვილი.

1047 წელს გრიგოლ ერისთავი არტანუჯელი, ერისთავი სულა კალმახელი და მესხი აზნაურები მეფე ბაგრატ IV ძალებთან ერთად არყის ციხესთან შეებნენ ლიპარიტის მომხრე ძალებს. „და სძლია ლიპარიტვე, და გაიქცა მეფე, შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრი-

გოლ, ძე აბუსერისი და სთხოვეს არტანუჯი, სიკუდილისა ქადებითა და მისცა“ (ქცა,1955,301-302). ასე რომ, ცოცხლად დარჩენის საფასურად გრიგოლმა დაკარგა არტანუჯი, მამისაგან გმირული ბრძოლებითა და მეფისაგან ერთგულების სანაცვლოდ ძღვნად მოპოვებული.

საისტორიო წყაროების მიხედვით გრიგოლ აბუსერისძე ჩანს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით. დაახლოებით 1046 წელს, ჯავახეთში, სოფ. ღრტილასთან შედგა საეკლესიო კრება, რომელშიც მეფესთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ წურწყაბელის ეპისკოპოსს, გვარად მიქელაძეს, ყველელ ეპისკოპოსს სანანოს, გრიგოლ აბუსერისძეს და გაბრიელ უფისძეს (ან. ჯაფარიძე,2003,100) ეს კრება ჩატარებულა იმ დროის უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ამიერკავკასიაში მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ სომხეთში მონოფიზიტობამ გაიმარჯვა, საქართველოში კი დიოფიზიტობამ. ირანის მხარდაჭერით სომხური ეკლესია დიდხანს მძლავრობდა ამიერკავკასიაში, იგი თავის გავლენას ავრცელებდა სომხეთის მომიჯნავე ქვემო ქართლის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე. მიმდინარეობდა აქ მცხოვრები ქართველების „გასომხება“. ამიტომ ხშირი იყო ქართული და სომხური ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრა-კრებები, სადაც მიმდინარეობდა დისკუსიები სარწმუნოებრივ საკითხებზე. სწორედ ასეთ კრებას წარმოადგენდა ღრტილას 1046 წლის კრებაც. ეს კრება ჩვენთვის იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რომ მასში მონაწილეობდა გრიგოლ აბუსერისძე და ყველელი ეპისკოპოსი სანანო. მკვლევარი ლ.მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ რადგან ყუელის ციხე ერუშეთში მდებარეობდა, აჭარა-შავშეთის საზღვარზე, შესაძლებელია იგი აბუსერისძეთა ხელში იყო, რადგან სახელი სანანო ძალიან გავრცელებული იყო აბუსერისძეთა გვარში. თუ ამ ვარაუდს მისაღებად ჩავთვლით, გამოდის, რომ ღრტილას კრებაში აბუსერისძეთა გვარის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა: საერო და სასულიერო. მაშინ

იმის ეჭვიც ჩნდება, რომ კრებაზე დასმული პრობლემა აბუსერისძეთა საერისთავოსაც ეხება და მონოფიზიტობასთან, კერძოდ, სომხური ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ამ საერისთავოსთვისაც აქტუალური ყოფილა.

გრიგოლ აბუსერისძე მონაწილეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისა. ერისთავ ლიპარტის მძლავრობით შეწუხებული მეფე ბაგრატ IV 1054-1056 წლებში კონსტანტინეპოლში ჩადის, რათა ბიზანტიის იმპერატორს თხოვოს დახმარება, ლიპარიტთან შერიგება. აქ შეხვდა მეფე დიდ საეკლესიო მოღვაწეს წმ. გიორგი მთაწმინდელს და აქედან დაიწყო იმ „დიდი საქმის“ განხორციელება, რომელიც გიორგი მთაწმინდელის სახელს უკავშირდება. მეფეს, სხვა დიდებულებთან ერთად, ყველა იმ საქმეების მოგვარებისას ხლებია გრიგოლ აბუსერისძეც (რ.ხალვაში,2006,4)

ყველა ზემოაღნიშნული ადასტურებს გრიგოლ აბუსერისძის აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასა და დიდ გავლენას სამეფო კარზე, მაგრამ არყის ციხესთან მარცხის, ტყვედ ჩავარდნისა და არტანუჯის დაკარგვის შემდეგ, აბუსერისძეთა გავლენა შესუსტდა. 1058-1059 წლებში ლიპარიტ ერისთავის შეპყრობის შემდეგ, მეფემ არტანუჯი აბუსერისძეებს კი არ დაუბრუნა, არამედ თვითონ დაისაკუთრა. აგრეთვე, სულა კალმახელი ლიპარიტის შეპყრობისათვის დააჯილდოვა აბუსერისძეთა საგამგეო მიწებით – ციხისჯუარითა და ოძრხეთი. როგორც ჩანს, ამის შემდეგ აბუსერისძეთა საერისთავოში აღარ შედის შავშეთიც, რადგან თამარის ისტორიკოსის მიხედვით, 1190-1191 წლებში შავშეთს ფლობს გუზან აბულასანისძე „პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“. მალე აბუსერისძეებს აღარც ყველის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები დარჩათ. 60-იან წლებში ამ ციხის პატრონად და ყველის ერისთავებად ჯაყელებია (ი.სიხარულიძე, 1979, 11).. ასე რომ, XI ს-ის 50-იან წლების ბოლოს აბუსერისძეების საგამგეო ტერიტორია, როგორც ჩანს, მხოლოდ აჭარა იყო. ამის შემდეგ, მიუხედავად აბუსერისძეთა მხრივ დიდი

მცდელობისა, ამ გვარის აღზევება ამ საუკუნეში ვეღარ მოხერხდა, თუმცა არც XI ს-ის ბოლო ხანებში და არც XII ს-ის II ნახევარში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალთა გამოსვლებში აბუსერისძეები არ ჩანან. მათ, როგორც ადრე ეჭირათ ქვეყნის ერთიანობის დაცვისა და ხელისუფლების მხარდამჭერი პოზიციები, ახლაც ასე აგრძელებდნენ, რამაც განსაზღვრა ამ საგვარეულოს პოზიციების განმტკიცება და საქვეყნო საქმეებში ჩაბმა XII ს-ის II ნახევარსა და XIII ს-ის პირველ მესამედში.

2. აბუსერისძეები - XII-XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

XII საუკუნის დასაწყისიდან, დავით IV მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების მიუხედავად, დემეტრე I და გიორგი III მმართველობისას შინაპოლიტიკური დაპირისპირებულობის გამო, ქვეყნის შიგნით და მის

გარშემო პოლიტიკური მოვლენები დაიძაბა.წერილობითი წყაროები ამ დროს განსაკუთრებით წარმოაჩენენ ტბელ აბუსერისძის პაპის აბუსერის, მისი ძმის – სანანო ახოიანის და მწერლის მამის ივანე ერისთავთ-ერისთავის ღვაწლს. ტბელის თხზულების მიხედვით, ერისთავთ-ერისთავი ივანე აღესრულა „თურქთა ხელითა“, ხოლო მწერლის პაპას აბუსერს და სანანო ახოიანს თავი გამოუჩენიათ „მტერთა ზედა გაცემული“ ხიხანის გამოხსნა – დაბრუნებაში, რითაც „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალება შეუსრულებიათ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო ოცწლეულში, არაერთი ფეოდალური შინაომი, თუ გარეშე და შინა მოღალატე ძალებთან შეტაკება მოხდა. ამიტომ რთულდება იმის დადგენა, როდის იქნა მოღალატურად ხიხანის „მტერთა ზედა გაცემა“, ან მისი გამოხსნა და „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალების შესრულება, ან როდის უნდა დაღუპულიყო ერისთავთ-ერისთავი ივანე „თურქთა ხელითა“.

წმ. ტბელი აბუსერისძე

თუ გავითვალისწინებთ გამოთქმას – „ღმრთის სწორთა პატ-
რონთა“, აქ უნდა იგულისხმებოდეს თამარი თავისი მეუღლით-
დავით სოსლანით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხიხანის
მტრებისგან გამოხსნა 1188 წლის შემდეგ, თამარის დავით
სოსლანზე დაქორწინების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამასთან,
გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერისთავთ-ერისთავი ივანე
დაიღუპა „თურქთა ხელითა“. ამიტომ მკვლევარები ვარაუდობენ,
რომ ასეთი პირობები 90-იან წლებში ბევრჯერ შეიქმნა, რადგან
საქართველოს მრავალი დიდი თუ პატარა ომი ჰქონდა სელ-
ჩუკებთან ადარბადაგანში, შამქორში, კართან, აჭარაში და
სხვაგან. თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ ერისთავთ-ერისთავი ივა-
ნე ბასიანის ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო. ამ აზრს იზიარებდა
ლ. მუსხელიშვილიც, ოღონდ ბრძოლის თარიღში არ ეთანხ-
მებოდა თ. ჟორდანიას. შემდეგ, აბუსერისძეთა შესახებ ტბელის
თხზულებაში მოცემული მონაცემების ანალიზის საფუძველზე,
იგი 1191 წელზე შეჩერდა. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ წელს
დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფეოდალური არისტოკრა-
ტის დიდმა ნაწილმა მოინდომა გიორგი რუსის ხელახლა

დაბრუნება თამარის მეუღლედ და ამით საკუთარი პოზიციების განმტკიცება.

დავით აღმაშენებლის დროს თბილისის გათავისუფლების შემდეგ, ქუთაისიდან თბილისში დედაქალაქის გადატანამ, დასავლეთის გავლენა ქვეყანაში შეასუსტა, დასავლეთ საქართველოს მსხვილი არისტოკრატია ამას სულ უფრო მეტად გრძნობდა თამარის მეფობის ხანაში, რამაც უკმაყოფილო ძალები გააერთიანა. ამ მოვლენას ნ. ბერძენიშვილი ასე განმარტავს: „დავით აღმაშენებლის დროიდან აშკარა გახდა აღმოსავლეთის უპირატესობა და აფხაზთა მეფე (ლიხთიმერეთის და თუ გნებავთ ტაო-კლარჯეთის მეფე) სულ უფრო და უფრო ქართლ-კახეთს და მის მიმდგომ ქვეყნებს ირჩევს ცენტრად. და ძველი ფეოდალური არისტოკრატია აჯანყდა“ (ნ. ბერძენიშვილი 1974, 168). ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა შავშეთისა და კლარჯეთის პატრონი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველოს ძალები შემოიკრიბა. აჯანყებაში ჩართული იყო უცხო ძალებიც. შაჰარმენის დახმარებით ციხეებსა და ქალაქებში თურქთა გარნიზონები ჩააყენეს. დგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ხელისუფლებამაც დაიწყო მზადება, თუმცა სცადა ვითარების განმუხტვა მოლაპარაკების გზით და მათთან ანტონ ქუთათელი და სხვა ეპისკოპოსები მიაგზავნა, მაგრამ ამაოდ (ივ.ჯავახიშვილი, 1983, 261). ჯანყებულთა ერთი ნაწილი, ხინგრის წყალზე თმოგვსა და ერუშეთს შუა, ბრძოლაში დამარცხდა, მეორე ნაწილი, რომელიც გორამდე იყო მისული, ხინგრის წყალზე მათი მომხრეების მარცხის გაგებისთანავე უკან გაბრუნდა. მართალია, ამ ამბების აღწერისას მემატიანები აბუსერისძეებს არ ახსენებენ, მაგრამ ტბელის თხზულებაში ნათქვამი სიტყვები: „ღმრთის სწორთა პატრონთა“ დავალების შესრულება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მეფის მომხრეთა შორის არიან და არაა გამორიცხული, რომ სწორედ ამ ამბების დროს დაიღუპა ერისთავთ-ერისთავი ივანეც.

XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს საქართველოში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური, მორალურ-პოლიტიკური ვითარება იმ გართულებული საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით (მონღოლთა გამოჩენა, ხვარაზმელების კავკასიის მიმართულებით ოტება), დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას. მით უმეტეს, რომ ამას დაემთხვა თამარის გარდაცვალება და შემდეგ ახალგაზრდა ლაშა-გიორგის მოულოდნელი დაღუპვაც. მეფობისათვის მოუმზადებელი რუსუდანის ტახტზე ასვლა, ასეთ რთულ პირობებში, წინასწარ განაპირობებდა მოსალოდნელ შედეგებსაც.

ჯერ ლაშა-გიორგის დროს მონღოლთა ოცათასიან მარბიელ ლაშქართან მარცხმა და შემდეგ ჯალალ-ედ-დინის ლაშქრობებმა, უმძიმესი მდგომარეობა შექმნა ქვეყანაში. ამ დროს აჭარის საერისთავოს განაგებდა ტბელ აბუსერისძის უფროსი ძმა აბუსერი და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მონაწილეა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა. ეს კარგად ჩანს ტბელ აბუსერისძის თხზულებიდანაც. ტბელის თხზულება „ახალი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, რომელიც XIII საუკუნის 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი, კარგად აჩვენებს იმ დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას: „ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძვირე პურისაჲ“, „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა, ივლტოდა ხიზნობად შიშისათვს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთა წარწყუედასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოისათა“ (აბუსერიძე ტბელი, 1998, 62-66). ასეთია სურათი ხვარაზმელთა მიერ აკლებული და აოხრებული საქართველოსი. ამიტომ ტბელის თხზულება თავისი პათოსითა და მიზანდასახულობით განსხვავდება სვებედნიერი საქართველოს პირობებში შექმნილი თხზულებებისაგან. ეს ის დროა, როცა „კაცისმჭამელთა მგელთა ოტე-

ბანი სრულიად საზღვართა შინა სრული საქართველოისათა“ ჩეულებრივი ამბავი გახდა და საჭირო იყო ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის თანადგომა. საინტერესოა, რომ ტბელი თხზულებაში „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ მოგვითხრობს XII საუკუნის შუა ხანებში აგებული ეკლესიის მშენებლობის ამბებს ეკლესიის აგებიდან 80 წლის შემდეგ. რამ ჩააფიქრებინა ავტორს თხზულების დაწერა, რა მიზანს ისახავდა და რისი თქმა უნდოდა? სავარაუდოა, რომ რამდენადაც იგი საქართველოში დატრიალებული უბედურების (მონღოლთა გამოჩენა, ხვარაზმელთა შემოსევა) მიზეზად ქართველთა მიერ ჩადენილ ცოდვებს მიიჩნევდა („მოგებისათვის ცოდვასა ჩვენთაისა“), რომელსაც აჭარაც ვერ გადაურჩა, იგი თანამედროვეებს შეახსენებდა დიდი მფარველი წმინდანის – წმინდა გიორგის სახელსა და ძალას და სიმბოლურად მას ეკლესიის მშენებელთა შემწედ წარმოგვიდგენს. საფიქრებელია, აქ ეკლესია ქვეყნის სიმბოლოც იყოს, რადგან ტბელის ნაწარმოებებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მისი დროის მოვლენებში ღრმად ჩახედული მოღვაწეა, რომელიც ფიქრობს ქვეყნის ბედზე და ცდილობს ახსნას მომხდარი უბედურების მიზეზი. იგი ქვეყნის უბედურებაგამოვლილი კაცის აზროვნებით აფასებს მოვლენებს და ეკლესიის მშენებლობისას ქვითხურო ბასილის მიერ გამოჩენილი თავგანწირვისა, თუ წმიდა გიორგის სასწაულების ჩვენებით, თანამედროვეებს ქვეყნის გადარჩენის რწმენასაც უნერგავს. ამ თვალსაზრისით, ტბელი თავისი დროის პოლიტიკური მოვლენების აქტიური მონაწილეა და როგორც ჩანს, პრაქტიკულად მონაწილეობს სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მოხელეებთან ერთად რიგი საკითხების გადაწყვეტაში. ამ მხრივ, საინტერესოა 1216 წელს დვინში ივანე მხარგრძელის (ათაბაგი) მიერ მოწვეულ სასამართლოში მისი მონაწილეობა. სასამართლოზე იყვნენ აგრეთვე „მემნა ჯაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელიც მოსულიყო სამეფოდან, ვარძიის წინამძღვარი და პღინძაჰანის წინამძღვარი, დიდი მამამთავარი გარესჯისა“ (რ. ხალვაში, 2005, 158).

XIII საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში, ტბელი ძმების – ერისთავთ-ერისთავების აბუსერისა და ვარდანის დავალებით ხიხანშია და ციხისა და ეკლესიის მშენებლობის საქმეს უძღვება, რაც გამოიწვია „ეკლესიის მცირაობითა ერისა ვერდატევნამან და ჯავრისა მიზეზითა გულსმოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამან და ძუელი სახლოვანი დაშლილ იყო“ (აბუსერისძე ტბელი, 1998, 680). თავისთავად იმ მძიმე პერიოდში, როცა ქვეყანამ განიცადა მონღოლთა და ხვარზმელთა შემოსევები, როცა მოსახლეობის ბრძოლისა და თავდაცვის მთავარი საყრდენი ციხეები იყო, ხიხანის ციხის გამაგრება მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ტოლფასი იყო და ამასთან, იმათ მხარში დგომასაც ნიშნავდა, ვისაც თავიანთი მდგომარეობით ევალებოდათ ქვეყნის, საკუთარი საერისთავოსა და მისი მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფა. მისი უფროსი ძმა აბუსერი ხომ ერისთავთ-ერისთავი იყო.

ტბელის ძმა აბუსერ IV ერისთავთერისთავი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ყოფილა. მას განსაკუთრებული სითბოთი მოიხსენიებს თავის ეპისტოლეში საქართველოს კათოლიკოსი არსენ ბულმაისიმისძე. იგი აბუსერსა და მთელ მის საგვარეულოს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ჰოი, ღმრთისმოყვარეო მთავარო დიდგვარიანო და სახელმაღალო აბუსერი, ესე იყავნ ხუავ თქუენდა და თქუენთა ნამუშაკევთა ნაყოფ-შეწირულ მომცევლისა, რამეთუ არარაი არს კეთილთაგანი, რომელმაც არა მისი იყო“ (რ.ხალვაში, 2006, 6). აბუსერ მეოთხემ კათოლიკოსის ასეთი სიტყვები ხელისუფლებისადმი ერთგულებით, ღვთისმოსაობით, კეთილგონიერებითა და ქველმოქმედებით დაიმსახურა. ქვეყნისთვის იმ მძიმე დღეებში, როცა „კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოისათა“ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და „არავინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათა“ (აბუსერისძე ტბელი, 1998, 66), ერისთავთ-ერისთავის პიროვნულ თვისებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ მისი ბრძანებით დაიწყო ხიხანის ციხის

გამაგრება და იქ წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობა. მისი ხელმძღვანელობით იყო უზრუნველყოფილი საგამგეო მხარის უშიშროება, რამაც იგი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებიდან ლტოლვილი უბრალო მოსახლეობისა თუ მაღალი დიდკაცობის საიმედო თავშესაფრად აქცია. ამას ხელს უწყობდა აჭარის რელიეფიც. „მთიან-ტყიანი, ვიწრო და ღრმა ხეობიანი აჭარა მტრისთვის და განსაკუთრებით ველს მიჩვეულ მომთაბარეთათის სახიფათო და მიუდგომელი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი. 1966, 91). ალბათ, ამანაც განსაზღვრა ის, რომ XI საუკუნეში მალიქშაჰთან დაბარებული მეფე გიორგი II ჯერ აჭარაში გადავიდა, შემდეგ ისევ სელჩუკთა მოძალების გამო აფხაზეთში წავიდა (ნ. შენგელია, 1968, 309). თავშესაფრის ამ საიმედობამ და ერისთავთ-ერისთავის ოჯახთან ახლო ურთიერთობამ გადააწყვეტინა ალბათ შანშე მანდატურთუხუცესს, რომ როცა მონღოლები „შემოვიდნენ ქართლს, თრიალეთს, სომხეთს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტაანს, ანისს და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისვროდა ყოველი ესე ქუეყანა, მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისა“(ქცᵃ,1959, 187).

ამ დროს საქართველოს სამეფო კარი, რუსუდანის ხელმძღვანელობით ქუთაისში იყო გადმოსული, აქ იყო კათოლიკოსი არსენ ბულმასაიმისძე და სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა სვინგელოზიც, რომელთანაც ერისთავთ-ერისთავ აბუსერს და მის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ აბუსერის დაკვეთით არის შესრულებული ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც კათოლიკოსმა გაუგზავნა ხიხანში აბუსერს.

აჭარის ერისთავთა მომდევნო თაობების საქმიანობის, მათი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ მონღოლთა ბატონობის ხანაში, ცნობილი არ არის წყაროთა უქონლობის გამო. ერთი ცხადია, რომ მონღოლთა მიერ ქვეყნის დუმანებად დაყოფისას აჭარა მეექვსე დუმანში იყო გაერთიანებული, რომელსაც

ყვარყვარე ციხისჯვარელი-ჯაყელი ედგა სათავეში. მართალია, ორმეფობის ხანაში დუმანებად დაყოფა ქვეყნისა გაუქმდა, მაგრამ ამიერიდან ცხოვრება მონღოლთა მოთხოვნებისა და წესების მიხედვით ვითარდებოდა. მოსახლეობის აღწერა, გადასახადები თუ მონღოლურ ლაშქრობებში მონაწილეობა, ქვეყნის ყველა ნაწილის ვალდებულებაში შედიოდა და გამონაკლისი არც აჭარა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ამას წყაროებიც ადასტურებენ. აჭარა არაერთგზის გამხდარა ბრძოლის ასპარეზი. ამ მხრივ, განსაკუთრებულია მონღოლთა ჩრდილოეთის ულუსის (ოქროს ურდო) უფლისწულის თეგუდარის ლაშქრობები სამხრეთის ულუსის (ილხანების) ყაენის აბაღას წინააღმდეგ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოსაც. ერთ-ერთ ბრძოლაში აბადა ყაენს თეგუდარის ჯარები დაუმარცხებია, რომლის ერთი ნაწილი აჭარის მთებში გაქცეულა და იქ ისინი (1000 კაცი) მეწყერს ჩაუტანია (ქცა, 1959, 261).

1266 წლიდან დავით ულუს იჭვიანობამ და მალემრწმენობამ სამცხე ხასინჯად აქცია. ამ დროიდან საქართველო სამ ნაწილადაა დაყოფილი, რომელთაგან ერთი (სამცხე) ყაენის სახასო მიწადაა მიჩნეული და ვიდრე გიორგი V ბრწყინვალეს მეფობამდე, იგი ყაენის გამგებლობაში რჩებოდა.

სამცხის ხასინჯად ქცევამ, ანუ უშუალოდ ყაენის სამმართველო ტერიტორიად გამოცხადებამ და მისმა მფარველობამ, სოციალურ – ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს სხვა მხარებთან შედარებით, აქ უკეთესი პირობები შექმნა. ამიტომ იზრდება აქ მოსახლეობის რიცხვი სხვა მხარეებიდან ჩამოსახლების ხარჯზე. ჩნდება ახალი სოფლები, შენდება ეკლესია-მონასტრები (სინ, 1979, 599). ეს პროცესი მიმდინარეობდა აჭარის ტერიტორიაზეც, რომლის ადგილობრივ მმართველებს ისევ აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

XIII საუკუნის ბოლოს სამცხის მთავარი ყველა ნიშნით სრული ხელმწიფის უფლებებით იყო აღჭურვილი მონღოლთა ყაენების სიუზერენობის ქვეშ. სამთავროს შიგნით მხარეთა

პატრონები, რომლებმაც საპატრონო მიწები სამემკვიდრეოდ აქციეს, „მცირე მთავრების" სახელით მოიხსენებიან, უფრო გვიან კი თავადების სახელიდა შერჩათ (სინ, 1979, 625). როგორც ჩანს, მსგავსი ვითარება იყო სამცხის სამთავროშიც და იგი შეეხო აჭარის მმართველებსაც.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან მთელი საუკუნის განმავლობაში, აბუსერისძეთა პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ისტორიული წყაროები არ იძლევიან არავითარ ინფორმაციას. ამ გვარის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდება XIV საუკუნის 50-იანი წლებიდან გიორგი V ბრწყინვალეს შვილის დავით VII-ის მეფობის (1346-1360) ხანაში, როცა ერთიანი საქართველოს ამირსპასალარად ჩანს ივანე აბუსერისძე.

გიორგი V ბრწყინვალემ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების პარალელურად, იზრუნა საქართველოს ერთიანობის აღსადგენადაც. მან მარჯვედ გამოიყენა საყაენოში შექმნილი არასტაბილურობა, შინაბრძოლები და ურთიერთ ქიშპი (1335-1344 წლებში რვაზე მეტი ყაენი გამოიცვალა) და დამოუკიდებლად დაიწყო ქვეყნის მართვა. 20-იანი წლების ბოლოს, მოსახერხებელ სიტუაციაში, გააუქმა მეფობა დასავლეთ საქართველოში. დავით ნარინის ვაჟის მიქელის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრეს ბაგრატს მხოლოდ შორაპნის ერისთავობა უბოძა. ამავე მეთოდით წაართვა დამოუკიდებლობა სამცხესაც 1334 წელს, როცა გარდაიცვალა სამცხის მთავარი და გიორგი V-ს ბიძა სარგისი. მეფე ჩავიდა სამცხეში და მთავრად დაადგინა სარგისის ვაჟი ყვარყვარე. ამიერიდან, როგორც ჩანს, აჭარაც გათავისუფლდა სამცხის მთავრის გავლენისაგან და იგი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა. სხვა შემთხვევაში ივანე აბუსერისძე ვერ გახდებოდა ერთიანი საქართველოს ამირსპასალარი, მით უმეტეს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი V–ს სარგის ჯაყელისათვის უბოძებია ათაბაგობა და ამირსპასალა-

რობა (ქცᵊ-,1973, 256). როგორც ჩანს, სამცხის მთავრად ყვარ-ყვარეს დადგენის შემდეგ, ეს წესი მეფემ შეცვალა, რადგან ერთი პირის ხელში ამ ორი თანამდებობის თავმოყრა მეტის-მეტად განადიდებდა და აძლიერებდა მას. ამ დროს ჩნდება ტენდენცია ათაბაგის გავლენის შესუსტების, რაც კარგად ჩანს XIV საუკუნეში შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“, სადაც მითითებულია, რომ „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია“ (ხელმწიფის კარის გარიგება, 1993, 31). ყველა-ფერი ეს სარწმუნოს ხდის ამირსპასალარად სხვა პირის გამო-ჩენას იმავე რეგიონიდან, რომლის მთავარსაც ეკუთვნოდა აქამდე ეს სახელმწიფო სახელო - თანამდებობა.

სათანადო ცნობების უქონლობის გამო არ არის დადგენილი, თუ როდის მიიღო ეს სახელო (თანამდებობა) ივანე აბუსერისძემ, მაგრამ ცნობილია მისი გარდაცვალების თარიღი - 1356 წელი (ტბელ აბუსერისძე – 800,1992, 25). აქედან აშკარად ჩანს, რომ იგი ამირსპასალარია დავით VII მმართველობის ხანაში (1346-1360წწ), მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ეს სახელო მიეღო მას გიორგი V მმართველობის წლებშიც.

ივანე აბუსერისძეს რთულ პირობებში მოუწია საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა, რადგან გიორგი ბრწყინ-ვალეს ღონისძიებებს ჯერ კიდევ თავისი შედეგები არ მოეტანა. გართულებული იყო ქვეყნის საგარეო პირობებიც. 1349-1350 წლებში საქართველომ ანუშირვანს გადაუხადა ხარკი 400000 დინარის რაოდენობით. ამავე წლებში მძვინვარებდა შავი ჭირიც. იგი ოქროს ურდოში გაჩენილა და გავრცელებულა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც და ათასობით ადამიანი შეუწირავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ამ სირთულეთა დაძლევაში მონაწილეობის მიღება მოუწევდა ივანე აბუსერისძე-საც, როგორც ხელისუფლების ერთი წარმყვანი სფეროს ხელ-მძღვანელს.

ივანე აბუსერისძე აბუსერისძეთა საგვარეულოს უკანასკნელი ცნობილი წარმომადგენელია. XV საუკუნიდან ამ გვარის

წარმომადგენლები ფართო სამოღვაწეო სარბიელზე აღარ ჩანან. როგორც ჩანს, ისე როგორც სხვა ფეოდალური საგვარეულოები, აბუსერისძეთა გვარიც ოსმალებთან საუკუნოვან ბრძოლას შეეწირა (ტბელ აბუსერისძე – 800, 1992:26).

ამრიგად, ცნობილი ისტორიული საგვარეულოს – აბუსერიძეების აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის ხანა XI-XIV საუკუნეებს მოიცავს და ამ ხნის მანძილზე ამ საგვარეულომ წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი უშუალო მონაწილენი იყვნენ ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების, დავითისა და თამარის დროის საქართველოს აღმასვლა-გამარჯვების და ასევე თავისთავზე იწვნიეს ის სიმძიმეც, რაც მონღოლთა ბატონობისას გადაიტანა საქართველომ. ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, აბუსერისძეები ყველა დროში ერთგულად ედგნენ გვერდში ქვეყნის საჭეთმპყრობლებს, ასე ყოფილა გიორგი V ბრწყინვალის დროსაც, რისი მაჩვენებელიცაა ამ გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის - ივანე აბუსერისძის ქვეყნის ამირსპასალარობამდე ამაღლება.

2008

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ, 1979
3. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ, 1966
4. ლ. მუსხელიშვილი, აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატეანე, თბ., 1941
5. (სინ) საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ, 1979
6. ი.სიხარულიძე, ნათელი დაუდამებელი, ბათუმი,1979
7. ტბელ აბუსერისძე -800, ბათუმი, 1992

8. ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1955
9. ქართლის ცხოვრება, თბ II, 1959
10. ქართლის ცხოვრება, IV, თბ, 1979
11. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ, 1968
12. რ. ხალვაში, წმ. ტბელ აბუსერისძის ღვაწლი, ბათუმი, 2006
13. რ.ხალვაში, ტბელ აბუსერისძის ბიოგრაფიისათვის.-კრ., ,საის-ტორიო მაცნე",XV. ბათუმი,2005
14. ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, თბ, 1993
15. ი. ჯავახიშვილი, თხზ. ტ.II, თბ, 1983
16. ან. ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები,თბ., 2003

ოსმალური წყაროები XVI საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის შესახებ

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, აჭარის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც ოსმალთა ბატონობის დამყარების მოვლენებს ასახავს, ბოლო დრომდე, შეიძლება ითქვას, ბურუსით იყო მოცული ისტორიული წყაროების უქონლობის გამო. მართალია, ცნობილი მკვლევარების: გ.ტივაძის, მ.სვანიძის, ნ.შენგელიას, ხ.ახვლედიანის, შ.ვარშანიძის, ო.თურმანიძის და სხვათა ნაშრომებში არა ერთი საკითხია გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დროინდელი სამხრეთ–დასავლეთი საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ აჭარის შესახებ ბევრი საკითხი ვარაუდის დონეზე იყო გაშუქებული და ახალ დასაბუთებებსა და არგუმენტებს საჭიროებდა.

ბოლო წლებში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და საქართველო–თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთ თანამშრომლობამ და მეგობრობამ შესაძლებელი გახადა თურქეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში მოძიებულიყო ჩვენი ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა. მხედველობაში გვაქვს ბატონების ნოდარ შენგელიასა და ზაზა შაშიკაძის მიერ თურქეთის არქივებში მიკვლეული დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს უფრო ობიექტურად გავიაზროთ XVI საუკუნის II ნახევრის აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ოსმალთა ბატონობის დამყარების პირველ ათწლეულებში.

პირველი საკითხი, რომელიც ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს, ესაა **აჭარისწყლის ხეობაში ოსმალთა ბატონობის დამყარების თარიღის განსაზღვრა**. ბოლო წლებამდე იგი XVII საუკუნის პირველი ათწლეულებით (პირველი ნახევარი) განისაზღვრებოდა, რადგან 1595 წლით დათარიღებულ "გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში" აჭარა არაა მოხსენიებული და

ითვლებოდა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ თავისუფალი იყო ეს მხარე ოსმალთაგან, თუმცა 1611 წლიდან, სულთან აჰმედ I-ის დევთერდარის აინი ალის დავთრის მიხედვით, აჭარის სანჯაყი (შიდამთიანი აჭარა) ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაეთში შედიოდა, ხოლო ბათუმის სანჯაყი – ტრაპიზონის ვილაეთში (მ. სვანიძე, 1960, 46-47). ასე, რომ ოსმალთაგან აჭარა დაპყრობილი ჩანს XVII საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა ეს თარიღი კიდევ უფრო ზუსტდება ბოლო წლებში სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში აღმოჩენილი ორი დოკუმენტით (ზ. შაშიკაძე, 2002, 156).

პირველი დოკუმენტი, რომელიც 1561 წლით არის დათარიღებული, გვაუწყებს რომ აჭარის ხეობის სახელწოდების ნაჰიეს უფლების გარეშე განაგებს ქრისტიანი ბეჟანი, მისი ძალაუფლება არ ვრცელდება ას კაცზეც, მას არ ძალუძს სანჯაყის დაცვა, აწყობს არეულობებს და დაუმორჩილებელია. ამიტომ არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით იგი ჩამოერთვა მას და აჭარის ლივის ხეობა გადეცა ისპირის სანჯაყბეგ მეჰმედს (ზ. შაშიკაძე, 2002, 156).

მეორე დოკუმენტით, რომელიც 1563 წლით თარიღდება, ვიგებთ რომ "აღნიშნული აჭარის ქვეყნის განმდგომილ თავადთაგან ბეჟანბეგი დედაქალაქში ჩავიდა, მორჩილებისა და ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ ისლამი აღიარა, სამასი ათასი ებოძა და მეჰმედის სახელი დაერქვა" (ზ. შაშიკაძე, 2002, 156).

ამ დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ აჭარისწყლის ხეობას 1561 წლამდე მართავდა ქრისტიანი ბეჟანი, რომელიც აწყობდა არეულობებს ოსმალთა წინააღმდეგ, არ ემორჩილებოდა მათ. ამიტომ იმის მომიზეზებით, რომ მას არაა აქვს საკმაო ძალა და ვერ დაიცავს სანჯაყს, იგი გადააყენეს და აჭარის ხევი დაუმორჩილეს ისპირის სანჯაყბეგს. 1563 წელს ბეჟანი ჩავიდა სტამბოლში, სულთნის წინაშე ერთგულების ფიცი დადო, მუსლიმანობა აღიარა და ამის სანაცვლოდ სანჯაყბეგობაც მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1563 წლიდან აჭარისწყლის

ხეობაში ოსმალთა მმართველობა დამყარდა. ამ აზრს უფრო აძლიერებს კიდევ ერთი ოსმალური დოკუმენტი "ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი", რომელიც მკვლევარ ზ. შაშიკაძის აზრით, სულთან სელიმ II-ის ხანაშია (1566-1574) შედგენილი. დავთარში შეტანილია თითოეული სოფელი კომლთა რაოდენობით. აღრიცხულია მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლებიც კი. ამდენად, ეს არის აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ შედგენილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პირველი დოკუმენტი, რომელიც მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის მიზნით იყო შედგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველად აჭარისწყლის ხეობის ოსმალთა მიერ დაპყრობა XVI საუკუნის 60-იან წლებში მომხდარა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამ მხარეში დროდადრო ათაბაგთა, თუ ქართველ მეფეთა გავლენის აღდეგანას. ასე მომხდარა ამავე 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა 1574 წელს შაჰ-თამაზის მიერ სამცხის აოხრებისას დევნილი ათაბაგის დედა და შვილები თავს აფარებენ აჭარას (ქ.ც. IV, 1973, 232), ანდა 1609 წელს, როცა „შემოიკრიბნა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას, მოსწყვიტნა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თვითვე აჭარა" (ქართლის ცხოვრება, IV, 1973, 724), მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით.

ასევე საინტერესო ინფორმაციას იძლევა ოსმალური წყარო "ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი" **აჭარის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, ტერიტორიის შესახებ**. კერძოდ, იგი მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, როგორც ამას ფიქრობდა ზოგიერთი ავტორი, თუ მასში შედიოდა ქობულეთი, ჩაქვი და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიები, ანუ დღევანდელი აჭარის ტერიტორია.

„ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთრის" მიხედვით, ეს ადმინისტრაციული ერთეული (ლივა) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა (ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიე). წარმოდგენილი ადმინისტრაციული დაყოფის სურათი იმის საფუძველს იძლევა, რომ

დავსვათ კითხვა: რადგან არსებობდა ზემო აჭარის ლივა, ხომ უნდა არსებულიყო ქვემო აჭარის ლივაც? თუ ეს ასე არ იყო, დავთარს რატომ ეწოდა „ზემო აჭარის" და არა საერთოდ „აჭარის ლივა" მაშინ, როცა მასში შემავალი ორი ნაჰიე მთელ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა? ხომ არ იგულისხმებოდა ქვემო აჭარის ლივაში ბათუმის ლივა, რომელიც სხვა – ტრაპიზონის ვილაეთში იყო გაერთიანებული მასთან ტერიტორიულად მომიჯ-ნავეობისა და საურთიერთობოდ მოხერხებულობის გამო. სახელ-წოდება კი მას მთავარი ცენტრის–ბათუმისა მიეცა?

ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა (ძვ.წ.-ის III ს.) ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად და „მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდამ, ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა (ქცა–I, 1955, გვ.24). ზღვამდის საზღვარი რომელ მხარეს უნდა ჰქონოდა, თუ არა აჭარას?

ვფიქრობთ, იგივე აზრი იკითხება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაშიც, როცა გურიის აღწერისას ჯუმათის ეკლესიაზე საუბრობს. იგი განმარტების სახით, 525-ე სქოლიოში მიუთითებს, რომ „ჯუმათი მაღალს გორზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერე-თი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა, ფოთი" (ბატონიშვილი ვახუშტი, 1904, 313). ვფიქრობთ, აქ ავტორი ბათუმს ცალკე ადმინისტრაციულ ერ-თეულად წარმოადგენს და არა გურიის შემადგენელ ნაწილად. თუმცა იგივე ვახუშტი ბატონიშვილი, გურიის აღწერისას დღე-ვანდელი ქობულეთის რაიონს, ბათუმს, გონიოს და ერგეს გუ-რიის შემადგენლობაში განიხილავს, ამასთან გურიის საზღვრებს ასე განმარტავს: „ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღვამდე და განი–ჭოროხიდამ რიონამდე (ბატონიშვი-ლი ვახუშტი, 1904, 323). როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონი-შვილი აქ გურიის საზღვრების სხვანაირ განმარტებას იძლევა, მაგრამ ვფიქრობთ, საქმეში სიცხადე შეაქვს მისივე აზრს ნაშ-

რომის სხვა ადგილზე. კერძოდ, როცა იგი ამთავრებს ჭოროხის ხეობის დახასიათებას და იწყებს აჭარისწყლის ხეობის აღწერას. იგი წერს: „არამედ ვინადგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის შესართავიდამ (იქვე, გვ. 325). ვფიქრობთ, აქ განმარტებაა იმის, თუ რატომ იწყებს აჭარის დახასიათებას „აჭარისწყლის შესართავიდამ" (ბათომი, გონია და ერგე აღწერა გურიასა ზედა" – ბ.დ.). ამას მოყვება კიდევ ერთი განმარტება გურიის დახასიათების დასასრულს, „განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა" (გვ. 324). ვფიქრობთ, აქ ვახუშტი ბატონიშვილი იმის განმარტებას იძლევა თუ რატომ განიხილა ბათუმი, გონია, და ერგე გურიის აღწერისას: იმიტომ, რომ ისინი გურიელს ეპყრა ერხანს, ხოლო აჭარა (აჭარისწყლის ხეობა-ბ.დ.) და ჭანეთი განიხილა სამცხესთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის სამცხის ნაწილებად მიიჩნეოდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობილი მკვლევარის– დ.ბაქრაძის XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუსა (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს, იგი, აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლის. იგი წერს: „ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა" (დ.ბაქრაძე, 1987, 69). ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი დ.მუსხელიშვილი ითვალისწინებს რა საქართველოში მთისა და ბარის ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა კანონზომიერებას, თვლის, რომ რადგანაც „ოდესღაც არსებობდა „ქვეყანა დიდაჭარა," რომელიც აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა, ცხადია, ეს გულისხმობს „მცირე აჭარის" არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი („მცირე აჭარა") სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს. რაც შეეხება სახელწოდებას „ქობულეთს," იგი შედარებით გვიანდელია" (დ.მუსხელიშვილი, 2007, 74). უფრო

ქვემოთ, მკვლევარი კიდევ უფრო დაბეჯითებით მიუთითებს, რომ „ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის" ის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, „ხევებია", რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოადრეული რკინის ხანაში ვივარაუდეთ (იქვე, გვ.103). თუ ყველა ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან, ისტორიის ყველა ეტაპზე, აშკარად ჩანს აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო–ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა (ა. ინაიშვილი,1975,48-49; ა.კახიძე, შ.მამულაძე, 1991, 5-6; დ. მუსხელიშვილი, 2007, 90-91), კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება XVI საუკუნის დოკუმენტიდან გამომდინარე ჩვენი ვარაუდი, იმის შესახებ, რომ XVI საუკუნის 70-იან წლებში ადმინისტრაციულ ერთეულში „აჭარა" შედიოდა დღევანდელი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების და აჭარისწყლის ხეობის ტერიტორიები ქალაქი ბათუმით.

განსაკუთრებით ღირებულია, ეს დოკუმენტები აჭარისწყლის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გასაანალიზებლად. დავთრის მიხედვით, XVI ს. 60-იანი წლების ბოლოს, აჭარისწყლის ხეობაში 94 სოფელია 540 კომლით. აღრიცხულ სოფლთაგან 35-მდე სოფელი დაცლილია მოსახლეობისაგან, უმრავლესობაში 2-5 კომლია. ისმება კითხვა, რამ გამოიწვია აღრიცხული 94 სოფლიდან მესამედზე მეტის დაცარიელება, მათი ნასოფლარებად ქცევა? მიზეზი შეიძლება იყოს: შავი ჭირი, ხშირი ომიანობისას დიდი მსხვერპლი და მოსალოდნელი საფრთხის გამო მოსახლეობის აყრა.

მასობრივი ავადმყოფობა შავი ჭირი, რომელსაც შეეძლო მხარისათვის ასეთი ზიანის მიყენება, XIV საუკუნის შუა ხანებშია ცნობილი, ევროპაში „შავი სიკვდილის" სახელით, რომელმაც ამ კონტინენტის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა გაანახევრა. იგი საქართველოშიც მძვინვარებდა და მას 1366 წელს მეფე ბაგრატ V-ის მეუღლე დედოფალი ელენეც უმსხვერპლია (ივ.ჯავახიშვილი, 1966, 107), მაგრამ მაშინ დაცარიელე-

ბულ–დაცლილი სოფლები XVI საუკუნის 60-იანი წლების ოსმალურ დავთარში არ აისახებოდა. ისინი ოსმალებს არც დაინტერესებდათ და გავერანებულ-გატყევებულიც იქნებოდა. სავარაუდოა, რომ ამ სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის შემცირება ოსმალთა შემოსვლის ახლო ხანებში მოხდა, როცა ჯერ კიდევ იყო ნასოფლარები და ხსოვნა მათ შესახებ. ამ აზრს სარწმუნოს ხდის 1573 წლის ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლები დაცლილია მოსახლეობისაგან და ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ არის ქცეული." სულთანი ავალებს ლივანას, მაჭახლის და ფერთეკრეკის სანჯაყბეგებს, რომ ყველაფერი ოღონონ გაქცეული მოსახლეობის უკან დასაბრუნებლად (ზ.შაშიკაძე, 2006, 11). იმ ხანებში მასობრივი ჭირის შესახებ არაფერი ვიცით, ამიტომ რჩება ორი მიზეზი: ხშირი ომიანობა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან მუსრს ავლებდა მოსახლეობას და ამასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებში.

XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან ირან–ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ საქართველოსათვის, ხშირად ბრძოლის ასპარეზად აქცევდა აჭარისწყლის ხეობას, რომელზეც გადიოდა სატრანზიტო გზები სამხრეთ საქართველოს პროვინციებისაკენ. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად არსებული ათობით სოფლის მკვიდრებმა იციან მათი სოფლის წარსული, წინაპართა საფლავები. ხშირ შემთხვევაში, ამ სოფლების ასაკი 300 წელს არ აღემატება. ამავე სოფლებში არის ძველი სამაროვნები, რომელთა ფართობი თანამედროვე სამასწლიანი სოფლის სამაროვნების ფართობს უტოლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი XVII და უფრო ადრინდელი საუკუნეების მცხოვრებთ უნდა ეკუთვნოდეთ.

დავთრის მიხედვით, დაცლილია კავიანის ციხის რაბათი, ოთალთას ციხის რაბათი, მაშინ როცა მიმდებარე სოფლებში: ჭვანაში 20 კომლია აღრიცხული, ბარათაულში–5 და სხვა. დაცლილია ხიხაძირის ციხის რაბათი, მაგრამ ასევე დაცლილია

მისი მიმდებარე სოფლებიც (კალოთა, ქოჩაკი, რაგთა), ორი კომლი ჩანს თხილვანაში. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დაცლილია და არა დანგრეული ოთოლთას, კავიანის, ხიხაძირის, ციხის რაბათები. ე.ი. მოსახლეობას ისინი მიუტოვებია.

ზემო აჭარის ნაჰიეში ყველაზე დიდ სოფლებად ჩანს: ხულა (37 კომლი), ღორჯომი–32, ჭვანა–20; ქვემო აჭარის ნაჰიეში კი: მერისი (26 კომლი), ორცვა–26, საღორეთის რაბათი– 24 კომლი.

ამ აღწერით დავთარში არ ჩანს სოფელი ბაკო, რომელიც XIII საუკუნის 30-40-იან წლებში საკმაოდ ხალხმრავალი დასახლებაა. ტბელ აბუსერისძე გვამცნობს, რომ სწორედ ბაკოელთა მოწადინებამ, ძველი ეკლესიის სიმცირემ და „ერისა ვერდატევამან" ააშენებინა მას ეკლესია (აბუსერისძე ტბელი, 1998, 68). არ ჩანს სხვა მრავალი სოფელიც, რომელთა სიძველეს, როგორც ზემოთ ითქვა, სამაროვნებიც ადასტურებენ. მათზე ინფორმაციას კი მხოლოდ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრებით თუ მივიღებთ. სავარაუდოდ, ასევე საინტერესო მეცნიერულ ინფორმაციას მივიღებთ საქართველოს სხვა მხარეებში ადრე გაჩენილი ე.წ. „აჭარული სოფლების"(ზესტაფონის რაიონის სოფელი „აჭარა", ლეჩხუმის „ აჭარა") ეთნოლინგვისტური შესწავლითაც.

მოტანილი მასალები ცხადყოფენ ამ მხარის და აჭარის გარეთ არსებული ძველი ე.წ. „აჭარული სოფლების" გადაუდებელ მეცნიერულ შესწავლას.

ამ დოკუმენტებით აგრეთვე აშკარად ჩანს რომ ოსმალები დაპყრობილ ადგილებში შესვლისთანავე ცდილობდნენ მათი მმართველობისა და ცხოვრების წესის დანერგვას, მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას და სალოცავების მშენებლობას. ამას კი თავისი შედეგები მოჰქონდა ადგილობრივთა სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ სფეროში.

არზრუმის მეჩეთის სავაყუფო მიწებზე მსჯელობისას ნათქვამია, რომ „ახლადაშენებულ მეჩეთს აუცილებლად სჭირდებოდა ვაყუფები (ზ.შაშიკაძე, 2006, 129) და საუბარი გრძელდება არზ-

რუმის ახლადაშენებული მეჩეთისათვის მუსტაფა ფაშას მიერ (XVI საუკუნის 70-90-იანი წლები) მიწების შესყიდვის თაობაზე. ნათქვამია, რომ მიწები თითქმის მთლიანად შეძენილია ქართველი მფლობელებისაგან. როგორც ჩანს, ოსმალთა გაბატონებას მოჰყვა მეჩეთების მშენებლობა და მათთვის მიწების (ვაყუფების) შეძენა ძირითადად ქართველთაგან. საფიქრებელია, რომ მსგავს პროცესს ექნებოდა ადგილი აჭარაშიც. XIX საუკუნის 60-90-იან წლებში აჭარაში მოგზაურობისას, ცნობილ მკვლევარებს (გ.ყაზბეგი, დ.ბაქრაძე, ზ.ჭიჭინაძე, თ.სახოკია) აღრიცხული აქვთ ასზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი. ზოგიერთ სოფელში ორი ეკლესიის ნანგრევია დაფიქსირებული (ორთახოხნა, საღორეთი, დარჩიძეები). მარტო დღევანდელი ქედის რაიონის ტერიტორიაზე 40-დე, ხოლო შუახევის რაიონის ერთ–მარეთის ხეობაში 20-დე ეკლესია-მონასტრის ნანგრევია აღრიცხული (ზ.ჭიჭინაძე, 1913, 164-186). სავარაუდოა, რომ ოსმალთა გაბატონების და მეჩეთების მშენებლობის პარალელურად, ინგრეოდა ქრისტიანული სალოცავები. სხვანაირად არ აიხსნება ის, რომ ათობით ეკლესია-მონასტრიდან, ჩვენს დრომდე, მხოლოდ სხალთის ეკლესიამ მოაღწია მეტნაკლებად სრული სახით. ნიშანდობლივია, რომ ზოგან დღესაც შემორჩენილია ეკლესიებისათვის დამახასიათებელი ბზის კორომები და შესაბამისი ტოპონიმები.

ყველა ზემოთქმული, ჯერ ერთი, აზუსტებს აჭარის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის საკვანძო საკითხებს და მეორე, აუცილებელსა და გადაუდებელს ხდის ამ მხარეში ინტენსიურ ისტორიულ-არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ კვლევა-ძიების ჩატარებას და ხალხის მეხსიერებაში, ჩვენი წარსულის შესახებ, ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი გადმოცემების შეკრებასა და მეცნიერულ დამუშავებას.

სავაყუფო მიწების აღრიცხვის დავთრები (ვაყუფ-ნამე), რომლებიც 1563 და 1579 წლებით თარიღდება, იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ ავსებს და აზუსტებს სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას.

მაგალითად, პირველ დავთარში ნათქვამია, რომ იმერხევის ლივის სოფელი დაბა შეუსყიდია აჭარის ბეგ ბეჟან ნავაროზის ძეს, მასვე შეუსყიდია აჭარის სანჯაყში მდებარე სოფლები: საბუთხური, დოლოგაური და დიდვაკე (ზ. შაშიკაძე, 2002, 130). ეს ის ბეჟანია, ალბათ, რომელიც 1563 წელს სტამბოლში ჩავიდა, ისლამი აღიარა, სულთანს ერთგულება გამოუცხადა და სანჯაყ ბეგობაც მიიღო (ზ. შაშიკაძე, 2002, 156). ხსენებული ბეჟანის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული (რ. ხალვაში, 2003; ბ.დიასამიძე, 2004, 98-105) აქ ახალი ინფორმაცია ისაა, რომ ბეჟანი ნავაროზისძე ყოფილა, თუმცა გასარკვევია, ეს მამის სახელია, თუ გვარი.

ასევე საინტერესოა ვაყუფ-ნამეში სპირიდონისძეების ხსენება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ შავშეთისა და იმერხევის ნაჰიებში მდებარე ყველა ვაყუფი შესყიდულია მეჰმედ და აჰმედ სპირიდონისძეებისაგან. ეს სპირიდონისძეები უნდა იყვნენ შთამომავლები 1516 წლის დოკუმენტში „კათალიკოზის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში მოხსენიებული სფირიდონისა (ი.დოლიძე, 1979, 242-244; დ.ბაქრაძე, 1987, 75-76). თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ნახევარი საუკუნის მანძილზე სპირიდონისძეების მამული გაფართოებულა და მათ საგამგეო ტერიტორიებში შესულა შავშეთისა და იმერხევის მიწებიც. ამ ვარაუდს მხარს უჭერს კიდევ ერთი ოსმალური დოკუმენტი, რომელიც 1550 წლის 8 დეკემბრით თარიღდება და მოგვითხრობს ოსმალების მიერ მაჭახელის ციხის აღებაზე, რომელიც სპირიდონისძეებს ეკუთვნოდათ (ზ. შაშიკაძე, 2002, 130).

თუ ყველა ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსმალთა აჭარაში გაბატონება და ოსმალური ცხოვრების წესის დანერგვა, მუსლიმანობის გავრცელება და მეჩეთების მშენებლობა, მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა და შესაბამისად ქრისტიანობის შევიწროება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას, საცხოვ-

რებელი ადგილებიდან აყრას და ქვეყნის შედარებით უსაფრთხო ადგილებზე დასახლებას გამოიწვევდა. რასაც 1573 წლის დოკუმენტიც ადასტურებს, სადაც ლაპარაკია აჭარის ლივის გზებზე მდებარე სოფლების დაცარიელებასა და მათ ქურდებისა და ყაჩაღების ბუდედ ქცევაზე. ამას ემატებოდა მოსახლეობის ბრძოლებში მონაწილეობით გამოწვეული მსხვერპლი და შესაბამისად მისი რაოდენობის შემცირება.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, შეიძლება ახსნა მოეძებნოს აჭარისწყლის ხეობაში შექმნილ იმ დემოგრაფიულ და სოციალურ ვითარებას, რომელიც წარმოდგენილია ზემოთ ხსენებულ XVI საუკუნის 70-იანი წლების ოსმალურ დოკუმენტში.

2008 წ.

ლიტერატურა

1. ა.ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების წინ, XIX საუკუნის 40-70-იან წლებში, თბილისი, 1960.

2. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ.ჯანაშვილისა, ტფილისი, 1904.

3. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა," ბათუმი, 1987.

4. ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1979.

5. ბ. დიასამიძე, ერთი ოსმალური წყაროს შესახებ, „საისტორიო მაცნე" XII,2004

6. ა. ინაიშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი,- სდსძ, V, 1975.

7. ა.კახიძე, შ.მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1991.

8. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, წგ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა; I, ბათუმი, 2007.

9. თ სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.

10. მ.სვანიძე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობების ისტორიიდან XVII საუკუნის დამდეგს, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, IV, 1960.

11. ზ.შაშიკაძე, „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი როგორც წყარო აჭარის ისტორიისათვის. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002.

12. ზ.შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ.III, ბათუმი, 2002.

13. ზ.შაშიკაძე, გაზეთი „აჭარა," 17 იანვარი 2004 წ.

14. ზ.შაშიკაძე, არზრუმის მეჩეთის ქართული სავაყუფო მიწები. –კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, №4, თბილისი, 2006.

15. ზ.შაშიკაძე, აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მისი მოსახლეობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. – ჟურნალი „ჩვენებურის" ვებგვერდი, www.cheneburi.net (ქართული ვარიანტი), 2006.

16. ზ.ჭიჭინაძე, მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913.

17. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966.

18. რ. ხალვაში, ბეჟან აბუსერიძე - აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი, გაზ. „აჭარა", 20 ივნისი, 2003 წ.

საქართველოს ისტორიული "ბედისწერა" – საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა ინტერესებში

წაკითხულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაზე 2008 წლის 14 ნოემბერს.

საქართველო, ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე ეს უძველესი ქვეყანა, რომელზეც გადოიდა აღმოსავლეთ–დასავლეთის დამაკავშირებელი მთავარი გზები, მუდამ იქცევდა დიდ იმპერიათა ყურადღებას და ნებით თუ უნებლიეთ, მას მსოფლიო მოვლენათა ეპიცენტრში აქცევდა. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მის სამეურნეო-კულტურულ დაწინაურებას, მსოფლიო მიღწევათა სწრაფ ათვისებას და მასში საკუთარი წვლილის შეტანას, მაგრამ იგივე, მიზეზი ხდებოდ მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხშირი ცვლისა. ეს პროცესი გრძელდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე და ქართველ ხალხს ბრძოლა უხდებოდა და უხდება


40°
45°
50°
45°
40°
40°
45°
50°
ბ ა ვ ი
ზ ღ ვ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თბილისი
ს ო მ ხ ე თ ი
ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი
ბაკური
ბ ა ქ ო
ბ ა ს ი ნ ი
ბ ა ბ ა ი ს ი
ბ ა ბ ა ი ს ი
ბ ა ბ ა ი ს

მსოფლიოს უძლიერეს იმპერიებთან. ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ბრძოლის ეს ხანგრძლივი დრო ორ დიდ პერიოდად შეიძლება გაიყოს: ქართული სახელმწიფოებრიობის ჩასახვიდან IX საუკუნის ჩათვლით, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი საქართველოს იდეა და შემდეგი ხანა – საქართველოს ერთიანობისა და მისი სახელმწიფოებივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხანა.

ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს, ქართველებმა ბრძოლით მოიპოვეს ჩვენს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება, რითაც დაამტკიცეს ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში მათი უპირატესობა აქ მებრძოლ სხვა ძალებზე. ეს ხანგრძლივი ბრძოლა იარაღით, იდეოლოგიითა თუ კულტურით გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში ირანელებთან და რომაელებთან, ბიზანტიელებთან და არაბებთან ორი ქართული სახელმწიფოს (ქართლი, ეგრისი) არსებობის პირობებში. იყო მარცხიც, გამარჯვებაც, მაგრამ, რაც მთავარია, იყო ქართველობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების ურყევი რწმენა. ეს პოლიტიკოსებს უბიძგებდა ეძიათ ამ უმთავრესი მიზნის განხორციელების გზები, რაც არაიშვიათად ძლიერი მოკავშირისა და მფარველის ძიებაში და რიგ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ძალებით, სხვა მოწინააღმდეგეთა დამარცხებაში გამოიხატებოდა. მაგრამ გამოცდილება აჩვენებდა, რომ ქვეყნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ორი დაპირისპირებული ძალიდან, რომელთაგან ერთ-ერთს მცირე ქვეყანა მოკავშირედ ირჩევდა, საბოლოო პერსპექტივის გათვალისწინებით, უფრო საშიში ხდებოდა ეს მოკავშირე (აპ. სილაგაძე, ვ. გურული, 1997, 4), რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა ალტერნატივის წინაშე იდგა – ბრძოლა გამოეცხადებინა უფრო საშიში მტრისათვის, გუშინდელი მოკავშირისათვის.

ჩვენს შორეულ წინაპრებს ქართველობისათვის ბრძოლა უმეტესწილად უწევდათ დიდ იმპერიებთან და ყოველთვის გააზრებული ჰქონდათ ბრძოლის უმთავრესი მიზანი: არა მარტო ერთეუ-

ლი, ცალკეული ბრძოლის მოგება, არამედ სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებლობის, ქართველობის შენარჩუნება. VII საუკუნიდან, ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ირან-ბიზანტიასთან ერთად, მესამე იმპერია ჩაება – არაბების სახით. ამ საუკუნეში ორივე ქართულ სამეფოში მეფობა გაუქმდა. შემდეგ ისინი პატარ-პატარა სამეფო-სამთავროებად დაიყვნენ, თუმცა ქართული ცნობიერება შეინარჩუნეს და გაერთიანებისაკენ ისწრაფოდნენ; თვითმყოფადობა – დამოუკიდებლობის, ქართველობის შენარჩუნების ერთადერთ გარანტიას ისინი ქვეყნის გაერთიანებაში ხედავდნენ. ამ საქმეში დიდ როლს ეკლესია თამაშობდა და ამიტომ მის წიაღში შემუშავდა ქვეყნის გაერთიანების იდეა და შესაბამისი პროგრამაც, რომელიც გაცხადდა გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში: "ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კჳირილეჲსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: "უფალო, წყალობა ყავ," გინა თუ "უფალო შეგვიწყალენ" (გიორგი მერჩულე, 1987, 591). ამ ფორმულით განისაზღვარა ის გეოგრაფიული არეალი, რომელიც ქართლად – საქართველოდ იწოდება და საფუძველი ამ გაერთიანებისა – ქართული ენა. ქვეყნის გაერთიანების ეს იდეა X საუკუნის ბოლოს განახორციელეს დიდმა ისტორიულმა პიროვნებებმა იოანე მარუშისძემ, დავით III ბაგრატიონმა და ბაგრატ III–მ (საქართველოს ისტორია, 2008, 246–247). ყველაფერი ეს განხორციელდა არაბთა და ბიზანტიელთა მძლავრობის ხანაში.

XI საუკუნე, ახალი წელთაღიცხვის მეორე ათასწლეული, საქართველომ ქვეყნის გაერთიანებით დაიწყო, მაგრამ მისი განხორციელება დიდ იმპერიებთან ურთიერთობის გარკვევით უნდა მომხდარიყო: რომელი მეტ საშიშროებას წარმოადგენდა ამ ეტაპზე: ე.წ. ერთმორწმუნე და მოკავშირე ბიზანტია, თუ ღიად გაცხადებული მტერი–არაბები. გიორგი I-მა უფრო საშიშად ერთმორწმუნე, ხალხისაგან მეგობრად მიღებული ბიზანტია ჩათვალა

და მისგან პოლიტიკური და კულტურულ–იდეოლოგიური გამიჯვნა გადაწყვიტა, რადგან აშკარად ჩანდა, რომ ახლა, როცა ბიზანტია ნაკლებ საშიშროებას გრძნობდა არაბთა მხრიდან, ძლიერი და გაერთიანებული საქართველო მისთვის საჭირო აღარ იყო. უფრო მეტიც, მასში მომავალ მეტოქეს ხედავდა. ამიტომ აქეზებდა მსხვილ ფეოდალებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, მხარს უჭერდა მათ, არ სცნობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, ავიწროებდა, დევნიდა და აუქმებდა ქართულ სავანეებსა და საგანმანათლებლო–სამეცნიერო ცენტრებს იმპერიის ტერიტორიაზე. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ახლადგაერთიანებული საქართველოს ახალგაზრდა მეფე გიორგი I–მა, კახეთ–ჰერეთის განდგომის მიუხედავად, მათი შემოერთებისათვის კი არ იზრუნა, არამედ ქვეყნის მომავალი პერსპექტივის გათვალისწინებით, ბიზანტია ჩათვალა უფრო საშიშ მტრად და ბრძოლა გამოუცხადა მას წართმეული მიწების დასაბრუნებლად. ეს ბრძოლა, მართალია, უთანაბრო ძალებს შორის მიმდინარეობდა და წარმატებაც სათუო იყო, მაგრამ ამით ახალი საქართველოს მხრიდან ცხადდებოდა, რომ ამიერიდან საქართველო აღარ შეურიგდებოდა ბიზანტიის იმპერიულ პოლიტიკას, ტერიტორიების მიტაცებას და მისადმი მორჩილებას. შემდეგ, გიორგი I-ის მემკვიდრის ბაგრატ IV-ის დროსაც საქართველო თავს აცხადებდა ბიზანტიის თანაბარ, დამოუკიდებელ ქვეყნად ცხოვრების ყველა სფეროში და ამის აღიარებას მოითხოვდა მისგან. სხვანაირად ვერ ავხსნით, 1057 წელს, ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, სადაც იხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი, დიდი საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის მიმართვას ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის მიმართ: “წმინდაო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ... თავის მის მოციქულთაისა პატრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებლისა ნაწილი ვართ. . . წმინდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებულ იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ

პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ" (გიორგი მცირე, 1987, 105).

ასეთი უთანასწორო ბრძოლებით მიაღწია საქართველომ სრულ დამოუკიდებლობას და დავითისა და თამარის დროის საქართველოს ბრწყინვალებას.

მონღოლთა ასწლიანი ბატონობისა და თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევებით ქვეყნის "პატარა საქართველოებად" დაყოფის შემდეგ, XV საუკუნიდან, არაერთხელ დადგა საქართველო არჩევანის წინაშე: სახელმწიფოებრიობის, ქართველობის დაკარგვა, თუ ძლიერი "მფარველის" ძებნა, ისევ მტრის ხელით მეორე მტრის მოგერიების მიზნით. არჩევანი მძიმე და უპერსპექტივო ჩანდა, რადგან ორივე დამპყრობელი არაქრისტიანული სახელმწიფო იყო (ირანი, ოსმალეთი), მაგრამ XVIII საუკუნიდან გამოჩდა მესამე ძალა რუსეთის სახით, რომელსაც არანაკლებ სურდა ფეხის მოკიდება და შემდეგ განმტკიცება კავკასიაში და შესაბამისად საქართველოშიც.

არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანაზე, რომელმაც 1783 წელს გეორგიევსკში ხელმოწერილი ხელშეკრულებით იკისრა საქართველოს დაცვა, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით (საერთაშორისო სამართლის. . . დოკუმენტები, 1948, 31–44).

XIX საუკუნის დასაწყისშივე რუსეთმა დაარღვია შეთანხმება, გააუქმა მეფობა ჯერ ქართლ–კახეთში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში და ის რაც საქართველომ მუსლიმანურ სახელმწიფოებთან საუკუნოვან ბრძოლაში შეინარჩუნა და დაიცვა, ერთმორწმუნე რუსეთმა წაართვა და იგი თავის გუბერნიად აქცია. 1811 წელს რუსეთმა გააუქმა საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და მიუხედავად 1917 წელს მისი აღდგენისა, რუსეთმა იგი არ სცნო 1943 წლამდე. რუსეთმა მუხანათურად დაარღვია 1920 წელს დადებული ხელშეკრულებაც და 1921 წლის თებერვალში მოახდინა საქართველოს დემოკრა-

ტიული რესპუბლიკის ანექსია. საქართველო 70 წლის განმავლობაში დიდი რუსული იმპერიის – სსრკ–ს ნაწილს წარმოადგენდა.

ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. იბრძოდა ქართველობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ქართული ენის, ისტორიისა და ერის ღირსების დასაცავად. ამის გამოძახილი იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებები და შეთქმულებანი; 60-იანელთა ეროვნულ–გამანთავისუფლებელი იდეები; ამას ემსხვერპლა ერის უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე და XX საუკუნის 20–40-იანი წლების პატრიოტ ინტელიგენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი; ამ ბრძოლის გაგრძელება იყო ჩვენთან და სსრკ – სხვა რესპუბლიკებში დისიდენტური მოძრაობა, რომელმაც გასული საუკუნის 90–იან წლებში გამოიწვია სსრკ–ს დაშლა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

მძიმე და რთული ათწლეულის გავლით, უაფხაზეთოდ და უსამაჩაბლოდ დაიწყო საქართველოსათვის მეასამე ათასწლეული. ჩრდილოელი მეზობლის–რუსეთის წაქეზებით, ხელშეწყობითა და ჩარევით სახელმწიფოს ჩამოშორდა ძირძველი ქართული მიწები (აფხაზეთი, სამაჩაბლო), რასაც ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგდება. რუსეთი კვლავ ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს დამოუკიდებლობამიღებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც. სე, რომ მესამე ათასწლეულის დასაწყისის საქართველო, იმავე პირობებში აღმოჩნდა, როგორშიც იყო იგი II ათასწლეულის დასაწყისში, გიორგი I–ის მეფობის დროს, ოღონდ სხვა "მოკავშირესთან" – ბიზანტიასთან მიმართებაში. ჩვენი დროის საქართველოსათვისაც აუცილებელი გახდა რუსეთისაგან – ე. წ. ძველი მოკავშირისაგან მკვეთრად გამიჯვნა, რომ ჯერ ერთი, მოსახლეობა გათავისუფლებულიყო იმ აზრისაგან, რომ ურუსეთოდ ქვეყანას არსებობა არ შეუძლია; მეორე, რუსეთიც და დანარჩენი

მსოფლიოც დარწმუნებულიყო, რომ საქართველო არ დათმობდა დამოუკიდებლობას და ბოლომდე იბრძოლებდა წართმეული მიწების დასაბრუნებლად და მესამე, მსოფლიოს დაენახა XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის ამბიციური სახელმწიფოს ნამდვილი სახე, რომ იგი საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაში ვერ იქნებოდა მედიატორი, რადგან დაინტერესებული მხარე იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს ასეთმა მტკიცე და გამოკვეთილმა პოზიციამ, საქართველო მიიყვანა რუსეთის მიერ პროვოცირებულ შეიარაღებულ კონფლიქტამდე, რუსეთ-საქართველოს ომამდე 2008 წლის აგვისტოში (7–12 აგვისტო).

მართალია, ომს ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა, მაგრამ გამოჩნდა რუსეთის სახელმწიფოს ჭეშმარიტი მიზანი–საბოლოოდ მოესპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მისი ეკონომიკა და სამხედრო ძალები. თითქოსდა რუსი მოქალაქეების დასაცავად წამოსული რუსეთის სამხედრო ძალები, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებიდან ასობით კილომეტრით დაშორებულ სოფლებსა დაქალაქებს ბომბავდნენ და ანადგურებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას; ანგრევდნენ სკოლებს, საავადმყოფოებს, დასახლებულ პუნქტებს.

2008 წლის აგვისტო-სექტემბრის მსოფლიო პოლიტიკის მთავარ თემად საქართველოში შექმნილი ვითარება იქცა, რადგან მსოფლიომ იგრძნო იმის საშიშროება, რომ XXI საუკუნეშიც უხეში ძალით, იარაღის ჟღარუნით დაიწყო მსოფლიოს ერთ-ერთმა დიდმა სახელმწიფომ–რუსეთმა "წესრიგის დამყარება." გაისმა კითხვები: ვისი ჯერი დადგება საქართველოს შემდეგ?

სწორედ ამ კითხვამ, მომავლის საშინელმა პერსპექტივამ გააერთიანა მსოფლიო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ; ამ ძალამ შეაჩერა რუსული სამხედრო მანქანა თბილისის მისადგომებთან; ამ ძალამ აიძულა რუსეთი დაეწყო ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება და კონფლიქტებამდელ პოზიციებზე დაბრუნება; უარი ეთქვა ე.წ. მშვიდობისმყოფელობაზე. ახლა მთავარია ეს პროცესი

მივიდეს ბოლომდე, აგრესორებმა დატოვონ ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა, ნაბიჯ–ნაბიჯ მივუახლოვდეთ იმ დროს, როცა რუსეთი დატოვებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს და აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მაშინ ირწმუნებს საქართველოც და მსოფლიოც ერთიანობის ძალას, სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე.

მსოფლიოს ყველა დიდმა ქვეყანამ, თუ გაერთიანებამ უნდა შეიგნოს, რომ ძალა, რომელსაც ის ფლობს, უპირატესობას კი არ ანიჭებს მას, არამედ ზრდის მის პასუხისმგებლობას კაცობრიობის მომავლის წინაშე. თუ ყველა ზემოთქმულს და ჩვენი ისტორიის საუკუნოვან გამოცდილებას გავითვალისწინებთ, მიუხედავად ქვეყნისთვის მძიმე შედეგებისა (ადამიანთა მსხვერპლი, მატერიალური ზარალი), 2008 წლის აგვისტოს მოვლენები უნდა შეფასდეს ქართველობისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საუკუნოვანი ბრძოლის გაგრძელებად, რომელმაც მსოფლიოს მომავლისათვის, მისი გამოფხიზლებისა და რეალური ვითარების გააზრება–შეფასებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.

2008 წ.

ლიტერატურა

1. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. წგ. ქართული მწერლობა, II, თბ., 1987;
2. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება. წგ. ქართული მწერლობა, I, თბ., 1987;
3. აპ. სილაგაძე, ვახტანგ გურული, ბევრი გიორგი და მეფე გიორგი, თბ., 1997;
4. საქართველოს ისტორია. I, თბ., 2008;
5. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები, შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ, თბ., 1948.

დიდაჭარა – ადრეფეოდალური ხანის შიდამთიანი აჭარის მთავარი რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი

ბოლო წლების გამოკვლევებით დასტურდება, რომ დღევანდელი აჭარა, ორი მსხვილი ისტორიული "ქვეყნისაგან" შედგებოდა: შიდამთიანი რეგიონისაგან, რომელსაც შეიძლება საკუთრივ "აჭარა" ვუწოდოთ და ზღვისპირა დაბლობისაგან, რომლის უდიდეს ნაწილს "ქობულეთი" ეწოდებოდა... ისტორიულად არსებობდა ყველა წინაპირობა (ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული), რომ აჭარა დღევანდელ ფარგლებში გარკვეული პერიოდიდან ერთიან რეგიონად ჩამოყალიბებულიყო (დ. მუსხელიშვილი).

მოსახლეობის უძველესი კვალი აჭარაში ძველი ქვის ხანის (ქვედა პალეოლითი), გვიანი მეზოლითისა და ნეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ნეოლითური მასალა მოპოვებულია შიდამთიან აჭარაში, კერძოდ არსიანის მთის ფერდობზე, ბეშუმის საძოვრების მიდამოებში, ხიხაძირში, წაბლანაში და დანისპარაულის მიდამოებში (ა. კახიძე, შ. მამულაძე).

ინტენსიური ცხოვრება ჩანს შიდამთიან აჭარაში გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში. დღეისათვის აქ ამ ეპოქის ცხრა განძია აღმოჩენილი (მახუნცეთის, საღორეთის, ქედის, ვერნების, დიდაჭარის, ხიხაძირის, სიხალიძეების, თაგოს, ზუნდაგის), რაც მეურნეობის ინტენსიურ განვითარებასა და სხვა რეგიონებთან ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობაზე მიუთითებს.

ითვლება, რომ ეს ხანა, ე.წ. "ხევების" წარმოქმნის ხანაა, რასაც ბრინჯაოს მეტალურგიის ლოკალური კერების გაერთიანებაც უწყობდა ხელს. ერთი ასეთი "ხევი" თუ ხეობა უნდა ყოფილიყო ზემო აჭარის მეტალურგიული წარმოების კერა ცენტრით დიდაჭარაში, რადგან აქ გადიოდა ის მაგისტრალური

გზები, რომელიც ზემო აჭარას სამცხესთან აკავშირებდა: ერთი ღორჯომის ავლით არსიანის ქედზე და მეორე, ბელლეთის ხეობით გოდერძის უღელტეხილზე.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დიდაჭარას ეს ფუნქცია უნდა შერჩენოდა მომდევნო საუკუნეებშიც, რადგან "ქართლის ცხოვრებაში" ჩანართი წმ.ანდრია პირველწოდებულის მიერ დიდაჭარას ქადაგების შესახებ მთლიანად აჭარისწყლის ხეობასაც რომ გულისხმობდეს და არა სოფელ დიდაჭარას, როგორც ამას ზოგიერთი მკლევარი ვარაუდობს, ეს არ ამცირებს ამ სახელის მატარებელი დასახლებული პუნქტის ისტორიულ მნიშვნელობას. პირიქით, მის ძირძველობასა და დიდ წარსულზე მიუთითებს, რადგან ამ ხეობაში შესწავლილი საკულტო ძეგლები, თაღიანი ხიდები, ციხე-კოშკები, XIX საუკუნის მკლევარ-მოგზაურთა ჩანაწერებში დაფიქსირებული ეკლესიათა სიმრავლე (დ.ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ზ.ჭიჭინაძე) ამის თქმის საშუალებას იძლევა. მით უმეტეს, რომ ყველაფერ ამას ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ზეპირსიტყვიერი გადმოცემები (ნაკაფისერის ბორცვზე, თარანგელოზის ყელზე მომლოცველების გალობა, შეღებილი კვერცხების ატანა, წმინდა წყარო, რომელიც არც ზაფხულში არც ზამთარში არ კლებულობს, ეკლესიის ადგილის მინიშნება....), ქრისტიანული ტოპონიმები (თარანგელოზის ყელი, ხუცური, ელიაწმინდა, ხუციაშვილები, დიაკონიძეები, ნასაყდარი...) და ნივთიერი მასალები ("ველათში"-კაჟის ისრისპირი, ბრინჯაოს ცულების განძი, ძვ.წ.-ის V ს-ის ნაგებობის ეკლესიის ნაშთები....).

წერილობითი წყაროებით (კონსტანტინე პორფიროგენეტი) დასტურდება (გეორგიკა, 1952, 291), რომ X საუკუნეში აჭარა "ქართველთა სამეფოს" ერთ-ერთი საერისთავო იყო და მკლევართა აზრით (დ.მუსხელიშვილი) მისი ცენტრი დიდაჭარა უნდა ყოფილიყო თუმცა ვინ იყვნენ ერისთავები წყაროებში არ ჩანს.

XI საუკუნიდან აჭარის ერისთავებად აბუსერისძეები ჩანან. ისინი 20-იან წლებში არტანუჯსაც ფლობენ, ხოლო 40-იან

წლებში “მატიანე ქართლისაში” მოხსენიებული აბუსერ ივანეს ძე არის “არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი.”(ქც, 1955, 300).

X საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება რეალობად იქცა და ქვეყნის ცალკეულ მხარეებთან კავშირს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, როგორც ჩანს, შიდამთიანი აჭარის ადმინისტრაციული ცენტრიც სხალთის ხეობაში, კერძოდ, ხიხათს (ხიხანს) იქნა გადატანილი, რადგან ხიხანი, თუმცა უფრო შორი, მაგრამ მაინც საუკეთესო საქარავნო გზით მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამცხესთან (ფოცხოვის ხეობით) და აგრეთვე არტაან-შავშეთ-კლარჯეთთანაც. ამ დროს უნდა მომხდარიყო აბუსერისძეთა, ზემო აჭარის ამ მკვიდრი ფეოდალური გვარის დაწინაურებაც.

ამრიგად, ვიდრე X საუკუნემდე დიდაჭარა წარმოადგენდა შიდამთიანი აჭარის რელიგიურ და ადმინისტრაციულ ცენტრს, რასაც ადასტურებს წერილობითი, ზეპირსიტყვიერი, ტოპონიმიკური და ნივთიერი წყაროების სიმრავლე. XI საუკუნიდან ადმინისტრაციული ცენტრის გადანაცვლებამ სხალთისწყლის ხეობაში, როგორც ჩანს, გამოიწვია რელიგიური ცენტრის გადანაცვლებაც, რაც გამოიხატა კიდეც ამ ხეობაში საკულტო ძეგლების სიმრავლით და სხალთის დიდებული ტაძრით.

2009 წ.

ლიტერატურა

1. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
2. ა. ინაიშვილი, დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.- კრ. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, 1975.

3. ა. კახიძე, შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არ-ქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.

4. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა,IV, თბ., 1952.

5. დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის,- წგ. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა,,I, თბ., 2007.

6. ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ., 1955.

7. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.

8. ზ.ჭიჭინაძე, მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თფილისი, 1913.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ეკლესია ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის ხანაში

IX საუკუნის შუა ხანებში საქართველოში დასრულდა ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება. მალე მათ შორის დაიწყო ბრძოლა საკუთარი ტერიტორიების გაზრდა-გაფართოებისათვის, რაც ობიექტურად ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანების საფუძველი გახდა. ეს პროცესი შემზადებული იყო როგორც ამ პოლიტიკურ ერთეულებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით, ისე ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნებითა და რელიგიურ-კულტურული ერთიანობით. ამ უკანასკნელთა მოსახლეობაში ჩამოყალიბება-გამტკიცებას უპირველესად ქრისტიანული ეკლესია ემსახურებოდა, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა შესწავლა და გაანალიზება იმის, თუ რა ვითარება იყო და როგორი პოზიცია ეჭირა ამ თვალსაზრისით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ეკლესიას ქვეყნისათვის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო ცვლილებათა ხანაში. ამ დროის ადმინისტრაციულ ერთეულ "აჭარაში," მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, წერილობითი წყაროებისა (ლეონტი მროველი, კონსტანტინე პორფიროგენეტი...) და ბოლო პერიოდის გამოკვლევების მიხედვით, იგულისხმებოდა აჭარისწყლის ხეობისა და ბათუმ-ქობულეთის მიმდებარე ტერიტორიები (დ. მუსხელიშვილი, 2007, 103). ეს საკითხი საინტერესოა იმიტომაც, რომ, IX-X საუკუნეებში აჭარის ტერიტორია ორი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული: ზღვისპირა ტერიტორიები (ბათუმ-ქობულეთის მხარე) ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა (ვახუშტი, 1973, 789), ხოლო შიდა მთიანი აჭარა (აჭარიწყლის

ხეობა) - „ქართველთა სამეფოს” შემადგენლობაში (კონსტანტინე პორფიროგენეტი, 1952, 291).

IX საუკუნის დასაწყისს ეგრის-აფხაზეთის სამეფო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით – ბიზანტიის ვასალობიდან გათავისუფლებული შეხვდა (სინ, 1973, 418). მალე გათავისუფლდა მისი ეკლესიაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დამოკიდებულებისაგან (ბ. დიასამიძე, 2001, 218-219). ამ დროს აჭარის ზღვის პირა მოსახლეობა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა, ხოლო შიდამთიანი აჭარისა - ანჩის საეპისკოპოსოში (ი. სიხარულიძე, 1996).

სამეფო-სამთავროთა ტერიტორიების გაფართოებისათვის ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიის პოზიციას, თუ ვის მიემხრობოდა ის. მართალია, კახეთი, ჰერეთი, „ქართველთა სამეფო” ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი საეკლესიო ეპარქიები მცხეთას, მის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ერთეულს დაუჭერდა მხარს მცხეთის საკათალიკოსო. ასეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთის პოზიციას ეგრის-აფხაზეთის საერო ხელისუფლებისთვისაც. ასეთ პირობებში ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება გაითვალიწინებდა მცხეთის ეკლესიის დაიტერესებას ეგრის-აფხაზეთის ეკლესიით და დათანხმდებოდა მას მისი იურისდიქციის გავრცელებაზე ამ უკანასკნელის მიმართ. სწორედ ამას გულისხმობდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, როცა წერდა: „ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთა მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს” (ნ. ბერძენიშვილი, 1966, 50). ასე რომ ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლება მზად იყო მისი ეკლესია მცხეთისადმი დაექვემდებარებინა სამეფოს ტერიტორიის გაფართოებაში მხარდაჭერის სანაცვლოდ. სავარაუდოა, რომ ასეთ გარი-

გებას ეგრის-აფხაზეთის ეკლესია, მისი საკათალიკოსო („აფხაზეთის საკათალიკოსო"), მხარს არ დაუჭერდა, არ ისურვებდა ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვას. ამიტომ ვფიქრობთ, სწორედ ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული ძველ საეპისკოპოსთა ცვლა ახალი საეპისკოპოსოებით, ხელისუფლების პოზიციის მხარდამჭერი საეპისკოპოსოებით, რომელიც მიმდინარეობდა მთელი X საუკუნის განმავლობაში. გაუქმდა ფაზისის, ვარციხის, ძიღანევის (გუდაყვის), სებასტოპოლისის, ნიკოფსიის საეკლესიო ცენტრები და დაარსდა ახალი: ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის, დრანდის, ნიკორწმინდის, ხინოს საეპისკოპოსოები. ამავე პეროიდში გაუქმდა პეტრას საეპისკოპოსოც. მართალია, ზოგიერთი მკვლევარი ძველ საეპისკოპოსოთა ცვლას (გაუქმებას) მათი ბერძნულენოვნებით ხსნის, მაგრამ ეგრის-აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ანალიზით ჩანს, რომ მათი გაუქმების მიზეზი საერო ხელისუფლების მიერ მათ მიმართ ჩაფიქრებული პოლიტიკისადმი დაპირისპირება იყო (ბ. დიასამიძე, 2001, 228). სხვა შემთხვევაში მათი გაუქმება თუ შეცვლა უფრო ადრე, IX საუკუნეში, კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ახლო წლებში უნდა მომხდარიყო და ეს ისტორიულ წყაროებშიც იქნებოდა მინიშნებული.

წყაროებში არ ჩანს პეტრას საეპისკოპოსო რომელმა ახალმა ცენტრმა შეცვალა. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ პეტრას შემდეგ ეპარქიის ცენტრი ხინოწმინდა უნდა ყოფილიყო, (ნ. ბერძენიშვილი, 1990, 598), ხოლო ი. სიხარულიძეს მიაჩნია, რომ ხინოს საეპისკოპოსო გვიან – XV საუკუნიდან გაჩნდა, შემოქმედისა და ჯუმათის ეპარქიების შექმნის პარალელურად (ი. სიხარულიძე, 1996) და მანამდე ამ ტერიტორიების მოსახლეობა ქუთათელის სამწყსოში შედიოდა (ი. სიხარულიძე, 1996; თ. ბერაძე, 2008, 22.).

1989-1990 წლებში ხინოწმინდის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ ეს ძეგლი VIII-IX საუკუნეების

ქართული არქიტექტურის ნიშნებს ატარებს. ამავე პერიოდით (X-XI სს.) თარიღდება შენობის სამხრეთის ფასადის შესამკობად გამოყენებული მამაკაცის თავის სკულპტურული ნიმუშებიც. ამიტომ დამაჯერებელი ჩანს ვარაუდი, რომ X საუკუნეში პეტრას საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, ეპარქიის ცენტრად ხინოწმინდა უნდა ყოფილიყო (ნ. ბერძენიშვილი, 1990, 598., გ. თავამაიშვილი, 2008, 3-5).

IX-X საუკუნეებში სერიოზული ცვლილებები გატარდა აგრეთვე აჭარის მომიჯნავე მხარეების შავშეთ-კლარჯეთის ეკლესიებშიც. იქ მიმდინარე პროცესები იმდენად საინტერეოა ჩვენთვის, რამდენადაც მიღებულია, რომ შიდამთიანი აჭარის ტერიტორია V საუკუნიდან ჯერ ახიზის, ხოლო IX საუკუნის შუა ხანებიდან - ანჩის ეპარქიაში შედიოდა.

ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონთა საგვარეულო მიწა-წყლის გაყოფის შემდეგ, IX ს. ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში, ტაოს ბაგრატიონი მმართველებიცა და არტანუჯელი კლარჯი მმართველებიც აარსებდნენ ახალ ეპარქიებს. ამ დროს შეიქმნა შავშეთში ტბეთის საეპისკოპოსოც (914). მემატიანე წერს: „აშოტ ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე, უწყებითა სულისა წმიდისითა" (სუმბატ დავითის-ძე, 1955, 380). როგორც ჩანს, X საუკუნის მეორე ნახევარში, სამეფოსამთავროთა შორის „ქართლსა ზედა" ბრძოლებისას, ყველა პოლიტიკურ ერთეულში საერო ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ მათი პოლიტიკის მხარდამჭერი საეპისკოპოსოების წარმოშობას. ამ დროის პირმშო უნდა იყოს ტბეთის საეპისკოპოსოც, რომლის საზღვრებში შევიდა მთელი შავშეთი და ზემო აჭარა, რომელნიც ადრე ანჩის საეპისკოპოსოში შედიოდნენ.

შიდამთიანი აჭარა, უძველესი ქრისტიანული მხარე, რომლის ადმინისტრაციულ და რელიგიურ ცენტრს პირველ საუკუნეებში დიდაჭარა წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებით იყო

დაკავშირებული სამცხესთან. მას შემდეგ, რაც აღორძინდა და განვითარდა ტაო-კლარჯეთის მხარე, მეტი მნიშვნელობა მიეცა სხალთის ხეობაზე გამავალ გზას, რომელიც აჭარას, მის ზღვისპირეთს ამ მხარესთან დააკავშირებდა. ამან გამოიწვია ადმინისტრაციული ცენტრის დიდაჭარიდან ხიხანს გადაადგილება (დ. მუსხელიშვილი, 2008, 99). ამ დროს დაწინაურდა აბუსერისძეთა გვარიც, რომლის წარმომადგენლები XI-XIV სააუკუნეებში ამ მხარის ერისთავები იყვნენ. ეს მოვლენები ემთხვევა ტბეთის საეპისკოპოსოს წარმოშობის ხანას და, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, X საუკუნის შუა ხანებიდან შიდამთიანი აჭარა ტბეთის ეპარქიაშია შესული.

XVI საუკუნის წყაროში „კათალიკოზის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში" ჩამოთვლილია ცამეტი ეპარქია, რომელთა შორისაა მტბევარის სამწყსო. მის შემადგენლობაში შედის: „დახატულას ზედათი, ანაკერტს აქეთი, სულა შავშეთი მიჭიხიანათ, ბატონის უწმინდესის კათალიკოზის ყოფილა; იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა; აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა" (ქართული სამართლის ძეგლები, 1970, 245). მოტანილი წყაროდან ჩანს, რომ დანდალოს ზემოთ ტერიტორია ტბეთის ეპარქიის შემადგენლობაშია, ხოლო აჭარის დანარჩენი ტერიტორია ქუთათელის სამწყსოშია. აქ არ ჩანს ხინოს ეპარქია ემორჩილება ქუთათელს, თუ ეს ტერიტორიები უშუალოდ შედის ქუთათელის ეპარქიაში.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეპარქიათა შორის ტერიტორიების ასეთი გადანაწილება XIII საუკუნის 60–იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო ("ტბეთის სულთა მატიანე," 1977, 30), როცა სამცხე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად, „ხასინჯად" იქცა და აჭარის ეს ნაწილიც (შიდამთიანი აჭარა) მის დაქვემდებარებაში მოექცა. სწორედ აქამდე იყო შესაძლებელი, რომ აჭარის ტერიტორიაზე ფართოდ გაშლილიყო ეკლესიათმშენებლობა, რომელთაგან დღეისათვის არაერთი (პეტრა, ხინოწმინდა,

სხალთა, თხილვანა, კალოთა, ვერნები...) არქეოლოგიურადაც შესწავლილია (შ. მამულაძე, 1993, 72-100), ხოლო ადრინდელი საუკუნეების (IX-X სს) მხოლოდ რამდენიმე ეკლესიის შესახებ ვიცით. (თიკანაური, საციხური, სხალთა).

ასეთი რთული და საინტერესო გზა გაიარა აჭარის ეკლესიამ საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის ხანაში.

2009 წ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.

2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტირიული გეოგრაფიისათვის, თბ., 1990

3. თ. ბერიძე, აჭარის საეკლესიო იერარქიის ისტორიიდან, კრ. "დიდაჭარობა", 2008

4. ბ. დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში I-X საუკუნეები, ბათუმი, 2001

5. ვახუშტი ბატონიშვილი, ქც-ა, IV, 1973

6. გ. თავამაიშვილი, ხინოწმინდა, ბუკლეტი, ბათუმი, 2008

7. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, IV-2, 1952

8. შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993,

9. დ. მუსხელიშვილი, აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, წგ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ I, თბ., 2007

10. სინ-საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II თბ., 1973

ი. სიხარულიძე, ჭოროხის აუზის საპარქიო ცენტრები. გაზ. „კახაბერი'', № 9, 1996

11. სუმბატ დავითის ძე, "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955

12. ტბეტის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ. თბ.,1977

13. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, 1970.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	3
ზღვისპირას... თეთრი ტაძარი მუზის	5
ბიზანტია – დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ურთიერთობისათვის IX საუკუნეში	20
სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოს შექმნის და სტატუსის საკითხისათვის	37
მონოთელიტობა საქართველოში (ერთი ბიზანტიური წყაროს მიხედვით)	42
ნიკო ბერძენიშვილი და ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები	50
ქრისტიანობა აჭარაში	60
ქრისტეს პირველმოციქულები გონიო-აფსაროსში	111
ერთიანი ქართული ეკლესია – ქვეყნის გაერთიანების საფუძველი	114
ქრისტეს პირველმოციქულები დასავლეთ საქართველოში	126
ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია	130
იოსებ იმედაშვილი და აჭარა	139
რენესანსული აზროვნების ხელისუფალი	146
უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და ეგრისელთა ენის პრობლემა	164
რელიგია აჭარაში (მოკლე ექსკურსი)	172
ისტორია ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარია	176
ერთი ოსმალური წყაროს შესახებ	191
გიორგობიდან – გიორგობამდე (ვარდების რევოლუცია აჭარაში)	200
გლობალიზაციის პროცესს ეროვნული ინტერესები არ უნდა ემსხვერპლოს	210
იმედისა და რწმენის ერთი წელი	218
ამაღლება – დაცემის ათწლეულები („დიდი ღამის“ დასაწყისი)	224
ისევ ეგრისელთა ენის შესახებ	241
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრობლემები	254
ხიმშიაშვილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში	265
საქართველოს გეოპოლიტიკური სიტუაცია XIII საუკუნის 20-30 წლებში. საქართველო და „აღმოსავლური ტაიფუნი”	277

აფხაზები ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში 283
უფლის ტაძარი დიდაჭარაში 292
ერის ღირსებისა და ისტორიის დიდი ქომაგი 299
ჩვენი ქრისტიანული წარსულის მოწმენი 319
აჭარისწყლის ხეობა XIII საუკუნის 30-იან და XVI საუკუნის 70-იან წლებში 324
ბათუმის საკითხი XVIII–XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში 330
აბუსერისძეები XI–XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში 340
ოსმალური წყაროები XVI საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის შესახებ 357
საქართველოს ისტორიული "ბედისწერა" – საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა ინტერესებში 369
დიდაჭარა–ადრეფეოდალური ხანის შიდამთიანი აჭარის მთავარი რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი 378
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის) ეკლესია ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის ხანაში 382

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.08.2009
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 24.3
ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35

390